ილია ჭაბალუა

# რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა პირველი მსოფლიო ომის წინ

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა
თბილისი — 1960

# შესავალი

## (ისტორიის გაკვეთილები)

საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიის შესწავლას უდიდესი პოლიტიკური და მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ამაზე არაერთხელ მიუთითებდნენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები. მარქსი მოუწოდებდა მუშებს, დაუფლებოდნენ საერთაშორისო პოლიტიკის საიდუმლოებას და ყურადღება მიექციათ თავიანთი მთავრობების დიპლომატიური მოქმედებისათვის.

ვ. ი. ლენინი წერდა: „უნდა განვუმარტოთ ხალხს იმის რეალური ვითარება, თუ რა დიდია ის საიდუმლოება, რომელშიც ომი წარმოიშობა,... კიდევ და კიდევ უნდა განვუმარტოთ ხალხს მთელი კონკრეტულობით, როგორი იყო საქმის ვითარება უკანასკნელი ომის დროს და რატომ არ შეიძლებოდა იგი სხვაგვარი ყოფილიყო“ [1].

კაპიტალიზმის ბატონობის პირობებში საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები ხელმისაწვდომია მხოლოდ ვიწრო წრისათვის. როგორც წესი, დიპლომატია, საგარეო პოლიტიკის გატარება, წარმოადგენს გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა პრივილეგიას.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად წარმოიშვა ახალი სახის საგარეო პოლიტიკა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკისაგან. საბჭოთა დიპლომატია ემსახურება მილიონობით მშრომელი მასების ინტერესებს, მშვიდობის საქმეს, მაშინ როდესაც კაპიტალისტური ქვეყნების დიპლომატიის მიზანია ერთი მუჭა კაპიტალისტების ინტერესების დაცვა, აგრესიისა და ომების გაჩაღება.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 528—529.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მიეცა საშუალება მშრომელ მასებს, დაუფლებოდნენ საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიასა და საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას. ი. ბ. სტალინი ამბობდა: „შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ, თუ ჩვენ შევძლებდით მუშაობის ყველა დარგის ჩვენი კადრების იდეოლოგიურად მომზადებას და მათ იმდენად გამობრძმედას პოლიტიკურად, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ ორიენტირება საშინაო და საერთაშორისო ვითარებაში, თუ ჩვენ შევძლებდით მათ გადაქცევას სავსებით მომწიფებულ მარქსისტ-ლენინელებად, რომელთაც შეეძლებათ ისე გადასწყვიტონ ქვეყნის ხელმძღვანელობის საკითხები, რომ სერიოზული შეცდომები არ დაუშვან,—ჩვენ ყველა საფუძველი გვექნებოდა უკვე გადაწყვეტილად ჩაგვეთვალა ყველა ჩვენი საკითხის ცხრა მეათედი“ [1].

საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიისა და ცალკეული ქვეყნის საგარეო პოლიტიკის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რათა დადგენილ იქნეს ამა თუ იმ პრობლემის რეალური არსი. სწორედ ამ მოსაზრებიდან გამოდიოდა ავტორი, როცა იხილავდა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიას პირველი მსოფლიო ომის წინ.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხი დღესაც მეტად აქტუალურია. ამდენად ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, თუ მოკლედ გადავავლებდით თვალს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიას 1871 წლიდან დღემდე. ეს საშუალებას მოგვცემდა გაგვეგო ის უდიდესი მნიშვნელობა, რაც აქვს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მტკიცე მეგობრულ ურთიერთობას თანამედროვე ეტაპზე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ 1586 წლის ივნისში საფრანგეთის ხომალდი მიადგა არხანგელსკს. მან ჩამოიყვანა რუსეთში პირველი ფრანგი ვაჭარი ჟან სოვაჟი. ჟან სოვაჟის მიზანი იყო სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებინა საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ის ხელცარიელი არ ჩამოსულა რუსეთში, მისი ხომალდი სავსე იყო სავაჭრო საქონლით. ჟან სოვაჟმა წიგნიც კი მიუძღვნა თავის მოგზაურობას რუსეთში [2].

---

[1] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, საანგარიშო მოხსენება საკ. კ პ (ბ) XVIII ყრილობაზე, თბილისი, 1939, გვ. 52.

[2] Notes sur le voyage effectué en Russie par Jean Sauvage, de Dieppe, en 1586.

ვასილ შუისკის მმართველობის (1606—1610 წწ.) დროს რუსეთში იყო ფრანგი კაპიტანი ჟაკ მერჟერი. იგი რუსეთიდან წავიდა 1606 წლის ბოლოს, ხოლო 1607 წლის იანვარში გამოსცა წიგნი რუსეთის შესახებ[1].

ასევე დიდი ხნის ისტორია აქვს რუსეთ-საფრანგეთის კულტურულ ურთიერთობას. იგი აქტიურ ხასიათს ღებულობს XVIII საუკუნის ნახევრიდან და განსაკუთრებით ფართოვდება XIX საუკუნეში.

საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიამ გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დღემდე ცხადჰყო, რომ რუსეთ-საფრანგეთის, ხოლო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის მტკიცე მეგობრულ ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთის უშიშროებისათვის, ევროპაში მშვიდობის განმტკიცებისა და გერმანიის მილიტარიზმის აგრესიული გეგმების ჩაშლისათვის.

ფრანკფურტის ზავის შემდეგ გერმანია არაერთხელ შეეცადა ახალი დარტყმა მიეყენებინა საფრანგეთისათვის. ბისმარკი ხშირად ხელოვნურად იწვევდა სამხედრო გართულებას საფრანგეთ-გერმანიას შორის. მხოლოდ რუსეთის დიპლომატიის აქტიურმა მოქმედებამ არაერთხელ გადაარჩინა საფრანგეთი გერმანიის თავდასხმისაგან.

1887 წელს გერმანია შეეცადა მიეღწია საფრანგეთის სრული იზოლაციისათვის, ინგლისმაც დაიკავა საფრანგეთის მიმართ მტრული პოზიცია, ბისმარკს ეგონა მიაღწევდა რუსეთის ნეიტრალიტეტსაც, მაგრამ ამაოდ. საფრანგეთი კვლავ რუსეთმა იხსნა გერმანიის კონფლიქტისაგან. ბისმარკი ვერ ბედავდა საფრანგეთთან ომის გაჩაღებას, ვიდრე არ მიიღებდა რუსეთის ნეიტრალიტეტის ან მისი კეთილმეზობლური პოზიციის გარანტიას. პეტერბურგში კი მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, არ დაეშვათ გერმანიის მიერ საფრანგეთის ახალი განადგურება.

ბისმარკის ცდა, არ დაეშვა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნა, მარცხით დამთავრდა. 1891—1893 წწ. გაფორმდა რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. ამ კავშირის თანახმად, რუსეთი ჩაება პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში საფრანგეთთან ერთად გერმანიის წინააღმდეგ.

რუსეთმა პირველი მსოფლიო ომის დროს დიდი დახმარება აღმოუჩინა თავის მოკავშირეებს, კერძოდ საფრანგეთს. 1914 წელს,

---

[1] Jacques Mergeret, L'état de la puissance de Russie et de la Grande Principauté de Moscou.

მარნაზე საფრანგეთის ჯარების წარმატებისა და მოწინააღმდეგის მიერ პარიზის აღების ჩაშლის მიზნით, მოკავშირეების მოთხოვნით რუსეთის მთავრობამ არმია გადაისროლა აღმოსავლეთ პრუსიაში და ვადაზეადრე დაიწყო შეტევა. ამ შეტევამ აიძულა გერმანელები შეეჩერებინათ შეტევა მარნაზე, რამაც გადაარჩინა პარიზი, მიუხედავად იმისა, რომ მდ. მარნაზე გერმანელებს დიდძალი არმია ჰყავდათ[1].

1914 წლის 29 აგვისტოს საფრანგეთის ელჩმა რუსეთში მორის პალეოლოგმა თავის დღიურში ჩაწერა: „ბრძოლა, რომელიც სოლდაუში დაიწყო, სასტიკია და გრძელდება. როგორიც უნდა იყოს მისი საბოლოო შედეგი, საკმარისია უკვე ის, რომ ბრძოლა გრძელდება, რადგან ინგლისისა და საფრანგეთის ჯარებს დრო ექნებათ გადაჯგუფებისათვის ზურგში და საშუალება—წაიწიონ წინ“[2].

ხოლო სექტემბერში იგივე მორის პალეოლოგი თავის დღიურში წერდა: „გერმანიის არმია, შემოუარა რა საფრანგეთის არმიის მარცხენა ფლანგს, გადაულახავად მიიწევს პარიზისაკენ, საშუალოდ 30 კილომეტრის გავლით... ჩემი აზრით, პარიზში გერმანელების შესვლა მხოლოდ დღეების საკითხია, ვინაიდან ფრანგებს არ გააჩნიათ საკმაო ძალები, რათა მოაწყონ კონტრშეტევა...“[3].

მაგრამ პარიზი ვერ აიღეს გერმანელებმა. ვინ გადაარჩინა პარიზი?

ამერიკელი სამხედრო ისტორიკოსი, პოლკოვნიკი საჯენტი წერს: „გერმანია იძულებული რომ არ ყოფილიყო გადმოესროლა (აღმოსავლეთში—ი. ტ.) თავისი არმიის ნაწილები—2 კორპუსი სწორედ ბრძოლების წინ, ის დაიკავებდა პარიზს და შეიძლებოდა მთელი საფრანგეთიც დაეპყრო წლის ბოლომდე“[4]. ამავე აზრისა იყვნენ ბერლინშიც[5].

ბერტი მიუთითებს, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს კრიტიკულ მომენტში მოკავშირეები რუსეთს მიმართავდნენ და

---

[1] Арх. ВПР, ф. „Канцелярия“, д. № 59, л. 4, 1914.

[2] Морис Палеолог, Царская Россия во время мировой войны, Петт. М., 1924, стр. 122.

[3] Морис Палеолог, Указ. соч., стр. 124.

[4] Г. Саджент, Стратегия на Западном фронте, М., 1923, стр. 11.

[5] Э. Фалькенгойн, Верховное командование 1914—1918 гг., М., 1923, стр. 29.

არა სხვა ვინმეს[1]. ეს ეხება განსაკუთრებით საფრანგეთს. იგივე ბერტი აღნიშნავს, რომ „საფრანგეთმა ინგლისსაც სთხოვა დახმარება, მაგრამ იგი როდი მოვიდა დასახმარებლად“ [2].

უფრო გვიან, ლოიდ ჯორჯმა მაღალი შეფასება მისცა რუსეთის როლს პირველ მსოფლიო ომში მოკავშირეებისათვის. 1939 წლის აპრილში ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში განაცხადა: „რომ არ ყოფილიყო მსხვერპლი რუსეთის მხრიდან 1914 წელს, გერმანიის ჯარები არა მარტო დაიპყრობდნენ პარიზს, არამედ მათი გარნიზონი დღემდე იქნებოდა ბელგიასა და საფრანგეთში“ [3].

რუსეთის ელჩი პარიზში იზვოლსკი ატყობინებდა საზონოვს: „თავდაპირველად გერმანელები მიზნად ისახავდნენ საფრანგეთის დედაქალაქის დაპყრობას, ხოლო შემდეგ უცბად შეაჩერეს თავიანთი შეტევა პარიზზე...“ [4]. აღმოსავლეთში შემტევი „რუსეთის კორპუსების გასანადგურებლად გერმანიის ჯარები სასწრაფოდ იქნა მოხსნილი საფრანგეთის ფრონტიდან სწორედ მარნაზე ბრძოლის წინ“ [5].

1914 წლის 19 ნოემბერს ფოში სწერდა საფრანგეთის ჯარების მთავარსარდალს, რომ „გერმანიის მთავარი გეგმა იყო მოესპო დასავლეთის მოწინააღმდეგე, ვიდრე მიუბრუნდებოდა რუსეთს, მაგრამ გერმანიის ეს გეგმა ჩაიშალა. სამი თვის ბრძოლამ გერმანიას ვერ მოუტანა სასურველი შედეგი. გერმანიის შეტევა დასავლეთში საბოლოოდ შეჩერებულ იქნა“ [6]. სწორედ გერმანიის ეს გეგმები დასავლეთში ჩაშალა რუსეთის ჯარების შეტევამ აღმოსავლეთში.

1915 წელს რუსეთის არმიამ ახალი შეტევითი ოპერაციები განახორციელა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე. მაგრამ დასავლეთის მოკავშირეებმა არ გამოუგზავნეს რუსეთს დაპირებული იარაღი და არც თვითონ გადავიდნენ შეტევაზე დასავლეთის ფრონტზე, რათა ამ გზით განემტკიცებინათ რუსეთის არმიის მდგომარეობა. რუსეთის არმიის ოპერაციებმა კი აიძულა გერმანია დასავლეთის ფრონტიდან აღმოსავლეთის ფრონტზე გადმოესროლა მნიშვნელოვანი ძალები. 1916 წლის მარტში რუსეთის არმიის შეტევამ (ტბა

---

[1] Берти, За кулисами Антанты, М., 1927, стр. 24.
[2] იქვე, გვ. 28.
[3] „Правда“, 5. 4. 1939.
[4] Арх. ВПР, ф. „Канцелярия“, д. № 59, л. 3.
[5] Акад. Е. Тарле, Сочинения, т. V, стр. 323.
[6] Ф. Фош, Воспоминания (Война 1914—1918 гг.), М., 1939, стр. 180.

ნაროჩის რაიონში) აიძულა გერმანელები შეეჩერებინათ შეტევა ვერდენზე და გადმოესროლათ ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე [1].

იმავე წლის ზაფხულში რუსეთის არმიამ დიდი შეტევითი ოპერაციები განახორციელა სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტზე, სადაც ძლიერი დარტყმა მიაყენა ავსტრია-უნგრეთის ძალებს, შეაჩერა მათი შეტევა იტალიის წინააღმდეგ და აიძულა გერმანია დასავლეთის ფრონტიდან გადმოესროლა ძალები თავისი მოკავშირის—ავსტრია-უნგრეთის გადასარჩენად. ამრიგად, რუსეთმა იტალია გადაარჩინა განადგურებას და საფრანგეთს საშუალება მისცა შეტევაზე გადასულიყო. რუსეთის არმიის ზემოხსენებულ შეტევას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისათვის, ვინაიდან ამ დროს გერმანიამ მეტად მძიმე პირობები შეუქმნა საფრანგეთს ვერდენის რაიონში. ამიტომ ფრანგები ამბობდნენ: „ჩვენი სამშობლო რუსებმა გადაარჩინესო“ [2].

რუსეთის მთავარი ძალები თავიდანვე მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ აღმოსავლეთ პრუსიაში, რაც სტრატეგიულად სწორი იყო, რადგან ეს ამოცანა მიზნად ისახავდა მოწინააღმდეგეთა მთავარი ძალის გამოყვანას მწყობრიდან. ეს შესაძლებელიც იქნებოდა, თუ დასავლეთიდან ერთდროულად შეუტევდნენ გერმანიას საფრანგეთი და ინგლისი. რუსეთის სარდლობის ზემოხსენებულმა გეგმამ და აღმოსავლეთ პრუსიაში შეტევამ აიძულა გერმანია მნიშვნელოვანი ძალები გადმოესროლა დასავლეთიდან აღმოსავლეთში [3].

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი რუსეთისათვის მეორეხარისხოვანი იყო. ვიდრე გერმანია არ იქნებოდა დამარცხებული, მთავარი ძალების გადმოსროლა სამხრეთ-დასავლეთის ფრონტზე, ე. ი. ავსტრია-უნგრეთის წინააღმდეგ, სწორი არ იქნებოდა.

ამრიგად, რუსეთის მონაწილეობას პირველ მსოფლიო ომში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი თავისი ძალებით გავლენას ახდენდა როგორც ომის მსვლელობასა, ისე მის დამთავრებაზე. რუსეთის მონაწილეობა ომში, ჯერ ერთი, აიძულებდა გერმანიას გადმოეყვანა თავისი ძალები აღმოსავლეთის ფრონტზე, და, მაშასადამე, განუწყვეტლივ ეწარმოებინა ომი ორ ფრონტზე; მეორე, რუსეთის

---

[1] В. А. Емец, Русско-французские отношения по военным вопросам в период первой мировой войны (1914—февраль 1917 г.), М., 1954 (რემინგტონზე დაბეჭდილი).

[2] Эмишен, Полк. Доктрина Коалиционной войны, 1928, стр. 35.

[3] Арх. ВПР, ф. „Канцелярия“, д. № 59, л. 4.

არმია დიდ მარცხს აყენებდა გერმანიის ძალებს; მესამე, რუსეთის ჯარების სამხედრო ოპერაციებმა ბევრჯერ ჩაშალა გერმანიის სარდლობის სტრატეგიული გეგმა და მეოთხე, რუსეთის არმიის შეტევამ რამდენჯერმე გადაარჩინა საფრანგეთი დამარცხებას, ხოლო პარიზი გერმანელების მიერ აღებას.

მიუხედავად ყოველივე ამისა, რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საფრანგეთის მმართველმა წრეებმა უარი თქვეს რუსეთის მიმართ თავიანთ ტრადიციულ საგარეო პოლიტიკაზე და საბჭოთა რუსეთის მიმართ დაიკავეს მტრული პოზიცია. საფრანგეთი იყო ანტისაბჭოთა სამხედრო ლაშქრობების ერთ-ერთი აქტიური ორგანიზატორი და მონაწილე.

მაგრამ ანტისაბჭოთა პოლიტიკა ძირს უთხრიდა საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. საფრანგეთი ცდილობდა ესარგებლა პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში გერმანიის დამარცხებით და ანტანტის გამარჯვებით, უზრუნველეყო საფრანგეთის ეროვნული უშიშროება, მიეღო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის გარანტია გერმანიის მხრიდან შესაძლებელი აგრესიის წინააღმდეგ. მაგრამ ეს პრობლემა მან ვერ გადაჭრა. ასეთ საგარანტიო ხელშეკრულებებს საფრანგეთმა ხელი მოაწერა ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ინგლისთან, მაგრამ ამერიკა-ინგლისის ეს გარანტია ქაღალდზე დარჩა. საფრანგეთ-ამერიკის საგარანტიო ხელშეკრულება არ დაამტკიცა ამერიკის კონგრესმა; ამით ისარგებლა ინგლისის მთავრობამ და უარი თქვა საფრანგეთ-ინგლისის საგარანტიო ხელშეკრულების ძალაში შესვლაზე. ამრიგად, გერმანიასთან ომში გამარჯვებული საფრანგეთის მმართველმა წრეებმა ვერც თავიანთი იმპერიალისტური გეგმები განახორციელეს გერმანიის მიმართ და ვერც საკუთარი ქვეყნის უშიშროება უზრუნველყვეს გერმანიის მილიტარიზმის აღდგენისა და მისგან ახალი აგრესიის შესაძლებლობისაგან.

საფრანგეთის მმართველი წრეები იმდენად გართული იყვნენ ანტისაბჭოთა გეგმებით, რომ თავიანთი ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ ხშირად დათმობაზე მიდიოდნენ ინგლის-ამერიკისა და ომში დამარცხებული გერმანიის წინაშეც კი. მაგრამ ჩაიშალა საფრანგეთის იმპერიალისტური წრეების ანტისაბჭოთა გეგმები. 1924 წლის ოქტომბერში ედუარდ ერიოს მთავრობამ ცნო საბჭოთა კავშირი და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა ამ ორ ქვეყანას შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. საფრან-

გეთის მმართველი წრეების ერთი ჯგუფი კვლავ აგრძელებდა მტრულ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ. ამით სარგებლობდნენ გერმანელი იმპერიალისტები.

ახალი მსოფლიო ომის სამზადისში ჩაბმული გერმანიის იმპერიალიზმი ცდილობდა არ დაეშვა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დაახლოება, ხოლო საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ეროვნული ინტერესები სწორედ ამ ორ ქვეყანას შორის მტკიცე კავშირს მოითხოვდა. ამასვე მოითხოვდა უშიშროების გარანტია ევროპაში. საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის რეალური კავშირის წინაშე იმპერიალისტური გერმანია იძულებული იქნებოდა უკან დაეხია, რათა თავიდან აეცილებინა ორ ფრონტზე ბრძოლა.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის თანამშრომლობის აუცილებლობა იმპერიალისტური გერმანიისაგან მოსალოდნელი მზარდი საშიშროების წინააღმდეგ კარგად ესმოდა საფრანგეთის ზოგიერთ პოლიტიკურ მოღვაწეს. 1933 წელს, როდესაც გერმანიაში ფაშისტური დიქტატურა დამყარდა და ომისათვის მზადება უფრო სწრაფი ტემპით წავიდა, საფრანგეთის შედარებით შორსმჭვრეტელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა ხელი მოჰკიდეს საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის საქმეს. ამ საქმისათვის ერთ-ერთი აქტიური მებრძოლი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ლუი ბართუ იუგოსლავიის მეფე ალექსანდრესთან ერთად ფაშისტებმა მოჰკლეს მარსელში 1934 წლის ოქტომბერში.

მიუხედავად რეაქციული წრეების წინააღმდეგობისა, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის დაახლოების იდეა იმდენად პოპულარული იყო ფრანგ ხალხში, რომ საფრანგეთის მილიონობით მშრომელთა მოთხოვნით 1935 წლის 2 მაისს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება. იგი წარმოადგენდა ევროპის კოლექტიური უშიშროების ერთ-ერთ ძირითად ნაწილს. მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიას არ სურდა ამ ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება. ამას ცხადყოფს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთდახმარების ხელშეკრულება რატიფიცირებულ იქნა საფრანგეთის დეპუტატთა პალატის მიერ მხოლოდ 1936 წლის თებერვალში და სენატის მიერ იმავე წლის მარტში.

საბჭოთა კავშირ-საფრანგეთს შორის 1935 წლის 2 მაისს ხელმოწერილი ურთიერთდახმარების ხელშეკრულება შეიძლებოდა გამხდარიყო რეალური საშუალება ფაშისტური გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ, რომ საფრანგეთის მმართველი წრეები არ

მიმხრობოდნენ ყბადაღებულ მიუნხენის პოლიტიკას, რომელიც მიმართული იყო სსრ კავშირის წინააღმდეგ. მიუნხენის პოლიტიკა თავის დამღუპველი შედეგებით საბედისწერო აღმოჩნდა ევროპისა და პირველ რიგში საფრანგეთისათვის.

მორის ტორეზი წერდა: „რა თქმა უნდა, ფრანგი ბურჟუაზიის წარმომადგენლები კრემლში როდი მიუყვანია მათს ნაზ გრძნობებს დემოკრატიისადმი და არც მათს აღტაცებას სოციალიზმის წინაშე. გერმანიის მხრივ საფრთხის აღორძინება აიძულებდა მათ დაბრუნებოდნენ საფრანგეთის ტრადიციულ პოლიტიკას, რასაც, დამოუკიდებლად მისი პოლიტიკური წყობილებისა, გეოგრაფიული მდებარეობა უკარნახებდა...

ევროპაში, რომელსაც საფრთხეს უქმნიდა „სასიცოცხლო სივრცეზე" ოცნებით გაბრუებული დაპყრობის სასტიკი განზრახვა, საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება საფრანგეთის უშიშროების, სიმტკიცისა და მშვიდობის იარაღი იყო. მისი ხელმოწერისთანავე საფრანგეთის რეაქციულმა ბურჟუაზიამ დაიწყო მისი გინება, ბრძოლა და მისი უარყოფა: კომუნიზმისადმი სიძულვილმა საფრანგეთის სასიცოცხლო ინტერესების შეგნება დაუბნელა მას. მისი ხელმოწერის სამი წლის შემდეგ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, რომელსაც საფრანგეთის მმართველნი განზრახ უგულებელყოფდნენ და ფარატინა ქაღალდსავით ეპყრობოდნენ, გათელილ იქნა მიუნხენში"[1].

1944 წლის 2 დეკემბერს ი. ბ. სტალინთან საუბარში საფრანგეთის დროებითი მთავრობის მეთაურმა შარლ დე გოლმა აღნიშნა საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის 1935 წლის პაქტის მნიშვნელობა, მაგრამ მიუთითა, რომ იგი, სამწუხაროდ, არ იქნა დაცული საფრანგეთის მხრიდან[2].

ფაშისტური გერმანიის აგრესიის საშიშროების წინაშე საფრანგეთის მმართველი წრეების მიერ საბჭოთა კავშირთან მტკიცე ურთიერთობის აუცილებლობის უარყოფა—ეს იყო ღალატი ფრანგი ხალხის ეროვნული ინტერესებისადმი. საფრანგეთის „მმართველი კლასი,—წერდა მორის ტორეზი,—საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულებას ამჯობინებდა საფრანგეთის მოსისხლე მტერთან—ჰიტლერთან შეთანხმებას, საფრანგეთის დაღუპვის ფასადაც კი"[3]!

---

[1] მორის ტორეზი, ხალხის შვილი, თბილისი, 1952, გვ. 107—108.
[2] „Международная жизнь", 1959, № 4, Документация, стр. 19.
[3] მორის ტორეზი, დასახ. ნაშრომი, გვ. 108.

გერმანიის პრობლემას მუდამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე საფრანგეთისათვის. „გერმანიის იმპერიალიზმი,—წერდა გაზეთი „პრავდა",—ამზადებდა რა დამპყრობლურ გეგმებს, თავის ერთ-ერთ პოლიტიკურ მიზნად ყოველთვის ისახავდა საფრანგეთის იზოლაციას, პირველ რიგში საბჭოთა კავშირისაგან, როგორც თავის დროზე რუსეთისაგან. ისტორიამ ცოტა მაგალითი როდი მოგვცა იმისა, თუ რამდენად დამღუპველი იყო ეს იზოლაცია საფრანგეთის ინტერესებისათვის, მშვიდობის ინტერესებისათვის ევროპაში"[1].

ჯერ კიდევ ომის დროს, 1942 წლის 20 იანვარს, დე გოლმა დაადასტურა თავისი „მზადყოფნა მხარი დაეჭირა ამჟამად და მომავალში" საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის კავშირისათვის[2].

საბჭოთა კავშირმა და მისმა შეიარაღებულმა ძალებმა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოიპოვეს მეორე მსოფლიო ომში ფაშისტურ გერმანიასა და იმპერიალისტურ იაპონიაზე. საფრანგეთი განთავისუფლებულ იქნა გერმანელი ფაშისტების ოკუპაციისაგან.

1944 წლის დეკემბერში მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის დელეგაცია შარლ დე გოლისა და ჟორჟ ბიდოს მეთაურობით. იმავე წლის 10 დეკემბერს ხელმოწერილ იქნა საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ხელშეკრულება ურთიერთდახმარებისა და კავშირის შესახებ.

1944 წლის 2 დეკემბერს შარლ დე გოლმა ი. ბ. სტალინთან საუბარში განაცხადა: „საფრანგეთმა განიცადა გერმანელების შემოჭრა 1870—1871 წლებში, 1914—1918 წლებში და 1940 წელს. აქედან გამომდინარეობს საფრანგეთში თითქმის ყველა საგარეო და საშინაო პოლიტიკური სიძნელეები. ფრანგებმა ახლა კარგად გაიგეს, რომ უკეთესი მომავლისაკენ გზის გახსნის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს სხვა სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობა...ფრანგებმა იციან, თუ რა გააკეთა მათთვის საბჭოთა რუსეთმა, იციან, რომ სწორედ საბჭოთა რუსეთმა შეასრულა მთავარი როლი მათ განთავისუფლებაში"[3].

შეეხო რა მეორე მსოფლიო ომში საფრანგეთის დამარცხების მიზეზებს, იმავე საუბარში დე გოლმა განაცხადა: „...იმ უბე-

---

[1] „Правда", 18. 12. 1944.

[2] Шарль де Голль, Военные мемуары, т. I, пер. с французского, М., 1957, стр. 256.

[3] „Международная жизнь", 1959, № 4. Документация, стр. 17.

დურებათა მიზეზს, რომლებიც საფრანგეთს შეემთხვა, წარმოადგენდა ის, რომ საფრანგეთი არ იყო რუსეთთან, არ ჰქონდა მასთან შეთანხმება, არ ჰქონდა ეფექტური ხელშეკრულება...მხოლოდ რუსეთის და საფრანგეთის უკავიათ ევროპაში გეოგრაფიული კონტინენტალური პოზიცია. ორივე ეს ქვეყანა წარმოადგენს გერმანიის მეზობელს და, მაშასადამე, იმყოფება მისი საშიშროების წინაშე. ასე იყო წარსულში, ასე იქნება მომავალში" [1].

მიუხედავად ყოველივე ამისა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საფრანგეთის მმართველი წრეები კვლავ დაადგნენ ანტისაბჭოთა პოლიტიკის გზას. საფრანგეთი გახდა ჩრდილოეთ ატლანტიკის სამხედრო-აგრესიული პაქტის (ნატო) ერთ-ერთი აქტიური წევრი და ამერიკა-ინგლისთან ერთად ხელს უწყობს მილიტარიზმის აღდგენას დასავლეთ გერმანიაში, რომელიც ასევე ნატოს აქტიური წევრია. დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისადმი მხარდაჭერის პოლიტიკა, რომელსაც პარიზის მმართველი წრეები ატარებენ, ეწინააღმდეგება საფრანგეთის ეროვნულ ინტერესებს. აი რატომაა, რომ ფრანგი ხალხი გმობს თავისი მთავრობის ასეთ პოლიტიკას და იბრძვის გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ [2].

ეხება რა ამ საკითხს, საფრანგეთის კომპარტიის ცკ-ის წევრი ჟორჟ კონიო სრულიად სამართლიანად მიუთითებს, რომ ამჟამად „წარსულის გაკვეთილები განსაკუთრებულ მნიშვნელობას პოულობს" [3].

უკანასკნელი 90 წლის განმავლობაში საფრანგეთმა სამჯერ განიცადა გერმანიის თავდასხმა და ოკუპაცია; რაც მეტად ძვირად დაუჯდა ფრანგ ხალხს. ბუნებრივია, რომ ფრანგ ხალხს არ სურს ეს უბედურება განმეორდეს მეოთხეჯერ. მეორე მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის მმართველ წრეებს რომ საკმაოდ შეეფასებინათ სსრ კავშირის როლი და მნიშვნელობა ევროპის უშიშროების საქმეში და გაეკეთებინათ აქედან აუცილებელი დასკვნები, მათ შეეძლოთ თავიდან აეცდინათ ის სამარცხვინო კრახი, რომელიც საფრანგეთმა განიცადა 1940 წლის ივნისში. „ერთი საუკუნის განმავლობაში,— წერდა ჟურნალი „ბოლშევიკი",—საფრანგეთმა სამჯერ, ხოლო რუსეთმა ორჯერ განიცადა გერმანელი ავაზაკების თავდასხმა. საკვირველი არაა, რომ ეს ორი ხალხი გახდა ბუნებრივი მოკავშირე

---

[1] „Международная жизнь", 1959, № 4, Документация, стр. 17—16.

[2] Ю. В. Борисов, Уроки истории Франции и современность, М., 1955, стр. 83—98.

[3] G. Cogniot, Ce que pense un savant soviétique de la préhistoire de l'alliance franco-russe, „La Pensée", 1947, № 15, p. 50.

საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ისტორიულმა გამოცდილებამ უკვე დაადასტურა, რომ ყოველთვის, როდესაც რუსეთი და საფრანგეთი ერთად მოქმედებდნენ, გერმანია მარცხდებოდა. ასე იყო პირველ მსოფლიო ომში, როდესაც რუსეთისა და საფრანგეთის კავშირმა გერმანია მიიყვანა ორ ფრონტზე ომამდე და გარდუვალ დამარცხებამდე"[1].

ისტორიის გამოცდილებამ ცხადჰყო, რომ საფრანგეთის უშიშროების დაცვის ერთ-ერთ რეალურ გარანტიას წარმოადგენდა რუსეთი, ამჟამად კი საბჭოთა კავშირი. საფრანგეთს არ ჰქონდა რუსეთთან კავშირი 1870—1871 წწ. და 1940 წელს; ამიტომ იგი სასტიკად დაამარცხა გერმანიამ. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიამ ვერ შესძლო საფრანგეთის დამარცხება, ვინაიდან რუსეთი იბრძოდა საფრანგეთის მხარეზე. ისტორიის გაკვეთილები ცხადჰყოფენ, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი ყოველთვის წარმოადგენდა მთავარ ხელშემშლელს საფრანგეთის წინააღმდეგ გერმანიის აგრესიის საქმეში. ფრანგი კომუნისტების თეორიული ორგანო ჟურნალი „კაიე დიუ კომიუნისმ" მიუთითებდა, რომ ისტორიის გაკვეთილები „ნამდვილად ცხადჰყოფენ, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი ყოველთვის წარმოადგენდა საფრანგეთის სიდიადის პირობას"[2]. 1944 წლის 12 დეკემბერს ფრანგულმა გაზეთმა „ორორმა" რუსეთთან კავშირს „საფრანგეთისათვის ტრადიციული პოლიტიკა" უწოდა[3].

განსაკუთრებით დღევანდელ ვითარებაში, როდესაც დასავლეთ გერმანელი რევანშისტები გამალებით ემზადებიან ახალი ომისათვის, როდესაც დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის სწრაფად აღდგენის გამო ევროპაში საერთაშორისო ურთიერთობა სულ უფრო დაძაბული ხდება, საფრანგეთის ეროვნული ინტერესები მოითხოვს მტკიცე ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირთან და ამის საფუძველზე ევროპის უშიშროების განმტკიცებას.

* * *

წინამდებარე ნაშრომში ავტორი იხილავს რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიის მოკლე მონაკვეთს—1870—1914 წწ. ამ პერიოდში რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხს საერ-

---

[1] „Большевик", 1944, № 23—24, стр. 67.

[2] „Cahiers du communisme", 1948, № 2, p. 226.

[3] В. М. Хвостов, Франко-русский союз и его историческое значение. В кн. Десятый международный конгресс историков в Риме, стр. 618.

თოდ მრავალი ნაშრომი მიეძღვნა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც, კერძოდ, საფრანგეთსა და ინგლისში.

რაც შეეხება ამ მხრივ საბჭოთა ლიტერატურას, დღემდე გამოქვეყნებულ გამოკვლევათა უმრავლესობა ეხება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიას გასული საუკუნის 90-იან წლებამდე. აქ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პროფესორ ა. მანფრედის კაპიტალური გამოკვლევა, რომელიც ეხება საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას 1871—1891 წწ.[1], მისივე ორი სტატია რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ ფრანკფურტის ზავის შემდეგ[2]. შესანიშნავი გამოკვლევა მიუძღვნა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ისტორიას დოცენტმა ი. ბორისოვმა[3].

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხებზე მუშაობს პროფესორი ვ. ხვოსტოვი, რომელმაც მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა ამ დარგში[4].

როგორც ვხედავთ, ზემოხსენებული გამოკვლევები უმთავრესად ეხება რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას XIX საუკუნის 90-იან წლებამდე. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს დოცენტ ი. ბორისოვის ერთ-ერთი ნაშრომი[5], მაგრამ იგი იძლევა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის მოკლე მიმოხილვას.

წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი მიზნად ისახავს საარქივო, დოკუმენტური და გამოქვეყნებული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე გადმოსცეს საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების მიზეზები

---

[1] А. З. Манфред, Внешняя политика Франции 1871—1891 гг., М., 1952.

[2] А. З. Манфред, Из предистории франко-русского союза. „Вопросы истории“, 1947, № 1, стр. 24—52; А. З. Манфред, Русско-французские отношения после франкфуртского мира (1871—1872), „Вопросы истории“, 1950, № 6, стр. 57—84.

[3] Ю. В. Борисов, Русско—французские отношения после франкфуртского мира 1871—1875 гг., М., 1951.

[4] В. М. Хвостов, После франкфуртского мира (1872—1875 гг.). В кн.: „История дипломатии“, т. II, под. ред. В. П. Потемкина, М., 1945, стр. 9—21; В. М. Хвостов, Россия и германская агрессия в дни европейского кризиса 1887 г. (к истории франко-русского союза), „Исторические записки“, 1946, т. 18, стр. 200—254; В. М. Хвостов, Франко-русский союз и его историческое значение. В кн.: Десятый международный конгресс историков в Риме, сентябрь 1955 г. Доклады советской делегации, М., 1956, стр. 618—647.

[5] Ю. В. Борисов, Уроки истории Франции и современность, М., 1955.

ფრანკფურტის ზავის შემდეგ, რუსეთ-საფრანგეთის კავშირის ისტორია, ამ კავშირის შექმნის მიზეზები, მისი მიზანი, ამოცანები და არსი, რუსეთისა და საფრანგეთის პოლიტიკური წრეების დამოკიდებულება ამ კავშირისადმი. ბოლოს, რუსეთისა და საფრანგეთის ურთიერთობა სამხედრო-პოლიტიკური კავშირის არსებობის პირობებში და ორივე ქვეყნის მზადება მსოფლიო ომისათვის, რომელიც 1914 წლის 1 აგვისტოს გაჩაღდა.

ზემოხსენებული პრობლემის შესწავლის დროს ავტორი ეყრდნობოდა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაშრომებს, კერძოდ, ვ. ი. ლენინის იმ ნაშრომებს, რომლებიც ეხებიან წინამდებარე ნაშრომში განხილულ საკითხებს.

გარდა ზემოაღნიშნული სპეციალური ლიტერატურისა, ავტორის განკარგულებაში იყო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ გამოცემული საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები[1]. ამ დოკუმენტების პირველი სერია (1878—1900 წწ.) არ გამოსულა; გამოვიდა მხოლოდ მეორე (1900—1913 წწ.) და მესამე (1914—1917 წწ) სერიები.

უცხოური დოკუმენტებიდან ავტორმა გამოიყენა ფრანგული დოკუმენტების კრებული[2], რომელიც სამ სერიად გამოაქვეყნა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ: პირველი სერია (1871—1900 წწ.), მეორე სერია (1900 წ. 1 იანვარი—1911 წ. 4 ნოემბერი) და მესამე სერია (1911 წ. 4 ნოემბერი—1914 წ. 3 აგვისტო). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ რატომღაც გამოტოვა 1889 წლიდან 1900 წლამდე პერიოდი, რომელიც ყველაზე უფრო საინტერესოა ჩვენთვის, ვინაიდან ამ დროს იქმნებოდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირი.

ამ პერიოდს ნაწილობრივ გვაცნობს ცალკე კრებული, რომელიც ასევე საფრანგეთში გამოიცა[3].

1920—1926 წწ. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოსცა დოკუმენტების კრებული, რომელიც შეიცავს 39 ტომს

---

[1] Международные отношения в эпоху империализма. Документы из архивов царского и временного правительств 1878—1917 гг. შემდგომში იხ. შემოკლებით: Международные отношения в эпоху империализма.

[2] Documents Diplomatiques Français (1871—1914). Ministère des Affaires Etrangères, Commission de publication des documents relatifs aux origines de la guerre de 1914. შემდგომში იხ. შემოკლებით. „Doc. Dipl. Fr“.

[3] Documents Diplomatiques. L'Alliance franco-russe Origines de l'alliance 1890—1893. Convention militaire 1892—1899 et convention navale 1912, Paris, 1918.

(16 ათასამდე დოკუმენტი). აქ თავმოყრილია ის დოკუმენტები, რომლებიც ეხება 1871 წლიდან 1914 წლამდე პერიოდს[1]. გარდა ამისა, გერმანელებმა გამოსცეს ოთხ ტომად დოკუმენტების კრებული[2]. ამ გამოცემის პირველი ტომი მოიცავს 1871—1898 წწ., მეორე ტომი—1898—1906 წწ., მესამე ტომი—1907—1911 წწ. და მეოთხე ტომი—1911—1914 წწ. მეოთხე ტომს აქვს დამატება (თავი მე-60, გვ. 739—852), სადაც მოცემულია ის დოკუმენტები, რომლებიც არაა შეტანილი ზემოხსენებულ 39 ტომში[3].

პირველი მსოფლიო ომის წინა პერიოდის რუსეთ საფრანგეთის ურთიერთობის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტების კრებულს, რომელიც გამოსცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა 1922 წ[4].

მნიშვნელოვანი ფაქტიური მასალაა მოცემული საფრანგეთის ელჩის პეტერბურგში ჟორჟ ლუის (1912 წ. 14 ივლისი—1913 წ. 20 თებერვალი) ჩანაწერებში. პირველად ის გამოაქვეყნა ერნსტ ჟიუდემ[5], ხოლო შემდეგ გამოვიდა თვითონ ჟორჟ ლუის მემუარები[6]. საინტერესოა რაიმონდ პუანკარეს მემუარების ოთხი ტომი („აგადირის მეორე დღეს", „ბალკანეთი ცეცხლში", „შეიარაღებული ევროპა", „საღმრთო კავშირი")[7], რომელთა გამოყენება შეიძლება მხოლოდ მათში მოცემული მასალისადმი კრიტიკული მიდგომით. ეს მემუარები ავტორის მიერ დაწერილია უდავოდ არაგულწრფელად; ბევრ რამეში რ. პუანკარე იჩენს ტენდენციურობას.

---

[1] Die Grosse Politik der Europäischen Kabinette 1871—1914. Sammlung der Diplomatischen Akten des Auswärtigen Amtes. შემდგომში იხ. შემოკლებით: „Die Grosse Politik".

[2] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches 1871—1914., Bd. 1—4, Berlin, 1928.

[3] Ibid, Bd. 4, S. 739—852.

[4] Материалы по истории франко-русских отношений за 1910—1914 гг.. Сборник секретных дипломатических документов Российского министерства иностранных дел. М., 1922.

[5] E. Judet, Georges Louis, Paris, 1925.

[6] G. Louis, Les carnets de Georges Louis, directeur des affaires politiques au Ministère des affaires étrangères ambassadeur de France en Russie, vol. 1—2, Paris, 1926.

[7] R. Poincaré, Le lendemain d'Agadir—1912. Paris, 1926; R. Poincaré, Les Balkans en feu, Paris, 1926, R. Poincaré, L'Europe sous les armes, Paris, 1926; R. Poincaré, L' Union sacrée, Paris. 1927.

რაიმონდ პუანკარეს მემუარების დანარჩენი ექვსი ტომი („შემოსევა“, „სანგრებში“, „საალყო ომი“, „ვერდენი“, „შფოთიერი წელი“, „ზავი“) ეხება პირველი მსოფლიო ომის პერიოდს. გარდა ამისა, რ. პუანკარემ ცალკე წიგნი მიუძღვნა ომის წარმოშობის საკითხს[1]. აქ განხილულია პერიოდი 1870 წლიდან 1914-წლამდე. საერთოდ, რ. პუანკარეს ბევრი რამ საინტერესო შეეძლო მოეცა თავის წიგნებში, მაგრამ იგი შეგნებულად გაურბოდა ჩვენთვის საინტერესო ამა თუ იმ საკითხზე პირდაპირი პასუხის გაცემას. იგი, როგორც ფინანსური კაპიტალის მსახური, თავგამოდებით იცავდა მხოლოდ თავისი კლასის პოლიტიკას.

რუსული მემუარული ლიტერატურიდან ავტორმა გამოიყენა ვ. ლამზდორფის, ს. ვიტეს, ა. იზვოლსკისა და სხვ. მემუარები[2].

---

[1] Р. Пуанкаре, Происхождение мировой войны. М., 1924.

[2] В. Н. Ламздорф, Дневник 1886—1890 гг., М. 1934; Дневник 1891—1892 гг., 1934; С. Ю. Витте, Воспоминания, тт. I, II, III. М., 1923—1924; А. П. Извольский, Воспоминания, М., 1924.

## თავი პირველი

## ფრანკფურტის ზავიდან ბერლინის კონგრესამდე (1871—1878 წწ.)

XIX საუკუნის 70-იან წლებში დიდი ცვლილებები მოხდა საერთაშორისო ურთიერთობაში. საფრანგეთ-პრუსიის ომისა და პარიზის კომუნის შემდეგ იწყება ახალი პერიოდი, ხდება თავისუფალ კონკურენციაზე დამყარებული კაპიტალიზმის გადაზრდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმში—იმპერიალიზმში. ეს გადასვლა დამთავრდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში.

აღნიშნული პერიოდი ხასიათდება სამხედრო-აგრესიული კავშირების შექმნით, კაპიტალისტური სახელმწიფოების უთანაბრო განვითარებითა და ამ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავებით. ამას მოჰყვა დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოების მისწრაფება მსოფლიოს ახალი გადანაწილებისაკენ, რამაც საქმე მიიყვანა პირველ მსოფლიო იმპერალისტურ ომამდე.

სწორედ ამიტომ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წინამძღვრები უნდა ვეძიოთ ძალთა იმ თანაფარდობაში, რომელიც შეიქმნა ფრანკფურტის ზავის შედეგად.

საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. ამ ომში საფრანგეთი დამარცხდა. საფრანგეთის არმია არ აღმოჩნდა იმდენად ძლიერი, როგორც მას საზოგადოებრივი აზრის მოტყუების მიზნით ახასიათებდა საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III [1].

ომმა, რომელიც შინაგანი ღრმა პოლიტიკური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით საფრანგეთის ბონაპარტისტულმა ხროვამ თავს

[1] Э. А. Желубовская, Крушение Второй империи и возникновение Третьей республики во Франции, М., 1956, стр. 222.

მოახვია ფრანგ ხალხს, დააჩქარა მეორე იმპერიის კრახი. 1870 წლის სექტემბრის დასაწყისში საფრანგეთის არმია მარშალ მაკ-მაჰონის მეთაურობით ნაპოლეონ III ერთად გერმანელებმა ტყვედ ჩაიგდეს სედანთან. იმავე წლის სექტემბერში რევოლუციის შედეგად საფრანგეთი გამოცხადდა რესპუბლიკად, ხელისუფლების სათავეში მოექცა ლიბერალური ბურჟუაზია. ორი კვირის შემდეგ გერმანელები უკვე პარიზს მიადგნენ.

საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემამ იგემა პირველი დარტყმა—გამოცხადდა პარიზის კომუნა, რომელიც წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის პირველსახეს კაცობრიობის ისტორიაში.

საფრანგეთ-პრუსიის ომიდან პრუსია გამარჯვებული გამოვიდა. ამ ომის შედეგად დამთავრდა გერმანიის ეროვნული გაერთიანება. 1871 წლის 18 იანვარს ვერსალის სასახლის სარკეებიან დარბაზში გამოცხადდა გერმანიის იმპერიის შექმნა. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც გერმანია დაქუცმაცებული იყო პატარ-პატარა სახელმწიფოებად. ახლა უკვე ერთ იმპერიად გაერთიანებული გერმანიისათვის არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწიათ ევროპის სახელმწიფოებს.

გერმანიის გაერთიანება მოხდა არა „ქვემოდან“, რევოლუციის გზით, არამედ „ზემოდან“, რეაქციული გზით, პრუსიის იუნკრული მონარქიის მეთაურობით, საგარეო ომების გზით, როგორც ბისმარკი ამბობდა: „რკინითა და სისხლით“, „ცეცხლითა და რკინით“, „ხიშტების დახმარებით“[1].

ვ. ი. ლენინი წერდა: „გერმანიის გაერთიანება აუცილებელი იყო,... როდესაც რევოლუციური გაერთიანება ვერ მოხერხდა, ბისმარკმა ეს განახორციელა კონტრრევოლუციურად, იუნკრულად“[2]. მეორე ადგილას ვ. ი. ლენინი მიუთითებს გერმანიის გაერთიანების პროგრესულობაზე, მაგრამ ისევ ხაზს უსვამს იმას, რომ ეს გაერთიანება ბისმარკმა განახორციელა „თავისებურად, იუნკრულად“[3].

გერმანია, რომელიც დაქუცმაცებული იყო პატარ-პატარა სახელმწიფოებად და სამთავროებად, რომელთაგან ზოგიერთი იმდენად პატარა იყო, რომ, ჰენრიხ ჰაინეს გამოთქმით, შეიძლებოდა ფეხ-

---

[1] О. Бисмарк, Мысли и воспоминания, пер. с немецкого, т. 1, М., 1940, стр. X, XI.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 130.

[3] იქვე, გვ. 114.

საცმლის ძირზე მიგეკრა და წაგელო[1], ახლა ერთიან იმპერიად გამოცხადდა.

გერმანიის იმპერია თავიდანვე დაადგა იმპერიალისტურ, აგრესიულ გზას. ვ. ი. ლენინმა შემდეგი შეფასება მისცა გერმანიის გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნას: „გაჩნდა ახალი მტაცებელი, 1871 წელს შეიქმნა ახალი კაპიტალისტური სახელმწიფო, რომელიც განუზომლად უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე ინგლისი"[2].

1870 წლის სექტემბერში იტალიის ჯარმა დაიკავა რომი, რომელიც გამოცხადდა იტალიის დედაქალაქად. დამთავრდა იტალიის გაერთიანება. შეიცვალა მდგომარეობა ხმელთაშუა ზღვის რაიონში და ბალკანეთში. ამ ორი სახელმწიფოს—გაერთიანებული გერმანიისა და იტალიის—ევროპაში გამოჩენამ მნიშვნელოვნად შეცვალა ძალთა თანაფარდობა. ძალთა ეს ახალი თანაფარდობა არ იყო ხელსაყრელი, პირველ რიგში, საფრანგეთისა და რუსეთისათვის.

მაგრამ, მეორე მხრივ, ომში საფრანგეთის დამარცხება გამოიყენა რუსეთმა. რუსეთმა ისარგებლა შექმნილი ვითარებით და პრუსიის მხარდაჭერით, რათა განთავისუფლებულიყო იმ შეზღუდვებიდან, რომლებსაც მას აკისრებდა 1856 წლის პარიზის ტრაქტატი, ხელმოწერილი ყირიმის ომში რუსეთის დამარცხების შედეგად. 1870 წლის ოქტომბერში გორჩაკოვმა დაუგზავნა ევროპის სახელმწიფოების მთავრობებს ცირკულიარული დეპეშები, სადაც რუსეთი ამიერიდან უარს ამბობდა იმ ვალდებულებების შესრულებაზე, რომლებიც პარიზის ტრაქტატმა დააკისრა. ისინი ხელს უშლიდნენ მისი უშიშროების განმტკიცებას. დეპეშაში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი ამიერიდან არ თვლიდა თავს ვალდებულად შეესრულებინა პარიზის ტრაქტატის ის პუნქტები, რომლებიც ზღუდავდნენ მის უფლებებს შავ ზღვაზე და უკრძალავდნენ იქ სამხედრო ფლოტის ყოლას.

ინგლისმა, ავსტრიამ, საფრანგეთმა და იტალიამ პროტესტი განაცხადეს რუსეთის ზემოხსენებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდნენ დათანხმებულიყვნენ სპეციალური კონფერენციის მოწვევაზე. ასეთი კონფერენცია გაიხსნა ლონდონში 1871 წლის იანვარში და გაგრძელდა მარტამდე. რუსეთმა უფლება მიიღო სამხედრო ფლოტი ჰყოლოდა

[1] О. Бисмарк, Мысли и воспоминания, т. 1, стр. XI.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 24, გვ. 436.

შავ ზღვაში და სამხედრო სიმაგრეები აეგო მის სანაპიროებზე.

ამ გარემოებამ ხელი შეუწყო რუსეთ-გერმანიის კიდევ უფრო დაახლოებას და 1873 წელს საქმე მიიყვანა სამი იმპერატორის (რუსეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი) კავშირამდე, რომელიც გახდა რეაქციის დასაყრდენი ევროპაში[1]. მაგრამ სამი იმპერატორის კავშირი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცე და ხანგრძლივი, რამდენადაც მან ბოლო ვერ მოუღო იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც არსებობდა ამ კავშირის მონაწილე ქვეყნებს შორის.

გაერთიანების შემდეგ გერმანია ჩქარი ტემპით ძლიერდებოდა. „1871 წლის შემდეგ გერმანია 3—4-ჯერ უფრო სწრაფად გაძლიერდა, ვიდრე ინგლისი და საფრანგეთი...“[2]. გერმანიის კაპიტალიზმმა უკვე XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იწყო გადასვლა იმპერიალიზმში. გერმანიის იმპერიის შექმნამ ძირეული ცვლილებები შეიტანა ევროპის საერთაშორისო მდგომარეობაში. რუსეთსა და საფრანგეთს გაუჩნდა საშიში მეზობელი, რომელიც გაუმაძღარი თვალით უყურებდა სხვის მიწებს და ამავე დროს მნიშვნელოვან სამხედრო ძალას ფლობდა. ასეთი მეზობლის არსებობა იწვევდა განგაშს და ხელს უწყობდა გამალებულ შეიარაღებას. 1871 წლის შემდეგ ევროპაში დამყარდა „შეიარაღებული“ მშვიდობა. ამ საფარველ ქვეშ მიმდინარეობდა განუწყვეტელი მზადება გარდუვალი ახალი ომისათვის“[3].

ომში დამარცხებულმა საფრანგეთის ბურჟუაზიამ, რომელიც შეშინებული იყო პარიზის კომუნის გამოცხადებით და, საერთოდ, ქვეყნის შიგნით სახალხო მოძრაობის გაძლიერებით, კავშირი შეკრა პრუსიელ იუნკრებთან, პირველ რიგში, ბისმარკთან, საფრანგეთში რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად. ვ. ი. ლენინი წერდა: „ჩვენ გვინახავს, თუ როგორ მიჰყიდა თავისი თავი პრუსიელებს ფრანგმა ბურჟუაზიამ ფრანგი ერის უაღრესი ჩაგვრისა და დამცირების მომენტში, თუ როგორ გადაიქცა ნაციონალური თავდაცვის

[1] 1873 წლის მაისში ვილჰელმ I ჩავიდა პეტერბურგში, ივნისში—ალექსანდრე II ვენაში. ამ შეხვედრების დროს ხელმოწერილ იქნა შეთანხმებები: პეტერბურგში გერმანიის გენერალური შტაბის უფროსმა მოლტკემ რუს ფელდმარშალ ბერგთან ხელი მოაწერა ურთიერთდახმარების სამხედრო კონვენციას (რომელიც ძალაში არ შესულა); ვენაში ალექსანდრე II და ფრანც-იოსებმა ხელი მოაწერეს პოლიტიკურ შეთანხმებას, რომელსაც შემდგომში შეუერთდა ვილჰელმ I.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 416.

[3] История дипломатии, т. II. М., 1945, стр. 3.

მთავრობა ხალხის ღალატის მთავრობად, თუ როგორ მოუხმო დასახმარებლად ჩაგრული ერის ბურჟუაზიამ მჩაგვრელი ერის ჯარისკაცებს თავისი თანამემამულე პროლეტარების დასათრგუნავად, რომლებმაც გაჰბედეს ძალაუფლებისაკენ გაეწვდინათ ხელი"[1].

1871 წლის 10 მაისს მაინის ფრანკფურტში საფრანგეთის, პარიზის კომუნის ჯალათის, სისხლისმსმელი ქონდრისკაცის[2] ადოლფ ტიერის მთავრობის წარმომადგენლებმა: საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟიულ ფავრმა, ფინანსთა მინისტრმა პუიე-კერტიემ და ნაციონალური კრების წევრმა დე გულარმა ხელი მოაწერეს სამარცხვინო ზავს გერმანიასთან. გერმანიის მხრიდან ფრანკფურტის ზავს ხელს აწერდნენ: გერმანიის იმპერიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი-შონჰაუზენი და საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი გრაფი ჰარი ფონ არნიმი[3]. საფრანგეთ-გერმანიას შორის საზავო მოლაპარაკების ისტორიამ, როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ „ბურჟუაზიულმა საფრანგეთმა სამშობლო მიჰყიდა ბისმარკს"...[4]

ა. ტიერი მთელ რიგ დათმობებზე წავიდა ბისმარკის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს გაეთავისუფლებინა ფრანგი ჯარისკაცები ტყვეობიდან. ტიერს ისინი სჭირდებოდა პარიზის კომუნის წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ამის გამო ბისმარკმა მოითხოვა ტიერისაგან კონტრიბუციის გადახდის ვადების შემცირება, დამატებით რამდენიმე დეპარტამენტის ოკუპაცია და სხვა[5].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6. გვ. 574—575.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 153.

[3] ფრანკფურტის ხელშეკრულების სრული ტექსტი იხ. Ф. А. Ротштейн. Из истории Прусско-Германской империи, М., 1948, стр. 186—190.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 592.

[5] პრუსიასთან საზავო ხელშეკრულების პროექტი განიხილა 1871 წლის 8 თებერვალს არჩეულმა ნაციონალურმა კრებამ, რომელიც ბორდოში მუშაობდა. 28 თებერვალს ა. ტიერმა მოახსენა ნაციონალურ კრებას საზავო ხელშეკრულების პროექტის შინაარსი. ნაციონალურ კრებაზე დიდი დავა გამოიწვია საზავო ხელშეკრულების მძიმე პირობებმა. მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ განსაკუთრებით დეპუტატები ელზასიდან და ლორენიდან, ასევე ვიქტორ ჰიუგო, ლუი ბლანი და სხვ. ელზასისა და ლორენის სახელით გამოეიდა ბამბერჟე. ან განაცხადა: „ეს ხელშეკრულება იქნება დიდი უსამართლობა... მხოლოდ ერთ ადამიანს უნდა მოეწერა მასზე ხელი. ეს ადამიანია ნაპოლეონ III, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება ისტორიის სამარცხვინო ბოძზე მიკრული". ბამბერჟეს ეს სიტყვები ტაშის გრიალში დაიფარა, როცა ტაშის გრიალი შეწყდა, დარბაზში გაისმა: „ნაპოლეონ III არასოდეს არ მოაწერდა ხელს სამარცხვინო ხელშეკრულებას". ეს იყო დეპუტატ დ'ისტრიას (კორსიკიდან) ხმა. მას მხარს უჭერდა კორსიკიდან კიდევ ორი დეპუტატი—კონტი და გავინი, მაგრამ მათ

ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულების შედეგები უფრო შორს მიდიოდა. გერმანიის იმპერია არ ფიქრობდა დარჩენილიყო მარტო იმ ფარგლებში, რაც მას ახლა გააჩნდა. უკვე გერმანიის იმპერიის შექმნის მომენტიდან ისახებოდა მისი აგრესიული გეგმები. თვით ეს იმპერია „შეიქმნა როგორც აგრესიული, მტაცებლური სახელმწიფო, რომელმაც მემკვიდრეობად მიიღო პრუსიის ძველი მილიტარისტული ტრადიციები“ [1].

საფრანგეთი კი დასუსტდა. იგი დროებით გამოვიდა დიდ სახელმწიფოთა რიცხვიდან [2]. მან დაკარგა ეკონომიურად და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია—ელზასი და აღმოსავლეთი ლორენი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 14 ათას კვ. კმ-ზე მეტს, მოსახლეობა—1600 ათას კაცს. ამიერიდან ელზას-ლორენი ხდება გერმანიის მრეწველობის განვითარებისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რაიონი [3]. საფრანგეთს უნდა გადაეხადა უზარმაზარი კონტრიბუცია—5 მილიარდი ფრანკი. აქედან, ერთი მილიარდი—1871 წელს, ხოლო დანარჩენი 4 მილიარდი—საზავო ხელშეკრულების რატიფიკაციიდან სამი წლის განმავლობაში—1874 წლის 2 მარტამდე. კონტრიბუციის გადახდამდე გერმანიის ჯარების მიერ ოკუპირებული იქნებოდა საფრანგეთის რამდენიმე დეპარტამენტი [4]. საფრანგეთ-გერმანიის საზღვარი ელზას-ლორენის რაიონში გაყვანილ იქნა იმ ვარაუდით, რომ იგი ხელსაყრელი ყოფილიყო გერმანიისათვის შემდეგში. საფრანგეთმა დაკარგა ბუნებრივი ზღუდეები ვოგეზის მთების სახით. ამიერიდან პარიზისაკენ გზა

---

ხმას არავინ არ უგდებდა ყურს. ამავე დროს დეპუტატმა ტარჟემ ნაციონალური კრების დასამტკიცებლად შემოიტანა წინადადება ნაპოლეონ III და მისი დინა ტიის დამხობის შესახებ. ეს წინადადება თითქმის ერთხმად იქნა მიღებული. წინააღმდეგ ხმა მისცეს: დ'ისტრიამ, კონტიმ, გავინიმ, იოაჰიმ მიურატმა.

შემდეგ ნაციონალური კრება ისევ გადავიდა საზავო ხელშეკრულების ტ ქსტის განხილვაზე. იგი მიღებულ იქნა 546 ხმით (წინააღმდეგი—107). საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ ხმა მისცეს ელზასისა და ლორენის წარმომადგენელთა გარდა გამბეტამ, ცნობილმა ისტორიკოსმა ანრი მარტენმა, ვიქტორ ჰიუგომ, კლემანსომ, ფლოკემ, ბრისონმა, როშფორმა, სადი კარნომ, დორიანმა და სხვ.

[1] В. М. Хвостов, Россия и германская агрессия в дни европейского кризиса 1887 г., „Истор. записки", т. 18, 1946, стр. 201.

[2] G. Hanotaux, Histoire de la France contemporaine (1871—1900). vol. I, p. 306—309.

[3] იხ. Barry Cerf, Alsace—Lorraine since 1870, New York, 1919.

[4] ბისმარკს ეგონა, რომ საფრანგეთი დიდხანს ვერ გადაიხდიდა ამ კონტრიბუციას და გერმანიის არმიას საშუალება მიეცემოდა გაეგრძელებინა საფრ ნგეთის ტერიტორიის ოკუპაცია. მაგრამ ბისმარკი ცდებოდა.

ხსნილი ჰქონდა გერმანიას. „...ლორენის დაკარგვით გერმანიის მხრიდან საშიშროება კიდევ უფრო მიუახლოვდა პარიზს"[1]. საფრანგეთი აღმოჩნდა გერმანიის ახალი თავდასხმის აშკარა საშიშროების წინაშე, რაც ხელს უწყობდა საფრანგეთში შეიარაღებისა და რევანშისაკენ მისწრაფებას.

ომმა სხვა მხრივაც დიდი ზარალი მიაყენა საფრანგეთს. მას იგი დაახლოებით 10 მილიარდი ფრანკი დაუჯდა[2]. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: ბისმარკმა „მსოფლიოს უმდიდრეს ქვეყანას წაართვა 5 მილიარდი ფრანკი..."[3]. საფრანგეთიდან მიღებულმა თანხებმა დიდად შეუწყო ხელი გერმანიის მრეწველობის განვითარებას. ეხებოდა რა მძლავრ სამრეწველო სახელმწიფოთა შექმნისა და განვითარების სამ გზას, ი. ბ. სტალინი წერდა: „მეორე გზაა სამხედრო განადგურებისა და კონტრიბუციების გზა, რასაც ერთი ქვეყანა მეორის მიმართ ატარებს. ასეთი იყო საქმის ვითარება, მაგალითად, გერმანიაში, რომელმაც საფრანგეთი გაანადგურა საფრანგეთ-პრუსიის ომის პერიოდში, გადაახდევინა მას 5 მილიარდი კონტრიბუცია და ეს თანხა თავისი მრეწველობის განვითარებას მოახმარა"[4].

ამრიგად, ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულებამ ვერ მოაგვარა სადავო საკითხები საფრანგეთსა და გერმანიას შორის. პირიქით, მან კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა ამ ორ სახელმწიფოს შორის. საფრანგეთი ვერ ურიგდებოდა ამ მძარცველურ ზავს. ბისმარკიც გრძნობდა ამას და მას მოსვენებას არ აძლევდა საფრანგეთის მხრიდან მოსალოდნელი რევანში. ამდენად, საფრანგეთი ბისმარკს გერმანიის ისტორიულ მტრად მიაჩნდა. „საფრანგეთთან,—ამბობდა ბისმარკი,—ჩვენ ვერასოდეს ვერ ვიცხოვრებთ მშვიდობიანად"[5]. ფრანგი ისტორიკოსი გ. ანოტო წერდა: „საზავო ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა, მაგრამ მშვიდობა არ დამყარებული"[6].

---

[1] История дипломатии, т. II, стр. 9.

[2] А. З. Манфред. Внешняя политика Франции 1871—1891 гг., стр. 24.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18, გვ. 651.

[4] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 216—217.

[5] О. Бисмарк, Мысли и воспоминания, т. 1, М., 1940, стр. XXVIII.

[6] G. Hanotaux, Histoire de la France contemporaine (1871—1900), v. I, p. 285.

საფრანგეთ-პრუსიის ომის მძიმე შედეგებმა საფრანგეთის მმართველი წრეების წინაშე დააყენა ორი ძირითადი საკითხი: 1. ქვეყნის ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების აღდგენა და გაძლიერება, რათა უფრო ძლიერი დახვედროდა გერმანიის მხრიდან მოსალოდნელ ახალ თავდასხმას, ხოლო უკეთეს შემთხვევაში დაებრუნებინა გერმანიის მიერ მიტაცებული ელზას-ლორენი და 2. მოენახა ძლიერი მოკავშირე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საფრანგეთს გვერდში ამოუდგებოდა, არ მისცემდა მისი ხელახლა განადგურების საშუალებას გერმანიას. საფრანგეთს ახლა მოკავშირე სჭირდებოდა არა რევანშისათვის, არამედ გერმანიის ახალი თავდასხმისაგან თავდასაცავად [1].

იმ დროს საფრანგეთის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა (ტიერი, გამბეტა, დე ბროლი, დეკაზი და სხვ.) კარგად იცოდნენ, რომ უახლოეს წლებში საფრანგეთისათვის აუცილებელი იყო მშვიდობა, საჭირო იყო ქვეყნის ფეხზე დაყენება; გერმანიასთან ურთიერთობის ყოველგვარი გართულების გარეშე ფრანკფურტის ზავით გათვალისწინებული პირობების შესრულება. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს საფრანგეთის მთავრობის საინსტრუქციო წერილი, რომელიც 1871 წლის 30 ივნისს პარიზიდან ბერლინში გაეგზავნა საფრანგეთის საქმეების რწმუნებულს მარკიზ დე გაბრიაკს [2].

დე გაბრიაკს საფრანგეთის მთავრობა ავალებდა მთელი თავისი ყურადღება მიექცია საზავო ხელშეკრულების პირობების ზუსტი შესრულებისათვის, „რადგანაც სიძნელეები, რომლებიც ყოველდღე თავს იჩენდა პრუსიელების მხრიდან, იყო მრავალრიცხოვანი და მგრძნობიარე“ [3]. საფრანგეთის მთავრობის მთავარ მიზანს შეადგენდა, რაც შეიძლება მალე მიეღწია გერმანელების მიერ ოკუპირებული ტერიტორიის განთავისუფლებისათვის. ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფში ნათქვამი იყო, რომ პირველი ნახევარი მილიარდის გადახდის შემდეგ გერმანელები მოახდენდნენ სომის, ქვემო სენისა და ლაორის დეპარტამენტების ევაკუაციას. „ჩვენ შევეცდებით, — ვკითხულობთ ინსტრუქციაში, — რომ ამასთანავე მივაღწიოთ დეპარტამენტ უაზის ნაწილის ევაკუაციასაც და არა გვგონია, რომ ამაზე სერიოზული წინააღმდეგობა გაგვიწიონ“ [4].

---

[1] Ю. В. Борисов, Русско-французские отношения после франкфуртского мира 1871—1875 гг., М., 1951, стр. 38.

[2] „Doc. Dipl. Fr., I série, t. I, doc. № 14, p. 30—31.

[3] Ibid., p. 30.

[4] Ibid.

საფრანგეთის მთავრობა ვალდებულებას კისრულობდა მიელო ყოველგვარი ზომები, რათა მიეღწია ნდობისათვის ბერლინის მთავრობის წინაშე ვალდებულების ზუსტი შესრულებით, პოლიტიკური მოღვაწეების მიერ წარმოთქმული სიტყვების ზომიერებით და სხვა. ამასთანავე, დე გაბრიაკს უნდა მიელო ზომები, რათა გერმანიასაც პირნათლად შეესრულებინა საზავო ხელშეკრულების პირობები, განსაკუთრებით უნდა გაემახვილებინა ყურადღება მას ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესრულებაზე. ეს მუხლი გულისხმობდა გერმანიიდან ფრანგი სამხედრო ტყვეების რაც შეიძლება მალე დაბრუნებას. ინსტრუქციაში აღნიშნული იყო, რომ 15 დღის წინ ფრანგი სამხედრო ტყვეების რიცხვი გერმანიაში შეადგენდა 80 ათასს. მოკლე ხანში რეპატრიირებული უნდა ყოფილიყო 40 ათასი კაცი[1].

მე-8 მუხლის მე-4 პარაგრაფის თანახმად საფრანგეთს უნდა გაეღო ხარჯები გერმანიის საოკუპაციო ნაწილების შესანახად. გერმანიის მთავრობას ზუსტად უნდა დაეცვა საოკუპაციო ნაწილების რაოდენობა და ეს რაოდენობა ასევე ზუსტად უნდა სცოდნოდა საფრანგეთს[2].

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ინსტრუქციის ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია საფრანგეთის მთავრობის საერთო პოლიტიკაზე. „რაც შეეხება საერთო პოლიტიკას, ეს არის მშვიდობა. ჩვენს ურყევ მიზანს შეადგენს აღვადგინოთ ქვეყანა წესრიგით, სამუშაოებით; სურვილი—შევქმნათ ზომიერი რესპუბლიკა იმ ფრანგების მეთაურობით, რომლებიც იქნებიან საუკეთესო და ყველაზე დიდი მოქალაქეები... იმისათვის, რათა მივაღწიოთ ხანგრძლივ ზეგავლენას გერმანელებზე, საჭიროა ვიყოთ ზომიერნი, მტკიცე, ზუსტი, პუნქტუალური, ყურადღებით მოვეპყროთ დეტალებს, არასოდეს არ გავაღიზიანოთ გერმანელები და დავუმტკიცოთ მათ ჩვენი სისწორე შეურაცხყოფის გარეშე“[3].

საფრანგეთ-პრუსიის ომმა ცხადჰყო საფრანგეთის მმართველი წრეებისათვის, რომ საფრანგეთს მარტო, ძლიერი მოკავშირის გარეშე არ შეუძლია ომი აწარმოოს დიდ სახელმწიფოსთან. მაშასადამე, დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის, გერმანიის თავდასხმისაგან თავდაცვისათვის და დაკარგული ტერიტორიის დაბრუნებისათვის თუ ოდესმე იფიქრებდა, საფრანგეთს, ჯერ-ერთი,

---

[1] „Doc. Dipl. Fr“., I série, t. I, doc. № 14, p. 30.
[2] Ibid., p. 30—31.
[3] Ibid., p. 31.

რაც შეიძლება მალე უნდა აღედგინა თავისი ძალები და მეორე, უნდა მოენახა ძლიერი მოკავშირე.

1872 წელს სამხედრო რეფორმის საკითხების განხილვისას ტიერი აღნიშნავდა, რომ მილიონამდე არმიის შექმნის შემთხვევაშიც საფრანგეთისათვის აუცილებელია მოკავშირე. ლეონ გამბეტა მიუთითებდა, რომ საფრანგეთის სამხედრო ძლიერების გაზრდა გააადვილებდა მოკავშირის მონახვას. ამ აზრისა იყვნენ მონარქისტული წრეების წარმომადგენლებიც—დეკაზი, შოდორდი და სხვ [1]. მათ კარგად ესმოდათ, რომ სუსტ საფრანგეთთან კავშირს არავინ არ შეკრავდა. ეს ცხადჰყო ტიერის მოგზაურობამ პეტერბურგსა და ევროპის სხვა ქალაქებში [2].

მაგრამ ვინ შეიძლებოდა გაჭირვების შემთხვევაში მხარში ამოდგმოდა საფრანგეთს? ამ კითხვას პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა ორიოდე სიტყვით შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, თუ როგორი იყო საფრანგეთის დამოკიდებულება იმ პერიოდში ევროპის სახელმწიფოებთან.

---

[1] А. З. Манфред, Указ. соч., стр. 69

[2] 1870 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ადოლფ ტიერმა იმოგზაურა ლონდონში (13—18 სექტემბერი), ვენაში (23—25 სექტემბერი), პეტერბურგში (ჩავიდა 26 სექტემბერს და დარჩა 13 დღე), გაიარა ვენაში 11 ოქტომბერს, 13 ოქტომბერს ტიერი ჩავიდა ფლორენციაში (იხ. A. Thiers, Notes et souvenirs, 1870—1872, Paris, 1903, p. 21). ამ მოგზაურობიდან ტიერი დაბრუნდა 20 ოქტომბერს. ინგლისში ის მიიღეს კარგად, მაგრამ არავითარი დახმარება არ აღმოუჩინეს; ასევე უშედეგო იყო ტიერის ორჯერ ყოფნა ვენაში; მან ვერაფერი ვერ მიიღო ავსტრია-უნგრეთის მთავრობისაგან, გარდა ღრმა თანაგრძნობისა. იტალიის მთავრობა ნაწყენი იყო საფრანგეთის ჯარების დიდხანს ყოფნით ვატიკანში, რის გამოც იტალიის საბოლოო გაერთიანება ვერ მოხერხდა 1870 წლის 20 სექტემბრამდე. ამდენად იტალიიდან არავითარი დახმარება არ იყო მოსალოდნელი.

პეტერბურგში ტიერის ყოფნის დროს ცხადად იგრძნობოდა, რომ რუსეთს არ სურდა საფრანგეთის მეტისმეტი დასუსტება და პრუსიის გაძლიერება. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე II უკმაყოფილება გამოთქვა პრუსიის მიმართ საფრანგეთისადმი მძიმე პირობების (დიდძალი კონტრიბუციის) წაყენების გამო. ა. დებიდური ცდება, როცა ის მიუთითებს, რომ თითქოს პეტერბურგში, სადაც ტიერმა „დაჰკარგა ძვირფასი დრო", იგი „მოატყუეს", ხოლო ტიერი ამას ვერ მიხვდაო (А. Дебидур, Дипломатическая история Европы, пер. с французского, М., 1947, т. II, стр. 390). ა. დებიდური არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ პრუსია არ შეამცირებდა 6 მილიარდ კონტრიბუციას 5 მილიარდამდე, რომ რუსეთის ჩარევას ადგილი არ ჰქონოდა. ა. ტიერის მოგზაურობის შესახებ იხ. А. Дебидур, Указ. соч., стр. 389—391; А. Дж. П. Тэйлор, Борьба за господство в Европе 1848—1918. Пер. с английского, М., 1958, стр. 247.

საფრანგეთში მეორე იმპერიის არსებობის პერიოდში (1852—1870 წწ.) ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უთანხმოებას იტალიასა და საფრანგეთს შორის. უთანხმოების ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ ნაპოლეონ III თავისი შეიარაღებული ძალები გაგზავნა რომში პაპის დასაცავად. საფრანგეთ-იტალიას შორის დამოკიდებულება ვერც მას შემდეგ გაუმჯობესდა, რაც ნაპოლეონ III პრუსიასთან ურთიერთობის გართულების გამო ჯარები წამოიყვანა საფრანგეთში და რომი იტალიის დედაქალაქი გახდა, ვინაიდან, როგორც იტალიის გაზეთები აღნიშნავდნენ, საფრანგეთის ტიერის მთავრობასა და პაპს შორის კვლავ გრძელდებოდა კარგი ურთიერთობა. ამდენად იტალიის მთავრობა უნდობლობით ეკიდებოდა ტიერის მთავრობას[1]. ამასთანავე, 1871 წლის ზაფხულიდან უკვე ცხადი გახდა, რომ იტალიის მთავრობას კურსი აღებული ჰქონდა გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთთან დაახლოებისაკენ. იტალია თავისი საგარეო პოლიტიკური გეგმების განხორციელებაში დასაყრდენს ამ ორ სახელმწიფოში ხედავდა. ეს კარგად ესმოდათ პარიზში და ამის შესახებ აშკარად წერდნენ საფრანგეთის გაზეთები. საფრანგეთ-იტალიის დაახლოებას ხელს უშლიდა ტერიტორიული საკითხებიც. მათი ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდა აფრიკაში. ეს გარემოება გამორიცხავდა საფრანგეთ-იტალიის კავშირის შექმნას.

ავსტრია-უნგრეთიც არ იყო საიმედო საფრანგეთისათვის, როგორც მოკავშირე. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან სულ უფრო მტკიცდებოდა ურთიერთობა გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს შორის. ამაში დარწმუნდნენ პარიზში, კერძოდ, მას შემდეგ, რაც ავსტრია-უნგრეთში საგარეო პოლიტიკას სათავეში ჩაუდგა უნგრელი გრაფი იული ანდრაში. ანდრაში ჯერ მთავრობის მეთაური იყო (1867 წ.), ხოლო შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრი (1871—1879 წწ.). ანდრაში დიდ როლს ასრულებდა ავსტრია-უნგრეთის საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაში. საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს იგი მხარს უჭერდა გერმანიისათვის სასურველ ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტს. შემდგომში ანდრაში აქტიურად იბრძოდა ბერლინისა და ვენის დაახლოებისათვის. რაც შეეხებოდა ინგლისს, აქ მდგომარეობა ასეთი იყო: ინგლისში არ ეშინოდათ გერმანიის კონკურენციისა. ლონდონში ჯერ კიდევ ვერ ჰვრეტდნენ, თუ რა შეიძლებოდა მოყოლოდა საფრანგეთ-პრუსიის ომში პრუსიის გამარჯვებას და გერმანიის იმპერიის შექმნას, ხოლო ინგლის-საფრანგეთს შორის კი ადგილი

[1] „Doc. Dipl. Fr“., I série, t. I, doc. № 35, p. 53.

ჰქონდა წინააღმდეგობას კოლონიურ საკითხებში. მართალია, საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ ვერსალის მთავრობას კოლონიებისათვის აღარ ეცალა, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ თავისი საშინაო და საგარეო პოზიციების განმტკიცების შემდეგ საფრანგეთის ბურჟუაზია კვლავ შეუდგებოდა კოლონიური გეგმების განხორციელებას. საფრანგეთ ინგლისის ინტერესები ერთმანეთს ეჯახებოდა მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში. ეს გარემოება გამორიცხავდა პარიზ-ლონდონის დაახლოებას.

ამდენად, საფრანგეთის ერთადერთი მოკავშირე პირველ რიგში შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ რუსეთი[1]. თუმცა აქაც არსებობდა ხელშემშლელი პირობები, მაგრამ ეს პირობები არ შეიძლებოდა ყოფილიყო გადამწყვეტი რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნის საქმეში.

ცნობილია, რომ 1870—1871 წწ. ომში რუსეთი არ მიმხრობია საფრანგეთს, პირიქით, იგი ხელს უწყობდა გერმანიის გაერთიანებას. ამრიგად, რუსეთმა და ინგლისმა[2] ხელი არ შეუშალეს გერმანიას და დაუშვეს საფრანგეთის დამარცხება. ეს გამოწვეული იყო რუსეთის მხრივ, ჯერ-ერთი იმით, რომ მას არ ეგონა, თუ საფრანგეთ-პრუსიის ომს ასეთი შედეგი მოჰყვებოდა; მეორეც, ნაპოლეონ მესამის მტრული დამოკიდებულებით რუსეთის მიმართ. მართალია, ყირიმის ომის შემდეგ ადგილი ჰქონდა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ცდას, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. საფრანგეთის იმპერატორი ატარებდა ანტირუსულ პოლიტიკას პოლონეთისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში. სწორედ ბონაპარტისტულ საფრანგეთთან მტრული განწყობილება რუსეთს

---

[1] ჯერ კიდევ 1870 წელს ა. ტიერი მეტ იმედებს ამყარებდა რუსეთზე, ვიდრე ინგლისზე. საფრანგეთ-პრუსიის ომის დამთავრების შემდეგაც, ტიერის აზრით, რუსეთთან კავშირი უფრო რეალური იყო მომავალში, ვიდრე ინგლისთან. „ინგლისთან კავშირს იგი მეორეხარისხოვან სიკეთედ თვლიდა". ინგლისთან კავშირს არ შეეძლო უზრუნველეყო რეალური დახმარება საფრანგეთის მიმართ. იხ. А. Дж. П, Тэйлор, Указ. соч., стр. 248—249.

[2] თავის წიგნში „ევროპის სახელმწიფოები და გერმანიის საკითხი 1848—1871 წწ". ინგლისელი ისტორიკოსი ვერნერ მოსი, ეხება რა გერმანიის გაერთიანების საკითხში ინგლისის პოზიციას, წერს: ინგლისს იმედი ჰქონდა, რომ ზომიერ-ლიბერალურ საფუძველზე გაერთიანებული პროტესტანტული გერმანია გახდებოდა მისი „ბუნებრივი" მოკავშირე საფრანგეთის წინააღმდეგ დასავლეთ ევროპაში და რუსეთის წინააღმდეგ აღმოსავლეთის საკითხში. მოსი დასძენს, რომ ინგლისი (მისი აზრით რუსეთიც) პრინციპში არ იყო გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგი და მას ეგონა, რომ იგი მოიგებს გერმანიის გაერთიანებით (იხ. W. Mosse, The European Powers and the German Question, 1848—1871. Cambridge, 1958, p. 374).

უბიძგებდა პრუსიისაკენ. საფრანგეთ-პრუსიის კოალიციის შექმნა უფრო საშიში იყო მეფის რუსეთისათვის, ვიდრე პრუსიის გამარჯვება საფრანგეთთან ომში; გარდა ამისა, პრუსიის მოწინააღმდეგეთა შორის იყვნენ ისეთი სახელმწიფოები, რომლებმაც რუსეთს თავს მოახვიეს პარიზის ტრაქტატი 1856 წელს. ნაპოლეონ მესამის ანტირუსული პოლიტიკა ძვირად დაუჯდა საფრანგეთს.

თუ საფრანგეთ-პრუსიის ომის პერიოდში პეტერბურგის კაბინეტი ხელს უწყობდა გერმანიის გაერთიანებას[1], ომის შემდეგ დიპლომატიური წრეები რუსეთში თვლიდნენ, რომ პრუსიის მეტისმეტად გაძლიერება საფრთხეს შეუქმნიდა ევროპის უშიშროების საქმეს, და რომ ევროპის მშვიდობის ინტერესებისათვის საფრანგეთის როგორც დიდი სახელმწიფოს არსებობა აუცილებელი იყო.

რუსეთში ყველა როდი იყო მეგობრულად განწყობილი პრუსიის მიმართ საფრანგეთ-პრუსიის ომის დროს. პეტერბურგში ბევრს სრულიად სწორად ესმოდა, რომ ამ ომში პრუსიის გამარჯვება და გერმანიის იმპერიის შექმნა მშვიდობას არ მოიტანდა, და რომ იგი გამოიწვევდა რეაქციის გაძლიერებას ევროპაში, პრუსიის გამარჯვება ძვირად დაუჯდებოდა მთელს ევროპას, ის იმდენად შეარყევდა პოლიტიკურ წყობილებას, რომ ევროპა დიდ ხანს ვერ ეღირსებოდა მტკიცე მშვიდობას.

პრუსიის გამარჯვებამ ზედიზედ სამ ომში და გერმანიის იმპერიის შექმნამ ბევრი ჩააფიქრა რუსეთში, რადგან გაერთიანებული და ძლიერი გერმანია ერთნაირად საშიში იყო როგორც საფრანგეთის, ისე რუსეთისათვისაც. ასე უახლოვდებოდა ერთმანეთს თანდათანობით საზოგადოებრივი აზრი პეტერბურგსა და პარიზში გერმანიისადმი დამოკიდებულების საკითხის ირგვლივ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჯერ ნაადრევი იყო ლაპარაკი ამ ორ ქვეყნას შორის კავშირის შეკვრაზე. ომში დამარცხებულ და სუსტ საფრანგეთთან კავშირის დადებას რუსეთი არ მოისურვებდა. „არა, რუსეთი მზად არ არის, მე ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას,—წერდა საფრანგეთის ელჩი რუსეთში გენერალი ლე ფლო თავის მთავრობას,—არ არის განწყობილი დღეს შემოგვიერთდეს ჩვენ... იმისათვის, რათა ჩვენთან გაერთიანდეს, საჭიროა, ისევ წარმოვადგენდეთ რეალურ ძალას“ [2].

[1] ამ პერიოდში საფრანგეთისადმი რუსეთის დამოკიდებულების შესახებ იხ. Ш. Басилая., К. вопросу об отношении Царского правительства к Парижской коммуне, Сухуми, 1954.

[2] იხ. А. З. Манфред, Указ. соч., стр. 85.

ამავე დროს საინტერესოა საფრანგეთის მმართველი წრეების მოქმედება. მაგალითად, ადოლფ ტიერი განსაკუთრებით აფრთხილებდა ლე ფლოს იმის შესახებ, რომ თავისი მოქმედებით არ მიეცა საფუძველი ეთქვათ, თითქოს „ჩვენ (საფრანგეთი — ი. ტ.) შევეცადეთ რუსეთთან კავშირის დადებას“. ტიერი, განსაზღვრავდა რა საფრანგეთის დიპლომატიის ამოცანებს, სწერდა თავის ელჩს: „თუ მაინც გაიღება კარები, უნდა შეხვიდე, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნე კომპრომენტირებული, რომ შენ გსურდა მისი გაღება“ [1].

საფრანგეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ გამოეყენებინათ მომავალი შესაძლებელი უთანხმოება რუსეთ-გერმანიას შორის, ამასთანავე ლე ფლოს მიეთითა ემოქმედა ფრთხილად. ტიერი რუსეთთან დაახლოების მომხრე იყო [2]. მან კარგად იცოდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საფრანგეთისათვის რუსეთთან კავშირს. მაგრამ ტიერს ეშინოდა ამ კავშირის გახმაურებისა და ბისმარკის რისხვისა. პროფესორი ა. მანფრედი წერს: „...ტიერი, რომელიც მიისწრაფოდა რუსეთთან დაახლოებისაკენ, რათა ესარგებლა მისი მხარდაჭერითა და დახმარებით, იმავე დროს ცდილობდა დაემალა ეს სხვებისათვის, განსაკუთრებით ბერლინისათვის. ეს მუდმივი ლაჩრული მიხედვა ბერლინისაკენ, შიში იმისა, რომ გამოეწვია გერმანიის მთავრობის უკმაყოფილება, ტიერის პოლიტიკას — რუსეთთან დაახლოების პოლიტიკას ხდიდა დაურწმუნებელს, გაუბედავს და მერყევს“ [3].

1871 წლის 7 ივლისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟიულ ფავრმ ინსტრუქციო წერილი გაუგზავნა თავის ელჩს პეტერბურგში გენერალ ლე ფლოს [4]. ჟიულ ფავრი რამდენიმე მითითებას აძლევდა ელჩს. ჯერ ერთი, მას უნდა აღედგინა იქ თავისი ძველი ნაცნობობა [5]. შემდეგ ეგრძნობინებინა რუსეთისათვის

---

[1] იხ. А. З. Манфред, Указ. соч., стр. 88.

[2] ა. დებიდური წერს: „მას (ტიერს — ი. ტ.) დიდი ხანია ჰქონდა წინასწარ შექმნილი იდეა, რომ მისი ქვეყნისათვის ერთადერთ აუცილებელ და ბუნებრივ კავშირს წარმოადგენდა კავშირი სანკტ-პეტერბურგთან. ის ყოველთვის ნანობდა, რომ ტალეირანმა ვერ გაიგო ეს 1814 წელს“. იხ. А. Дебидур, Указ. соч., т. II, стр. 388.

[3] А. З. Манфред, Указ. соч., стр. 89.

[4] „Doc. Dipl. Fr“., I série, t. I, doc № 21. p. 38—43.

[5] გენერალი ლე ფლო 1848 წელს პეტერბურგში იყო საფრანგეთის წარმომადგენლად — საგანგებო დესპანისა და სრულუფლებიანი მინისტრის სახით. იხ. „Doc. Dipl. Fr“., I série, t. I, p. 38.

გერმანიის გაძლიერების საშიშროება, რომლის თავიდან ასაცილებლადაც წინ არაფერი გააკეთა თავის დროზე. პარიზისათვის გასაგებია,—ეწერა წერილში,—რუსეთის პოზიცია ავსტრიაპრუსიის გამარჯვების პერიოდში; ასევე წოიქცა რუსეთი საფრანგეთ-პრუსიის ომის დროსაც, ანგარიში არ გაუწია იმას, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის პოლიტიკას.

მინისტრი მიუთითებდა, რომ გერმანიის გაერთიანება საშიშროებას უქმნის რუსეთსაც. გერმანიის ტერიტორიული გაფართოება, რომლის გამართლებასაც იგი ცდილობს ერთიანი გერმანიის შექმნის ლოზუნგით, მალე გადაიზრდება აგრესიაში რუსეთის წინააღმდეგ [1]. ჟიულ ფავრის აზრით, რუსეთი უკვე გრძნობდა გერმანიისაგან ამ მოსალოდნელ საშიშროებას [2].

შემდეგ მინისტრი აღნიშნავს, რომ საფრანგეთმა დიდი ზარალი ნახა როგორც საგარეო, ისე სამოქალაქო ომის დროს. ამიერიდან საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს „მშვიდობიანი გზით ბოლო მოუღოს ამ უბედურებას". მართალია, საზავო ხელშეკრულების პირობები სასტიკი იყო, მაგრამ რესპუბლიკის მთავრობას ისევ შეეძლო მოენახა ქვეყნის გაძლიერებისაკენ მიმავალი გზები, რათა საფრანგეთს კვლავ დაეკავებინა მისთვის შესაფერი ადგილი ევროპაში. „ჩვენ პატიოსნად შევასრულებთ იმ გაუგონარ ვალდებულებას,— წერდა მინისტრი,—რომელიც თავს მოგვახვიეს... ჩვენი ერთადერთი მიზანი იქნება, დავაჩქაროთ, თუ შესაძლებელი იქნა, ჩვენი ტერიტორიის ევაკუაცია... და საფრანგეთი, რომელიც ამიერიდან თავის თავს მიეკუთვნება, მხოლოდ და მხოლოდ იმ სახელმწიფოების მოკავშირე გახდება, რომლებსაც სურთ მტკიცე მშვიდობის შენარჩუნება..." [3].

ჟიულ ფავრის აზრით, თუ საფრანგეთის ასეთი პოლიტიკა შეესაბამება რუსეთის მმართველი წრეების სურვილებს, მაშინ შესაძლებელია კავშირის შექმნა რუსეთ-საფრანგეთს შორის. პარიზში კარგად ესმოდათ, თუ რა მტკიცე ურთიერთობა იყო რუსეთსა და პრუსიას შორის 1815 წლიდან. ამიტომ დღეს შეუძლებელი იყო საკითხის პირდაპირ ისე დაყენება, რომ რუსეთს საფრანგეთის სასარგებლოდ ისეთი ნაბიჯები გადაედგა, რომელიც გამოიწვევდა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის შენელებას. მაგრამ „პრუსიის სახელმწიფოს განსაკუთრებულმა განვითარებამ—ვკით-

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 21, p. 39.
[2] Ibid., p. 40.
[3] Ibid., p. 41—42.

ხელით საინსტრუქციო წერილში—დღეს თუ არა ხვალ მაინც უნდა გამოიწვიოს მათ შორის განხეთქილება. გერმანიის ახალ იმპერიას არ შეუძლია შემდგომი გაფართოვება ისე, რომ საფრთხე არ შეუქმნას რუსეთს"[1].

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარგად იცოდა, რომ პრუსიასთან დროებითი ზავისა და ფრანკფურტის ზავის ხელმოწერის დროს რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე სიმპათიით იყო განწყობილი საფრანგეთის მიმართ და ამიტომ ჟიულ ფავრი თავის ელჩს სწერს: „თქვენ მადლობა გადაუხადეთ იმპერატორს მისი კეთილგანწყობილებისათვის, რათა მან კარგად იცოდეს, რომ ჩვენ შევაფასებთ მის მნიშვნელობას, ხოლო თქვენ კი ყველგან მხარი დაუჭირეთ მას. დანარჩენს დრო გააკეთებს"[2].

რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას ხელს უწყობდა ისიც, რომ ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები თითქმის არსად არ ეჯახებოდა ერთმანეთს. მეორე მხრივ, თუმცა საფრანგეთი რუსეთისაგან განსხვავებით რესპუბლიკას წარმოადგენდა, მაგრამ პეტერბურგში ნდობას იმსახურებდნენ ამ რესპუბლიკის მმართველები—ტიერი[3], გალიფე და სხვ., რომლებმაც სახელი გაითქვეს პარიზის კომუნის ჩახშობაში და სასტიკად იბრძოდნენ ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

გერმანიის აგრესიულმა პოლიტიკამ, საერთოდ, და საფრანგეთის წინააღმდეგ კერძოდ, ხელი შეუწყო რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას. კ. მარქსი ჯერ კიდევ 1871 წლის სექტემბერში წერდა, რომ, თუ „ტევტონელი პატრიოტები"—პრუსიელი დამპყრობლები—განახორციელებენ ელზას-ლოტარინგიის დაპყრობას, მაშინ ისინი... აიძულებენ საფრანგეთს ჩაეხუტოს რუსეთს"[4].

როგორ უყურებდნენ პეტერბურგში საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგებს და რუსეთ-საფრანგეთს შორის ურთიერთობის საკითხს? პეტერბურგში უკვე ცხადი იყო, რომ საფრანგეთის შემდგომი ყოველგვარი დასუსტება გამოიწვევდა გერმანიის მეტისმეტ გაძლიერებას, რაც არახელსაყრელი იქნებოდა რუსეთისათვის. პირიქით, პეტერბურგში გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ დასაყრდენს საფრანგეთში ხედავდნენ.

---

[1] „Doc. Dipl. Fr"., I série, t. I, doc. № 21, p. 42.

[2] Ibid., p. 42—43.

[3] Ю. В. Борисов, Русско-французские отношения после Франкфуртского мира, М., 1951, стр. 78.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XIII, ч. II, стр. 97.

რუსეთის მმართველი წრეების აზრი გატარებულია იმ ინსტრუქციაში, რომელიც გორჩაკოვმა 1871 წლის 11 დეკემბერს მისცა რუსეთის ელჩს პარიზში ორლოვს: „თქვენთვის ცნობილია ის მოტივები, რომლებმაც გვაიძულეს ჩვენ კისურვოთ შეთანხმება საფრანგეთთან, დარწმუნებული იმაში, რომ ორივე ქვეყანას არ გააჩნიათ არავითარი ინტერესები, რომლებიც შეიძლება წარმოადგენდნენ გარდუვალად მტრულს, რომ მათ, პირიქით, გააჩნიათ რა ბევრი ერთნაირი ინტერესი, შეეძლოთ და უნდა მოენახათ შეთანხმებაში ურთიერთ მოგება, რომელიც ხელს შეუწყობს მათ უშიშროებას, მათ აყვავებას და ევროპაში გონივრული თანაფარდობის მხარდაჭერას"[1].

ინსტრუქციაში შემდეგ ლაპარაკია რუსეთისა და საფრანგეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებზე, საფრანგეთთან ურთიერთობაზე პარტიული, პირადი ან დინასტიური საკითხების გარეშე. ლაპარაკია საფრანგეთთან ურთიერთობაზე იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ატარებდნენ მუდმივ ხასიათს.

საფრანგეთის მეორე იმპერიის მმართველ წრეებს ეს პრინციპები რომ გაეთვალისწინებინათ, ისინი თავიდან აიცილებდნენ 1870 წლის კატასტროფას. ინსტრუქციაში ხაზგასმული იყო რუსეთის სურვილი, ენახა გაძლიერებული საფრანგეთი. მაგრამ გორჩაკოვი აფრთხილებდა ორლოვს: საფრანგეთში რევანშის მომხრეებს არ ჰქონოდათ იმედი რევანშიზმის საქმეში რუსეთის მხარდაჭერისა. რუსეთს სურდა მშვიდობის შენარჩუნება ევროპაში, საფრანგეთის მიმართ გერმანიის აგრესიის აღკვეთა.

რუსეთ-საფრანგეთის კავშირისათვის ნიადაგის მომზადება დაიწყო სწორედ მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მმართველმა წრეებმა საფრანგეთის ერთადერთ შესაძლებელ მოკავშირედ მიიჩნიეს რუსეთი, ხოლო რუსეთის მმართველი წრეები დარწმუნდნენ, რომ გერმანიის შემდგომი გაძლიერება და საფრანგეთის ყოველგვარი ახალი დასუსტება არ იქნებოდა ხელსაყრელი რუსეთისათვის. ეს იყო 1872—1873 წწ. სწორედ აქ უნდა ვეძიოთ რუსეთ-საფრანგეთის კავშირის საფუძველი. ამ საკითხში ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ ა. მანფრედის აზრს, რომელიც წერს: „საფრანგეთ-რუსეთის კავშირის წინა ისტორია უნდა დავიწყოთ იმ დროიდან, როცა საფრანგეთმა იგრძნო მოთხოვნილება და სასიცოცხლო

---

[1] Арх. ВПР. ф. „Канцелярия", д. № 113, л. 17. См. В. М. Хвостов, Франко-русский союз и его историческое значение.., стр. 625.

უცილებლობა სხვა სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერისა და როცა ეს მხარდაჭერა ნან მიიღო. თუ ასე მივუდგებით ამ საკითხს, მაშინ, ბუნებრივია, დადგინდება ქრონოლოგიური ზღუდის დასაწყისი—1872—1873 წლები[1].

ფრანკფურტის ზავმა მშვიდობა ვერ მოუტანა ევროპას. მიუხედავად მისი დადებისა, ევროპაში უკვე დადიოდა ახალი ომის აჩრდილი.

ურთიერთობა საფრანგეთ-გერმანიას შორის დაძაბული რჩებოდა. ბერლინში კარგად ესმოდათ, რომ ევროპაში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა გერმანიის სასარგებლოდ. ამ მდგომარეობის შენარჩუნებისათვის გერმანიის მმართველი წრეები აუცილებლად სთვლიდნენ საფრანგეთის იზოლაციას, მის დასუსტებას და ხელახლა დამარცხებას. ამიტომაც იყო, რომ ბისმარკი ფრანკფურტის ზავის ხელმოწერის თითქმის მეორე დღიდანვე ეძებდა საბაბს საფრანგეთთან ურთიერთობის ახალი გართულებისათვის. ასე იყო, მაგალითად, 1871 წლის 15 ივნისს, როცა საფრანგეთის ჯარის ნაწილებმა შემთხვევით დაიკავეს იმ ტერიტორიის მცირე ნაწილი, რომლის ოკუპაცია უნდა მოეხდინა გერმანიის არმიას. გერმანიის კანცლერი ცდილობდა კონტრიბუციის გადახდის პერიოდში გაერთულებინა ურთიერთობა საფრანგეთთან. მაგრამ საფრანგეთი მას იხდიდა ზუსტად, რითაც საბაბს არ აძლევდა გერმანიას.

საფრანგეთის საქმეთა რწმუნებული ბერლინში მარკიზი დე გაბრიაკი 1871 წლის 14 აგვისტოს ატყობინებდა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს დე რემიუზას იმ საუბრის შინაარსს, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა დღით დე გაბრიაკსა და ბისმარკს შორის[2]. ორსაათიანი საუბრის დროს მათ განიხილეს ჯერ ფინანსური, ხოლო შემდეგ პოლიტიკური საკითხები. დე გაბრიაკი შეეხო საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს და განუცხადა ბისმარკს, რომ „ორივე ერს ესაჭიროება მშვიდობა". ბისმარკმა უპასუხა: „ბედნიერი ვარ ამის მოსმენით, მაგრამ არა მჯერა, რომ საფრანგეთში გულწრფელად უნდათ მშვიდობა" [3].

როდესაც დე გაბრიაკი არ დაეთანხმა ბისმარკის აზრს, ამ უკანასკნელმა განაგრძო: „გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემო ძვირფასო, არა მგონია თქვენ ახლა გსურდეთ არსებული დაზავების

---

[1] А. З. Манфред, Из предистории франко-русского союза, „Вопросы истории", 1947, № 1, стр. 37.

[2] „Doc. Dipl. Fr"., I série, t. I, doc. № 42, p. 61—65.

[3] Ibid., p. 62.

(le trêve) დარღვევა. თქვენ გადაგვიხდით ორ მილიარდს, მაგრამ, როდესაც დადგება 1874 წელი და როცა საჭირო იქნება მომდევნო სამი მილიარდის შეტანა, უეჭველად დაიწყებთ ჩვენთან ომს; თუ თქვენ ხელახლა აპირებთ ომს, ჩვენთვის უმჯობესია რაც უფრო ჩქარა დაიწყება ის... სისულელე იყო თქვენთვის მეცის წართმევა, რომელიც საფრანგეთის საკუთრებას წარმოადგენდა. მე არ მინდოდა შემენარჩუნებინა ის გერმანიისათვის. გენერალურმა შტაბმა მკითხა, შემიძლია თუ არა მივცე გარანტია, რომ საფრანგეთი არ წავა რევანშზე? მე ვუპასუხე, რომ პირიქით, დარწმუნებული ვარ საწინააღმდეგოში და რომ ეს ომი იყო საფრანგეთსა და გერმანიას შორის მომდევნო ომების მხოლოდ დასაწყისი. ამასვე მოგახსენებთ ელზასისა და ლორენის შესახებ. შეცდომა იყო თქვენთვის მათი წართმევა... წაგართვით რა ის თქვენ, ჩვენ ამით შეცდომა ჩავიდინეთ..." [1].

ამაზე დე გაბრიაკმა უპასუხა: „თქვენი სიტყვები ცხადჰყოფენ, რომ ჩვენ უფრო ლოგიკური ვართ, ვიდრე თქვენ. თქვენ ხელი მოაწერეთ ხელშეკრულებას და ლაპარაკობთ სამიედრო ენით. ჩვენ ხელი მოვაწერეთ ზავს და მიუხედავად თქვენი ბრალდებისა, ვატარებთ მშვიდობიან პოლიტიკას. ჩვენ ვასრულებთ ვალდებულებას და ვადაზე ადრეც კი ვიხდით გადასახადს. ჩვენ გთხოვთ თქვენ მხოლოდ ერთ რამეს—დააჩქაროთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ჩვენი ტერიტორიის ევაკუაცია. თქვენ ეს-ეს არის ნახეთ მრავალი დაჭრილი და იცით, თუ რა აღიზიანებს ჭრილობას - ესაა მასში სხვა სხეულის არსებობა. ეს სხვა სხეული ხართ თქვენ გასისხლიანებული და დამარცხებული საფრანგეთისათვის" [2].

მიუთითებდა რა ზავის მძიმე პირობებზე, დე გაბრიაკმა ბისმარკს უთხრა: „თქვენ ჩვენ თავს მოგვახვიეთ მეტად მძიმე პირობები და ასეთ ზავად სთვლიან მას მთელს მსოფლიოში" [3].

ბისმარკს მაინც არ სჯეროდა საფრანგეთის მშვიდობიანი პოლიტიკისა, მას მტკიცე ხელისუფლებად არ მიაჩნდა ტიერის ხელისუფლება. ბისმარკი ამბობდა: „ტიერის მიერ ტრიბუნიდან წარმოთქმული სიტყვები არასოდეს არ არის დამაჯერებელი მშვიდობის შენარჩუნებისათვის. გარდა ამისა, მისი ხელისუფლება მერყეობს. თქვენ შეგიძლიათ დარწმუნებით მითხრათ ვინ იქნება ხვალ საფრანგეთის მმართველი? გარდა ამისა, როგორც უკვე გითხარით, საზოგადოებრივი აზრი უფრო ძლიერია ტიერზე. ამჟამად

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 42, p. 62.

[2] Ibid., p. 63.

[3] Ibid.

პარიზში იქნება ორგანიზაცია სახელწოდებით: ელზასისა და ლორენის განთავისუფლების ლიგა“[1].

გერმანიასთან ომის შედეგად საფრანგეთი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში ჩავარდა, ფრანკფურტის ზავის შედეგადაც კი კარგა ხანს ვერ გაიმართა იგი წელში. გერმანიის ჯარების მიერ ოკუპირებულ ნაწილში ათი თვის მანძილზე ეკონომიური ცხოვრება თითქმის მთლიანად შეწყდა, ხოლო იქ, სადაც მთელი ძალები მიმართული იყო მტრის წინააღმდეგ, საკმაოდ დასუსტდა. ფრანკფურტის ზავმა საფრანგეთს დააკარგვინა თავისი ყველაზე მდიდარი სამრეწველო ოლქები. ელზასი წარმოადგენდა ერთ-ერთ იმ პირველ ოლქთაგანს, სადაც ფაბრიკებში ახალი გამოგონებანი გამოიყენეს, რამაც საფრანგეთის საფეიქრო მრეწველობა საკმაოდ წინ წასწია. ტერიტორიისა და მოსახლეობის ამ მძიმე დანაკარგს დაემატა მრავალ მამაკაცთა მსხვერპლი ომის დროს.

მიუხედავად ასეთი მძიმე მდგომარეობისა, საფრანგეთმა მთელი თავისი ძალები მიმართა ქვეყნის აღდგენისაკენ და იწყო წელში გამართვა. თანდათანობით გაძლიერდა მისი მეურნეობა, ფინანსები, სამხედრო ძალა. იგი ცდილობდა კვლავ მოქცეულიყო დიდ სახელმწიფოთა რიგში, ვინაიდან კარგად იცოდა, რომ სუსტ საფრანგეთთან არავინ არ მოისურვებდა კავშირის დადებას. ხოლო საფრანგეთის სწრაფი ტემპით ფეხზე წამოდგომა გერმანიის მმართველ წრეებში განგაშს იწვევდა.

დე გაბრიაკი ატყობინებდა თავის მინისტრს: „საფრანგეთი ძალიან ჩქარა ძლიერდება მის (ბისმარკის — ი. ტ.) თვალში. ის ფიქრობდა, რომ საფრანგეთს სულ ცოტა ოცი წლით მაინც მოეღო ბოლო, მაგრამ შეშფოთებულია, რადგან ხედავს, რომ მისი აღორძინება უფრო ადრე ხდება, ვიდრე მას ეგონა; ამას თვლის ბისმარკი განგაშის მიზეზად“[2].

ბისმარკი სწერდა თავის წარმომადგენელს საფრანგეთში ვალდერზეეს: თუ ეს უკანასკნელი შეამჩნევდა, რომ საფრანგეთში არ იყო საიმედო მდგომარეობა და ფრანგები ომისათვის ემზადებოდნენ, მაშინ გერმანია დაუყოვნებლივ ფეხზე დააყენებდა ნახევარმილიონიან არმიას და განაახლებდა ომს[3].

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. I, doc. № 42, p. 63.

[2] Ibid., p. 65.

[3] Die Grosse Politik der europäschen Kabinette. 1871—1914“. Bd. I, № 37, S 71. შემდგომში იხ. შემოკლებით: „Die Grosse Politik“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გერმანია ყოველმხრივ ცდილობდა გამოეწვია ურთიერთობის გართულება საფრანგეთთან. ასე, მაგალითად, ახალი კონფლიქტის საბაბი გახდა ინციდენტი გერმანიის საოკუპაციო ნაწილებსა და საფრანგეთის ადგილობრივ ადმინისტრაციის შორის. გერმანიის საოკუპაციო ნაწილების უხეშობა და ძალადობა, ბუნებრივია, იწვევდა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს. ამ შემთხვევაში საქმე მიდიოდა შეჯახებამდეც კი, რასაც ხშირად მოსდევდა მსხვერპლი ორივე მხრიდან[1].

1872 წლის 6 მარტს ბისმარკი სიტყვით გამოვიდა პრუსიის ზედა პალატაში, სადაც შეეხო საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხს და მიუთითა საფრანგეთის მისწრაფებაზე რევანშისაკენ. იმავე წლის აპრილ-მაისში საფრანგეთის ნაციონალურ კრებაზე იხილებოდა საკითხი სამხედრო სამსახურის შესახებ. როგორც კი ეს ამბავი გაიგეს ბერლინში, დაუყოვნებლივ დაიწყეს აგიტაცია საფრანგეთის წინააღმდეგ. თუმცა მას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

ბერლინში კარგად იცოდნენ, რომ საფრანგეთი ვერ შეურიგდებოდა ფრანკფურტის ზავის შედეგად შექმნილ მდგომარეობას და მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდიდა მის შესაცვლელად[2]; ყოველგვარი გართულება საერთაშორისო ურთიერთობაში გამოძახილს ჰპოვებდა პირველ რიგში საფრანგეთში; საფრანგეთი შეეცდებოდა მოენახა მოკავშირე და აელო რევანში, მაშინ კი ომი გარდუვალი გახდებოდა. ასე უყურებდნენ ბერლინში საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის საკითხს. საინტერესოა ამ შემთხვევაში ტიერის აზრი. მან განაცხადა: „თუ ევროპაში წარმოიშობა კონფლიქტი... სრულიად ბუნებრივია, რომ ჩვენ მოვისურვებთ ასეთ შემთხვევის გამოყენებას“[3].

ტიერს რევანშის აღება სურდა არა იმჟამად, არამედ შემდეგომში. იგი სენ-ვალიესადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „მე შევზღუდე ჩემი პოლიტიკური ამოცანა იმით, რასაც საფრანგეთის რეორგანიზაცია ვუწოდე და რომელსაც მივაკუთვნე უპირველესად ყოვლისა მშვიდობა, წესრიგის დამყარება, ფინანსების თანაფარდობა და არმიის აღდგენა“[4].

---

[1] А. З. Манфред, Внешняя политика Франции 1871—1891 гг., стр. 50.

[2] „Die Grosse Politik“, Bd. I, № 28.

[3] A. Thiers, Notes et souvenirs 1870—1873, p. 21.

[4] R. Pinon, France et Allemagne 1870—1913, p. :6.

ფ. ენგელსი მიუთითებდა საფრანგეთში „რევანშისადმი მისწრაფების არსებობას მქონებელ კლასებში და მუშათა კლასის ჯერ კიდევ არასოციალისტურ ნაწილში“ [1].

საინტერესოა ამ მხრივ რუსი ისტორიკოსისა და პუბლიცისტის პროფესორ მოდესტოვის აზრი, რომელიც ხშირად მოგზაურობდა საფრანგეთში და ცხოვრობდა როგორც პარიზში, ისე პროვინციებშიც. მოდესტოვი იყო ცნობილი ფრანკოფილი. 1883 წელს იგი წერდა, რომ საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ საფრანგეთში „რევანში იყო ყველაზე ღრმა და ყველაზე ნაციონალური აზრი“. გაზეთებში ამაზე თითქმის არ წერდნენ, მაგრამ საზოგადოებაში საუბრის დროს ყველაზე აქტუალურ საკითხს ეს წარმოადგენდა. „რევანშიზმის საკითხში ყველა პარტიები... ერთნაირი აზრისა იყვნენ. ისინი მზად იყვნენ ეპატიებინათ ის სიმკაცრეც კი, რომელსაც ხშირად მიმართავდნენ გამარჯვებულები მოსახლეობის მიმართ. მაგრამ მათ არ შეეძლოთ ეპატიებინათ ერთი რამ—ელზასის და ლორენის ჩამორთმევა. ამ საკითხში პირველიდან უკანასკნელ კაცამდე ფრანგები დაკავშირებული იყვნენ ერთმანეთთან; ამ საკითხში საფრანგეთისა და წართმეული პროვინციების მოსახლეობას შორის არსებობდა საიდუმლო, მაგრამ დაურღვეველი კავშირი, რათა ყოველგვარი საშუალებებით მიეღწიათ გაერთიანებისათვის“ [2].

ცდილობდა რა დაემტკიცებინა, რომ საფრანგეთი არასოდეს არ ისახავდა საომარ მიზნებს, რაიმონდ პუანკარე უფრო გვიან ამბობდა, რომ არა რევანშისტული იდეებით ხელმძღვანელობდნენ ფრანგები, როდესაც გადაჭრით უარს ამბობდნენ რაინის საკითხის მივიწყებაზე, არამედ იმით, რომ საფრანგეთს „არ შეეძლო დაევიწყებინა თავისი მოვალეობა ჩაგრული ერის (ელზას-ლორენის მოსახლეობის.—ი. ტ.) წინაშე“ [3].

უფრო საინტერესოა მარშალ ფოშის სიტყვები. ფოში თავის მოგონებებში მოგვითხრობს, თუ როგორ გახდა ის არტილერისტი. პირველ ხანებში მის მშობლებს განზრახული ჰქონდათ, რომ შვილს მიეღო სამოქალაქო განათლება, მაგრამ საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ, როგორც ფოში ამბობს, საფრანგეთის ახალგაზრდობისათვის არსებობდა მხოლოდ ერთი ამოცანა,—მთელი

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. 2, стр. 347.

[2] Модестов, О Франции. СПБ, 1889, стр. 27—28;

[3] Р. Пуанкаре, Происхождение мировой войны, М., 1924, стр. 39.

თავიანთი მუშაობა მიემართათ დასუსტებული და სრული განადგურების საშიშროების წინაშე მდგომი სამშობლოს სასარგებლოდ. ამიტომ ფოში სხვა ახალგაზრდებთან ერთად თავისი სურვილით შევიდა საარტილერიო სასწავლებელში[1].

ბისმარკი გრძნობდა ყოველივე ამას და მიმართავდა კონტრზომებს. იგი ცდილობდა არ დაეშვა საფრანგეთის ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერება. სუსტი საფრანგეთის შენარჩუნება — ეს იყო ბერლინის მმართველი წრეების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. 1872 წლის 20 დეკემბერს ბისმარკი სწერდა თავის ელჩს საფრანგეთში არნიმს: „საფრანგეთის ჩვენდამი მტრული დამოკიდებულება გვავალდებულებს, რათა ის იყოს სუსტი“ [2].

გერმანიის საგარეო პოლიტიკის მეორე მთავარი მიზანი იყო, არ დაეშვა საფრანგეთის დაახლოება რუსეთთან და ავსტრიასთან. ამის შესახებ ბისმარკი არნიმს სწერდა: „სანამ საფრანგეთს არ ეყოლება მოკავშირეები, ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს მისი“ [3]. პირველ ხანებში მართლაც შესძლო ბისმარკმა ხელი შეეშალა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებისათვის. მაგრამ აქ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინგლის-რუსეთის ინტერესების შეჯახებამ ახლო და შუა აღმოსავლეთში.

მეორე მხრივაც, თუ ჯერჯერობით კავშირი არ არსებობდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის, ეს მარტო ბისმარკის პოლიტიკის დამსახურება არ იყო. საქმე ის იყო, რომ არც რუსეთი და არც საფრანგეთი არ იყვნენ მზად ასეთი კავშირის შექმნისათვის. არსებობდა სხვა მიზეზებიც, რომლებზედაც ქვემოთ შევჩერდებით.

გერმანიის კანცლერი დიდ მნიშვნელობას აძლევდა ევროპის მონარქების კავშირს. იგი ფიქრობდა, რომ ამ კავშირის განმტკიცების შემთხვევაში რესპუბლიკური საფრანგეთი საერთო ენას ვერ გამონახავდა ევროპის მონარქიულ ქვეყნებთან, კერძოდ, რუსეთთან. მეორე მხრივ, ბისმარკის აზრით, მონარქიული საფრანგეთი უფრო სწრაფად მონახავდა საერთო ენას პეტერბურგთან. ამრიგად, ბისმარკი მხარს უჭერდა საფრანგეთში რესპუბლიკურ მმართველობას. 1872 წლის 20 ოქტომბერს ბისმარკი სწერდა გრაფ არნიმს:

---

[1] Ф. Фош, Воспоминания, М., 1939, стр. 16.

[2] E. Hippaux, Histoire diplomatique de la Troisième République, 1870—1889", p. 88; „Die Grosse Politik", Bd. I, № 95, S. 159—160.

[3] E. Hippaux, Op. cit., p. 90.

„ჩვენთვის საჭიროა, რომ საფრანგეთმა მოგვასვენოს, მან ვერ იპოვოს მოკავშირეები... სანამ ევროპის დიდი მონარქები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან, არავითარი რესპუბლიკა ჩვენთვის საშიში არ არის, ხოლო საფრანგეთის რესპუბლიკისათვის მეტად ძნელი იქნება იპოვოს ჩვენს წინააღმდეგ მოკავშირედ მონარქისტული სახელმწიფო“ [1]. მაგრამ ბისმარკმა აქაც მარცხი განიცადა. სახელმწიფოებრივი წყობილების სხვადასხვაობამ ხელი ვერ შეუშალა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნას.

გერმანიის იმპერიის შექმნით ომის ახალი საშიშროება შეიქმნა ევროპაში. ამიერიდან იწყება ბრძოლა შეიარაღების გაზრდისათვის. იზრდება წინააღმდეგობა ევროპის სახელმწიფოებს შორის. მოსალოდნელი იყო წინააღმდეგობის გამწვავება რუსეთსა და გერმანიას შორისაც. კარლ მარქსი წერდა: „1870 წლის ომი ისევე გარდუვალად შეიცავს ომის საშიშროებას რუსეთსა და გერმანიას შორის, როგორც 1866 წლის ომი შეიცავდა 1870 წლის ომის საშიშროებას“ [2].

საფრანგეთ-პრუსიის ომით დასუსტებული საფრანგეთი ცდილობდა აღედგინა თავისი ძალები და კვლავ ჩამდგარიყო დიდ სახელმწიფოთა რიგში. წინააღმდეგ შემთხვევაში მისთვის ძნელი იქნებოდა გერმანიის შეიარაღებული თავდასხმის მოგერიება და მოკავშირის მონახვა. 1872 წელს საფრანგეთში ჩატარდა სამხედრო რეფორმა. ნაცვლად 2-3 წლიანი სამხედრო სამსახურისა, შემოღებულ იქნა სამხედრო სამსახურის ხუთწლიანი ვადა. საფრანგეთის მთავრობის ამ ღონისძიებამ განგაში გამოიწვია გერმანიაში.

1872 წელს სამი იმპერატორის შეხვედრამ სასურველი შედეგი ვერ მოუტანა ბისმარკს. მან ვერ მიაღწია ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის ნეიტრალიტეტს საფრანგეთთან ახალი ომის შემთხვევაში. გარდა ამისა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გორჩაკოვმა ბერლინში ყოფნის დროს საფრანგეთის ელჩ გონტობირონთან საუბარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთი არ დაუშვებს საფრანგეთის შემდგომ დასუსტებას. „დარწმუნებული იყავით და დაარწმუნეთ ბატონი ტიერიც, — უთხრა გორჩაკოვმა ელჩს, — თუ თქვენ შეასრულებთ თქვენს ვალდებულებას, მეტს ვერავინ ვერ მოგთხოვთ. ამბობენ თქვენს არმიაზე და მის ორგანი-

---

[1] „Die Grosse Politik“, Bd. I, S. 161.

[2] К. Маркс, Архив Маркса и Энгельса, т. I, стр. 377.

ზაციაზე... ამ საკითხის გამო გერმანიას არავითარი მოთხოვნების წაყენების უფლება არა აქვს. აკეთეთ ის, რასაც თქვენ საჭიროდ სთვლით, და თქვენ მართალი იქნებით". დაბოლოს, გორჩაკოვმა ხაზგასმით დაუმატა: „საჭიროა საფრანგეთი იყოს ძლიერი... რათა შეასრულოს მსოფლიოში მისთვის განკუთვნილი როლი"[1]. ასეთი განცხადებები რუსეთის მმართველი წრეების წარმომადგენლების მხრიდან დიდ კმაყოფილებას იწვევდა საფრანგეთში, მაგრამ უკმაყოფილებას—ბერლინში. საქმე ის იყო, რომ გერმანიის იმპერიის შემდგომი გაძლიერება და საფრანგეთის დასუსტება ხელსაყრელი არ იყო რუსეთის ინტერესებისათვის.

ამასთანავე პარიზში გრძნობდნენ, რომ გერმანიასა და რუსეთს შორის მოსალოდნელი იყო წინააღმდეგობის გამწვავება. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟიულ ფავრი სწერდა თავის ელჩს პეტერბურგში გენერალ ლე ფლოს: „სერიოზული უთანხმოების მარცვალი მომავლისათვის, ცხადია, არსებობს" გერმანიასა და რუსეთს შორის[2].

ჟიულ ფავრი აღნიშნავს, რომ არც წარსულში და არც ახლა სერიოზული წინააღმდეგობა არ არსებობს საფრანგეთსა და რუსეთს შორის. ყოველივე ამის გამო საფრანგეთის ელჩს პეტერბურგში ევალებოდა, არ დარჩენოდა ყურადღების გარეშე ის კეთილგანწყობილება, რომელსაც ამ პერიოდში საფრანგეთისადმი იჩენდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე II[3].

ასეთსავე ინსტრუქციას აძლევდა ლე ფლოს საფრანგეთის მთავრობის მეთაური ადოლფ ტიერი[4].

ამრიგად, საფრანგეთის მმართველი წრეები, ითვალისწინებდნენ რა საფრანგეთის შესაძლებელ ურთიერთობას ევროპის სახელმწიფოებთან, საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის დამარცხების შემდეგ დაადგნენ რუსეთთან დაახლოების გზას. ისინი საფრანგეთის უშიშროებისათვის ყველაზე საიმედო მოკავშირეს რუსეთში ხედავდნენ. საფრანგეთის მმართველი წრეების ეს გადაწყვეტილება სწორი აღმოჩნდა.

---

[1] G. Hanotaux, Histoire de la France contemporaine, v. I, p. 500—501.

[2] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 21, p. 42—43.

[3] Ibid., p. 42—43.

[4] Ibid., doc. 54, p. 73—74.

გერმანიასთან ყოველგვარი ურთიერთობის გართულების შემთხვევაში პარიზში ყველაზე მეტად რუსეთის იმედი ჰქონდათ. ზემოხსენებული პროფესორი მოდესტოვი წერდა: „ყველამ იცის, რომ გერმანიასთან ომის შემთხვევაში საფრანგეთისათვის არ არსებობს ნამდვილი მოკავშირე რუსეთის გარდა. ასე ფიქრობს ფრანგი ხალხი, ასე ფიქრობენ საფრანგეთში ადამიანები, რომლებიც მიმართულებას აძლევენ პოლიტიკას“ [1].

1873 წლის 24 მაისს საფრანგეთის ნაციონალური კრების უმრავლესობამ ხმა მისცა რესპუბლიკის პრეზიდენტის ადოლფ ტიერის გადადგომას. ეს უთანხმოება არ ეხებოდა ტიერის საგარეო პოლიტიკის საკითხებს [2]. საქმე ის იყო, რომ საფრანგეთში არჩევნების დროს თავი იჩინა რევოლუციურმა მოძრაობამ. ნაციონალური კრების უმრავლესობის აზრით, მთავრობა არ ღებულობდა საჭირო ზომებს ამ მოძრაობის ჩასახშობად. ნაციონალურ კრებაში დაიწყო გამოსვლები მთავრობის წინააღმდეგ. მას ბრალს დებდნენ სისუსტეში. ამის საპასუხოდ მინისტრები გადადგნენ, ხოლო ტიერმა სოლიდარობა გამოუცხადა მათ [3].

საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტი დაიკავა მაჟენტის ჰერცოგმა მარშალმა მაკ-მაჰონმა. თუმცა მაკ-მაჰონი დამნაშავე იყო სედანთან საფრანგეთის ჯარების დამარცხებაში, მაგრამ მან სახელი გაითქვა პარიზის კომუნის ჩახშობით. მაკ-მაჰონი მონარქისტი იყო. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა როტშილდთან [4].

პრეზიდენტად მონარქისტი მაკ-მაჰონის არჩევას უკმაყოფილებით შეხვდნენ გერმანიაში. ამ ფაქტში ისინი ხედავდნენ საფრანგეთში მონარქისტული ელემენტების გაძლიერებას. ბისმარკი დარწმუნებული იყო, რომ დღეს თუ არა ხვალ საფრანგეთში კვლავ დამყარდებოდა მონარქისტული წყობილება და, მაშასადამე, იგი მალე მონახავდა მოკავშირეს [5], კერძოდ, თვითმპყრობელი რუსეთის სახით, ასევე ფრანგი კათოლიკეები საერთო ენას გამონახავდნენ ვენასთან.

---

[1] Модестов. Указ. соч., стр. 30.

[2] „Doc. Dipl. Fr.“, 1 série, t. 1, doc. № 207, p. 239.

[3] Ibid.

[4] მაკ-მაჰონი პოლიტიკაში მოისუსტებდა, რაც ხშირად ვლინდებოდა მის საუბრებში. ამიტომ მაკ-მაჰონის შესახებ მრავალი ანეკდოტი შეიქმნა საფრანგეთში. იხ. А. Зеваэс, История Третьей республики (1870—1926). Пер. с французского, М., 1830, стр. 61—62.

[5] „Die Grosse Politik“, Bd. I, № 115, S. 169.

არც პეტერბურგში იყვნენ კმაყოფილი საფრანგეთის ამბებით. საფრანგეთის მთავრობის შეცვლას რუსეთში განიხილავდნენ, როგორც სახელმწიფო წყობილების მერყეობას, სისუსტეს, თუმცა თვით მაკ-მაჰონი მოსწონდათ იმპერატორ ალექსანდრე II და გორჩაკოვს[1].

ავსტრია-უნგრეთის იმპერატორმა საფრანგეთის ელჩ ბანვილთან საუბარში განაცხადა, რომ იგი „ნდობით ეპყრობა და მიესალმება მთავრობას, რომელსაც მარშალი მაკ-მაჰონი მეთაურობს"[2]. იმპერატორმა მოიწონა საფრანგეთის მთავრობის კონსერვატიული პოლიტიკა. ელჩი დასძენს, რომ ვენის „პოლიტიკური სამყარო იზიარებს იმპერატორის აზრს"[3].

იმ მიზნით, რომ ბოლო მოღებოდა აზრთა სხვადასხვაობას საფრანგეთის ახალი მთავრობის მიმართ, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰერცოგმა ვიქტორ ალბერ დე ბროლიმ 1873 წლის 28 მაისს მითითება მისცა საფრანგეთის ელჩებს უცხოეთში, განემარტათ ყველასათვის, რომ საფრანგეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში არავითარი ცვლილება არ მოხდებოდა[4].

ბისმარკმა დაავალა თავის ელჩს პეტერბურგში თავად რაისს, გაეგო, როგორ აფასებდნენ საფრანგეთის მთავრობის შეცვლას რუსეთის მმართველი წრეები. „თავადმა გორჩაკოვმა ზრდილობიანი უარით აარიდა თავი პასუხის გაცემას და დასძინა, რომ ამაზე მიიღებს იმპერატორის მითითებას, ხოლო თავის მხრით ჰგონია, რომ არაფერი ცვლილება არ მომხდარა საფრანგეთის მიმართ"[5].

მაკ-მაჰონ — დე ბროლის მთავრობამ გაამართლა ევროპის ქვეყნების მმართველთა მოლოდინი. იგი ისეთივე რეაქციული აღმოჩნდა, როგორც საფრანგეთის ადრინდელი მთავრობები.

ურთიერთობა საფრანგეთ-გერმანიას შორის არ გაუმჯობესებულა. 1873 წლის გაზაფხულიდან გერმანიის პრესაში კვლავ იწერებოდა მტრული სტატიები საფრანგეთის მიმართ. ჯერჯერობით მათი მიზანი იყო გაექიანურებინათ გერმანიის ჯარების გაყვანა ვერდენიდან. 2 სექტემბერს მთელს გერმანიაში დიდი დღესასწაუ-

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I. doc. № 247, p. 279—281.
[2] Ibid., doc. № 205, p. 238.
[3] Ipid.
[4] Ibid., doc № 207, p. 238—240.
[5] Ibid., doc. № 206, p. 238.

ლით აღნიშნეს სედანთან გამარჯვების წლისთავი. ცხადია, ამას თან სდევდა ანტიფრანგული აგიტაცია.

1873 წლის 16 სექტემბერს საფრანგეთმა დაამთავრა კონტრიბუციის გადახდა და გერმანიის საოკუპაციო ნაწილების უკანასკნელმა ჯარისკაცმა დატოვა საფრანგეთის ტერიტორია. ამ დროისათვის საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობა ახალ საფეხურზე ავიდა. ბისმარკი დღე-დღეზე მოელოდა ახალ შეჯახებას საფრანგეთთან. უცდიდა მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს. მაგრამ საფრანგეთი არ იძლეოდა ამისათვის არავითარ საბაბს.

გერმანიასთან ურთიერთობის საკითხში მაკ-მაჰონ—დე ბროლის მთავრობა აგრძელებდა ტიერის პოლიტიკას—ცდილობდა დაემტკიცებინა ბერლინის მმართველი წრეებისათვის თავისი კეთილმეზობლური განწყობილება.

რაც შეეხება ამ მთავრობის დამოკიდებულებას რუსეთთან, იგი ისევე როგორც ტიერის მთავრობა, გერმანიასთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში მთავარ მოკავშირეს ხედავდა რუსეთში. ამ მიმართულებით მოქმედებდა საფრანგეთის პრესა, ამ მიზნით სპეციალური ინსტრუქცია გაეგზავნა საფრანგეთის ელჩს პეტერბურგში გენერალ ლე ფლოს და ელჩებს ბერლინსა და ლონდონში [1].

რუსეთ-საფრანგეთს შორის ურთიერთობის საკითხი წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ საკითხს გორჩაკოვთან ფრანგი დიპლომატი დე შოდორდის შეხვედრის დროს ინტერლაკენში (შვეიცარია) 1873 წლის 21 აგვისტოს [2]. ქვეყნის საშინაო საკითხების განხილვის შემდეგ თანამოსაუბრეები მალე გადავიდნენ საგარეო პოლიტიკაზე. დე შოდორდიმ გორჩაკოვს გააცნო თავისი მისიის მთავარი მიზანი. ფრანგი დიპლომატის სიტყვებზე, თითქოს ბისმარკი ახალ საშუალებებს ეძებს ევროპაში საფრანგეთთან დამოკიდებულების გართულების მიზნით, გორჩაკოვმა უპასუხა, რომ „მას ეს არ სჯერა" [3]. შემდეგ გორჩაკოვმა დასძინა: „ევროპა ამას არ დაუშვებს, ხოლო რაც შეეხება მას, მან არ დაუტოვა ამ

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 227, p. 254—256.

[2] Ibid., p. 256—257.

[3] Ibid., p. 256.

საკითხზე ილუზიები პრუსიის მთავრობას და ამასვე განიმეორებს, როცა ბერლინში იქნება" [1].

შემდეგ დე შოდორდიმ სთხოვა გორჩაკოვს გამოეყენებინა თავისი გავლენა გერმანიის მთავრობაზე ბერლინში ყოფნის დროს. გორჩაკოვი დაჰპირდა ამის შესრულებას. ამის შესახებ ფრანგი დიპლომატი თავის მთავრობას სწერს: „გორჩაკოვი დარწმუნებულია, რომ, თუ ჩვენ გონივრულად ვიმოქმედებთ, საშიში არაფერია... გორჩაკოვი ნანობს, რომ ელზას-ლორენი ანექსირებულ იქნა. მაგრამ საჭიროა მაინც რევანშზე უარის თქმა. ჩვენ არაფრის არ უნდა გვეშინოდეს, ევროპა არ დაუშვებს ახალ პროვოკაციას" [2].

გორჩაკოვმა თავისი დაპირება შეასრულა. იმავე წლის სექტემბერ-ოქტომბერში ბერლინში ყოფნის დროს მან თავისი აზრი გააცნო ბისმარკს და უთხრა, რომ არავითარი რევანში მოსალოდნელი არ არის საფრანგეთის მხრიდან [3].

გერმანიის ჯარებმა დატოვეს საფრანგეთის ტერიტორია. ბისმარკის ცდა—გამოეწვია საფრანგეთ-გერმანიას შორის ახალი გართულება —მარცხით დამთავრდა. პროფესორი ა. მანფრედი დაასკვნის: „გერმანიის ჯარებმა დატოვეს ვერდენი, ხოლო შემდეგ საფრანგეთის სხვა ტერიტორია. ყველაზე საშიში მომენტი უკან დარჩა. ყველაზე უფრო ხელსაყრელ ვარიანტზე გერმანელებისათვის—გერმანიის ჯარების მიერ საფრანგეთის ტერიტორიის ნაწილის ოკუპაციის დროს კონფლიქტის პროვოცირებაზე—გერმანიას უარი უნდა ეთქვა. გერმანიის მიერ ამ ვარიანტზე უარის თქმაში გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთის მიერ დაკავებულმა პოზიციამ" [4].

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ბერლინში უარი თქვეს საერთოდ საფრანგეთის წინააღმდეგ ომზე. ბისმარკი კვლავ განაგრძობდა თავის პოლიტიკას: ხელს უწყობდა საფრანგეთთან ურთიერთობის გართულებას, მის იზოლაციას, ცდილობდა გაემწვავებინა ურთიერთობა საფრანგეთ-იტალიას შორის. ამ მიმართულებით ყველაფერი გააკეთა ბისმარკმა, როცა იტალიის მეფე ვიქტორ-

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 227, p. 256—257.

[2] Ibid., p. 257.

[3] Ibid., doc. № 247, p. 280.

[4] А. З. Манфред, Внешняя политика Франции 1871—1891 гг., стр. 115.

ემანუილი ბერლინში ჩავიდა 1873 წლის სექტემბერში [1]. ბისმარკი ცდილობდა მიეღო იტალიის მხარდაჭერა საფრანგეთთან ურთიერთობის გართულების შემთხვევაში [2].

1873 წლის შემოდგომისათვის გერმანია-საფრანგეთის წინააღმდეგობა კონფლიქტში გადაიზარდა. ამას ხელი შეუწყო ფრანგი ეპისკოპოსის ფულონის გამოსვლამ ნანსში 1873 წლის ივლისში. ფულონმა თავის გამოსვლაში იმედი გამოთქვა, რომ ელზას-ლორენის კათოლიკეები მალე დაუბრუნდებიან თავის სამშობლოს. ბისმარკი შეეცადა ეს მომენტი საფრანგეთთან ომის საბაბად გამოეყენებინა, მაგრამ ეს ცდა არ გამართლდა.

1873 წლის დეკემბერში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა ჰერცოგი დეკაზი. იგი მონარქისტულ პარტიას ეკუთვნოდა, მოხერხებული დიპლომატი იყო და გერმანიის მიმართ დათმობის პოლიტიკას ატარებდა, რათა ბისმარკისათვის კონფლიქტის საბაბი არ მიეცა. ბისმარკი ამას ხვდებოდა, სძულდა დეკაზი და ამბობდა: „დეკაზი––ეს ბურთია. მე მინდა მას ვუჩხვლიტო, ის კი მიგორავს და ამის საშუალებას არ მაძლევს" [3].

დეკაზმა თავისი საგარეო პოლიტიკა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „საფრანგეთი თავს უყრის თავის ძალებს" (La France se recueille). ამ საკითხთან დაკავშირებით დეკაზმა 1873 წლის 7 დეკემბერს სპეციალური ცირკულიარული წერილი დაუგზავნა საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთში [4]. ამ წერილში დეკაზი იხსენიებდა კიდევ ერთ წერილს, რომელიც 1873 წლის 25 ნოემბერს გაეგზავნათ ელჩებს დე ბროლის ხელმოწერით, და მიუთითებდა, რომ მთავრობის პოლიტიკაში ცვლილებები არ მომხდარა. საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის მთავარ ამოცანად, — მისი თქმით, — „ხელშეკრულების ზუსტი შესრულება და სხვა სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების სურვილი რჩებოდა" [5].

სხვა საკითხებისადმი საფრანგეთის დამოკიდებულების შესახებ დეკაზი წერდა: „...საფრანგეთი თავს უყრის თავის ძალებს. იგი უცდის, თავის ძალებში და სიდიადეში დარწმუნებული, რათა წესრიგმა და შრომამ საშუალება მისცეს მას მოიშუშოს ჭრილობა;

---

[1] А. З. Манфред, Внешняя политика Франции 1871—1891 гг., стр. 122.

[2] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 240, p. 265—268.

[3] G. Hanotaux, Op. cit., v. II, p. 391.

[4] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 246, p. 278—279.

[5] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 246, p. 278.

რათა დრომ, რომელიც ერთადერთი საშუალებაა მისთვის, მისცეს შესაძლებლობა ისტორიის დიდ გაკვეთილებს მოიტანოს ნაყოფი, რათა ბოლო მოუღოს ამ დამღუპველი დღეების მწუხარებას, რომელმაც ასე ღრმად შეაზანზარა მსოფლიო"[1].

ეპისკოპოს ფულონის გამოსვლის მსგავს გამოსვლებს ადგილი ჰქონდა სხვა კათოლიკურ წრეებშიც, რაც განგაშს იწვევდა გერმანიაში. ასეთ ვითარებაში საფრანგეთის ელჩი პეტერბურგში გენერალი ლე ფლო გებულობდა რუსეთის მთავრობის განწყობილებას. 1873 წლის 12 დეკემბერს თავის კონფიდენციალურ წერილში ლე ფლო სწერს საგარეო საქმეთა მინისტრს დეკაზს იმ საუბრის შესახებ, რომელიც მასსა და გორჩაკოვს შორის გაიმართა[2]. ლე ფლოს სიტყვებით გორჩაკოვი ისევ სიმპათიურად იყო განწყობილი საფრანგეთისადმი. მათ საუბარს შემდეგნაირად გადმოგვცემს ლე ფლო: „ჩვენი გრძნობები საფრანგეთისადმი არ შეცვლილა, მითხრა მან, და თქვენ მას იხილავთ ისეთსავეს, როგორიც არსებობდა თქვენს წამოსვლამდე... ჩვენი მუდმივი სურვილია, როგორც ჩვენი იმედი, რომ თქვენმა ქვეყანამ უახლოეს დროში დაიკავოს ევროპაში ის დიდი ადგილი, რომელიც მას კანონიერად ეკუთვნის"[3]. გორჩაკოვმა იმედი გამოთქვა, რომ მაკ-მაჰონის მთავრობა გაამართლებდა იმედებს.

ლე ფლოს, როცა ის შეეხო გერმანიაში გავრცელებულ ხმებს, რომ საფრანგეთი თითქოს ემზადება რევანშისათვის და რომ ამ ხმებს განგებ ავრცელებენ გერმანიაში, რათა გამოიწვიონ ახალი გართულება საფრანგეთ-გერმანიას შორის, გორჩაკოვმა უპასუხა: „როცა ის იმყოფებოდა პრუსიაში ამა წლის ივნისში, მან მართლა შენიშნა, რომ ბერლინის სასახლე მეტად აღელვებული იყო", მაგრამ გორჩაკოვი დარწმუნებული იყო, რომ ამ აღელვებას არავითარი საფუძველი არ ჰქონდა. მას ამ საკითხზე ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ბისმარკთან. მან დაარწმუნა ბისმარკი, რომ საფრანგეთში ახლა რევანშს არ ისახავენ მიზნად. თუმცა თვით გორჩაკოვი დარწმუნებული იყო, რომ 10, 12, 15 წლის შემდეგ მოსალოდნელი იყო რევანში საფრანგეთის მხრიდან[4].

საუბრის დასასრულს გორჩაკოვმა ხელი მოხვია ლე ფლოს და უთხრა: „ყური მიგდეთ ძვირფასო გენერალო, მე გენდობით

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I. sèrie, t. I doc. № 246 p. 279.
[2] Ibid., doc. № 247, p. 279—281.
[3] Ibid., doc. № 247, p. 279—280.
[4] Ibid., p. 280.

და გეტყვით სრულიად კონფიდენციალურად—ის, რაც მე ვუთხარი სამეფოს პრინცს, იყო ჩემი ღრმად სამართლიანი აზრის გამოხატულება. მაგრამ არის მეორე მხარეც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თქვენ მაინც შეგიძლიათ იფიქროთ დღეს ომის დაწყებაზე, ამ შემთხვევაში საფრანგეთი აღმოჩნდება მარტო. თქვენთვის არ უნდა წარმოადგენდეს საიდუმლოს, რომ ჩრდილოეთის სამი სახელმწიფოს—პრუსიის, ავსტრიისა და რუსეთის სასახლეებს შორის ხელმოწერილ იქნა შეთანხმება, რომელშიც მოგვიანებით მეორეხარისხოვანმა იტალიის სასახლემაც მიიღო მონაწილეობა. ამ ხელშეკრულებით ოთხივენი შეთანხმდნენ, გაერთიანებული ძალებით მხარი დაუჭირონ მშვიდობას ევროპაში"[1].

საფრანგეთში დიდ იმედს ამყარებდნენ რუსეთზე, როგორც ძლიერ მოკავშირეზე გერმანიასთან ომის შემთხვევაში. რუსეთი ხდება პოპულარული საფრანგეთში. ფრანგები დაეწაფნენ რუსეთის მეცნიერებას, ლიტერატურას, ხელოვნებას; ბევრს წერდნენ საფრანგეთში რუსეთის შესახებ.

საფრანგეთში სულ უფრო ცხადი ხდებოდა რუსეთის მტკიცე პოლიტიკა: არ დაეშვა მომავალში საფრანგეთის დასუსტება. საფრანგეთის მთავრობის შეკითხვაზე — ევროპაში კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთი გამოვა თუ არა შუამავლადო, გორჩაკოვმა უპასუხა: „ჩვენ გვსურს, რათა საფრანგეთი იყოს ისეთივე ძლიერი, როგორიც ის იყო წარსულში, ხოლო პარიზი ისეთივე ბრწყინვალე"[2]. რუსეთის დამოკიდებულებას საფრანგეთისადმი ადასტურებს ალექსანდრე მეორის საუბარიც გენერალ ლე ფლოსთან. ამ საუბარში იმპერატორი მიუთითებდა რუსეთის სიმპათიებზე საფრანგეთის მიმართ[3].

რუსეთის მმართველი წრეების მეთაურთა ასეთი გამამხნევებელი სიტყვები იმედებს ზრდიდა საფრანგეთში. სწორედ ამიტომ იყო, რომ საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის ახალი გართულების დროს თავისი მთავრობის დავალებით დეკაზმა დახმარებისათვის მაშინათვე მიმართა რუსეთს, როგორც

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I sèrie, t. I, doc. № 247, p. 281.

[2] E. Daudet, Histoire diplomatique de l'alliance franco-russe, p. 65.

[3] E. Daudet, Ibid., p. 88; „Doc. Dipl. Fr.", I sèrie, t. I, doc. № 388, 404; Bourgeois et Pages, Les Origines et les Résponsabilités de la Grande Guerre, p. 168.

ევროპაში მშვიდობის შენარჩუნების საქმეში ნამდვილ არბიტრს[1].

მაგრამ ბისმარკი მაინც არ ისვენებდა. ის ყოველ ნაბიჯზე ხელოვნურად ართულებდა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობას, თავის სასარგებლოდ იყენებდა ყოველგვარ ანტიგერმანულ გამოსვლას საფრანგეთში. ამის გამო საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ფურტუმ სპეციალური ცირკულიარიც კი გამოსცა, რომელშიც კათოლიკური წრეებისაგან მოითხოვდა თავის შეკავებას ისეთი გამოსვლებისაგან, სადაც გამოხატული იქნებოდა თანაგრძნობა გერმანიის ტერიტორიაზე მცხოვრები ფრანგი კათოლიკეებისადმი. მაგრამ ბისმარკმა ესეც საკმარისად არ მიიჩნია და მოითხოვა იმ ეპისკოპოსების დასჯა, რომლებიც საჯაროდ გამოვიდნენ. ამრიგად, ბისმარკის შეჩერება კვლავ შეუძლებელი ხდებოდა.

1874 წლის 28 იანვარს ლე ფლო თავისი მთავრობის დავალებით ისევ შეხვდა პეტერბურგში იმპერატორს და გორჩაკოვს. საფრანგეთის ელჩი დიდად კმაყოფილი დარჩა ამ შეხვედრით, რაც დაუყოვნებლივ შეატყობინა პარიზში სრულიად კონფიდენციალური წერილით[2]. ლე ფლო წერს: „ჩვენს შორის დარჩეს, მათხრა მისმა უდიდებულესობამ, ეს არის მე მგონია ბისმარკის ოინები". „ცუდი ოინებია" უპასუხა ელჩმა, „დიაღ! ეს არის საშუალება ყურადღება ჩამოაშოროს შინაგან უწესრიგობას"—დაუმატა იმპერატორმა[3].

შემდეგ იმპერატორმა გააგრძელა საუბარი და უთხრა ელჩს: „დამშვიდდით, არავის არ უნდა ომი"[4].

ლე ფლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პეტერბურგში თანაუგრძნობენ საფრანგეთს და მზად არიან აღმოუჩინონ გარკვეული მხარდაჭერაც კი. იგი დარწმუნდა, რომ რუსეთში არ მოსწონდათ და სასტიკად გმობდნენ ბისმარკის ქცევას.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის ამ ახალი გართულების დროს პარიზში დახმარებას მხოლოდ რუსეთისაგან მოელოდნენ. რუსეთი იყო რეალური ძალა, რომელსაც შეიძლებოდა დაყრდნობოდა საფრანგეთი. აი რატომ იყო, რომ საფრანგეთის პრესა

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 404; Hanotaux, G. Histoire de la France contemporaine, v. III, p. 251—256.

[2] Ibid., doc. № 278, p. 308—309.

[3] Ibid., p. 308.

[4] Ibid., p. 309.

მოითხოვდა განემტკიცებინათ მეგობრული ურთიერთობა რუსეთთან [1].

ამრიგად, რუსეთის პოზიციამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის გართულების დროს. რაკი გერმანიამ ვერ მიაღწია რუსეთის კეთილგანწყობილებას, 1874 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში უკან დაიხია. საფრანგეთ-გერმანიის ინციდენტი მშვიდობიანად დამთავრდა. მაგრამ ეს იყო ბისმარკის დროებითი უკან დახევა. ცხადია, ის ხელსაყრელ მომენტს უცდიდა [2].

1875 წელს კვლავ თავი წამოყო გერმანიაში ანტიფრანგულმა მოძრაობამ. წინა პერიოდისაგან განსხვავებით ახლა გერმანიის მთავრობას საკუთარი ბურჟუაზიის ფართო წრეებთან ერთად უნდოდა ემოქმედნა. ბურჟუაზიის დაინტერესება იმით იყო გამოწვეული, რომ საფრანგეთთან ომის შემთხვევაში გაიზრდებოდა სამხედრო შეკვეთების რაოდენობა მრეწველობაში. ამასთანავე, ომი ერთ-ერთი გამოსავალი იყო იმ მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან, რომელშიც მოექცა გერმანია.

საფრანგეთსა და გერმანიას შორის დამოკიდებულების გართულება, ე. წ. სამხედრო განგაში, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1875 წ. გაზაფხულზე, გამოწვეული იყო საფრანგეთის შეიარაღების საკითხით. საქმე შემდეგში მდგომარეობდა: 1875 წლის მარტში საფრანგეთს უნდა მიეღო სამხედრო კანონი, რომლის მიხედვით საფრანგეთის ქვეითი ჯარის რაოდენობა, გერმანიის თვალსაზრისით, უნდა გაზრდილიყო 144 ათასი კაცით [3], ხოლო ლეგიონის შემადგენლობა კი — 3-დან 4 ბატალიონამდე. გერმანიის მმართველ წრეებში ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. მაგრამ სანამ ეს კანონი ცნობილი გახდებოდა, ბისმარკი სწერდა თავად ჰოჰენლოეს (რო-

---

[1] Ю. В. Борисов, Русско-французские отношения после франкфуртского мира, стр. 164.

[2] ვერ დავეთანხმებით ა. ტეილორს, რომლის აზრით, თითქოს 1874 წლის იანვარ-თებერვალში საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის გართულების შენელებაში გადამწყვეტი როლი ინგლისმა შეასრულა (А. Дж. П. Тэйлор, Указ. соч., стр. 249—250). ა. ტეილორი მიუთითებს ინგლისის დედოფლის ვიქტორიას მიერ ვილჰელმ I გაგზავნილ წერილზე („The Letters of Queen Victoria", 2 series, vol. II, p. 313), სადაც ინგლისის დედოფალი მოითხოვდა ვილჰელმისაგან „ყოფილიყო დიდსულოვანი". მაგრამ ეს იყო 1874 წლის 10 თებერვალს, ხოლო 13 დღით ადრე რუსეთის იმპერატორმა დაგმო ბისმარკის ოინები და დაამშვიდა საფრანგეთის ელჩი, ე. ი. რუსეთის პოზიცია გარკვეული იყო, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისათვის.

[3] „Die Grosse Politik", Bd. I, № 157, S. 249.

მელმაც არნიმი შესცვალა პარიზში, გერმანიის ელჩის პოსტზე). რომ მან გაიგო თითქოს საფრანგეთს სურს იყიდოს გერმანიისაგან 10 ათასი ცხენი. ამ საკითხის ირგვლივ პროვოკაციული განგაში ატეხა ბისმარკის პრესამ, ხოლო 1875 წ. 4 მარტს გერმანიის მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის თანახმად იკრძალებოდა ცხენების გაყვანა გერმანიიდან. ასე გამწვავდა საფრანგეთ-გერმანიას შორის ურთიერთობა, რომელმაც თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია 1875 წლის აპრილში.

ვიდრე გერმანია ომს დაიწყებდა, ბერლინში ერთხელ კიდევ სცადეს მოეხდინათ საფრანგეთის იზოლაცია, თავის მხარეზე გადმოეყვანათ მისი მეზობელი და შესაძლებელი მოკავშირე ქვეყნები და ამით გაეადვილებინათ მდგომარეობა გერმანიისათვის. გერმანიამ მიმართა საფრანგეთის სამხრეთ მეზობელს—ესპანეთს, მაგრამ ეს ცდა უშედეგოდ დამთავრდა. პირიქით, ესპანეთი სულ უფრო უახლოვდებოდა საფრანგეთს. ერთგვარ გაუმჯობესებას ჰქონდა ადგილი საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობაშიც.

მაგრამ ბისმარკისათვის ამჟამადაც გადამწყვეტი იყო რუსეთის პოზიცია. ამიტომ ბისმარკი ისევ ცდილობდა მიეღწია რუსეთის კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა ან ნეიტრალიტეტისათვის საფრანგეთთან კონფლიქტის შემთხვევაში. ამ მიზნით 1875 წლის 5 თებერვალს ბისმარკმა სპეციალური მისიით პეტერბურგში გაგზავნა ნდობით აღჭურვილი თავისი თანამშრომელი დიპლომატი ფონ რადოვიცი.

ფონ რადოვიცის მისიის მიზანი იყო, გაეგო რუსეთის პოზიცია საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტის შემთხვევაში. ფონ რადოვიცი ჩავიდა პეტერბურგში, იგი მიიღო გორჩაკოვმა და საუბარი ჰქონდა მასთან. საუბრის დროს ფონ რადოვიცმა გადასცა გორჩაკოვს, რომ გერმანია დადებითად უყურებს რუსეთის გეგმებს აღმოსავლეთში. ფონ რადოვიცის ამ საუბრიდან აშკარად ჩანდა, რომ გერმანელები მზად იყვნენ მხარი დაეჭირათ რუსეთისათვის აღმოსავლეთის საკითხში, მაგრამ სამაგიეროდ სურდათ მიეღოთ რუსეთის მხარდაჭერა დასავლეთში. გერმანიას უნდოდა მიეღო რუსეთის ნეიტრალიტეტის გარანტია საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში, თავის მხრივ გერმანია ჰპირდებოდა რუსეთს მხარდაჭერას სრუტეებისა და კონსტანტინეპოლის საკითხში. გერმანიის ისტორიოგრაფია კატეგორიულად უარყოფს, რომ ფონ რადოვიცს ასეთი ამოცანის შესრულება დაევალა. არაფერს ამბობს ბისმარკი თავის მემუარებში ახალგაზრდა დიპლომატის, ფონ რა-

დოვიცის, ნამდვილი ამოცანის შესახებ. ბისმარკის თქმით, თითქოს ფონ რადოვიცს დროებით უნდა შეეცვალა გერმანიის ელჩი პეტერბურგში რაისი, რომელიც „სამკურნალოდ“ გაემგზავრა. ასევე არაფერია ნათქვამი ფონ რადოვიცის მისიის ნამდვილი ამოცანის შესახებ გერმანული დოკუმენტების კრებულებში.

ფონ რადოვიცის მემუარებში [1] ლაპარაკია საერთოდ ახალგაზრდა დიპლომატის მისიის შესახებ პეტერბურგში, მაგრამ, მხოლოდ ზერელედ, პრინციპული საკითხები იქ არაა განხილული.

გერმანიის ელჩი პეტერბურგში რაისი იძულებული იყო „ემკურნალა“ ქალაქ ბონეში, სანამ ფონ რადოვიცი არ დაბრუნდებოდა პეტერბურგიდან. ყოველივე ეს, ისევე როგორც ფონ რადოვიცის მისიის ნამდვილი არსი, დღეს ცნობილია [2].

ფონ რადოვიცმა ვერ შეასრულა ბისმარკის მიერ დავალებული ამოცანა. ამრიგად, ბისმარკის ყოველგვარი ცდა, მიეღწია რუსეთის ნეიტრალიტეტისათვის, მარცხით დამთავრდა. გერმანიის კანცლერი დარწმუნდა, რომ რუსეთს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, არ დაეშვა საფრანგეთის შემდგომი დასუსტება. ამასთან, ბისმარკისათვის ცხადი გახდა, რომ გერმანიის აგრესიული მოქმედების მთავარ მოწინააღმდეგეს რუსეთის დიპლომატია წარმოადგენდა.

ფონ რადოვიცი თავის მოხსენებით ბარათებში ხაზგასმით აღნიშნავდა საფრანგეთის მიმართ პეტერბურგის საზოგადოების სიმპათიურ განწყობილებას [3].

1875 წ. გაზეთ „ფიგაროში“ გამოქვეყნდა ე. დოდეს სტატია („გერმანია და საფრანგეთი 1875 წელს“), რომელსაც დადებითი შეფასება მისცა ჰერცოგმა დეკაზმა. დოდეს ეს სტატია აღნიშნავდა, თუ რა ხასიათის დიპლომატიური ზომები მიიღო საფრანგეთის მთავრობამ და, კერძოდ, დეკაზმა „სამხედრო განგაშის“ პერიოდში. ამ ზომების მიზანი იყო გამოეაშკარავებინა გერმანიის პრევენტიული ომის გეგმები საფრანგეთის წინააღმდეგ და ხელი შეეშალა გერმანიისათვის ამ გეგმების განხორციელებაში. დოდეს ამ სტა-

---

[1] Aufzeichnungen und Erinnerungen aus dem Leben des Botschafters Joseph Maria von Radowitz. Herausgegeben von Hajo Holborn. B. I, Berlin und Leipzig, 1925.

[2] „Красный Архив“, 1938 г., т. 6 (91), стр. 122—130.

[3] А. С. Ерусалимский, Военная тревога 1875 года. Ученные записки Института истории РАНИИОН, т. 6, М., 1928, стр. 157.

ტიამ, ისევე როგორც მის მიერ შემდგომში გამოცემულმა წიგნმა[1], დიდი გამოხმაურება გამოიწვია.

სულ უფრო ცხადი ხდებოდა, რომ რუსეთი არასოდეს არ დაუჭერდა მხარს გერმანიის აგრესიას საფრანგეთის წინააღმდეგ. რუსეთის პოზიცია ამ საკითხში უკვე ცხადად ჩანდა პეტერბურგის მმართველი წრეების წარმომადგენლების არა ერთგზისი განცხადებიდან. რუსეთი არ დაუშვებდა საფრანგეთის ხელახლა დამარცხებას, მაგრამ მარტო ეს საკმარისი არ იყო საფრანგეთის უშიშროების უზრუნველსაყოფად. საჭირო იყო თვით საფრანგეთსაც მიეღო ზომები საკუთარი ძალების განმტკიცებისათვის.

რუსეთი ყურადღებას აქცევდა საფრანგეთის ეკონომიკის აღდგენას და მისი შეიარაღებული ძალების ზრდას. 1875 წლის 5 თებერვალს საფრანგეთის ელჩს პეტერბურგში გენერალ ლე ფლოს გორჩაკოვმა უთხრა: „მე შემიძლია გითხრათ მხოლოდ ერთი რამ: იყავით ძლიერი! იყავით ძლიერი“![2] ამ საუბარში გორჩაკოვმა დაგმო ბისმარკის მოქმედება, რომელიც ძალად ართულებდა საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულებას. მას ყველაფერში დამნაშავედ საფრანგეთი გამოჰყავდა. „აი რატომაა,—განაგრძო გორჩაკოვმა,—რომ მე ისევ გიმეორებთ: გაძლიერდით, რაც შეიძლება გაძლიერდით, ეს იქნება საუკეთესო საშუალება“. ამ სიტყვებში ლე ფლომ დაინახა გორჩაკოვის „სურვილი და იმედი“[3]. გორჩაკოვი ამ შემთხვევაში გამოდიოდა რეალური პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესებიდან. მართალია, რუსეთი ინარჩუნებდა კარგ ურთიერთობას გერმანიასთან სამი იმპერატორის კავშირის გაფორმებამდეც კი, მაგრამ რუსეთის მთავრობა გამოდიოდა საკუთარი ინტერესებიდან, ხელს უწყობდა საფრანგეთის გაძლიერებას და არ სურდა გერმანიისაგან მისი ხელახლა განადგურება. ამის შემდეგ, ცხადია, არ შეიძლებოდა დადებითი შედეგები მოჰყოლოდა ფონ რადოვიცის მისიას პეტერბურგში. იგი მართლაც ჩაიშალა. გერმანიამ ვერ შესძლო საფრანგეთის იზოლირება რუსეთისაგან და რუსეთის მხარდაჭერის მიღება საფრანგეთის წინააღმდეგ.

---

[1] E. Daudet, Histoire diplomatique de l'Alliance franco-russe, 1873—1893. Paris, 1894.

[2] „Doc. Dipl. Fr.“, I sèrie. t. I, doc. № 354. p. 370.

[3] Ibid., p. 371.

გერმანიამ გადაწყვიტა ემოქმედა დამოუკიდებლად. ახლა ბისმარკის მიზანი იყო ბელგიის, ლუქსემბურგისა და ბელფორის დაკავება, აქედან შეტევა საფრანგეთზე, მისი კვლავ დამარცხება და 10 მილიარდი კონტრიბუციის მიღება. მაგრამ მაშინვე ცხადი გახდა, რომ გერმანიის ყოველგვარი მოქმედება ბელგიის მიმართ მიზნად ისახავდა საბოლოო ჯამში გერმანიის გამოსვლას საფრანგეთის წინააღმდეგ. ბისმარკი ამ შემთხვევაშიც მხილებულ იქნა.

საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის მორიგი გართულების „მიზეზი", როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იყო საფრანგეთის შეიარაღებული ძალების ზრდა. ეს ფაქტი ბერლინში გამოიყენეს ახალი სამხედრო განგაშის გასაღვივებლად. გერმანიის პრესა გაჰყვიროდა საფრანგეთის შეიარაღებული ძალების „კოლოსალურ და სწრაფ ზრდაზე", რევანშის აშკარა საშიშროებაზე საფრანგეთის მხრიდან. ფ. ენგელსი აღნიშნავდა: „გერმანიის იმპერიის დაქირავებულმა პრესამ კვლავ მიიღო ბრძანება აეტეხა სამხედრო განგაში"[1]. ცხადია, სამხედრო ძლიერების მხრივ საფრანგეთი ვერ შეედრებოდა გერმანიას. იმ პერიოდში გერმანიის ყველა სახის ჯარების საერთო რიცხვი შეადგენდა 1 723 148 კაცს, ხოლო საფრანგეთისა კი—950 ათასს[2]. ასე რომ, გერმანიის არმია როგორც რიცხობრივად, ისე ხარისხობრივად უფრო ძლიერი იყო საფრანგეთის არმიაზე. ეს ცხადჰყო ფ. ენგელსმა თავის ნაშრომში „ოფიციალური ღმუილი ომის შესახებ"[3]. ამდენად, სამხედრო თვალსაზრისით, ამ დროს ომი საფრანგეთთან ხელსაყრელი იქნებოდა გერმანელი მილიტარისტებისათვის. გარდა ამისა, სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა გერმანიის არმიის შემდგომი შეიარაღება, რაც უნდა დამთავრებულიყო 1875 წლის ივნისის ბოლოსათვის. ამიტომ ენგელსი დაასკვნიდა: „ჩვენ ვხედავთ, რომ მილიტარიზმის ნამდვილი წარმომადგენელია არა საფრანგეთი, არამედ პრუსიული ეროვნების გერმანიის იმპერია"[4].

ასეთ ვითარებაში გერმანიის ომი საფრანგეთის წინააღმდეგ საშიში იყო. რუსეთის ელჩი პარიზში გრაფი ორლოვი წერდა,

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XV, стр. 205.
[2] იქვე, გვ. 211.
[3] იქვე, გვ. 205—213.
[4] იქვე, გვ. 212.

რომ ამ ომს, რომელიც იოლი იქნებოდა გერმანიისათვის, შეეძლო საფრანგეთი გაენადგურებინა [1].

საკუთრივ გერმანიაშიც ბევრმა იცოდა, რომ საფრანგეთს ახლა რევანშის თავი არ ჰქონდა. თვით არნიმიც სწერდა პარიზიდან ამის შესახებ თავის მთავრობას. ამდენად, ბისმარკის მიერ ატეხილი განგაში, საფრანგეთის მხრიდან საშიშროების შესახებ, პროვოკაციული იყო. ბისმარკი და მისი თანამოაზრეები თავის საქმეს აგრძელებდნენ. ბერლინიდან სულ უფრო საგანგაშო ცნობები მოდიოდა. ხოლო საფრანგეთის პრესა სდუმდა, ყოველ შემთხვევისათვის ცდილობდა არ გაემწვავებინა სამხედრო განგაში. მეორე მხრივ, საფრანგეთის მმართველ წრეებს საქმის კურსში ჰყავდათ პეტერბურგი.

1875 წლის 12 მარტს დეკაზი პეტერბურგში საფრანგეთის საქმეთა რწმუნებულ ფავერნეისადმი გაგზავნილ ინსტრუქციაში წერდა: „ჩვენს კმაყოფილებას იწვევს და ასევე უშიშროების საწინდარს წარმოადგენს იმის შეგნება, რომ რუსეთი იმავე თვალსაზრისზე დგას, რაზედაც ჩვენ. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს სახელმწიფო მისთვის შესაფერისი ავტორიტეტით შესძლებს ბოლო მოუღოს, როგორც მან არა ერთხელ ცხადყო ამაში თავისი სურვილი, უთანხმოებისა და კონფლიქტების მიზეზებს, რომლებსაც შეუძლიათ საშიშროება შეუქმნან მშვიდობის შენარჩუნებას“ [2].

რუსეთი ამ საკითხში თავის ადრინდელ პოზიციაზე რჩებოდა. საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის უკიდურესი გამწვავების მომენტში გორჩაკოვმა (1875 წ. 20 აპრილი) ლე ფლოს განუცხადა: „კიდევ ერთხელ გარწმუნებთ, რომ რუსეთი მთელ ძალებს მიმართავს იქითკენ, რათა შეკავებულ იქნეს ბერლინის მოუთმენლობა და მოხდეს იქ მშვიდობისა და ზომიერების იდეების ზეიმი“ [3].

უფრო პირდაპირი იყო იმპერატორ ალექსანდრე II საუბარი საფრანგეთის ელჩთან [4], ამის შესახებ ლე ფლო წერს: „მის უდიდებულესობას (იმპერატორს — ი. ტ.) არ სჯერა, რომ გერმანიას სერიოზულად უნდა ომის განახლება“ [5]. იმპერატორთან ელჩის საუბარში ჩანდა საფრანგეთის სასარგებლოდ საქმეებში რუსეთის ჩარევის თხოვნა. საფრანგეთი — განაცხადა ელჩმა — „იმედოვნებს

---

[1] „Красный Архив", 1938, т. 6 (91), стр. 124.
[2] „Doc. Dipl. Fr.", I, séire, t. I, doc. № 370, p. 384.
[3] Ibid., doc. № 393, p. 413.
[4] Ibid., p. 413—414.
[5] Ibid., p. 413.

თქვენი ძლიერი ჩარევით (puissante intervention) თავიდან აიცდენს იმ საშიშროებას, რომელიც მას ემუქრება". ამაზე ალექსანდრე II უპასუხა: „რაც არ უნდა მოხდეს, შეუძლებელია თქვენთან უმიზეზოდ ომის დაწყება, თქვენ კი საბაბს არ აძლევთ" [1].

შემდეგ იმპერატორმა განაგრძო: „მაგრამ თუ სხვანაირად მოხდება, ე. ი. თუ გერმანია დაიწყებს ომს უსაფუძვლოდ ან უმიზეზოდ, ის ამით თავის თავს დაუპირისპირებს მთელს ევროპას და აღმოჩნდება იგივე მდგომარეობაში, როგორშიც ბონაპარტე 1810 წელს". იმპერატორის აზრით, ეს იქნებოდა გერმანიისათვის „საშიში და სარისკო" [2].

შემდეგ იმპერატორმა კიდევ უფრო დაამშვიდა საფრანგეთის წარმომადგენელი: „ნუ ღელავთ, ძვირფასო გენერალო, დაამშვიდეთ თქვენი მთავრობა და გადაეცით მას, რომ, ორივე ჩვენს ქვეყანას საერთო ინტერესები აქვს. მე ვიმედოვნებ, ჩვენი ურთიერთობა დარჩება ისეთი, როგორიც დღესაა, კარგი და გულითადი... თქვენ ამას გაიგებთ ძალიან სწრაფად, თუ თქვენ ერთხელ კიდევ აღმოჩნდებით მუქარის წინაშე". და ცოტა ხნის პაუზის შემდეგ იმპერატორმა დასძინა: „თქვენ ამას გაიგებთ ჩემგან" [3]. ალექსანდრე II კანონიერად მიაჩნდა ის ღონისძიებები, რომლებსაც საფრანგეთის მთავრობა ატარებდა საერთოდ. იგი ვერ ხედავდა მიზეზს, რომლის საფუძველზედაც გერმანიას შეეძლო ომი გამოეცხადებინა საფრანგეთისათვის.

საფრანგეთის ელჩი აღფრთოვანებული იყო რუსეთის მთავრობის ასეთი პოზიციით. იგი წერდა პარიზში, რომ რუსეთმა მისცა საფრანგეთს „უშიშროების უდავო ელემენტი" [4].

მეორე წერილში ლე ფლო ატყობინებდა თავის მინისტრს, რომ პეტერბურგში შეგროვილი მასალების საფუძველზე იგი დარწმუნებულია, რომ რუსეთი წინააღმდეგობას გაუწევს პრუსიის სამხედრო განწყობილებასა და აგიტაციას. ლე ფლოს აზრით, რადოვიცის მისია მთლიანად ჩაიშალა [5].

1875 წლის 29 აპრილს რუსეთის ელჩი პარიზში გრაფი ორლოვი გორჩაკოვს სწერდა, რომ საფრანგეთის მთავრობა მთელ

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc № 393, p. 413.
[2] Ibid., p. 413—414.
[3] Ibid., p. 414.
[4] Ibid.
[5] Ibid

იმედებს რუსეთის კეთილგანწყობაზე ამყარებსო[1]. იმავე წლის 8 მაისს გრაფი ორლოვი ატყობინებდა გორჩაკოვს იმ საუბრის შინაარსს, რომელიც მასთან ჰქონდა საფრანგეთის პრეზიდენტ მაკ-მაჰონს. ორლოვი წერდა, რომ საფრანგეთი „არ მოითხოვს არც არბიტრაჟს, არც შუამავლობას. ის ანდობს საფრანგეთს იმპერატორის (რუსეთის—ი. ტ.) მფარველობას"[2].

საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტში რუსეთის მტკიცე პოზიციას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გზით კიდევ ერთხელ გახდა შესაძლებელი ევროპაში მშვიდობის შენარჩუნება. 1875 წლის აპრილის მეორე ნახევარში მდგომარეობა შეიცვალა. გაზეთებმა ტონი შესცვალეს გერმანიაში. ბერლინმა უკან დაიხია. რუსეთმა ამ შემთხვევაშიც დიდი დახმარება აღმოუჩინა საფრანგეთს. სრულიად სამართლიანად აღნიშნავს პროფესორი ა. მანფრედი: „რუსეთმა ამ შემთხვევაშიც თავისი პოზიციით აიძულა გერმანია შეეჩერებინა გაშლილი და ფართოდ მოფიქრებული შეტევა საფრანგეთის წინააღმდეგ და უკან დაეხია"[3].

გერმანია უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. როცა არაფერი გამოუვიდა, ბისმარკმა დაიწყო თავის მართლება. ვილჰელმ I, ბისმარკი და სხვები ამტკიცებდნენ, რომ თითქოს გერმანიის მხრიდან აგრესიის არავითარ ცდას არ ჰქონია ადგილი საფრანგეთის მიმართ.

როცა მორიგი ვიზიტით ბერლინში 1875 წ. მაისში ჩამოვიდნენ ალექსანდრე მეორე და გორჩაკოვი, აქ ერთმანეთს შეხვდნენ გორჩაკოვი და ბისმარკი. ბისმარკმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ის ღამეებს უძილოდ ათენებდა მშვიდობის შენარჩუნებისათვის, მაგრამ ევროპაში მის საქმიანობას არ აფასებდნენ და ეჭვის თვალით უყურებდნენ. გორჩაკოვმა უპასუხა, რომ სწორედ ეს მისი უძილო ღამეები არ აძლევენ მოსვენებას ევროპას. ბისმარკი მთელი საუბრის განმავლობაში ცდილობდა, დაერწმუნებინა გორჩაკოვი თავის კეთილგანწყობილებაში საფრანგეთის მიმართ. გორჩაკოვის შენიშვნაზე, რომ ფელდმარშალ მოლტკეს არა ერთხელ გამოუთქვამს აზრი საფრანგეთთან მომავალი ომის შესახებ, ბისმარკმა უპასუხა: „პოლიტიკაში ის (მოლტკე--ი. ტ.) უსუსურია"[4].

---

[1] „Красный Архив", 1938, т. 6 (91), стр. 123.

[2] იქვე, გვ. 129.

[3] А. З. Манфред, Внешняя политика Франции 1871—1891 гг., стр. 158.

[4] „Красный Архив", 1938, т. 6 (91), стр. 139.

საფრანგეთის ელჩი ბერლინში გონტო-ბირონი თავის საგარეო საქმეთა მინისტრს დეკაზს სწერდა იმ საუბრის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთის ელჩსა და გორჩაკოვს შორის. გორჩაკოვმა უთხრა გონტო-ბირონს: „გერმანიის მუქარა თავისებური სამხედრო თამაშია, უკეთ რომ ვთქვათ, შეუძლებელია მან თქვენ ომი გამოგიცხადოთ ისე, რომ მთელი ევროპის გულისწყრომა და გაკიცხვა არ დაიმსახუროს"[1].

ალექსანდრე მეორისა და გორჩაკოვის ჩასვლას ბერლინში დიდი აღტაცებით შეხვდა საფრანგეთი. იქ კარგად იცოდნენ, რომ ბისმარკს არაერთი სახელმწიფო მოღვაწე ჰყავდა მოტყუებული, მაგრამ მან ვერ შეძლო გორჩაკოვის შეცდომაში შეყვანა. ორლოვი სწერდა გორჩაკოვს, რომ ამის შესახებ პარიზში იციან და ეს ამშვიდებთ მათ[2].

1875 წლის 6 მაისს პეტერბურგიდან ლე ფლო სწერდა დეკაზს: რუსეთის ენერგიული მოქმედების შედეგად საფრანგეთმა გაიმარჯვა, „ჩვენ მივაღწიეთ უდიდეს, შეიძლება ითქვას, მოულოდნელ შედეგებს"[3].

ბერლინიდან გამგზავრების წინ გორჩაკოვმა დაუგზავნა რუსეთის ყველა საელჩოებს და მისიებს შემდეგი შინაარსის დეპეშები: „იმპერატორი ტოვებს ბერლინს სრულიად დარწმუნებული იმ მშვიდობისმოყვარული განზრახვით, რომელიც აქ მეფობს. მშვიდობიანობის შენარჩუნება უზრუნველყოფილია"[4]. თუმცა ეს დეპეშა საიდუმლო იყო, მაგრამ მალე იგი ყველამ გაიგო, მისი შინაარსის მიხედვით გამოდიოდა, რომ მხოლოდ რუსეთის მოქმედების შედეგად გადარჩა საფრანგეთი მეორეჯერ განადგურებას. ეს აზრი უფრო გააძლიერა იმ ამბავმა, რომ დეპეშა შეცდომით იქნა დაბეჭდილი. სიტყვების—„მშვიდობიანობის შენარჩუნება უზრუნველყოფილია"—ნაცვლად დაბეჭდილ იქნა „ამჟამად მშვიდობიანობა უზრუნველყოფილია". ამრიგად, გამოდიოდა, რომ მშვიდობიანობა უზრუნველყოფილ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბერლინში ჩამოვიდა რუსეთის იმპერატორი. ამან ბისმარკი გაცოფებამდე მიიყვანა, მაგრამ რა უნდა ექნა. მას უნდოდა ლოკალიზებული ომი საფრანგეთთან და არა მთელ ევროპასთან.

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série. t. I, doc. № 302, p. 332.
[2] „Красный Архив", 1938, т. 6 (91), стр. 123.
[3] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. I, doc. № 404, p. 439.
[4] „Красный архив", 1938, т. 6 (91), стр. 135.

საფრანგეთის პოლიტიკური მოღვაწეები, პრესა აშკარად აღიარებდნენ, რომ რუსეთის პოზიციამ ჩაშალა გერმანიის ახალი აგრესიული გეგმები საფრანგეთის მიმართ და, მაშასადამე, ევროპა გადაარჩინა ომს. ამრიგად, დოკუმენტური მასალები პირდაპირ მიუთითებს, რომ საფრანგეთზე ხელახალ თავდასხმაში გერმანიას ხელი შეუშალა რუსეთის პოზიციამ. რუსეთის დიპლომატიის ენერგიული მოქმედების შედეგად ბისმარკმა ვერ განახორციელა თავისი აგრესიული გეგმები საფრანგეთის მიმართ და იძულებული გახდა უკან დაეხია.

1875 წელს, ზაფხულში, სამხედრო განგაშის პერიოდში, ბერლინის მმართველმა წრეებმა ერთხელ კიდევ დაინახეს, რომ საფრანგეთის მიმართ გერმანიის აგრესიის განხორციელების მთავარ ხელშემშლელ მიზეზს წარმოადგენს რუსეთი.

როგორი იყო ამ შემთხვევაში ინგლისის პოზიცია? ინგლისმა არ აღმოუჩინა საფრანგეთს დროული მხარდაჭერა. მართალია, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი დერბი არწმუნებდა საფრანგეთს, რომ არავითარი საშიშროება მოსალოდნელი არ იყო, მაგრამ ფაქტიურად ინგლისი საქმეებში ჩაერია მხოლოდ მაშინ, როდესაც რუსეთის აქტიური მოქმედების შედეგად ბოლო მოეღო ახალი ომის საშიშროებას საფრანგეთ-გერმანიას შორის. დოცენტი ი. ბორისოვის მოსწრებული შენიშვნით „ინგლისის მთავრობა შეეცადა მოემკა დათესვის გარეშე“ [1]. ინგლისს სურდა შესულიყო რუსეთის დიპლომატიის მიერ გაღებულ კარებში. 1875 წლის მაისის დასაწყისში, როცა ლონდონში დარწმუნდნენ, რომ რუსეთი არ დაუშვებდა საფრანგეთ-გერმანიის ახალ კონფლიქტს, ინგლისის დიპლომატიამ გადაწყვიტა ესარგებლა ამ მომენტით და მხოლოდ მაშინ ჩაერია საქმეში [2].

საფრანგეთში კარგად ესმოდათ საქმის ვითარება. ფრანგული გაზეთი „რეპუბლიკ ფრანსეზ“ წერდა: „ევროპა არასოდეს არ დაივიწყებს, რომ მშვიდობის საქმეში ის ახლა დავალებულია რუსეთის წინაშე“ [3].

---

[1] Ю. В. Борисов, Уроки истории Франции и современность, стр. 20.

[2] Ю. В. Борисов, Русско-французские отношения после франкфуртского мира, стр. 261.

[3] Ю. В. Борисов, Уроки истории Франции и современность, стр. 20.

ამრიგად, გადამწყვეტი როლი შეასრულა რუსეთმა და არა ინგლისმა. პოლ ლაფარგი წერდა: „...სწორედ რუსეთმა უზრუნველჰყო მშვიდობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის. ბისმარკი უდავოდ დიდი ხნით ადრე დაესხმოდა თავს საფრანგეთს, რათა დაექუცმაცებინა ის და სავსებით უვნებელეყო თავი საშიში მტრისაგან, მაგრამ მას აჩერებდა აღმოსავლეთიდან თავდასხმის შიში მაშინ, როცა მისი სამხედრო ძალები დაკავებული იქნებოდნენ დასავლეთში"[1].

ინგლისელი ისტორიკოსი გუჩი აღნიშნავს: „დედოფალ ვიქტორიას მიერ კაიზერისადმი მიწერილმა წერილმა მოახდინა გავლენა, მაგრამ, ფრანგების აზრით, მხოლოდ მეფისა და გორჩაკოვის ბერლინში ჩამოსვლამ ბოლო მოუღო გერმანიის თავდასხმის საშიშროებას, რომელიც ფრანგებს ემუქრებოდა"[2].

საფრანგეთში მშვიდობიანობის უზრუნველყოფაში გადამწყვეტ როლს აკუთვნებდნენ რუსეთის მეფეს. სწორედ ამიტომ საფრანგეთის პრეზიდენტმა მარშალმა მაკ-მაჰონმა და ასევე ტიერმაც მადლობა შეუთვალეს რუსეთის იმპერატორს[3]. უფრო გვიან, 80-იან წლებში, გენერალი ბულანჟე თავის წერილით სთხოვს ალექსანდრე III გადაარჩინოს საფრანგეთი ისევე, როგორც ეს გააკეთა რუსეთმა 1875 წელს[4].

ამრიგად, 1875 წლის ამბები ჩვენ ნათლად გვიჩვენებს ბისმარკის საგარეო პოლიტიკის არსს. გერმანიის კანცლერის მიზანი იყო საფრანგეთის იზოლაცია. იმ შემთხვევაში, თუკი ბისმარკი შესძლებდა საფრანგეთთან პირისპირ შეხვედრას სხვა სახელმწიფოების ჩარევის გარეშე, გერმანია კვლავ დაამარცხებდა მას. ამის მიღწევა ბისმარკს სურდა ჯერ დიპლომატიური გზით, მაგრამ თუ ეს არ იქნებოდა საკმარისი, მზად იყო გამოეყენებინა შეიარაღებული ძალებიც. ბისმარკის პოლიტიკის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მას ეშინოდა ორ ფრონტზე ბრძოლისა. „ისტორიიდან ცნობილია, რომ გერმანია ყოველთვის იგებდა ომებს, თუ იგი ერთ ფრონტზე იბრძოდა, და, პირიქით, აგებდა ომს, როცა იგი იძულებული იყო ორ ფრონტზე ეომნა"[5].

---

[1] П. Лафарг, соч., т. 1, М., 1925, стр. 127.
[2] Г. П. Гуч, История современной Европы, М. 1925, стр. 98.
[3] „Красный Архив", 1938, т. 6 (91), стр. 129.
[4] „Красный Архив", 1926, т. 14, стр. 260—262.
[5] ი. ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ, თბილისი, 1947 წ., გვ. 151—152.

ამრიგად, ლოკალიზებული ომი საფრანგეთის მიმართ წარმოადგენდა ერთადერთ გამოსავალს გერმანიის კანცლერისათვის. 1870—1871 წწ. გერმანიამ ომი იმიტომ მოიგო, რომ მან შესძლო მიეღწია რუსეთის, იტალიისა და ავსტრიის ნეიტრალიტეტისათვის.

1875 წლის გაზაფხულის ამბებმა თავისებური გავლენა მოახდინა საერთაშორისო მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. ბისმარკი დარწმუნდა, რომ რუსეთი არ დაუშვებდა საფრანგეთის შემდგომ დასუსტებას. 1875 წლის სამხედრო განგაშის შემდეგ ბისმარკი ცდილობდა უფრო მჭიდროდ დაკავშირებოდა ავსტრია-უნგრეთს. ცნობილია, რომ უკვე 1875 წ. მაისში, ავსტრიის ელჩის ბერლინში კაროლის საშუალებით, ბისმარკსა და ანდრაშის შორის მოხდა აზრთა კონფიდენციალური გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროს ბისმარკი ავითარებდა აზრს, რომელშიც იყო ავსტრია-გერმანიის შემდგომი კავშირის ჩანასახი. ავსტრიასთან დაახლოებას კი, ადრე თუ გვიან, უნდა გამოეწვია განხეთქილება რუსეთთან. ამ ამბების მსვლელობაში შეიძლება დავინახოთ პირველი, მართალია, ჯერ კიდევ არა მტკიცე. დიპლომატიური დაჯგუფების ჩანასახი, რომელმაც შემდეგში მიგვიყვანა სამთა კავშირისა და სამთა შეთანხმების შექმნამდე.

მართალია, საფრანგეთსა და გერმანიას შორის ინციდენტი მოგვარებულ იქნა,როგორც დეკაზი სწერდა ლე ფლოს, ევროპა გაალვიძა რუსეთის ხმამ, მაგრამ ბისმარკი სამუდამოდ ნაწყენი დარჩა გორჩაკოვზე. ეს ჩანს ბისმარკის მემუარებიდან, სადაც ლაპარაკია ამ ინციდენტზე. რუსეთმა თავისი მტკიცე პოლიტიკის საშუალებით არა მარტო ბოლო მოუღო საფრანგეთ - გერმანიის ურთიერთობის კრიზისს, არამედ საფრანგეთი გაათავისუფლა საშიშროებისაგან და უზრუნველყო მისი შემდგომი განვითარება. მთელი რიგი წლების განმავლობაში საფრანგეთმა არ იცოდა მისცემდნენ თუ არა მას საშუალებას აღედგინა თავისი ძალები და ისევ დაეკავებინა თავისი ადგილი ევროპის დიდ სახელმწიფოებს შორის. ეს საკითხი გადაწყდა საფრანგეთის სასარგებლოდ.

ამ პერიოდში რუსეთის როლის შესახებ აი რას წერდა გონტო-ბირონი დეკაზისადმი მიწერილ წერილში: „მადლობა ღმერთს, ჩვენ გამოვედით ამ საშინელი კრიზისიდან. ჩვენ იქიდან გამოვედით გაცილებით უკეთესად, ვიდრე მე მეგონა, და ამით ჩვენ, ცხადია, დავალებული ვართ რუსეთის იმპერატორის წინაშე“ [1].

---

[1] G. Hanotaux, Histoire de la France contemporaine, t. III, p. 275.

ასეთივე აზრს გამოსთქვამს დეკაზიც. დეკაზის აზრით, საფრანგეთს მეტი იმედი უნდა ჰქონდეს რუსეთის, ვიდრე ინგლისისა [1].

როგორც კრიზისის პერიოდში, ისე მის შემდეგაც რუსეთის პრესა მოითხოვდა საფრანგეთთან ურთიერთობის განმტკიცებას. რუსეთის პრესა ამტკიცებდა, რომ სამი იმპერატორის კავშირი ვერ უზრუნველყოფდა მშვიდობიანობას ევროპაში [2].

1875 წლის სამხედრო განგაშის ლიკვიდაციაში რუსეთის გადამწყვეტი როლი აშკარად დაინახეს ბერლინშიც. მაგრამ ბისმარკი იმედს არ კარგავდა. 1876 წელს ბისმარკმა პირდაპირ შესთავაზა პეტერბურგს მხარდაჭერა ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკისადმი აღმოსავლეთში. სამაგიეროდ რუსეთს უნდა ეცნო ელზას-ლოთარინგია გერმანიის საკუთრებად.

გერმანია უბიძგებდა რუსეთს, რათა ეს უკანასკნელი ფართოდ ჩაფლულიყო აღმოსავლეთის საკითხში. ამას სწრაფად მიხვდნენ პარიზში. როცა გამწვავდა აღმოსავლეთის საკითხი და ამის საფუძველზე გართულდა ურთიერთობა რუსეთ-თურქეთსა და რუსეთ-ინგლისს შორის, საფრანგეთის დიპლომატია ცდილობდა საქმე არ მისულიყო ომის გაჩაღებამდე. ვინაიდან რუსეთის ჩაბმა აღმოსავლეთის ომში ხელფეხს შეუკრავდა ამ უკანასკნელს, რაც საშუალებას მისცემდა გერმანიას თავისუფლად ემოქმედა ევროპაში.

რუსეთი როცა თურქეთთან ომით იყო დაკავებული, გერმანიამ გამოიყენა შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ და ბისმარკმა კვლავ დაიწყო აქტიური მოქმედება საფრანგეთის წინააღმდეგ. ბისმარკმა თავისი პირველი შეტევა მიმართა ბერლინში საფრანგეთის ელჩის გონტო-ბირონის წინააღმდეგ და მოითხოვა გერმანიიდან მისი გაწვევა. დეკაზი ისმენდა ამის შესახებ გერმანიის ელჩის ჰოჰენლოეს პროტესტებს, აღუთქვამდა მას, რომ შეასრულებდა ბისმარკის სურვილს, მაგრამ გადიოდა დღეები და გონტო-ბირონი ადგილზე რჩებოდა. მაშინ ბისმარკმა შეწყვიტა საფრანგე-

[1] G. Hanotaux, Histoire de la France contemporaine, t. III, p. 261.

[2] 1875 წლის კრიზისის ერთადერთი სწორი და სრული გაშუქება მოგვცეს საბჭოთა მეცნიერებმა ა. ერუსალიმსკიმ, ვ. ხვოსტოვმა, ა. მანფრედმა, ა. ბორისოვმა იხ. А. С. Ерусалимский, Военная тревога 1875 г., „Ученные записки Института истории РАНИИОН, т, 6, 1928, стр. 146—184; В. М., Хвостов, История дипломатии, т. 2, гл. 1; А. З. Манфред, Из предистории франко-русского союза, „Вопросы истории", 1947, № 1, стр. 24—52; А. З. Манфред, Внешняя политика Франции 1871—1891 гг., М., 1952, стр. 137—179; Ю. В. Борисов, Русско-французские отношения 1871—1875 гг., 1951, стр. 199—270.

თის ელჩის მიღება. მას ანგარიშს არ უწევდა. ეს მდგომარეობა ორ წელიწადს გრძელდებოდა.

გერმანიის დიპლომატიის აქტიურობა პეტერბურგშიც არ შეწყვეტილა. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ბისმარკი პირდაპირ აყენებდა საკითხს: გერმანია რუსეთს მხარს დაუჭერდა აღმოსავლეთის საკითხში, თუკი რუსეთი აღიარებდა ელზას-ლორენს გერმანიის საკუთრებად [1].

პრუსიის მინისტრ ლ. ფონ ბალჰაუზენთან საიდუმლო საუბარში აღმოსავლეთის საკითხთან დამოკიდებულების შესახებ ბისმარკმა თქვა: „ჩვენთვის, აღმოსავლეთში გართულებების შემთხვევაში, შეიძლება წამოიჭრას საკითხი მხოლოდ რუსეთისაგან ელზასზე გარანტიის მიღების შესახებ და ამ კომბინაციის გამოყენებაზე, რათა ერთხელ კიდევ ძირფესვიანი ზეგავლენა მოვახდინოთ ფრანგებზე" [2].

რუსეთის სამხედრო მინისტრი დ. მილუტინი შენიშნავდა: „ბისმარკი სთავაზობდა რუსეთს აღმოსავლეთის საკითხში არა მარტო დიპლომატიურ მხარდაჭერას, არამედ მატერიალურ დახმარებასაც: ჯარით და ფულით, მხოლოდ, თუ ჩვენ საშუალებას მივცემდით გერმანიას ხელის შეუშლელად გასწორებოდა საფრანგეთს" [3]. მაგრამ რუსეთმა არ მიიღო გერმანიის წინადადება. გორჩაკოვმა გერმანიის ელჩს უბრის განუცხადა, რომ „რუსეთს არ შეუძლია თანაუგრძნოს გერმანიის მტრულ ზრახვებს საფრანგეთის წინააღმდეგ, მაგრამ, მეორე მხრივ,—საფრანგეთთანაც არ დებს რაიმე შეთანხმებას" [4].

რუსეთი ისევ არ შეუთანხმდა გერმანიას საფრანგეთის წინააღმდეგ, მიუხედავად იმისა, რომ „...შეთანხმება გერმანიასთან და ღალატი საფრანგეთის მიმართ აძლევდა რუსეთს აღმოსავლეთში ექსპანსიის ზოგიერთ პერსპექტივას, მაშინ, როდესაც საფრანგეთთან დაახლოება აძნელებდა ასეთ ექსპანსიას" [5].

ამ პერიოდში ბისმარკი ცდილობდა დაახლოებოდა ინგლისს. იგი აშინებდა ინგლისს: თუ ინგლისი არ დაუკავშირდებოდა გერ-

---

[1] Русско-германские отношения 1873—1914 гг., М., 1922, стр. 72—75.

[2] Lucius von Ballhausen, Bismarck—Erinnerungen. Stuttgart—Berlin, 1921, S. 93. იხ. В. М. Хвостов, Франко-русский союз и его историческое значение... стр. 633.

[3] Дневник Д. А. Милютина, т. 2, 1876—1877 гг., М., 1949, стр. 144.

[4] იქვე.

[5] В. М. Хвостов, Франко-русский союз и его историческое значение..., стр. 632.

მანიას, მაშინ გერმანია შეუთანხმდებოდა რუსეთს და მხარს დაუჭერდა მის პრეტენზიებს აღმოსავლეთში. ბისმარკის ეს ცდა ჩაიშალა, ბისმარკი არც რუსეთთან იყო გულწრფელი. იგი სინამდვილეში ავსტრია-უნგრეთს უჭერდა მხარს აღმოსავლეთის კრიზისის დროს.

საერთაშორისო ურთიერთობის გართულებამ და ბისმარკის ახალმა მოქმედებამ განგაში გამოიწვია საფრანგეთში. საფრანგეთის მთავრობამ ისევ რუსეთს მიმართა. 1877 წლის 30 იანვარს ლე ფლო შეხვდა გორჩაკოვსა და იმპერატორს. საუბრის შემდეგ ლე ფლო დეკაზს ატყობინებდა: „მე მქონდა შემთხვევა ამის შესახებ მესაუბრა თავად გორჩაკოვთან. მე ვუთხარი ამის შესახებ ორიოდე სიტყვა იმპერატორსაც და შემიძლია დაგარწმუნოთ თქვენ, რომ ისინი სიმპათიით არიან განწყობილი ჩვენდამი. მე სიამოვნებით ვადასტურებ ამ სასიამოვნო განწყობილებას, რომელიც წარმოადგენს ნუგეშს ჩვენი წარსული სევდისათვის და მნიშვნელოვან იმედს ჩვენი სამშობლოს მომავლისათვის“ [1].

1877 წლის მარტში ბისმარკმა ისევ უკან დაიხია, მან ვერ მიიღო რუსეთის მხარდაჭერა, ხოლო მის გარეშე კი ვერაფერი ვერ გააკეთა. საფრანგეთ-გერმანიას შორის ახალი დაძაბულობა შენელდა. საფრანგეთი გადარჩა გერმანიის ახალი თავდასხმისაგან. ამჯერადაც გადამწყვეტი როლი კვლავ რუსეთმა შეასრულა. ამრიგად, დაასკვნის პროფესორი ვ. ხვოსტოვი: „საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტის დროს გერმანიამ ვერ შესძლო რუსეთის ნეიტრალიტეტი ეყიდა აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკისადმი მხარდაჭერის ფასად“ [2].

1877 წლამდე რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა აღმავალი გზით მიდიოდა. რუსეთი გამოდიოდა გერმანიის ახალი აგრესიის წინააღმდეგ საფრანგეთის მიმართ. რუსეთის ეს მტკიცე პოზიცია საშუალებას არ აძლევდა გერმანიას განეხორციელებინა ახალი თავდასხმა საფრანგეთზე. საფრანგეთის მმართველი წრეების დიდი ნაწილი რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების მომხრე იყო. და როცა აღმოსავლეთის საკითხი—რუსეთისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინა პლანზე დადგა, საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა ესარგებლა ამ მომენტით. დაიკავა რა საფრანგეთის მთავრობამ ამ საკითხში რუსეთისათვის სასარგებლო პოზიცია, ამით მან დაანახა რუსეთს

[1] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. 2, doc. № 139, p. 142.

[2] В. М. Хвостов, Франко-русский союз и его историческое значение..., стр. 631.

პარიზის მმართველი წრეების კეთილგანწყობილება მისდამი. საფრანგეთის ელჩი პეტერბურგში მოითხოვდა თავის მთავრობისაგან მხარი დაეჭირა რუსეთისათვის აღმოსავლეთის საკითხში. ლე ფლო დეკაზს სწერდა: „ჩვენთვის ახლა დადგა გადამწყვეტი მომენტი. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ რუსეთს მტკიცედ, გადაჭრით, ორაზროვნების გარეშე. ვიმოქმედებთ რა ამრიგად, ჩვენ დავაკმაყოფილებთ მას, ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენთვის მის მადლობას და ამით დავსვამთ ახალი კავშირის პირველ სერიოზულ ნიშანსვეტს (le premier jalon sérieux), კავშირისა, რომელიც ერთადერთი იქნება და რომელსაც ჩვენ შეგვიძლია დავეყრდნოთ. ჩვენ დარწმუნებული ვართ მის უანგარობაში, იმპერატორის ლოიალობაში...“ [1].

1876 წელს კონსტანტინეპოლის კონფერენციაზე საფრანგეთის დელეგაციას დიპლომატი დე შოდორდი მეთაურობდა. კონფერენციაზე გამგზავრების წინ შოდორდი მიიღო პრეზიდენტმა მაკ-მაჰონმა. აძლევდა რა ინსტრუქციას შოდორდის, პრეზიდენტმა უთხრა: „თქვენ იმოქმედებთ რუსეთთან ერთად“ [2].

ასეთივე მითითება მისცა შოდორდის დეკაზმა იმავე წლის 19 ნოემბერს. დეკაზის ამ მითითებაში ლაპარაკია საფრანგეთის პოზიციაზე აღმოსავლეთისა და ბალკანეთის საკითხებში საერთოდ და სერბეთის, ჩერნოგორიისა და სხვ. საკითხებზე კერძოდ [3].

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. 2, doc. № 80, p. 86.

[2] E. Daudet, Histoire diplomatique de l'alliance franco-russe 1873—1893, p. 69.

[3] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. 2, doc. № 115, p. 112—117. 1877 წლის 14 ნოემბრის არჩევნებში გაიმარჯვეს რესპუბლიკელებმა. მაკ-მაჰონს და მის მომხრეებს ეგონათ, რომ გაიმარჯვებდნენ მონარქისტები. პრეზიდენტი მაკ-მაჰონი წინასაარჩევნო პერიოდში ამბობდა, რომ, თუ ახალი პარლამენტი არ იქნებოდა მისთვის სასურველი შემადგენლობის, ის მას დაითხოვდა. ამის შესახებ ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ლეონ გამბეტამ უპასუხა პრეზიდენტს: „როცა საფრანგეთი იტყვის თავის აზრს, დამერწმუნეთ მე, მაშინ თქვენ ან უნდა დაემორჩილოთ, ან უნდა გადადგეთ (se soumettre ou se demettre). 1877 წ. 19 ნოემბერს შეიქმნა ჰერცოგ დე ბროლის მთავრობა. მან რამდენიმე დღე იარსება. 23 ნოემბერს შეიქმნა მთავრობა გენერალ როშბიუეს მეთაურობით. იგი იყო რეაქციონერი, მაკ-მაჰონის კაცი. 24 ნოემბერს პალატამ არ დაამტკიცა ეს მთავრობა. ისევ დადგა დღის წესრიგში ლეონ გამბეტას ცნობილი ალტერნატივა: დაეთანხმე ან გადადექი. მაგრამ პრეზიდენტი თავისას არ იშლიდა. იგი ახლა სახელმწიფო გადატრიალებაზე ფიქრობდა. თუმცა მისი ეს გეგმა ჩაიშალა. მაკ-მაჰონი იძულებული გახდა დამორჩილებოდა. 13 დეკემბერს მან მთავრობის შექმნა დაავალა ჟიულ არმან დიუფორს. ეს იყო რესპუბლიკელების გამარჯვება და მაკ-მაჰონის დამარცხება.

1877 წლის 13 დეკემბერს საფრანგეთში შეიქმნა დიუფორის მთავრობა. მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა ვადინგტონმა. ამ დროიდან იწყება საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობაში ერთდაგვარი შენელება. ვადინგტონის საგარეო პოლიტიკას საფუძვლად ედო ეგოისტური ზრახვები საფრანგეთის ბურჟუაზიის ზედა ფენის ფინანსური ჯგუფისა, რომელიც მხოლოდ საკუთარ გამდიდრებაზე ფიქრობდა და კოლონიურ ექსპანსიაზე ოცნებობდა. სხვანაირი იყო ვადინგტონის პოზიცია აღმოსავლეთის საკითხში. იგი შიშს გამოთქვამდა იმის გამო, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დროს რუსეთის ჯარები მიუახლოვდნენ კონსტანტინეპოლს. მას უნდოდა რუსეთის მიერ თურქეთისადმი წაყენებული საზავო პირობები მისაღები ყოფილიყო დასავლეთის ქვეყნებისათვის [1]. საერთოდ, ვადინგტონის პოლიტიკამ დიდად შეუშალა ხელი რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების საქმეს.

1877 წლის 30 დეკემბერს გენერალ ლე ფლოსადმი გაგზავნილ ინსტრუქციაში ვადინგტონი მიუთითებდა ელჩს, რომ საფრანგეთი მეგობრულ განწყობილებაში იქნებოდა ორ სახელმწიფოსთან: როგორც ლონდონის კაბინეტთან, ისე რუსეთთანაც [2]. ამით იგი ცდილობდა შეეცვალა საფრანგეთის მმართველი წრეების პეტერბურგის მიმართ მანამდე აღებული კურსი.

ეს ის პერიოდია, როცა ბისმარკს ეგონა, რომ საფრანგეთთან შესაძლებელი იყო საერთო ენის გამონახვა, ის შეურიგდებოდა მომხდარ ფაქტს და დაივიწყებდა ელზას-ლორენს. „მე მინდა მივაღწიო იმას, რომ თქვენ აპატიოთ სედანი ისევე, როგორც თქვენ აპატიეთ ვატერლოო"—განუცხადა ბისმარკმა ერთ-ერთ საუბარში საფრანგეთის ელჩს ბერლინში [3].

საფრანგეთმა მტრული პოზიცია დაიკავა რუსეთის მიმართ რუსეთ თურქეთის ომის დროს და განსაკუთრებით ბერლინის კონგრესზე.

ამრიგად, საფრანგეთ-პრუსიის ომს მძიმე შედეგები მოჰყვა საფრანგეთისათვის. ამ ომის შედეგად შეიქმნა ახალი იმპერიალისტური სახელმწიფო—გერმანიის იმპერია, რომელიც გაცილებით უფრო სწრაფად ვითარდებოდა, ვიდრე იმ პერიოდში მოწინავე

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. 2, doc. № 223, p. 228—229; „Die Grosse politik", Bd. II. № 300; „La politique exterieure de l'Allemagne", t. 2, № 303.

[2] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. 2, doc. № 223, p. 229.

[3] E. Bourgeois et G. Pagés, Les Orgines et les Résponsabilités de la Grande Guerre, Paris, 1921, p. 307.

კაპიტალისტური ქვეყანა—ინგლისი. ძალთა თანაფარდობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის შეიცვალა ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ბისმარკი დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთი არ შეურიგდებოდა ფრანკფურტის ზავის შედეგებს და შეეცდებოდა რევანში აელო. ამიტომ ბისმარკი აუცილებლად სთვლიდა საფრანგეთის ხელახლა დამარცხებას, რათა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფეხზე ვერ დამდგარიყო. ამდენად მოსალოდნელი იყო გერმანიის ახალი აგრესია საფრანგეთის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში საფრანგეთს სერიოზულად უნდა ეფიქრა გერმანიის მხრიდან ახალი თავდასხმისაგან თავდაცვაზე. ეს გარემოება საფრანგეთის წინაშე ორ ამოცანას სახავდა: ქვეყნის გაძლიერებას და საიმედო მოკავშირის მონახვას. იმ პერიოდში საფრანგეთის მოკავშირე შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ რუსეთი. ამას აპირობებდა ის გარემოება, რომ რუსეთს არ სურდა საფრანგეთის შემდგომი დასუსტება, რადგან გერმანიის გაძლიერება და საფრანგეთის დასუსტება საშიშროებას უქმნიდა რუსეთსაც. ეს კი ქმნიდა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების შესაძლებლობას, თუმცა მათ შორის უშუალო კავშირის შექმნაზე ჯერ ლაპარაკი ნაადრევი იყო. ისეთ ვითარებაში, როდესაც ბისმარკი სისტემატურად აწყობდა ანტიფრანგულ პროვოკაციებს, რუსეთის პოზიციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა, ჩვენს მიერ განხილულ პერიოდში, ყოველთვის აღმავალი გზით როდი მიდიოდა, მაგრამ რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შენელების ცალკეულმა შემთხვევებმა საბოლოოდ ხელი ვერ შეუშალეს ამ ორ სახელმწიფოს შორის კავშირის შექმნას.

## თავი მეორე

## რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა 1878—1887 წწ.

ბერლინის კონგრესმა მუშაობა დაიწყო 1878 წლის 13 ივნისს და გაგრძელდა 13 ივლისამდე. იგი მოწვეულ იქნა ინგლისისა და ავსტრია-უნგრეთის ინიციატივით. ისინი უკმაყოფილო იყვნენ თურქეთზე რუსეთის გამარჯვების შედეგებით და სან-სტეფანოში დადებული საზავო ხელშეკრულების პირობებით [1].

ბერლინის კონგრესს ესწრებოდნენ რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, იტალიის, თურქეთის, სერბეთის, ჩერნოგორიისა და ირანის წარმომადგენლები. კონგრესს თავმჯდომარეობდა ბისმარკი [2].

კონგრესმა ცხადჰყო, ერთი მხრივ, სამი იმპერატორის კავშირის სისუსტე, ხოლო, მეორე მხრივ — ავსტრია-გერმანიის მეგობრობის განმტკიცება. ბერლინის კონგრესზე საფრანგეთის დელეგაცია, რომელსაც ვადინგტონი მეთაურობდა, ატარებდა ანტირუსულ პოლიტიკას. იგი იცავდა ინგლის-გერმანია-ავსტრია-უნგრეთის პოზიციას. ამრიგად, საფრანგეთმა უღალატა რუსეთს, იმ ერთადერთ ქვეყანას, რომელიც წლების განმავლობაში მხარს

---

[1] Ю. В. Ключников и А. Сабанин, Международная политика новейшего времени в договорах, нотах и декларациях. ч. I, М., 1925, стр. 220—223

[2] გერმანიის დელეგაციას მეთაურობდა ბისმარკი, რუსეთის დელეგაციას— გორჩაკოვი, ინგლისისას—ბიკონსფილდი, საფრანგეთისას—ვადინგტონი, ავსტრია-უნგრეთისას—ანდრაში, იტალიისას — კორტი, თურქეთისას — ყარათეოდორი-ფაშა. საბერძნეთის მთავრობის თხოვნით მის წარმომადგენლებს—დელიანისის და რანგაბეს უფლება მისცეს კონგრესზე გამოეთქვათ აზრი საბერძნეთის პრეტენზიების შესახებ. კონგრესმა მოისმინა აგრეთვე რუმინეთის წარმომადგენლების ბრატიანუსა და კოგოლნიჩანუს პრეტენზიები.

უჭერდა საფრანგეთს და იცავდა მას გერმანიის აგრესიის საშიშროებისაგან. საფრანგეთის დელეგაციის ასეთი პოზიცია რუსეთის მიმართ ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთის ინტერესებს. საფრანგეთის მმართველი წრეების მნიშვნელოვანი ნაწილი გმობდა ვადინგტონის ანტირუსულ პოლიტიკას. ამდენად, რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის ერთდაგვარი შენელება, რაც მოჰყვა რუსეთთან ვადინგტონის დამოკიდებულებას, არ შეიძლებოდა ხანგრძლივი ყოფილიყო.

ბერლინის კონგრესზე რუსეთის მოწინააღმდეგეებს ეშინოდათ რუსეთის პოზიციების განმტკიცებისა ბალკანეთსა და ახლო აღმოსავლეთში და ასევე რუსეთის მხარდაჭერისა ბალკანეთის სლავი ხალხებისადმი, რასაც, მათი აზრით, შეიძლებოდა მოჰყოლოდა დიდი სლავური სახელმწიფოს შექმნა ბალკანეთში.

კონგრესზე ბისმარკი მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთს რუსეთის წინააღმდეგ, ამით ის ხელს უწყობდა ავსტრია-გერმანიის დაახლოებას. კონგრესზე თავისი მოქმედებით გერმანიის კანცლერმა ანიშნა რუსეთის მთავრობას, რომ მისთვის ცხადია, რუსეთი არ დაეხმარება გერმანიას მისი გეგმების განხორციელებაში, კერძოდ, საფრანგეთის საბოლოო განადგურების საქმეში. ამიტომ ეუბნებოდა ბისმარკი გორჩაკოვს: გერმანია რჩება რუსეთის მხოლოდ „მეგობრად" და არა „მოკავშირედ". გორჩაკოვთან საუბარში ბისმარკმა განაცხადა: რუსეთში მე მთვლიან უმადურად. ეს სწორი არ არის. მე მზად ვიყავი მომეცა თქვენთვის გერმანიის სამხედრო ძალა, თუკი მე შევძლებდი მიმეღწია შეთანხმებისათვის ყველა ჩვენი საერთო ინტერესების საკითხში, ამ წინასწარი პირობის გარეშე მე არ შემეძლო ჩამება ომში ჩემი სამშობლო... ჩვენთვის მთავარია ელზას-ლოტარინგიის შენარჩუნება, თუ თქვენ უზრუნველჰყოფთ ჩვენთვის ამ პროვინციის შენარჩუნებას, მე მზად ვიქნები მოგყვეთ თქვენ „ცეცხლში და წყალში" („durch dick und dünn")[1]. ასეთ შემთხვევაში ბისმარკი თითქოს მზად იყო მხარი დაეჭირა რუსეთისათვის აღმოსავლეთის საკითხში.

მაგრამ ბისმარკის მსგავსი განცხადება საქმეს უკვე ვერ უშველიდა. წინააღმდეგობა და ერთმანეთისადმი უნდობლობა რუსეთ-გერმანიას შორის იზრდებოდა[2]. გორჩაკოვი სამართლიანად თვლი-

[1] „Красный Архив", 1922, т. I, стр. 73.

[2] ეს წინააღმდეგობა გაიზარდა ბერლინის კონგრესის შემდეგ. რუსეთის პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა ანტიგერმანული სტატიები. რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა გერმანია-ავსტრიის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების შემდეგ (1879 წლის ოქტომბერი). იხ. А. Дебидур, Указ. соч., стр. 502—503.

და, რომ გერმანიამ უღალატა რუსეთს. უნდა ითქვას, რომ ბისმარკი არასოდეს არ იყო გულწრფელი რუსეთის მიმართ აღმოსავლეთის საკითხში. იგი, ერთი მხრივ, ავსტრია-უნგრეთს აქეზებდა აღმოსავლეთისაკენ (რაც უდავოდ გაამწვავებდა რუსეთ-ავსტრიის ურთიერთობას), ხოლო, მეორე მხრივ, უმალავდა რა რუსეთს აღმოსავლეთის საკითხში გერმანიის პოლიტიკის ნამდვილ არსს, ხშირად აკეთებდა ცრუ განცხადებებს. მაგალითად, ბისმარკი ამბობდა: „აღმოსავლეთის საკითხი არ შეიძლება ჩვენთვის იყოს casus belli". მაგრამ ბისმარკი რუსეთს ვერ მოატყუებდა. მას საქმე ჰქონდა ძლიერ დიპლომატ გორჩაკოვთან, რომლის შესახებ პროფესორი ა. ერუსალიმსკი სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა: „...რუსეთის კანცლერი გორჩაკოვი იყო არა მარტო გამოჩენილი ორატორი, არამედ თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დიპლომატი"[1]. ბისმარკმა და გორჩაკოვმა კარგად გაუგეს ერთმანეთს. ბისმარკი გრძნობდა გორჩაკოვის ძლიერებას და ამიტომ ვერ იტანდა მას, მაგრამ არც გორჩაკოვი რჩებოდა ვალში.

მიუხედავად იმისა, რომ ბერლინის კონგრესზე საფრანგეთის დელეგაცია ატარებდა ანტირუსულ პოლიტიკას, რუსეთის მმართველი წრეები მაინც არ წავიდნენ გერმანიასთან რაიმე შეთანხმებაზე. ბისმარკმა მაინც ვერ მიაღწია თავის მიზანს. რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ერთგვარი შენელების პერიოდშიც კი ვერ მიაღწია მან რუსეთის ნეიტრალიტეტს ან კეთილმეზობლურ განწყობილებას საფრანგეთის საწინააღმდეგოდ.

საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ პეტერბურგში, მართალია, იზრდება სიმპათია საფრანგეთის მიმართ, მაგრამ, მეორე მხრივ, ურთიერთობა არ შემწყდარა რუსეთ-გერმანიას შორისაც. ამ ორ მეზობელ ქვეყანას შორის კვლავ ვითარდებოდა ეკონომიური, კულტურული, სამეცნიერო და ტექნიკური ურთიერთობა. თუმცა ბერლინის კონგრესმა ბევრი რამ ახალი გამოააშკარავა გერმანია-რუსეთის ურთიერთობაში: ცხადი გახდა ბისმარკის მოქმედება რუსეთის წინააღმდეგ; მისი მეგობრული ურთიერთობა ავსტრია-უნგრეთთან. ბერლინის კონგრესზე გერმანიის მოქმედების შეჯამებისას გორჩაკოვი ამბობდა: „ასეთ პირობებში რუსეთს ისღა რჩება, რომ ლი-

---

[1] А. С. Ерусалимский. Бисмарк как дипломат (вступительная статья). См. О. Бисмарк, Мысли и воспоминания, т. I, стр. XIII.

კვიდაცია უყოს მის წინანდელ მეგობრულ კავშირს გერმანიასთან და მომავალში მხოლოდ თავისთავის იმედი იქონიოს“ [1].

1878 წლის 13 ივლისს ბერლინის კონგრესმა დაამთავრა მუშაობა და ხელმოწერილ იქნა ტრაქტატი, რომელიც ცნობილია ბერლინის ტრაქტატის სახელწოდებით.

თუ ვინმე იყო კმაყოფილი ბერლინის კონგრესით, ეს შეიძლება ითქვას ინგლისზე, აგრეთვე ავსტრიასა და გერმანიაზე, რომლებმაც სარგებლობა ნახეს მიუხედავად იმისა, რომ ისინი მონაწილეობას არ ღებულობდნენ რუსეთ-თურქეთის ომში. ინგლისმა მიიღო კუნძული კვიპროსი და ამით საგრძნობლად გაიზარდა მისი საზღვაო სიძლიერე ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. ბერლინის კონგრესმა ავსტრიას ბოსნიისა და ჰერცეგოვინის სამხედრო ოკუპაციის და მმართველობის უფლება მისცა. ასეთმა ხელსაყრელმა პირობებმა ბალკანეთში ავსტრია წინ წასწია სალონიკისაკენ, დააყენა იგი უფრო ახლოს ხმელთაშუა ზღვასთან და კონსტანტინეპოლთან. მართალია, ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდრაშიმ ბისმარკის მხარდაჭერით მიღო ავსტრიის ჯარების მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაპყრობის უფლება, მაგრამ ანდრაშის დიპლომატიურ „გამარჯვებას“ მოჰყვა მძიმე შედეგები ავსტრია-უნგრეთისათვის: ბოსნიის და ჰერცეგოვინის ოკუპაციამ და ჰაბსბურგთა დინასტიის მიერ ჩაგრული სლავური მოსახლეობის რაოდენობის ზრდამ გააძლიერა ანტაგონიზმი ავსტრიელებსა და სლავებს შორის ქვეყნის შიგნით და გაამწვავა რუსეთ-ავსტრიის დამოკიდებულება.

რუსეთთან დამოკიდებულების გაუარესებას არც კი შეუწუხებია ბისმარკი. პირიქით, ამან ხელი შეუწყო მას უფრო მჭიდროდ დაახლოებოდა ავსტრიას. თუმცა სამხედრო თვალსაზრისით ავსტრია-უნგრეთი არ იყო ძლიერი, მაგრამ სტრატეგიულად მას კარგი პოზიცია ეკავა. ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, ანდრაშის, დიდიხანია სურდა გერმანიასთან დაახლოება რუსეთის წინააღმდეგ და ბისმარკმაც მას სიამოვნებით გაუწოდა ხელი. ანდრაშის აშინებდა რუსეთის გავლენის ზრდა ბალკანეთში. ანდრაში ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დამოუკიდებელი, ძლიერი

[1] Кравченко, Очерки из истории международных отношений конца XIX века и начала XX века, стр. 28.

სლავური სახელმწიფოს შექმნის სასტიკი წინააღმდეგი იყო, ვინაიდან, ასეთი სახელმწიფო მას არ მისცემდა ახლო აღმოსავლეთში ექსპანსიის გაფართოვების საშუალებას, თანაც გააძლიერებდა ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შემავალ სლავ ხალხთა მოძრაობას, რაც გამოიწვევდა ზემოხსენებული იმპერიის დაშლას[1].

გერმანია-ავსტრია-უნგრეთის სამოკავშირეო ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 1879 წ. 7 ოქტომბერს ვენაში გერმანიის ელჩ რაისისა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ანდრაშის მიერ (პირველად გამოქვეყნებულ იქნა 1888 წლის 3 თებერვალს). მიუხედავად იმისა, რომ ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულება საიდუმლო იყო, მისი შინაარსი შეატყობინეს ინგლისის მთავრობას, რომელიც კმაყოფილი დარჩა და მიესალმა ანტირუსული კავშირის შექმნას. ეს ხელშეკრულება განსაზღვრავდა გერმანიის საგარეო პოლიტიკის მიმართულებას 1918 წლამდე. ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულება შეთანხმებათა წრეში პირველი რგოლი იყო, რომელმაც მიგვიყვანა სახელმწიფოების კოალიციის შექმნამდე გერმანიის მეთაურობით და ევროპის ორ მტრულ ბანაკად გაყოფამდე. ავსტრია-გერმანიის კავშირი გაფორმებული იყო, როგორც თავდაცვითი კავშირი. სინამდვილეში კი ის წარმოადგენდა სამხედრო კავშირს რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ[2]. იგი იყო დასაწყისი იმ სამხედრო კოალიციებისა, რომლებიც ერთმანეთს შეეჯახნენ პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში. მისი ზუსტი შეფასება მოგვცა ი. ბ. სტალინმა პარტიის XIV ყრილობაზე: „გერმანიამ და ავსტრიამ დადეს ურთიერთდამოკიდებულების სრულიად მშვიდობიანი და სრულიად პაციფისტური ხელშეკრულება, რომელიც შემდეგ იმპერიალისტური ომის საფუძვლად გადაიქცა... ეს ხელშეკრულება იყო 1914 წლის იმპერიალისტური ომის პირდაპირი მომზადება“[3].

ხელშეკრულების პირველი მუხლი ავალდებულებდა ორივე მხარეს, რომელიმე მათგანზე რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში აღმოეჩინათ ერთმანეთისათვის დახმარება „თავიანთი იმპერიების

---

[1] 1879 წლის 24 სექტემბერს ბისმარკისა და ანდრაშის უშუალო მონაწილეობით შედგენილ იქნა ავსტრია-გერმანიის მომავალი ხელშეკრულების პროექტი. იხ. Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches 1871—1914, Bd. I, S. 130.

[2] История дипломатии, т. II, стр. 53—54.

[3] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 7, გვ. 301—302.

ყველა შეიარაღებული ძალებით"[1] და არ დაედვათ სეპარატული ზავი. მეორე მუხლით გათვალისწინებული იყო, რომ, თუ ერთ რომელიმე მხარეს თავს დაესხმოდა რომელიმე სხვა სახელმწიფო, ხელმომწერი მეორე მხარე დაიცავდა კეთილსასურველ ნეიტრალიტეტს. თუ თავდამსხმელ მხარეს დაეხმარებოდა რუსეთი, მაშინ ავტომატურად ძალაში უნდა შესულიყო ხელშეკრულების პირველი მუხლი[2]. აქ, ცხადია, იგულისხმებოდა საფრანგეთი.

მესამე მუხლი განსაზღვრავდა ხელშეკრულების ვადას; მეოთხე—ითვალისწინებდა მის საიდუმლოდ დაცვას და მეხუთე ხელშეკრულების რატიფიკაციის წესს.

გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმ I შეატყობინა ალექსანდრე II ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ. მაგრამ წერილი ბისმარკის მიერ იყო შედგენილი და არ იძლეოდა ხელშეკრულების შინაარსზე ნამდვილ წარმოდგენას.

ავსტრია-უნგრეთის ხელშეკრულების დადებამ გერმანიას ხელი შეუწყო გაეფართოებინა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა ბულგარეთში, სერბეთსა და თურქეთში. საერთოდ იგი ხელს უწყობდა გერმანიის იმპერიის ექსპანსიას ახლო და შუა აღმოსავლეთში. ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა ხუთი წლის ვადით[3].

რუსეთის წინააღმდეგ ხელშეკრულების დადებას მოჰყვა საფრანგეთის იზოლაციის ბისმარკის პოლიტიკის კრახი. ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულება აღმოჩნდა უამრავ გართულებათა წყარო[4].

ეხებოდა რა ავსტრია-გერმანიის კავშირის საკითხს, საფრანგეთის ელჩი ბერლინში დე სენ-ვალიე 1880 წ. 22 მარტს დე ფრეისინეს სწერდა, რომ ევროპასა და გერმანიაში თავისი პოპულარობის თვალსაზრისით ბისმარკს არასოდეს არ გაუკეთებია ისეთი

---

[1] B. E. Schmitt. Triple Alliance and Triple Entente, 1902—1914. „The American Historical Review", New York, 1924, vol. 29, № 3, p. 451; A. F. Pribram The secret Treaties of Austria—Hungary, 1879—1914. English translation, vol. I. p. 27.

[2] История дипломатии, т. II, стр. 53; Дипломатический словарь, т. 1, стр. 13—14; Ю. В. Ключников, И. А. Сабанин, Указ. соч., ч. I, стр. 232—233.

[3] გერმანიას ამ კავშირის საშუალებით უნდოდა შეენარჩუნებინა ევროპაში შექმნილი მდგომარეობა, გამოეყენებინა იგი საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ და ბალკანეთსა და თურქეთში ექსპანსიისათვის.

[4] История дипломатии, т. II, стр. 54.

დიდი საქმე, როგორც ავსტრიასთან დადებული კავშირია. ომისა და დაპყრობების გარეშე მან გააერთიანა გერმანიის ყველა სახელმწიფო ერთ პოლიტიკურ სისტემაში, სადაც გერმანული რასა სჭარბობდა [1].

1875 წლის სამხედრო განგაშის შედეგებმა ბისმარკს ნათლად დაანახა, რომ მარცხი, რომელიც საფრანგეთს მიაყენა 1870—1871 წწ. ომმა, თანდათანობით ქრებოდა და საფრანგეთი მალე დაიკავებდა თავის ძველ ადგილს ევროპის სახელმწიფოთა შორის. მისი შეშინება ახლა არც ისე ადვილი იყო. ამის საშუალებას არც რუსეთი მისცემდა გერმანიას. ბისმარკმა გადაწყვიტა საფრანგეთის იზოლაციის საკითხი გადაეჭრა სხვა გზით. იგი ცდილობს დაავიწყოს საფრანგეთს ელზას-ლორენის საკითხი, და მისი ყურადღება მიაქციოს კოლონიების მოპოვებას,—აი, როგორია ბისმარკის ახალი პოლიტიკა საფრანგეთის მიმართ. ასე მუშავდებოდა გერმანიის საფრანგეთთან დაახლოების პოლიტიკა. ამ ამოცანის სისრულეში მოსაყვანად, უპირველესად, საჭირო იყო საფრანგეთის ჩამოშორება რუსეთისაგან, რათა არ დაეშვათ რუსეთ-საფრანგეთის დაწყებული დაახლოების განვითარება. 1876 წელს აღმოსავლეთის კრიზისმა, 1877—1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომმა და ბერლინის კონგრესმა საქმე მიიყვანა 1879 წ. ორთა კავშირის გაფორმებამდე. ამიერიდან ბისმარკი უფრო მეტი ენერგიით შეუდგა თავისი გეგმების განხორციელებას საფრანგეთის მიმართ [2]. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ ერთგვარი ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ბისმარკისათვის საფრანგეთში.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთის მთავრობას სათავეში მემარჯვენე ბურჟუაზიულ-რესპუბლიკელები ჩაუდგნენ, საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე დაისვა ორი საკითხი: ან ქვეყნის

---

[1] E. Bourgeois et G. Pagès, Les Origines et les Résponsabilités de la Grande Guerre, p. 370—371.

[2] ელზას-ლორენში ბისმარკი ცდილობდა მოსახლეობის გაგერმანელებას. გერმანელებმა ელზას-ლორენის ქალაქებსა და სოფლებს დაარქვეს გერმანული სახელები. გერმანელი ექსპანსიონისტები ამტკიცებდნენ, რომ თითქოს ელზასისა და ლორენის მოსახლეობას სურდა გაგერმანელება. პანგერმანიზმის ერთ-ერთი თეორეტიკოსი ტრეიჩკე ამბობდა: „ჩვენ უფრო კარგად ვიცით რა უნდათ ელზასელებს, ვიდრე ელზასელებმა თვითონ" (Joseph Calmette. L'Europe et le péril allemand, Paris, 1947, p. 104).

მეტიც, ბერლინის მმართველი წრეები ნანობდნენ, რომ 1871 წელს გერმანელი გეოლოგები შეცდნენ და „ვერ ჩაიგდეს ხელში საფრანგეთის მთელი რკინის მადნეული" (Barry Corf. Elsace-Lorraine since 1870, New York, 1919, p. 120).

შინაგანი გამაგრება და რუსეთთან დაახლოება, ან კოლონიური პოლიტიკის დაწყება. საფრანგეთის საბანკო წრეები, ფინანსური ოლიგარქია, ზომიერი რესპუბლიკელების პოლიტიკური ხელმძღვანელობა მომხრე იყო მეორე გზის. ისინი ოცნებობდნენ იაფფასიან მოგებაზე და არ ფიქრობდნენ იმის შესახებ, თუ რას მოუტანდა ეს მათ სამშობლოს. ბერლინის მმართველი წრეები მხარს უჭერდნენ საფრანგეთში იმ ჯგუფს, რომელიც მიისწრაფოდა ახალი კოლონიური დაპყრობებისაკენ. ბისმარკი პირდაპირ ურჩევდა ამას საფრანგეთის ელჩს ბერლინში სენ-ვალიეს[1]. რაც შეეხება რუსეთთან დაახლოების საკითხს, რაც ერთადერთ სწორ გზას წარმოადგენდა საფრანგეთისათვის, ვადინგტონი გულგრილად ეკიდებოდა მას და, ცდილობდა რა გერმანელების მადლობა დაემსახურებინა, საჯაროდ გამოთქვამდა თავის მტრულ დამოკიდებულებას რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების საკითხისადმი. მან აღუთქვა გერმანიის ელჩს პარიზში, რომ საფრანგეთი გაატარებს გერმანიისა და ინგლისის მიმართ მეგობრულ პოლიტიკას. მართლაც, ვადინგტონის მოღვაწეობის ბოლო ხანებში საფრანგეთის მმართველი წრეები საბოლოოდ დაადგნენ კოლონიური პოლიტიკის გზას. ვადინგტონი სენ-ვალიეს სწერდა: „მე მგონია, რომ კანცლერს უნდა ჩვენ გვიხილოს ტუნისში"[2]. 1880 წ. სექტემბერში საფრანგეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგა ჟიულ ფერი, რომლის დროს საფრანგეთის მმართველმა წრეებმა კიდევ უფრო გააძლიერეს კოლონიური პოლიტიკა[3]. ჯერ კიდევ 1878 წ., ბერლინის კონგრესის მუშაობის პერიოდში, ბისმარკმა მიუთითა საფრანგეთის წარმომადგენელს ტუნისის დაპყრობაზე, სურდა რა ამით საფრანგეთის ყურადღება ჩამოეშორებინა ევროპის საქმეებისაგან.

ამ მხრივ საინტერესოა საფრანგეთის ელჩის ბერლინში სენ-ვალიეს საუბარი ბისმარკთან და ფონ ბიულოვთან[4]. როცა ბის-

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. II, doc. N 369, 380, 390, 440; E. Daudet La mission du comte Saint Vallier à Berlin, Paris, 1918.

[2] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. II, doc. N 368, p. 411.

[3] ინგლისელი პროფესორი ა. ტეილორი ამცირებს ევროპის სახელმწიფოების კოლონიური დაპყრობების მნიშვნელობას გასული საუკუნის 80-იან წლებში. იგი ამავე დროს ყოველმხრივ ამცირებს კოლონიურ წინააღმდეგობებს საფრანგეთ-ინგლისსა და გერმანია-ინგლისს შორის. ეხება რა დასავლეთის სახელმწიფოების კოლონიურ პოლიტიკას, ა. ტეილორი მთელ რიგ არასწორ დასკვნამდე მიდის. მისი აზრით, საფრანგეთის „კოლონიური ექსპანსია იყო, სინამდვილეში, სისუსტის შედეგი და არა ძლიერების გამომჟღავნება".

[4] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. II, doc. N 367, p. 369.

მარკთან საუბარში სენ-ვალიე შეეხო ტუნისის საკითხს, ბისმარკმა ელჩს განუცხადა: „მერე რა! მე მგონია, რომ ტუნისის მსხალი უკვე მომწიფდა და დადგა დრო თქვენთვის, რომ ის მოწყვიტოთ. ბეის თავხედობა აგვისტოს მზე იყო აფრიკის ამ ხილისათვის, რომელიც ახლა შეიძლება მალე გაფუჭდეს ან შეიძლება ვინმემ მოიპაროს, თუ მას თქვენ დიდხანს დატოვებთ ხეზე, მე არ ვიცი გიტაცებთ თუ არა ეს თქვენ ან რა გინდათ თქვენ გაიგოთ, მაგრამ მე გირჩევთ ამას...“[1].

იტალიას არ მოსწონდა საფრანგეთის მოქმედება ტუნისში, მაგრამ ამ საკითხში იტალიის მიმართ ბისმარკმა მტკიცე პოზიცია დაიკავა. ეხებოდა რა იტალიის მოქმედებას, ბისმარკმა სენ-ვალიეს უთხრა: „საკმარისია მე მათ (იტალიელებს—ი. ტ.) კბილები ვაჩვენო, რომ ისინი მაშინვე ჩაყვინთავენ. მაგრამ როგორც კი ზურგს შევაბრუნებ, ისინი ბავშვებივით თავს ამოყოფენ“ და შემდეგ: „... თუ მსოფლიოში სადმე ქორწილია, ეს არ არის საკმაო საბაბი იმისათვის, რომ მათ (იტალიელებს—ი. ტ.) საქორწილო ნამცხვარი მისცენ“[2].

ბისმარკი აქ ყოველგვარ უხეშ სიტყვებს ხმარობს იტალიელების მიმართ და დასძენს, რომ „მათ მადა მოუვიდათ კბილების ამოსვლამდე... ისინი თავის თავს თვლიან რომაელი კეისრების შთამომავლად და ავიწყდებათ, რომ უკანასკნელი იყო რომულუს ავგუსტულუსი“[3]. ტუნისში საფრანგეთის გაბატონება გამოიწვევდა საფრანგეთ-იტალიის ურთიერთობის გამწვავებას, მაგრამ ბისმარკს ეს აწყობდა. 1881 წ. მაისში ტუნისი დაპყრობილ იქნა და გამოცხადდა საფრანგეთის პროტექტორატად. 1881 წ. 13 მაისს სენ-ვალიე სწერდა საგარეო საქმეთა მინისტრ ბართელემ სენ-ილერს, რომ მას ბისმარკმა მიულოცა საფრანგეთის მიერ ტუნისის დაპყრობა[4]. ხოლო 16 მაისს იგივე ელჩი ატყობინებდა პარიზს, რომ გერმანიის იმპერატორმა მას გულითადად მიულოცა ტუნისის საქმის ასეთი მიღწევებით დამთავრება[5].

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. II, doc. N 369, p. 411; E. Bourgeois et G. Pagés, Op. cit., p. 365.

ტუნისი იყო აფრიკაში თურქეთზე ფორმალურად დამოკიდებული პატარა მუსლიმანური სახელმწიფო, რომელსაც მართავდა ბეი მოჰამედ სადოკი. 1881 წლის 12 მაისს საფრანგეთსა და ტუნისის ბეის შორის ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, ტუნისი გამოცხადდა საფრანგეთის პროტექტორატად.

[2] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. II, doc. N 369, p. 414.

[3] Ibid., p. 415.

[4] Ibid., t. IV, doc. N 2, p. 2.

[5] Ibid., t. IV, doc. N 2, p. 8.

ავსტრია-გერმანიის ხელშეკრულების დადების შემდეგ სწრაფი ტემპით ხდება გერმანია-იტალიის დაახლოება. ამ ორი ქვეყნის დაახლოებას ხელს უწყობდა საფრანგეთ-იტალიის წინააღმდეგობის ზრდა. ბისმარკი არწმუნებდა პარიზის მთავრობას, რომ, თუ იტალია გამოვიდოდა საფრანგეთის წინააღმდეგ, იტალიას მხარს არ დაუჭერდა ევროპის არც ერთი ქვეყანა, მათ შორის ინგლისიც [1]. მაგრამ ბისმარკმა კარგად იცოდა, რომ საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა გამოიწვევდა უკმაყოფილებას არა მარტო იტალიაში, არამედ ინგლისშიც, რასაც მოჰყვებოდა საფრანგეთის იზოლაცია ინგლის-იტალიისაგან. გერმანიის კანცლერის მიზანია—სწერდა სენვალიე თავის მთავრობას—„ჩვენი იზოლაცია, ინგლისთან და იტალიასთან ჩვენი შეჯახება" [2]. იმავე აზრისა იყო ამ საკითხზე საფრანგეთის ელჩი პეტერბურგში [3].

მეორე მხრივ, ბისმარკი დარწმუნებული იყო, რომ ისეთი დიდი სახელმწიფო, როგორიც იყო საფრანგეთი, ვერ გაჩერდებოდა საგარეო ექსპანსიის გარეშე და თუ საფრანგეთი თავის კოლონიურ მოთხოვნებს დაიკმაყოფილებდა აფრიკაში, ხმელთაშუა ზღვის რაიონსა და სხვ., მაშინ შეიძლებოდა შენელებულიყო მისი მისწრაფება დაკარგული პროვინციების—ელზას-ლორენის დაბრუნებისაკენ. ბისმარკის აზრით, „ალჟირში ან ლევანტში დაკმაყოფილებული საფრანგეთი—ეს არის რაინის ნაპირზე გერმანიის სიმშვიდის გარანტია" [4].

საფრანგეთის კოლონიურმა პოლიტიკამ აფრიკაში დააჩქარა გერმანია-იტალიის დაახლოება, ვინაიდან იტალიის მმართველ წრეებს საკუთარი აგრესიული გეგმები გააჩნდათ აფრიკის მიმართ. იტალიაში საფრანგეთის წინააღმდეგ მოკავშირეს ბერლინში ხედავდნენ. ამიტომაც 1882 წლის მაისში იტალია შეუერთდა ავსტრია-გერმანიის კავშირს [5]. გერმანიამ და ავსტრია-უნგრეთმა აღუთქვეს იტალიას მთელი თავიანთი ძალებით დახმარება იმ შემთხვევისათვის, თუ მას თავს დაესხმოდა საფრანგეთი. თავის

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. III, doc. N 418, p. 395.

[2] Ibid., t. IV, doc. N 39, p. 37.

[3] Ibid., t. IV, doc. N 58, p. 52—53.

[4] Ibid., doc. N 39, p. 38.

[5] გერმანიის, ავსტრია-უნგრეთისა და იტალიის ხელშეკრულების სრული ტექსტი იხ. Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches 1871—1914. Bd. I, S. 182—184; B. E. Schitt, Op. cit., p. 451; A. F.Pribram, Op. cit., p. 67.

მხრივ, იტალიამ გერმანიას აღუთქვა დახმარება გერმანია-საფრანგეთის ომის შემთხვევაში[1].

ასე შეიქმნა სამთა კავშირი ევროპაში. ეს კავშირი მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. ამის შემდეგ, ბუნებრივია, მოსალოდნელი იყო სამხედრო ბლოკის შექმნა სამთა-კავშირის წინააღმდეგ.

«ბისმარკის ანტიფრანგული კომბინაციები საიდუმლოდ არ დარჩა პარიზისათვის. იგივე სენ-ვალიე მიუხვდა ბისმარკს და ატყობინებდა თავის მთავრობას, რომ ბისმარკის მიზანი იყო საფრანგეთის ყურადღება გადაეტანა შორს, რაინიდან, იცოდა რა, რომ საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა გამოიწვევდა იტალიისა და ინგლისის უკმაყოფილებას, რასაც მოჰყვებოდა საფრანგეთის სრული იზოლაცია» მართლაც, საფრანგეთის მიერ ტუნისის დაპყრობამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია იტალიაში, რომელიც ოცნებობდა ტუნისის ხელში ჩაგდებაზე. საფრანგეთის შემდგომმა დაპყრობითმა პოლიტიკამ: ინდო-ჩინეთის დაპყრობამ 1885—1886 წ. წ.[3], ცენტრალური აფრიკის თანდათანობითმა დაპყრობამ 1880 წ. და სხვ., მეტად გააუარესა დამოკიდებულება ინგლისსა და საფრანგესის შორის. ამ თვალსაზრისით, ბისმარკი ანგარიშში არ მოტყუვდა, მაგრამ, მეორე მხრივ, გერმანიის იმპერიალისტური წრეები არ იყვნენ კმაყოფილი საფრანგეთის ასეთი მიღწევებით, რომელმაც 15—20 წლის განმავლობაში შექმნა კოლონიური იმპერია, რომლის ტერიტორია თითქმის 17-ჯერ მეტი იყო საკუთრივ საფრანგეთის ტერიტორიაზე. ხოლო გერმანიის მიერ დაპყრობილი

---

[1] აკადემიკოს ე. ტარლეს აზრით, იტალიის შესვლა სამთა კავშირში გამოწვეული იყო ორი გარემოებით: ჯერ ერთი, შეექმნა საწინააღმდეგო ძალა საფრანგეთის მიმართ, რომელმაც ეს-ეს იყო დაიპყრო ტუნისი, და მეორე, დაემყარებინა ნორმალური ურთიერთობა ავსტრიასთან, რომლისაც ჯერ კიდევ ეშინოდა იტალიას. იხ. Акад. Е. Тарле, Сочинения, т. V, стр. 51.

[2] ბისმარკი დაუკავშირდა ავსტრია-უნგრეთს და იტალიას, რათა ისინი გამოეყენებინა რუსეთისა და საფრანგეთის წინააღმდეგ. მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბისმარკი თავის მოკავშირეებს უყურებდა როგორც სატელიტებს და არა როგორც თანასწორუფლებიან მოკავშირეებს; ბისმარკს სურდა რომ ეს მოკავშირეები ტყვეობაში ჰყოლოდა, კონტროლი გაეწია მათთვის. „... ბისმარკს ეჯავრებოდა თანატოლი—ის ეძებდა სატელიტებს". ასეთ ვითარებაში „რუსეთი და საფრანგეთი... რჩებოდნენ დამოუკიდებელ დიდ სახელმწიფოებად, ე. ი წარმოადგენდნენ მეტად დიდ თევზს ბისმარკის ბადისათვის." (А. Дж. П. Тэйлор, Указ. соч., стр. 300).

[3] იხ. А. Зеваэс, Указ. соч., стр. 136—138.

კოლონიები ამავე პერიოდში ვერ შეედრებოდა საფრანგეთის კოლონიებს ვერც მოცულობით და ვერც მნიშვნელობით[1]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ბისმარკი თავის მთავარ მიზანს მისდევდა: დაევიწყებინა საფრანგეთისათვის ელზას-ლორენი; მეტიც, კოლონიების დაკავების დროს სადავო საკითხებში ბისმარკი საფრანგეთს უჭერდა მხარს, კასე, მაგალითად, როდესაც დაიწყო დავა კონგოს საკითხზე საფრანგეთსა და ინგლისს შორის, ბისმარკმა მხარი დაუჭირა საფრანგეთს. 1885 წ. ბერლინის კონფერენციაზე, სადაც აფრიკის საკითხები ირჩეოდა, გერმანია გამოვიდა საფრანგეთის მხარეზე. მაგრამ ბისმარკი თავისი პოლიტიკით მიზანს ვერ აღწევდა. საფრანგეთი არ ივიწყებდა თავის მიწა-წყალს — ელზას-ლორენს. ამ მხრივ საფრანგეთში იმ აზრისა იყვნენ, რომ ერმა, რომელმაც ტერიტორიული ამპუტაცია განიცადა... „არასოდეს არ უნდა აპატიოს და არც უნდა დაივიწყოს არაფერი"[2], როგორც ამას ამბობდა ბარონ კურსელი, რომელმაც შეცვალა ბერლინში სენ-ვალიე 1884 წ. დეკემბერში. ამრიგად, საფრანგეთში იყვნენ პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებსაც ესმოდათ, თუ საითკენ წაიყვანდა საფრანგეთს ბისმარკისათვის ხელსაყრელი საგარეო პოლიტიკა. მათ ესმოდათ, რომ 1879 წ. ავსტრია-გერმანიის კავშირი მიმართული იყო არა მარტო რუსეთის, არამედ საფრანგეთის წინააღმდეგაც. საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკა იწვევდა უთანხმოების ზრდას ინგლისსა და იტალიაში, მაშასადამე, საფრანგეთი რჩებოდა იზოლირებული. მაგრამ ჟიულ ფერი და მისი მეგობრები წინა პლანზე

---

[1] 1914 წლისათვის საფრანგეთის ხელში არსებული მთელი კოლონიური სამფლობელოების 85 % ფრანგებმა მოიპოვეს 1880—1914 წწ., ხოლო 15 %-ზე ნაკლები—1870 წლამდე (იხ. Акад. Е. Тарле, Сочинения, т. V, стр. 50.). საინტერესოა ბისმარკის დამოკიდებულება კოლონიური პოლიტიკისადმი. მას (დაახლოებით 1885 წლამდე) კოლონიური პრობლემები ნაკლებად აინტერესებდა. როდესაც იგი ეხებოდა დასავლეთის სხვა სახელმწიფოების მიერ აფრიკის კოლონიური დაპყრობების საკითხს, ამბობდა: „ჩემი აფრიკის რუკა იმყოფება ევროპაში. აქეთ ძევს რუსეთი, იქით—საფრანგეთი, ჩვენ კი ვიმყოფებით შუაში. აი ეს არის ჩემი აფრიკის რუკა". (O. Bismarck. Die Gesammelten Werke. Bd. VIII, Gespäche, Bd. II, S. 646. იხ. А. Дж. П. Тэйлор. Указ. соч., стр. 313). ამ მხრივ დიდი განსხვავება იყო ბისმარკისა და ვილჰელმ II პოლიტიკას შორის: ბისმარკის მთავარი ყურადღება მიქცეული იყო ევროპის კონტინენტისაკენ, ხოლო ვილჰელმ II აზრით კი გერმანიას უნდა გაეტარებინა „მსოფლიო პოლიტიკა", ვიდრე უზრუნველყოფდა თავის ბატონობას ევროპაში. საბოლოო ჯამში, როგორც ცნობილია, ჩაიშალა როგორც ბისმარკის, ისე ვილჰელმ II გეგმები.

[2] „Ne doit jamais rien pardonner, jamais rien oublier". E. Bourgeois et G. Pagès, Op. cit., p. 387—388.

აყენებდნენ პირად მოგებას და არა ქვეყნის ეროვნულ საკითხს. რუსეთთან დაახლოების საკითხზე ახლა ნაკლებად ფიქრობდა საფრანგეთის მთავრობა. ეს აზრი შემდეგნაირად გამოსთქვა გამბეტამ 1881 წ. 13 აგვისტოს: „რაც შეეხება საგარეო პოლიტიკას, მე მოვითხოვ მხოლოდ ერთს—თავის ღირსეულად და მტკიცედ დაჭერას, საგარეო პოლიტიკაში თავისუფლებას, არავინ იქნეს განცალკევებული ევროპის სახელმწიფოებს შორის და ვიყოთ ერთნაირ, კარგ დამოკიდებულებაში ყველასთან"[1].

არანაკლებ აქეზებდა დაპყრობითი პოლიტიკისაკენ პირველ ხანებში საფრანგეთს ინგლისიც. ჯერ კიდევ ბერლინის კონგრესზე ლორდ სოლსბერი (მხედველობაში ჰქონდა რა ინგლისის მიერ კუნძულ კვიპროსის ოკუპაცია და სურდა საფრანგეთის ყურადღება მიექცია სამყაროს სხვა მხარეებისაკენ) ეუბნებოდა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ვადინგტონს: „თქვენ არ უნდა დატოვოთ კართაგენი ბარბაროსების ხელში... აკეთეთ იქ ყველაფერი, რაც თქვენ გსურდეთ. ეს ჩვენი საქმე არაა"[2]. ბისმარკი დაეთანხმა ლორდ სოლსბერს ამ საკითხში[3]. ასე მზადდებოდა მსოფლიოს საბოლოო გაყოფა. ასე გაიშალა XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთის კოლონიური ექსპანსია, რომლის შედეგად 80-იანი წლების ბოლოს საფრანგეთი ხდება მსოფლიოში მეორე კოლონიურ იმპერიად. 1884—1900 წწ. განმავლობაში საფრანგეთმა შეიძინა 3,6 მილიონი კვადრატული მილი ტერიტორია 36,5 მილიონი მოსახლეობით[4].

ზომიერ რესპუბლიკელთა შორის ჟიულ ფერი იყო ყველაზე ძლიერი და მოქნილი პოლიტიკოსი და კოლონიზატორი. იგი იყო საფრანგეთის ბურჟუაზიის მისწრაფებათა სულისჩამდგმელი, საფრანგეთის კოლონიური ექსპანსიის როგორც პრაქტიკოსი, ისე თეორეტიკოსიც. მისი აზრით, კოლონიების შესაძენად ბრძოლა, ეს სახელმწიფოს მომავლისთვის ბრძოლაა, ბურჟუაზიულ საფრანგეთს სული ალმოხდებოდა კოლონიების გარეშე. „ლაპარაკია—ამბობდა ის—არა ერთ დღეზე, ლაპარაკია ორმოცდაათი ან ასი წლის პერსპექტივაზე, ლაპარაკია სამშობლოს მომავალზე"[5]. 1884 წ. 11 დეკემბერს პარლამენტში წარმოთქმულ სიტყვაში ჟიულ

---

[1] R. Pinon' France et Allemagne, p. 486.
[2] „Doc. Dipl. Fr.", t. II, doc. N 330, p. 362.
[3] Ibid.
[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 321.
[5] R. Pinon, Op. cit., p. 486.

ფერი ამბობდა: „განა შეიძლება ითქვას, რომ კოლონიური პოლიტიკა ეს ფუფუნებაა თანამედროვე სახელმწიფოსათვის? არა, ბატონებო,—პასუხობს ის,—ეს პოლიტიკა ყველა ჩვენთაგანისათვის ისევე აუცილებელია, როგორც ბაზარი თავისთავად" [1]. „რესპუბლიკელთა კავშირის" ლიდერი გამბეტა მხარს უჭერდა ფერის კოლონიურ პოლიტიკას. ტუნისის ბეისთან 1881 წ. 12 მაისს ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ გამბეტა სწერდა ფერის: „საფრანგეთი ისევ ხდება დიდ სახელმწიფოდ". საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკის ზრდას ხელს უწყობდა, ჯერ ერთი, საფრანგეთში სამრეწველო კრიზისის შემდეგ დაწყებული დეპრესია, მეორე, საფრანგეთში მრეწველობის შედარებით ნაკლები ზრდა, ვიდრე სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მესამე, საფრანგეთის მოსახლეობის ნამატის პროპორციულად შემცირების მუდმივი საშიშროება [2].

---

[1] R. Pinon, Op. cit., p. 486. ჟიულ ფერი, ეხებოდა რა ტონკინში (ინდოჩინეთი) საფრანგეთის ექსპედიციის საკითხს, ამბობდა: „არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ საფრანგეთი მსოფლიოში მეორე საზღვაო სახელმწიფოა". ამიტომ, ჟიულ ფერის აზრით, საფრანგეთის რესპუბლიკას უნდა განემტკიცებინა თავისი კოლონიური ძლიერება. რესპუბლიკას უნდა მოემზადებინა ახალი ტერიტორიები მომავალი თაობის მოღვაწეობისა და მუშაობისათვის. ჟიულ ფერი იცავდა თანდათანობითი ექსპანსიის აუცილებლობას. რადიკალები აკრიტიკებდნენ ჟიულ ფერის ამ პოლიტიკას და მიუთითებდნენ, რომ კოლონიური დაპყრობები ეწინააღმდეგება საფრანგეთის დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის პრინციპებს. ისინი მიუთითებდნენ ასევე, რომ კოლონიური პოლიტიკა იწვევს ფინანსური ოლიგარქიის მთელი ყურადღების გადატანას კოლონიურ დაპყრობებზე და ხალხის ყურადღების ჩამოშორებას მოსახლეობის საშინაო რეფორმების აუცილებლობისაგან. კოლონიური დაპყრობები მოითხოვდა დიდძალ თანხებს, არმიას, მაშინ როდესაც ეს არმია და თანხები შეიძლებოდა უფრო მნიშვნელოვანი გამხდარიყო ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის ევროპაში. კლემანსო ამბობდა: „საფრანგეთი არ წარმოადგენს კუნძულის ქვეყანას, როგორც ინგლისი. ჩვენ არ შეგვიძლია გავემართოთ ოკეანის იქით, დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენი ზურგი, როგორც ინგლისში, უზრუნველყოფილია ყოველგვარი შემთხვევითობისაგან; ჩვენ არა ვართ გარსშემორტყმული მთებით და ზღვით, როგორც ესპანეთი, ჩვენ ვიმყოფებით კულტურული ევროპის ცენტრში... ჩვენ ვიქნებით ძლიერი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შევინარჩუნებთ ჩვენს განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებებს". ამასთანავე, კლემანსომ დასძინა, რომ 1866 წელს, როცა პრუსია ავსტრიას ებრძოდა, საფრანგეთის არმია მექსიკაში იყო, ხოლო მექსიკაში ნაპოლეონ III ავანტიურა კრახით დამთავრდა (იხ. А. Зеваэс, Указ. соч., стр. 135—136.).

[2] E. Levasseur, Histoire du commerce de la France, II partie, de 1789 à nos jours, Paris, 192. p. 349—353.

აი როგორი იყო მოსახლეობის ზრდა მსოფლიოს ცალკე სახელმწიფოებში XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში[1]:

| ქვეყნების დასახელება | მოსახლეობა მილიონობით | | მოსახლეობის ნამატი მილიონობით |
|---|---|---|---|
| | 1871 წ. | 1909 წ. | |
| 1. ინგლისი | 32,0 | 45,0 | 13,0 |
| 2. გერმანია | 41,0 | 64,5 (1910 წ.) | 23,5 |
| 3. იტალია | 26,5 | 34,5 (1910 წ. | 8,0 |
| 4. ავსტრია-უნგრეთი | 36,0 (1870) | 51,25 | 15,25 |
| 5. რუსეთი | 82,0 (1867) | 162,0 | 80,0 |
| 6. შეერთებული შტატები | 38,5 (1870) | 92,0 (1910) | 53,5 |
| 7. საფრანგეთი | 38,0 (1866) | 39,5 (1911) | 1,5 |

როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებს, საფრანგეთს არ შეეძლო არ მოქცეულიყო მსოფლიოს განაწილების ორბიტში: „შემთხვევითი როდია, რომ საფრანგეთში სწორედ ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი კაპიტალის განსაკუთრებით სწრაფმა განვითარებამ, სამრეწველო კაპიტალის შესუსტებისას, გამოიწვია წარსული საუკუნის 80-იანი წლებიდან ანექსიონისტური (კოლონიური) პოლიტიკის უკიდურესი გამწვავება“ [2].

კოლონიურმა პოლიტიკამ მაინც ვერ აღმოფხვრა საფრანგეთში რევანშისტული იდეები. ელზას-ლორენის დაბრუნების საკითხი—ეს იყო ყველაზე აქტუალური საკითხი საფრანგეთში. მართალია, ამის შესახებ საფრანგეთში არ გაჰყვიროდნენ, მაგრამ ის ყოველი ფრანგის გულში იყო ჩამარხული; იგი არასოდეს არ აპატიებდა გერმანიას ელზას-ლორენის მიტაცებას. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში ლეონ გამბეტამ შესანიშნავად გამოხატა ფრანგების დამოკიდებულება ელზას-ლორენისადმი: „ყოველთვის ამის შესახებ უნდა იფიქრო და არასოდეს ამის შესახებ არ უნდა ილაპარაკო“ [3]. განუწყვეტლივ თვალყურის დევნება დაკარგული პროვინციების ცხოვრებისათვის, ხელის შეწყობა იქ ფრანგული პატრიოტიზმის განვითარებისათვის, ყოველთვის მათ შესახებ ფიქრი და არდავიწყება იმისა, რომ ელზას-ლორენის დაბრუნება საფრანგეთის ვალი და ნაციონალური აუცილებლობაა,—აი, როგორი იყო საფრანგეთის

[1] E. Levasseur, Histoire du commerce de la France, II partie, p. 349—353.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 338.

[3] „Toujours y penser et jamais n'en parler“.

პოლიტიკური მოღვაწეების დამოკიდებულება ელზას-ლორენის საკითხისადმი.

ბერლინის კონგრესის შემდეგ მეფის რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა მძიმე იყო. მან გამოააშკარავა რუსეთის სრული იზოლაცია. მართალია, ბერლინის კონგრესის შემდეგაც ალექსანდრე II მთავრობა (ხოლო შემდეგში ალექსანდრე III) სრულებითაც არ ამბობდა უარს სრუტეების დაპყრობაზე, მაგრამ ეს გახდა შორეული მომავლის საკითხი. საჭირო იყო ქვეყნის შეიარაღების ზრდა, სამხედრო ძლიერების აღდგენა. ამიტომ ამ პერიოდში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა არ დაეშვა სრუტეებზე ინგლისის გაბატონება. ინგლისის პრემიერი ლორდი ბიკონსფილდი ეძებდა მჭიდრო კავშირს თურქეთთან. ინგლისმა ჯერ კიდევ 1878 წლის 4 ივლისს დასდო ტრაქტატი თურქეთთან, რომლითაც თურქეთი უთმობდა ინგლისს კუნძულ კვიპროსს, ხოლო ლონდონის კაბინეტმა აღუთქვა თურქეთს დახმარება თურქეთის აზიური სამფლობელოების დაცვაში. აღნიშნული ტრაქტატი წარედგინა ბერლინის კონგრესს მისი მუშაობის დამთავრების წინ. ბერლინის კონგრესზე ინგლისმა უარი განაცხადა სრუტეების სამხედრო გემებისათვის დახურვის პრინციპის ცნობაზე, რაც რუსეთს შავ ზღვაში ინგლისის გემების გამოჩენის საშიშროებას უქმნიდა, რადგანაც რუსეთის ათასკილომეტრიანი სანაპირო აღმოჩნდებოდა ინგლისის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ქვემეხების საშიშროების წინაშე. ამის თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო რუსეთს ჰყოლოდა შავ ზღვაში ფლოტი, მაგრამ ამას უნდოდა დრო და თანხა, ეს უკანასკნელი კი რუსეთს არ გააჩნდა. შავი ზღვისათვის სამხედრო გემების მშენებლობას რუსეთმა მხოლოდ 1881 წელს მოჰკიდა ხელი, პირველი ჯავშნოსანი ჩაშვებულ იქნა შავ ზღვაში 1885—1886 წწ.

ინგლისთან ომის შემთხვევაში რუსეთისათვის აუცილებელი იყო ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტი (რომელიც ინგლისის ყველაზე მეტად შესაძლებელი მოკავშირე იყო რუსეთ-ინგლისის ომის შემთხვევაში). ამასთანავე: რუსეთს უნდა ეგრძნობინებინა ინგლისისათვის, რომ მას შეუძლია ზიანი მიაყენოს ინგლისს ინდოეთის მისასვლელებთან, სადაც რუსეთი წინ მიიწევდა; რუსეთი ცდილობდა ჩამოეშორებინა თურქეთი ინგლისისაგან. ამ საკითხის გადაწყვეტაში თვითონ ინგლისი დაეხმარა რუსეთს. დაიპყრო რა ინგლისმა ეგვიპტე, ამით გაართულა ურთიერთობა თურქეთთან; რუსეთის პოლიტიკა მიმართული იყო იქითკენაც, რომ ფლოტთან ერთად შავი ზღვის სანაპიროებზე ჰყოლოდა სახმელეთო ნაწილებიც;

რუსეთის მთავრობა ცდილობდა გაეძლიერებინა თავისი გავლენა ბულგარეთში, მოეხდინა ბულგარეთის ჯარების რეორგანიზაცია რუსი ოფიცრების მეშვეობით. მაგრამ იმისათვის, რომ მიეღწია ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტისათვის, საჭირო იყო სამი იმპერატორის კავშირის აღდგენა. ასეთი იყო ის ამოცანები, რომლებიც წამოიჭრნენ რუსეთის საგარეო პოლიტიკის წინაშე ბერლინის კონგრესის შემდეგ.

თავადი გორჩაკოვი ბერლინის კონგრესიდან დაბრუნდა დარწმუნებული იმაში, რომ საჭიროა საფრანგეთთან დაახლოება. გორჩაკოვი ხედავდა უკმაყოფილებას თავადაზნაურულ წრეებში სლავიანოფილებს შორის, რომლის სათავეში ი. აქსაკოვი იდგა. ისინი გმობდნენ რუსეთის დიპლომატიას, რომელმაც ვერ შეინარჩუნა თურქეთთან ომში მოპოვებული გამარჯვებანი ბერლინის კონგრესზე. ისინი განსაკუთრებით აღშფოთებული იყვნენ ბისმარკის მოქმედებით. გორჩაკოვმა გამოიყენა ეს განწყობილება და პრესაში (კერძოდ, „გოლოს"-ში) გააჩაღა ანტიგერმანული აგიტაცია, სადაც გამოააშკარავა ბისმარკის პოლიტიკის ნამდვილი არსი.

სამთა კავშირი, რომელიც მიმართული იყო რუსეთ-საფრანგეთის წინააღმდეგ, ხელსაყრელი იყო ინგლისისათვის, ვინაიდან ორივე ეს ქვეყანა მაშინ ინგლისის მტერს წარმოადგენდა. ხოლო იტალიამ, შეუერთდა რა ორთა კავშირს, განაცხადა, რომ ის არ იყო ვალდებული მიეღო ომში მონაწილეობა იმ შემთხვევაში, თუ კავშირის რომელიმე წევრი ომს გამოუცხადებდა ინგლისს.

გერმანია-რუსეთის ურთიერთობის გაუარესება ამ პერიოდში ხელს უწყობდა ინგლის-გერმანიის დაახლოებას. დასდო რა კავშირი ავსტრია-უნგრეთთან, გერმანიის მთავრობა ცდილობდა დაახლოებოდა დიდ ბრიტანეთს. მოლაპარაკების დაწყების ინიციატივა აიღო ბისმარკმა 1879 წ. შემოდგომაზე. ინგლისის მთავრობის პასუხში ხაზგასმული იყო, რომ ინგლისის მმართველი წრეები გერმანიას და ავსტრია-უნგრეთს უყურებდნენ, როგორც ბუნებრივ მოკავშირეებს და თანახმა იყვნენ მათთან შეთანხმებისა. მაგრამ საქმით ინგლისის დიპლომატია „ბრწყინვალე იზოლაციის" ტრადიციული პოლიტიკის ერთგული რჩებოდა და არ სურდა ხელ-ფეხი შეეკრა კავშირებით და ვალდებულებებით. ამასთან, გერმანიის მეტისმეტად გაძლიერება ევროპაში სრულებითაც არ სურდა ინგლისს. ამიტომ ბისმარკთან მოლაპარაკების დროს დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ლორდმა ბიკონსფილდმა აღუთქვა მას მხარდაჭერა და ისიც მეტად განსაზღვრულად—მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ.

ხოლო საფრანგეთის საკითხი, რაც უფრო აინტერესებდა ბისმარკს, ღიად დარჩა, ვინაიდან ბიკონსფილდმა უთხრა ბისმარკს: საფრანგეთი თავს არ დაესხმის გერმანიას, თუ იგი არ იქნება დარწმუნებული ინგლისის კეთილსასურველ პოზიციაში. რაც შეეხება გერმანიას, ის ხომ არ ფიქრობს თვითონვე გამოვიდეს საფრანგეთის წინააღმდეგო,—ირონიულად დაუმატა ბიკონსფილდმა. ინგლისის დიპლომატები ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ინგლისის ერთ ერთ კონკურენტთაგანს წარმოადგენდა რუსეთი. ისინი ცდილობდნენ გამოეწვიათ გერმანიის პრევენტული ომი რუსეთთან. მაგრამ ბისმარკს რუსეთთან ომის ეშინოდა, ითვალისწინებდა რა მისი ტერიტორიის სიდიდეს, იმ სიძნელეებს, რომლებიც დაკავშირებული იყო რუსეთის წინააღმდეგ ომთან. მას კარგად ახსოვდა კარლოს XII და ნაპოლეონ პირველის მაგალითები [1]. ამიტომ პოზიცია, რომლის დაჭერა ინგლისმა შესთავაზა გერმანიას, ბისმარკს არ აწყობდა. ამრიგად, გერმანიასა და ინგლისს შორის კავშირი ვერ შეიქმნა [2].

ბისმარკი ისევ რუსეთს მიუბრუნდა, მაგრამ რუსეთში უკმაყოფილო იყვნენ ბისმარკის პოლიტიკით. 1879 წ. 15 აგვისტოს ალექსანდრე II გერმანიის კაიზერს ვილჰელმ I სწერდა: „როგორ უნდა ავხსნა მე აღმოსავლეთში იმ აგენტების ყოფნა, რომლებიც სულ უფრო და უფრო მტრულ განწყობილებაში არიან ჩვენთან, და ეს აღმოსავლეთში, სადაც, თვით თავად ბისმარკის გამოთქმით, გერმანიას

[1] „Doc. Dipl. Fr.", t. V, doc. N 168, p. 176.

[2] ინგლისელი პროფესორი ა. ტეილორი სრულებით არ აფასებს იმ ღრმა წინააღმდეგობას, რომელიც წარმოიშვა ინგლის-გერმანიას შორის XX საუკუნის ბოლოს (А. Дж. П. Тэйлор, Указ. соч., стр. 311—312). ამასთანავე ცნობილია, რომ ამ ორ ქვეყანას შორის წინააღმდეგობა გავლენას ახდენდა იმ პერიოდის საერთაშორისო მოვლენებზე. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან გერმანიის ბურჟუაზია მიისწრაფოდა კოლონიური დაპყრობებისაკენ. მეტიც, გერმანიის ბურჟუაზია მოითხოვდა თავისი მთავრობისაგან აქტიური კოლონიური პოლიტიკის გატარებას, რათა გერმანია არ ჩამორჩენოდა ინგლისსა და საფრანგეთს კოლონიურ დაპყრობებში. გერმანიის კოლონიური მისწრაფებები აფრიკაში, პირველ რიგში, ინგლისის წინააღმდეგობას აწყდებოდა. ბისმარკმა, რომელიც ადრე კოლონიური დაპყრობების წინააღმდეგი იყო, თავისი მოღვაწეობის ბოლო პერიოდში შეცვალა აზრი ამ საკითხში და მხარი დაუჭირა კოლონიურ პოლიტიკას. გერმანიამ დაიპყრო ტერიტორიები აფრიკის დასავლეთ და აღმოსავლეთ სანაპიროებზე, წყნარი ოკეანის რაიონში. 1890 წლისათვის გერმანიამ დაიპყრო 1025110 კვ. მილი ტერიტორია 14,5 მილ. მოსახლეობით. გერმანიის კოლონიური დაპყრობებით უკმაყოფილო იყვნენ ინგლისში, მაგრამ ინგლისს ჯერ არ შეეძლო დიდი წინააღმდეგობა გაეწია გერმანიისათვის, ვინაიდან ამას ხელს უშლიდა ინგლის-საფრანგეთისა და ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობა.

არა აქვს არავითარი ინტერესები, მაშინ როდესაც ჩვენ იქ სერიოზული ინტერესები გაგვაჩნია"[1]. გარდა ამისა, 1879 წლის დასაწყისში ბისმარკმა საბაბად გამოიყენა ასტრახანის გუბერნიაში ჭირის გაჩენა და, ვეტერინარული ზომების მიღების საბაბით, უარი თქვა რუსეთის ცხენების შემოყვანაზე გერმანიაში. ამან დიდი ზარალი მიაყენა რუს მემამულეებს. გერმანიის ელჩი პეტერბურგში შვაინიცი მიუთითებდა, რომ ბისმარკის ამ ზომებმა მეტი აღშფოთება გამოიწვია გერმანიის მიმართ რუსეთში, ვიდრე გერმანიის დახმარებამ ავსტრიისადმი აღმოსავლეთის საკითხში. ამ ღონისძიებას მოჰყვა (1879 წელი) ბაჟის დადება რუსეთის პურზე, რომელიც გერმანიაში შეჰქონდათ. მიუხედავად ყოველივე ამისა, ბისმარკი უფრთხილდებოდა რუსეთთან ომს და სურდა არ გაემწვავებინა მასთან ურთიერთობა. მართალია, მისი პირველი ცდები უშედეგოდ დამთავრდა, ვინაიდან გერმანიასთან თანამშრომლობის პირობად რუსეთი მოითხოვდა სამხედრო კავშირის გაწყვეტას ავსტრიასთან, მაგრამ მალე რუსეთის პოლიტიკაში მოხდა მკვეთრი მობრუნება. მეფის რუსეთმა გააძლიერა დაპყრობითი პოლიტიკა შუა აზიაში, ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისში. რუსეთის მემამულეები და ბურჟუაზია იწყებენ ბრძოლას ინგლისის იზოლაციისათვის. ინგლისის ყველაზე შესაძლებელი მოკავშირე მაშინ იყო, როგორც ეს გამოაშკარავდა ბერლინის კონგრესზე, ავსტრია-უნგრეთი. მაშასადამე, საჭირო იყო ზომების მიღება, არ დაეშვათ ინგლის-ავსტრიის დაახლოება. სამი იმპერატორის კავშირის აღდგენა ამ საკითხს სწყვეტდა რუსეთის სასარგებლოდ. ამასთან, ალექსანდრე II მკვლელობამ ხელი შეუწყო მონარქისტული ინტერესების სოლიდარობას რუსეთსა და გერმანიას შორის.

ასეთ ვითარებაში 1881 წ. 18 ივნისს სამი იმპერატორის კავშირი აღდგენილ იქნა სპეციალური ხელშეკრულებით[2].

სამი იმპერატორის კავშირი არ წარმოადგენდა კავშირს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. უფრო სწორად, ის იყო ხელშეკრულება ნეიტრალიტეტზე. სამივე მხარემ ერთმანეთს აღუთქვა, დაეცვათ ნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მათგანი აღმოჩნდება საომარ მდგომარეობაში რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსეთი არ ჩაერეოდა საფრან-

---

[1] „Die Grosse Politik", Bd, III, N 446, S. 15; Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches. Bd. I, S. 75.

[2] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches., Bd. I, S. 163—166.

გეთ-გერმანიის ომში, ხოლო გერმანია და ავსტრია-უნგრეთი — რუსეთ-ინგლისის ომში. ნეიტრალობის გარანტია რუსეთისათვის ვრცელდებოდა თურქეთზედაც მხოლოდ იმ პირობით, რომ ომის მიზანი და მოსალოდნელი შედეგები წინდაწინ შეთანხმებული უნდა ყოფილიყო. ამასთანავე შეთანხმდნენ, რომ ამ ხელშეკრულების არც ერთი მონაწილე არ შეცვლიდა წინასწარი შეთანხმების გარეშე ტერიტორიულ მდგომარეობას ბალკანეთში.

გარდა ამისა, ავსტრიამ და გერმანიამ აღუთქვეს რუსეთს, აღმოეჩინათ მისთვის დიპლომატიური მხარდაჭერა თურქეთის წინააღმდეგ, თუ ეს უკანასკნელი უარს იტყოდა ყველა ქვეყნის (მათ შორის რუსეთის) სამხედრო გემებისათვის სრუტეების დახურვის პრინციპზე. ეს საკითხი მეტად მნიშვნელოვანი იყო რუსეთისათვის, ის ხელს უშლიდა ინგლის-თურქეთის სამხედრო შეთანხმებას და ინგლისის სამხედრო ფლოტის შემოსვლას შავ ზღვაში. ამრიგად, გერმანიამ მიიღო რუსეთის ნეიტრალიტეტის გარანტია საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში, ხოლო რუსეთმა კი ავსტრია-გერმანიის ნეიტრალიტეტისა — რუსეთ-ინგლისის და რუსეთ-თურქეთის ომის შემთხვევაში [1].

სამი იმპერატორის კავშირი და სამთა კავშირი განსაზღვრულ პირობებში ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს. ორივე კავშირი მიმართული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ. სამთა კავშირის მახვილი კი — რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც სამი იმპერატორის კავშირით დაკავშირებული იყო სამთა კავშირის ორ წევრთან — ავსტრია-უნგრეთთან და გერმანიასთან. სამი იმპერატორის კავშირი პოტენციალურად მიმართული იყო იტალიის წინააღმდეგ, რომელიც შედიოდა სამთა კავშირის შემადგენლობაში 1882 წლიდან.

შექმნილი მდგომარეობა არ შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცე და ხანგრძლივი. ერთმანეთში გადახლართულმა ასეთმა საიდუმლო კავშირებმა მალე საქმე მიიყვანა სამი იმპერატორის კავშირის საბოლოო კრახამდე. სამი იმპერატორის კავშირმა რუსეთს გაუადვილა ბრძოლა ინგლისის წინააღმდეგ, რამდენა-

---

[1] ა. ტეილორი სამი იმპერატორის კავშირის დადებას თვლის რუსეთის გამარჯვებად. იგი ხელსაყრელი იყო გერმანიისათვისაც. რუსეთმა უზრუნველყო თავისი უშიშროება შავ ზღვაზე. მაგრამ ავსტრიამ ამით გადაიმტერა ინგლისი, რომლის მხარდაჭერითაც მოქმედებდა ავსტრია ბერლინის კონგრესზე. იხ. А. Дж. П. Тэйлор, Указ. соч., стр. 292.

დაც მან განსაზღვრულ პირობებში უზრუნველყო ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტი[1].

შუა აზიაში მეფის რუსეთის პოლიტიკამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ინგლისის მმართველ წრეებში. ამ ნიადაგზე 1885 წ. ომის საშიშროებაც კი გაჩნდა რუსეთ-ინგლისს შორის. ასე წარმოიშვა ე. წ. ავღანეთის კრიზისი 1885 წელს, რომელიც წარმოადგენდა ევროპაში ინგლის-რუსეთის დამოკიდებულების გაუარესების შედეგს. ბისმარკი ხელს უწყობდა ავღანეთის კრიზისის გაღრმავებას, რათა კიდევ უფრო გაემწვავებინა ინგლის-რუსეთის დამოკიდებულება, თუმცა გარეგნულად ცდილობდა მის გამოსვლებს ჰქონოდა რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულების ხასიათი. ასეთ პირობებში ავღანეთის კრიზისი შეიძლებოდა რუსეთ-ინგლისს შორის ომის საბაბი გამხდარიყო. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „1885 წელი. რუსეთი ინგლისთან ომის პირზე იმყოფება". მიუხედავად ამისა, ინგლისმა უკანასკნელ წუთებში უკან დაიხია. ის დიპლომატიურად იზოლირებული აღმოჩნდა. თურქეთი, რომელიც უკმაყოფილო იყო ინგლისის მიერ 1882 წ. ეგვიპტის დაპყრობით, შეუდგა დარდანელის გამაგრებას და ანიშნა ინგლისს, რომ არ გაატარებდა ინგლისის გემებს შავ ზღვაში რუსეთის სანაპიროებისაკენ. ხოლო, რაც შეეხებოდა ინგლისის ჯარების გატარებას ავღანეთის ტერიტორიისაკენ, აზაზე ზედმეტი იყო ლაპარაკი. ამრიგად, ავღანეთის კრიზისი დამთავრდა რუსეთსა და ინგლისს შორის 1887 წ. სპეციალური შეთანხმების ხელმოწერით, რომელმაც დაადგინა რუსეთ-ავღანეთის საზღვარი.

1865 წ. 30 მარტს საფრანგეთში დაეცა ჟიულ ფერის მეორე მთავრობა. ეს ნიშნავდა ფერის კოლონიური პოლიტიკის მარცხს. ჟიულ ფერის კოლონიურმა ავანტიურამ ქვეყნის მდგომარეობა მეტად მძიმე გახადა, რაც გამოიხატა მრეწველობის განვითარების ჩამორჩენაში, გადასახადების ზრდასა და უმუშევართა რიცხვის გადიდებაში. საფრანგეთში 1870—1885 წწ. სახელმწიფო გადასახადი გაიზარდა 1543 მილ. ფრანკიდან 2692 მილ. ფრანკამდე, ეს

---

[1] მიუხედავად სამი იმპერატორის კავშირის არსებობისა, ავსტრია-უნგრეთი მაინც აგრძელებდა თავის აგრესიულ პოლიტიკას ბალკანეთში. განსაკუთრებით ძლიერდებოდა მისი ეკონომიური ექსპანსია ბალკანეთის ქვეყნებში. ერთერთ ბელგიელთან საუბარში ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰუსტავ კალნოკიმ განაცხადა: „დიახ, ჩვენ ვოცნებობთ დაპყრობებზე... დაპყრობებზე, რომლებსაც განახორციელებს ჩვენი მრეწველობა, ჩვენი ვაჭრობა, ჩვენი ცივილიზაცია..." Laveleye, La péninsule des Balkans, Paris, 1886, vol. I, p. 40. იხ. А. Дж. П. Тэйлор, Указ. соч., стр. 299.

მაშინ, როდესაც საფრანგეთის მოსახლეობის რაოდენობა ამ პერიოდში თითქმის იგივე დარჩა[1]. მიუხედავად აქტიური კოლონიური პოლიტიკისა, 1872—1890 წწ. საფრანგეთის საგარეო ვაჭრობა არ გაზრდილა. ამას მოწმობს შემდეგი ციფრები[2]:

| წლები | მილიონ ფრანკებში | | | საშუალო ზრდა პროცენტობით |
|---|---|---|---|---|
| | შემოტანა | გატანა | საერთო ჯამი | |
| 1872—1876 | 3632 | 3740 | 7372 | +4 |
| 1877—1881 | 4467 | 3339 | 7806 | +1 |
| 1882—1886 | 4553 | 3355 | 7808 | +0 |
| 1887—1891 | 4331 | 3504 | 7835 | +0 |
| 1892—1896 | 3881 | 3310 | 7191 | —1 |

აქტიურმა კოლონიურმა პოლიტიკამ, არმიის გაძლიერებამ, კაპიტალისტური წარმოებების სუფსიდირებამ, საფოსტო მოხელეების რიცხვის ზრდამ მეტისმეტად გაზარდა სახელმწიფო ხარჯები, რაც, ბუნებრივია, უპირველესად აწვებოდა მშრომელ მასებს. ამ მხრივ მესამე რესპუბლიკა, შეიძლება ითქვას, არ ჩამოუვარდებოდა მეორე იმპერიას. ყველაფერმა ამან (და ამას დაემატა ჟიულ ფერის პირადი არაპოპულარობაც) გამოიწვია ფერის მთავრობის დაცემა. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ „...Самого подлого из подлых палачей Коммуны и одного из самых законченных представителей той оппортунистической буржуазии, которая хочет управлять Францией только для того, чтобы высасывать соки из нее и ее колоний“[3].

საფრანგეთში რადიკალების, ანრი ბრისონისა (1885 წ.) და შარლ ლუი დე ფრეისინეს (1886 წ.), მთავრობების არსებობის პერიოდში საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობა კვლავ დაძაბული გახდა. რადიკალები გამოდიოდნენ კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. ბერლინის მმართველ წრეებს ეშინოდათ, რომ კოლონიური პოლიტიკის შენელება ისევ გამოიწვევდა საფრანგეთში რევანშიზმის იდეების ზრდას. ამიტომ ისევ დღის სინათლეზე გამოდის ბისმარკის სამხედრო განგაშის მომზადების მეთოდები. თუმცა გერმანელი ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ გერმანიის ანტიფრანგული მოქმედება ამ პერიოდში გამოწვეული იყო საფრანგეთში

[1] К. Каутский, Республика и социализм во Франции, стр. 70.
[2] იქვე, გვ. 103.
[3] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. XVI, ч. II, стр. 386.

რევანშიზმის ზრდით, რომელსაც სათავეში გენერალი ბულანჟე ჩაუდგა, მაგრამ ამაში ისინი არ არიან მართალი, ვინაიდან 1885 წელს გენერალი ბულანჟე მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდა და მთავრობის შემადგენლობაში ჯერ კიდევ არ შედიოდა. საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულების გართულების გამომწვევი იყვნენ თვით გერმანელები ბისმარკის უშუალო ხელმძღვანელობით. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დე ფრეისინე თავის საიდუმლო წერილით 1885 წ. 1 ოქტომბერს ატყობინებდა საფრანგეთის ელჩს ბერლინში დე კურსელს, რომ გერმანიის ელჩმა პარიზში თავადმა ჰოჰენლოემ ერთ-ერთი საუბრის დროს მას განუცხადა: „ჩვენში დარწმუნებული არიან, რომ თქვენ გინდათ განაახლოთ საომარი მოქმედება ჩვენს წინააღმდეგ“ [1]. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ამ სიტყვებში ხედავდა გერმანიის მთავრობის სურვილს გამოეწვია ახალი კონფლიქტი საფრანგეთთან. ამიტომ ის მიუთითებდა თავის ელჩს მიექცია ყურადღება საქმის ასეთი ვითარებისათვის: საფრანგეთის დამოკიდებულება გერმანიასთან ნორმალურია, მაგრამ გერმანიის კანცლერს არ სურს ეს დაინახოს [2]. ამრიგად, საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობის ახალი გართულების ინიციატორი ბისმარკი იყო, რომელმაც ბულანჟიზმის გაძლიერებამდე ატეხა თავის პრესაში განგაში საფრანგეთში რევანშიზმის ზრდის შესახებ.

1886 წ. 7 იანვარს შარლ დე ფრეისინემ შეადგინა ახალი მთავრობა, სადაც სამხედრო მინისტრის პოსტი დაიკავა გენერალმა ბულანჟემ—თავგამოდებულმა რევანშისტმა. საფრანგეთის ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ფენებისათვის მისი სახელი იყო სამხედრო აღორძინებისა და რევანშიზმის სიმბოლო. თავის რევანშისტულ სიტყვებში და სამხედრო პარტიის ბეჭდვით ორგანოში „ლა ფრანს მილიტერში“ გენერალი ბულანჟე აცხადებდა: „ჩვენ გვახსოვს, რომ ელზასსა და ლორენში ჩვენ გვიცდიან“ [3].

საფრანგეთში დაიწყო აგიტაცია რევანშიზმის სასარგებლოდ. ენერგიული ღონისძიებები გაატარეს არმიის გასაძლიერებლად. სწრაფად აგებდნენ ახალ ყაზარმებს, საფრანგეთის რეგულარული ჯარები გადმოყავდათ აფრიკიდან და ხდებოდა მათი კონცენტრაცია აღმოსავლეთის საზღვრებზე, აგებდნენ სიმაგრეებს, იზრდებოდა იარაღისა და ფეთქადი ნივთიერების წარმოება. ყოველივე

[1] „Doc. Dipl. Fr.“, t. VI, doc. N 79, p. 97.
[2] Ibid., doc. N 96, p. 116.
[3] „Die Grosse Politik“, Bd. VI, N 1224, S., 133.

ამან ხელი შეუწყო საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობის მეტად გამწვავებას. ბერლინში გადაწყვიტეს გამოეყენებინათ ეს ხელსაყრელი მომენტი. გერმანიის ბურჟუაზია, მიისწრაფოდა რა საფრანგეთთან ომისაკენ, ყოველმხრივ ადიდებდა რევანშის საშიშროებას.

ბისმარკს ახლა ისევ რუსეთის პოზიციის გაგება უნდოდა. თუმცა ბისმარკმა იცოდა, რომ 1870 წლის შემდეგ რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა, მაგრამ მას ბულგარეთის კრიზისის გამოყენების იმედი ჰქონდა, რომელიც დაიწყო 1885 წ. 18 სექტემბერს. აღმოსავლეთ რუმელიის მთავარ ქალაქ ფილიპოპოლიდან ბულგარეთის ნაციონალისტებმა განდევნეს თურქეთის გუბერნატორი და „ორივე ბულგარეთი" გაერთიანებულად გამოაცხადეს. გაერთიანებული ბულგარეთის მთავრად გამოცხადდა ყოფილი პრინცი ალექსანდრე ბატენბერგელი. ეს იყო რუსეთის პოლიტიკის უდიდესი გამარჯვება, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ავსტრია-უნგრეთში.

მაგრამ ბულგარეთის კარგი დამოკიდებულება რუსეთთან დიდხანს არ გაგრძელებულა. ბულგარეთის ბურჟუაზიის გავლენით, განსაკუთრებით კი ავსტრიისა და ინგლისის მოქმედებით, ალექსანდრე ბატენბერგელმა შეიცვალა ორიენტაცია. მან მალე ინგლისისა და ავსტრიის ორიენტაცია აიღო. რუსეთის ორიენტაციის მომხრეებმა 1886 წ. აგვისტოში მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება ბულგარეთში; ალექსანდრე ბატენბერგელი დაიჭირეს და მთავრობა შედგა რუსეთის მომხრეებისაგან, მაგრამ ეს სულ რაღაც ოთხიოდე დღე გაგრძელდა. მოხდა ახალი გადატრიალება; გაიმარჯვეს რუსეთის მოწინააღმდეგეებმა. 1887 წ. 27 ივნისს ტახტზე ავიდა ავსტრიელი პრინცი ფერდინანდ საქსენ-კობურგელი. ამრიგად, რუსეთმა დაკარგა გავლენა ბულგარეთში.

ბისმარკს ეგონა, რომ რუსეთი იმ სიძნელეების გამო, რომლებიც მას შეექმნა ბულგარეთში, იძულებული იქნებოდა დარჩენილიყო ნეიტრალურ მდგომარეობაში საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში. ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი ფრანც-იოსები, რომელიც გერმანია-საფრანგეთის ომს გარდუვალად სთვლიდა, შეეკითხა გერმანიის ელჩს ვენაში, თუ რამდენად დარწმუნებული იყო გერმანია რუსეთის ნეიტრალურ პოზიციაში [1]. ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი კალნოკი დარწმუნებული იყო იმაში, რომ საფრანგეთ-გერმანიის ომი საფრანგეთის სრული და-

---

[1] „Die Grosse Politik", Bd. VI, N 1246, S. 170; N 1248, S. 171—172.

მარცხებით დამთავრდებოდა, მაგრამ ისიც იცოდა, რომ რუსეთი არ დაუშვებდა საფრანგეთის დამარცხებას, რომ, რუსეთის აზრით, საფრანგეთმა უნდა იარსებოს, როგორც დიდმა სახელმწიფომ [1].

ასეთ ვითარებაში ბისმარკი კიდევ ერთხელ შეეცადა მოესინჯა ნიადაგი პეტერბურგში. მან მიმართა რუსეთის მთავრობას წინადადებით, რათა ამ უკანასკნელს დაეცვა ნეიტრალიტეტი გერმანია-საფრანგეთის კონფლიქტის შემთხვევაში. სამაგიეროდ ბისმარკი დაჰპირდა მხარდაჭერას აღმოსავლეთის საკითხში.

ბისმარკის აზრით, ახლა შეიძლებოდა რუსეთ-გერმანიის კავშირიც კი შექმნილიყო შემდეგ პირობებში[2]: 1) თუ გერმანია ცნობდა რუსეთის განუსაზღვრელ უფლებებს ბულგარეთსა და რუმელიაში, თუკი ეს უკანასკნელი შეუერთდებოდა ბულგარეთს; 2) რუსეთს შეიძლებოდა იმედი ჰქონოდა გერმანიის მეგობრული ნეიტრალიტეტისა, თუ რუსეთი მოინდომებდა დაუფლებოდა შავი ზღვის გასაღებს. ასეთ შემთხვევაში „გერმანიას თავის მხრივ შეიძლებოდა ასეთივე მეგობრული ნეიტრალიტეტის იმედი ჰქონოდა რუსეთის მხრიდან ყოველგვარი კონფლიქტის შემთხვევაში, რომელსაც შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა გერმანიასა და საფრანგეთს შორის" [3]; 3) ორივე მხარე ცნობდა ავსტრია-უნგრეთის ტერიტორიულ მთლიანობას, რაც აუცილებელი იყო ევროპაში თანაფარდობის შენარჩუნებისათვის. ამავე დროს ისინი სცნობდნენ სერბეთის სამეფოს დამოუკიდებლობას იმ მომენტში არსებულ საზღვრებში [4].

ბისმარკი, როცა დარწმუნდა სამი იმპერატორის კავშირის სისუსტეში, იგი შეეცადა ამ კავშირის შეცვლას. ბისმარკმა რუსეთს გააცნო ავსტრია-გერმანიის საიდუმლო ხელშეკრულება (1879 წლის) და ავსტრიის ზურგს უკან შესთავაზა რუსეთს ორმხრივი ხელშეკრულება. ეს ხელშეკრულება გულისხმობდა რუსეთისა და გერმანიის ურთიერთნეიტრალიტეტს, თუ რომელიმე მათგანი ჩაებმებოდა ომში. გათვალისწინებული იყო, რომ: იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი თავს დაესხმოდა ავსტრია-უნგრეთს ან გერმანია-საფრანგეთს, ხელშეკრულება ძალას დაკარგავდა. ამრიგად, გერმანიის მდგომარეობა იყო ასეთი: იტალიასთან დადებული ხელშეკრულებით გერმანია თავს იზღვევდა საფრანგეთთან ომის შემთხვევაში, ავსტრია-უნგრეთთან დადებული ხელშეკრულებით—

---

[1] „Die Grosse Politik", Bd. VI, N 1246, S. 170; N 1248, S. 171—172.
[2] Ibid, Bd. V, N 1063, S. 214—215.
[3] Ibid, S. 215.
[4] Ibid.

რუსეთთან ომის შემთხვევაში. ხოლო ახლა კი, რუსეთთან დადებული ხელშეკრულებით ბისმარკმა ამ მხრიდანაც გადაიზღვია თავი (აქედან — რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების სახელწოდება — „გადაზღვევის ხელშეკრულება"). ამით ბისმარკმა დროებით შეაჩერა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დადება, მაგრამ, მხოლოდ დროებით.

ცხადია, პარიზში თვალყურს ადევნებდნენ რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის ყოველ დეტალს. რუსეთის მთავრობის პოზიციას, ისევე როგორც 1875 წელს, ახლაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთის უშიშროებისათვის.

ბისმარკის იმედები არ გამართლდა რუსეთის ნეიტრალიტეტის საკითხში. და, მართლაც, როგორც ე. დოდე თავის წიგნში[1] ამის შესახებ არაერთხელ მიუთითებს, რუსეთმა უკვე სამჯერ გამოიყვანა მდგომარეობიდან პრუსია, მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ ეს მუდამ ასე ხდებოდეს? განსაკუთრებით ახლა, როდესაც გერმანია და ავსტრია ყოველმხრივ უშლიან ხელს რუსეთის გავლენის ზრდას ბალკანეთში. რუსეთს არ შეეძლო დაეშვა საფრანგეთის განადგურება, რაც განამტკიცებდა გერმანიის ჰეგემონობას და დაარღვევდა ევროპაში ძალთა თანაფარდობას[2].

1886 წლის 11 დეკემბერს საფრანგეთში შეიქმნა ახალი მთავრობა. პრემიერ-მინისტრი გახდა რენე გობლე, საგარეო საქმეთა მინისტრი—ფლურანსი, სამხედრო მინისტრის პოსტზე დარჩა გენერალ ბულანჟე. თავის სიტყვაში 1887 წლის იანვარს რენე გობლე ხაზგასმით აღნიშნავდა საფრანგეთისათვის მშვიდობის შენარჩუნების აუცილებლობას. მიუხედავად ამისა, ბისმარკის პრესა არწმუნებდა თავის მკითხველებს, რომ საფრანგეთს ომი უნდაო. გერმანიის პრესა ბრალს დებდა გენერალ ბულანჟეს გერმანიის წინააღმდეგ ომის მზადებაში. ბერლინის მმართველი წრეების წარმომადგენლები მიუთითებდნენ საფრანგეთის მხრიდან ომის საშიშროებაზე[3].

---

[1] E. Daudet, Histoire diplomatique de l' Alliance franco-russe. Paris, 1894.

[2] მიუხედავად რუსეთ-გერმანიას შორის „გადაზღვევის ხელშეკრულების" დადებისა, საფრანგეთში რუსეთ-საფრანგეთის კავშირის სასარგებლოდ აგიტაცია არ შენელებულა. იგი სულ უფრო ფართო ხასიათს ღებულობდა. იხ. Е. Тарле, Александр III и генерал Буланже, „Красный архив", 1926, т. I, стр. 260—261.

[3] იხ. А. Зеваэс, Указ. соч., стр. 157.

1887 წლის იანვარში გერმანული გაზეთები აშკარად მიუთითებდნენ ახალი სამხედრო განგაშის არსებობაზე. ბისმარკი ამბობდა: „თუ ბულანჟე გახდება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ან რესპუბლიკის პრეზიდენტი, მაშინ ომი მოხდება“ [1].

1887 წლის განგაშმა საფრანგეთის მთავრობაში დაბნეულობა და შიში გამოიწვია. ყოველი ფრანგის ყურადღება მიპყრობილი იყო პეტერბურგისაკენ, საიდანაც ყველა თანაგრძნობას მოელოდა. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დე ფლურანსმა საფრანგეთის ელჩის პეტერბურგში დე ლაბულეს საშუალებით მიმართა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ გირსს შეკითხვით: „აღმოუჩენს თუ არა რუსეთი მის სამშობლოს მორალურ მხარდაჭერას, თავს მოუყრის თუ არა თავის ჯარს პრუსიის საზღვრებზე, დაკავშირებულია თუ არა იგი რაიმე ვალდებულებებით გერმანიასთან“ [2]. გირსმა უპასუხა, რომ რუსეთი არავითარი ვალდებულებებით არაა დაკავშირებული გერმანიასთან და ამიტომ მას აქვს თავისუფლად მოქმედების საშუალება „და თქვენ ნება მიბოძეთ შევინარჩუნო ასეთივე ისე, რომ არ მივიღო არავითარი ვალდებულება თქვენს მიმართაც“ [3]— საკმაოდ მკვეთრად დასძინა გირსმა. თუმცა პასუხი იყო მეტად მკვეთრი, მაგრამ ამ პასუხმა დააკმაყოფილა ფლურანსი და გადაწყვიტა არ გაეგრძელებინა მოლაპარაკება ამ საკითხზე რუსეთთან, მით უმეტეს, რომ მას ეშინოდა ბისმარკის, რომელსაც შეიძლებოდა გაეგო რუსეთთან ამ მოლაპარაკების შესახებ. „თუ ჩვენ ოდნავ გავინძრევით, ის (ბისმარკი—ი. ტ.) ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თავს დაგვესხმება ჩვენ“ [4],— სწერდა 1887 წ. 7 თებერვალს ბერლინიდან საფრანგეთის ელჩი ერბეტი ფლურანსს. ამიტომ საჭიროა,— განაგრძობს ის,— საფრანგეთი იყოს ფრთხილად, მაშინ ბისმარკს არ ექნება საბაბი. რათა თავიდან ავიცილოთ ყოველგვარი მოულოდნელობა,—წერდა ელჩი,—საჭიროა არმიის თანდათანობით გაძლიერება ყოველგვარი გარედან შესამჩნევი ზომების გარეშე [5]. ამასთან, როგორც კი დადგა ხელსაყრელი მომენტი, ფლურანსი შეეცადა ეჩვენებინა რუსეთის მთავრობისათვის თავისი სიმპათია. 1887 წლის 9 იანვარს პარიზში ჩამოვიდა ბულგარეთის დელეგაცია, რომელიც ბულგარეთმა გაგზავნა ევროპის სახელმწიფოებში, რათა მათთვის ეთხოვა დახმარება რუსეთის წი–

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. VI, doc. № 415, p. 426.
[2] В. Н. Ламздорф, Дневник 1886—1890 гг., стр. 53.
[3] იქვე.
[4] „Doc. Dipl. Fr.“, t. VI. doc. № 428, p. 442.
[5] Ibid.

ნააღმდეგ. ლონდონში ბულგარეთის ამ დელეგაციამ დადებითი პასუხი მიიღო, მაგრამ პარიზში მათ სხვანაირად შეხვდნენ. ფლურანსმა ხაზი გაუსვა იმ მეგობრულ დამოკიდებულებას, რომელიც უნდა არსებობდეს რუსეთის, როგორც ბულგარეთის განმათავისუფლებლის, მიმართ. ამასთან საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანიშნა დელეგაციის წევრებს, რომ ის სრულებითაც არაა ვალდებული მათთან ილაპარაკოს, ვინაიდან ბულგარეთი თურქეთთან ვასალურ დამოკიდებულებაშია და მას არა აქვს უფლება დამოუკიდებლად მიმართოს ევროპის სახელმწიფოებს. ფლურანსმა მეგობრულად ურჩია მათ, რომ უთანხმოება რუსეთთან ნუ ექნებათ და აკეთონ ის, რასაც რუსები ურჩევენ. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ასეთმა მოქმედებამ, — წერდა ე. დოდე, — დიდი კმაყოფილება გამოიწვია პეტერბურგის კაბინეტში. ფლურანსმა დასვა პირველი ნიშანი რუსეთ საფრანგეთის მეგობრობის გზაზე[1].

საფრანგეთის მთავრობის ამ ნაბიჯმა გაზარდა რუსი სლავიანოფილების სიმპათიები საფრანგეთის მიმართ. ისეთი უკიდურესი რეაქციონერიც კი, როგორიც იყო კატკოვი, გამოდიოდა „რევოლუციურ საფრანგეთთან“ დაახლოების სასარგებლოდ. მიუხედავად იმისა, რომ „ის იყო და რჩებოდა რევოლუციური პროპაგანდის სკოლად“. მაგრამ ახლა, როდესაც რუსეთს ემუქრება ავსტრია და გერმანია, „კავშირი მასთან (საფრანგეთთან — ი. ტ.) აუცილებელია“[2]. ასეთივე ტონით გამოდიოდნენ მოსკოვისა და პეტერბურგის იმდროინდელი გაზეთები. ისინი ბრალს სდებდნენ ბისმარკს იმაში, რომ ბერლინის კონგრესზე მან ხელი შეუწყო დაეკარგა რუსეთს ის, რაც თურქეთთან ბრძოლაში მოიპოვა. ამასთან ბოსნია და ჰერცეგოვინა — მიუთითებდნენ გაზეთები — გერმანიის კანცლერის მოქმედებით ავსტრიას ჩაუვარდა ხელში[3].

მართალია, ალექსანდრე III უცბად არ შეუცვლია თავისი საგარეო პოლიტიკა, მაგრამ „იგულისხმება, მეფეს არ დავიწყებია, რომ მისმა უახლოესმა მეზობლებმა დასდეს ხელშეკრულება (1879 წელს — ი. ტ.), რომლითაც მათ გამოხატეს უნდობლობა რუსეთის მიმართ“[4]. რუსეთის იმპერატორმა ძალიან კარგად იცოდა, რომ

---

[1] E. Daudet, Histoire diplomatique de l'Alliance franco-russe, p. 203, 206.

[2] Сборник передовых статей Каткова за 1887 г., стр. 35.

[3] „Русская старина“, т. 96, стр. 249. 1898, кн. X—XI.

[4] იქვე, გვ. 242.

ბისმარკი ეწეოდა მოლაპარაკებას ავსტრიისა და იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრებთან რუსეთის გარეშე, რომ ადგილი ჰქონდა მოლაპარაკებას ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორებს შორის ჰასტეინში, სადაც ირჩეოდა ბულგარეთის საკითხი რუსეთის მონაწილეობის გარეშე[1].

გერმანიის კანცლერი აგრძელებდა თავის პოლიტიკას. იგი ცდილობდა გაემწვავებინა დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ავსტრიასა და რუსეთს შორის, ხოლო მეორე მხრივ, ინგლისსა და რუსეთს შორის. ბისმარკი ხელს უწყობდა ინგლის-ავსტრია-იტალიის კავშირის განმტკიცებას, რათა ისინი ერთიანი ფრონტით გამოსულიყვნენ ბალკანეთში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ. ამიტომ საფრანგეთის მდგომარეობა ამჟამად გაცილებით უფრო რთული იყო და საშიში, ვიდრე 1875 წელს, როცა მის დასაცავად შეიძლებოდა გამოსულიყო რუსეთი და ინგლისი. ჯერ კიდევ 1877 წლიდან მოხდა რუსეთსა და საფრანგეთს შორის დამოკიდებულების ერთგვარი შენელება. ავსტრია მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიასთან. იტალია მზად იყო გამოსულიყო საფრანგეთის წინააღმდეგ. რაც შეეხებოდა ინგლისს, ის თუ პირდაპირ არ უწყობდა ხელს საფრანგეთ-გერმანიას შორის ომის წარმოშობას, ყოველ შემთხვევაში, ხელს არ უშლიდა გერმანიის აგრესიულ მოქმედებას. თითქოს ბისმარკს შეეძლო ეხეიმა თავისი პოლიტიკის გამარჯვება. მაგრამ რჩებოდა რუსეთი, რომლისაგანაც არ ჰქონდა გარანტია ბისმარკს. საქმე ის იყო, რომ სამი იმპერატორის ხელშეკრულების ვადა თავდებოდა 1887 წელს, ბისმარკმა არ იცოდა შესაძლებელი იყო თუ არა მისი აღდგენა. რუსეთის თვალწინ გერმანიის მითითებით ავსტრია იარაღდებოდა. ბისმარკის პირდაპირი დირექტივის საფუძველზე ხელმოწერილ იქნა ინგლის-იტალიის ხელშეკრულება 1887 წ. 20 თებერვალს, ხოლო იმავე წლის 24 მარტს შეთანხმება დაიდო ინგლის-იტალია-ავსტრიას შორის. ერთიც და მეორეც მიმართული იყო როგორც საფრანგეთის, ისე რუსეთის წინააღმდეგ.

ამავე დროს ბისმარკი გამოდიოდა საჯაროდ და მიუთითებდა რუსეთთან მეგობრულ დამოკიდებულებაზე, რაც, ცხადია, იყო მხოლოდ ცარიელი სიტყვები და სინამდვილეს არ წარმოადგენდა. მეორე მხრივ, იგი აგრძელებდა საიდუმლო მოლაპარაკებას რუსეთთან. გერმანიის ელჩი კონსტანტინეპოლში ფონ რადოვიცისადმი 1887 წლის 17 თებერვალს გაგზავნილ წე-

[1] „Русская старина". т. 96, стр. 254, 1887, кн X—XI.

რილში ბისმარკი აღნიშნავდა: „თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მე არაოფიციალური გზით ვანიშნე პეტერბურგში, რომ გერმანია მზად დაუჭერს რუსეთის პოლიტიკას დუნაის ქვეყნებში და შავ ზღვაზე, თუ რუსეთი ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა საფრანგეთზე გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში" [1].

მაგრამ ბისმარკის ცდა ამ შემთხვევაშიც უშედეგო იყო. რუსეთის მთავრობამ არ უპასუხა ბისმარკის კითხვაზე. ყველაფერი მზად იყო საფრანგეთთან ომისათვის, მაგრამ გერმანიის კანცლერს აჩერებდა რუსეთის პოზიციის საკითხი. 1887 წ. 12 თებერვალს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ემილ ფლურანსი წერდა ერბეტს: „ხელში ჩავიგდეთ ბლაიხრედერის დეპეშა, რომელშიაც ის ამბობს, რომ საკითხი ომის შესახებ გადაწყვეტილია, ომის გამოსაცხადებლად გერმანია უცდის მხოლოდ ერთს, რუსეთი დაჰპირდეს თავის ნეიტრალიტეტს" [2].

გერმანია უცდიდა, ხოლო პეტერბურგი სდუმდა. პასუხი რუსეთიდან რომ არ მოვიდა, ბისმარკი იძულებული იყო ეღიარებინა: „თუ არ არის არავითარი პასუხი, მაშინ ესეც პასუხია" [3].

იმავე წლის 15 თებერვალს ემილ ფლურანსმა წერილით მიმართა თავის ელჩს პეტერბურგში დე ლაბულეს [4]. ფლურანსი აღნიშნავდა: გერმანია ყოველგვარ ხერხს მიმართავს იმისათვის, რათა გამოიწვიოს გართულება საფრანგეთთან, რომ გერმანიამ თავი მოუყარა საფრანგეთის საზღვარზე 120 ათასიან არმიას. ეს მაშინ, როდესაც ბისმარკი განუწყვეტლივ იძლეოდა „პატიოსან სიტყვებს" და „გარანტიას", რომ მას არ ჰქონდა მტრული განწყობილება საფრანგეთის მიმართ. ფლურანსი წუხს, რომ საფრანგეთი არაა მზად თავდაცვისათვის გერმანიის თავდასხმისაგან. ასეთ მძიმე პირობებში საფრანგეთს რუსეთის იმედი ჰქონდა. ფლურანსი სწერს ელჩს: „საფრანგეთის ბედი ამ მომენტში თქვენს ხელშია... შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, როცა, თუ რუსეთის მხრიდან არ იქნება მიღებული შესაძლებელი დახმარება, ჩვენ შეიძლება გაგვსრისონ მანამ, სანამ ჩვენ შევძლებთ თავდაცვას მოვკიდოთ ხელი". ფლურანსის აზრით, რუსეთმა „შეუძლებელია დაუშვას მსგავსი საზიზღრობა... მას (რუსეთს—ი. ტ.) არ შეუძლია ასევე დაუშვას საფრანგეთის მოსპობა".

---

[1] „Die Grosse Politik", Bd. V, N 1007, S. 119.
[2] „Doc. Dipl. Fr.", t. VI. doc. N 437, p. 453—454.
[3] „Die Grosse Politik", Bd. VI, N 107·. S. 220.
[4] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. VI, doc. N 441, p. 457.

ფლურანსი მიუთითებს ელჩს: „უთხარით მას (რუსეთის იმპერატორს—ი. ტ.) კარგად ან ათქმევინეთ მისთვის, თუ თქვენ არ შეგიძლიათ შესვდეთ მას, რომ ჩვენ მას არ ვთხოვთ კავშირს, ჩვენ მას არ ვთხოვთ ჩაერიოს ომში, ჩვენ მას ვთხოვთ მხოლოდ, რომ ჰქონდეს თავისუფალი ხელი; სანამ შესაძლებელი არ გახდება მისი მოქმედების პარალიზება, ვერ გაბედავენ მისი თვალის წინ შეასრულონ მაკიაველისტური შეთქმულება, რომლითაც გათვალისწინებულია ერთდროული გართულება აღმოსავლეთსა და დასავლეთში... მდგომარეობა სულ უფრო სერიოზული ხდება. მაგრამ არ უნდა დავკარგოთ იმედი, სანამ რუსეთი დარჩება თავისუფალი. ეს არის ერთადერთი იმედი, რომელიც ჩვენ გვრჩება, რათა თავიდან ავიცილოთ უთანაბრო ბრძოლა“ [1]

რუსეთი გადაჭრით გამოდიოდა მშვიდობის დაცვის წინადადებით, იგი საფრანგეთ-გერმანიას შორის ახალი ომის წინააღმდეგი იყო და სურვილს გამოსთქვამდა ენახა საფრანგეთი ევროპის დიდ სახელმწიფოთა რიგებში. რუსეთის ასეთმა პოზიციამ ახალი სიმპათია გამოიწვია პარიზში. ზოგიერთმა წრეებმა, რომლებსაც სათავეში ედგა ემილ ფლურანსი (რომელიც თავის მხრივ განსაკუთრებით ენერგიულად მხარს უჭერდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნას და ამზადებდა მისთვის ნიადაგს), გადაწყვიტეს დაეწყოთ მოლაპარაკება რუსეთთან კავშირის დადების შესახებ.

საფრანგეთ-რუსეთის დაახლოებას ენერგიულად მხარს უჭერდა რუსეთის ელჩი პარიზში ბარონი მორენჰაიმი (1885—1898 წწ.). მაგრამ საფრანგეთს არ შეეძლო რაიმე ღონისძიებისათვის მიემართა ამ დროს. ბერლინში თვალყურს ადევნებდნენ საფრანგეთის ყოველ ნაბიჯს. საფრანგეთის ელჩი ბერლინში ერბეტი ურჩევდა ფლურანსს: ემოქმედა მეტად ფრთხილად, რათა ბისმარკი არ განრისხებულიყო [2].

ასეთ ვითარებაში ბისმარკი კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ რუსეთი არ დაუშვებდა საფრანგეთის ახალ განადგურებას. ამიტომ საფრანგეთ-გერმანიის დაძაბულობა, რომელმაც უმაღლეს წერტილს მიაღწია 1887 წლის თებერვალში, თანდათანობით შენელდა. გერმანიის აგრესიული წრეები, ისევე როგორც 1875 წელს, იძულებული გახდნენ უკან დაეხიათ იმ მტკიცე პოზიციის შედეგად, რომელიც რუსეთის მთავრობამ დაიკავა. ისე, როგორც 1875 წელს,

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. VI, Doc. N 441, p. 457.

[2] Ibid. doc. N 428, p. 442.

ახლაც მხოლოდ რუსეთმა გადაარჩინა საფრანგეთი გერმანიის შეტევისაგან და ევროპა ომს[1].

ფრანგი ჟურნალისტი და ისტორიკოსი ანდრე მევილი აღნიშნავდა, რომ ბისმარკის ყოველგვარი ცდა, მიეღწია რუსეთის ნეიტრალიტეტისათვის, უშედეგოდ დამთავრდა რუსეთის მთავრობის მტკიცე პოზიციის შედეგად. ის წერს: „როცა გერმანიამ გადაწყვიტა მოულოდნელად თავს დაგვესხმოდა ჩვენ, რუსეთის პოზიცია წარმოადგენდა ერთადერთ საშიშროებას კანცლერისათვის". და შემდეგ ავტორი დასძენს: „მეფე ალექსანდრე III, რომელიც განსაზღვრული დროის განმავლობაში ცხადად ხედავდა გერმანიის ვერაგულ თამაშს, არ მიიღო ეს წინადადება (ნეიტრალიტეტის შესახებ—ი. ტ.) და კიდევ ერთხელ მშვიდობა შენარჩუნებულ იქნა წინააღმდეგ ბისმარკის სურვილისა"[2].

ვაჯამებთ რა საფრანგეთ-გერმანიის ურთიერთობას 1871—1887 წწ., გვინდა ხაზი გავუსვათ შემდეგს: აღნიშნულ პერიოდში გერმანიამ მრავალჯერ სცადა თავს დასხმოდა საფრანგეთს. ჩვენ ვერ დავეთანხმებით პროფესორ ა. ერუსალიმსკის, რომელიც ამცირებს გერმანიის აგრესიულ ზრახვებს საფრანგეთის მიმართ 1875 და 1887 წწ. სამხედრო განგაშების დროს. ავტორი არ არის სწორი იმაშიც, როცა ის მიუთითებს საფრანგეთის სამხედრო ძალების ზრდაზე და თითქმის არაფერს ამბობს გერმანიის გამალებულ სამხედრო შეიარაღებაზე[3]. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ ენგელსის აზრს გერმანია-საფრანგეთის შეიარაღებული ძალების შესახებ[4]. ჩვენი აზრით, არ შეიძლება შევამციროთ გერმანიის მილიტარიზმის აგრესიული როლი და გადაჭარბებით შევაფასოთ საფრანგეთის სამხედრო ძლიერებისა და ფრანგი რევანშისტების მოქმედება, მათი მხრიდან ომის საშიშროების შექმნა. ასევე არ შეიძლება რუსეთის როლის უარყოფა საფრანგეთის წინააღმდეგ გერმანიის აგრესიის თავიდან აცილების საქმეში. ამ პერიოდში რუსეთი დიდ როლს ასრულებდა ევროპის საქმეებში.

---

[1] В. М. Хвостов, Россия и германская агрессия в дни опропойского кризиса 1887 (к предистории франко-русского союза), „Исторические записки", 1946, т. 18, стр. 201—254.

[2] A. Mevil, De la paix de Francfort à la conférence d' Algèsiras, p. IV—V.

[3] А. С. Ерусалимский. „А. З. Манфред,"Внешняя политика Франции 1871—1891 годов", Рецензия, „Вопросы истории", 1955, № 9, стр. 145, 148—151.

[4] К. Маркс и Ф Энгельс. Соч., т. XV, стр. 205, 213.

შეუძლებელი იყო რომელიმე საერთაშორისო მნიშვნელობის პრობლემის გადაჭრა ევროპაში რუსეთის პოზიციის გათვალისწინების გარეშე.

1887 წლის თებერვალში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III შეეკითხა ბისმარკს და გერმანიის კაიზერს, თუ რა მიზნები ჰქონდათ მათ საფრანგეთის მიმართ. ამის შესახებ საფრანგეთის ელჩმა პეტერბურგში დე ლაბულემ შემდეგი აცნობა პარიზში: „თვითონ საგარეო საქმეთა მინისტრმა თავისი ინიციატივით მითხრა მე იმ შეკითხვის შესახებ, რომელიც იმპერატორმა ალექსანდრე III გაუგზავნა არა მარტო კანცლერს, არამედ კაიზერ ვილჰელმ პირველსაც, რათა გაეგო მათი განზრახვები საფრანგეთის მიმართ. რაზედაც მშვიდობიანობის შენარჩუნების ხასიათის პასუხი იქნა მიღებული“ [1].

ფლურანსს მეტად აშინებდა ბისმარკის მოქმედება და ცდილობდა მიეღო რუსეთის მთავრობისაგან მხარდაჭერა. მან მიმართა რუსეთის მთავრობას პარიზში რუსეთის ელჩის გრაფ მორენჰაიმის საშუალებით, იმის შესახებ, შეუძლია თუ არა საფრანგეთს რუსეთის მორალური მხარდაჭერის იმედი ჰქონდეს. მორენჰაიმის ამ დეპეშაზე ალექსანდრე III დააწერა: „რა თქმა უნდა, კი“ [2]. როგორც თვით ლამზდორფის დღიურიდან ჩანს, ლამზდორფი არ იყო ამით კმაყოფილი. იმპერატორის ასეთი მოქმედებით არც გირსი იყო კმაყოფილი, ერთიც და მეორეც, როგორც ცნობილია, გერმანოფილებს წარმოადგენდნენ. რუსეთის იმპერატორის ასეთი მოქმედება, წინააღმდეგ გირსისა და ლამზდორფის სურვილისა, გამოწვეული იყო იმით, რომ, ჯერ ერთი, მან მშვენივრად იცოდა ბისმარკის პოლიტიკის არსი და სრულებითაც არ სურდა ემოქმედა მის სასარგებლოდ. მეორე, მისი აზრით, საფრანგეთის დამარცხება ევროპაში შეცვლიდა ძალთა თანაფარდობას გერმანიის სასარგებლოდ. ამასთან, ალექსანდრე III ანგარიშს უწევდა რუსეთის პრესასა და საზოგადოებრიობას, რომლებიც გამოდიოდნენ საფრანგეთთან დაახლოების სასარგებლოდ. რუსეთ-საფრანგეთის კავშირს მხარს უჭერდნენ რუსეთში, პირველ რიგში, სამხედრო პირები გენერალური შტაბის უფროსის ობრუჩევის მეთაურობით.

1887 წ. 8 თებერვლის წერილში დე ლაბულე აშვიდებს ფლურანსს, რომ რუსეთის მთავრობა მოქმედებს საფრანგეთისა-

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, t. VI, doc. N 422, p. 436.

[2] В. Н. Ламздорф, Дневник 1886—1890 гг., стр. 45—46.

თვის სასურველი მიმართულებით, რაც გამოიხატა მისი აქტიური მოქმედებით ბერლინში, რათა თავიდან აეცილოს ევროპას ომი[1], გერმანიის ელჩი პეტერბურგში შვაინიცი განსაკუთრებულ მოღვაწეობას ეწეოდა ამ პერიოდში. საფრანგეთის ელჩის თქმით, დადიოდა ხმები, თითქოს გერმანიამ მოსთხოვა რუსეთს carte blanche საფრანგეთის მიმართ, მაგრამ რუსეთის იმპერატორმა უარი თქვა გერმანიის ამ წინადადებაზე. 11 თებერვალს სრულიად საიდუმლო წერილით დე ლაბულემ აცნობა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს: „გერმანია თითქოს ცდილობდა უზრუნველეყო რუსეთის ნეიტრალიტეტი ომის შემთხვევაში", მაგრამ რუსეთის იმპერატორმა „უარი განუცხადა აელო ასეთი ვალდებულება"[2].

როგორც ვხედავთ, რუსეთი კვლავ მტკიცედ იდგა თავის პოზიციაზე. რუსეთის იმპერატორის აზრით, საფრანგეთი უნდა დარჩენილიყო ევროპაში ძლიერ სახელმწიფოდ. გერმანოფილი გირსიც კი იძულებული იყო ამ საკითხში იმპერატორისათვის დაეჭირა მხარი. აი რას წერდა გერმანიის ელჩი პეტერბურგში შვაინიცი 21 თებერვალს თავის მოხსენებით ბარათში ბისმარკს (აქ მას მოჰყავს სიტყვები ვენაში გერმანიის ელჩის მოხსენებითი ბარათიდან): „გრაფი კალნოკი არ შეიძლება გააკვირვოს იმ მდგომარეობამ, რომ იქაური პრესის აზრით რუსეთს არ შეუძლია დაუშვას საფრანგეთის საბოლოო განადგურება, მაგრამ მას აკვირვებს ის, რომ ბატონმა ფონ გირსმაც კი საიდუმლოდ გამოსთქვა თავისი აზრი, რომ არასასურველი იქნებოდა, თუ საფრანგეთი შეწყვეტდა თავის არსებობას, როგორც დიდი სახელმწიფო"[3].

გერმანიის ელჩს ეს ფაქტი სრულებით არ აკვირვებდა, ვინაიდან მან კარგად იცოდა, რომ რუსეთი არ დაუშვებდა საფრანგეთის შემდგომ განადგურებას. რუსეთი მტკიცედ იდგა ამ გადაწყვეტილებაზე და, „თუ გირსი ამ აზრს არ გაიზიარებდა, ის დარჩებოდა სრულიად მარტო თავისი აზრით"[4].

1887 წლის მარტის შუა რიცხვებში საფრანგეთსა და გერმანიას შორის დამოკიდებულება ისევ გამწვავდა. ელზას-ლოთარინგიაში ბისმარკმა მიმართა ახალ ზომებს, რომლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, უფრო დაემორჩილებინა დაპყრობილი რაიონები, ხოლო მეორე მხრივ კი—გამოეწვია საფრანგეთთან კონფლიქტი. აპრილში გერმანელებმა

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", t. VI, doc. N 430, p. 444—445.
[2] Ibid., Doc. N 436, p. 452.
[3] „Die Grosse Politik", Bd. V, N 1060, S. 219
[4] Ibid.

შეიპყრეს საფრანგეთის პოლიციის კომისარი შნებელე[1], რამაც ისევ წარმოშვა საშიშროება განგაში საფრანგეთსა და გერმანიას შორის. საფრანგეთ-გერმანიის დამოკიდებულება ახლა ისე გართულდა, როგორც არასდროს. ომი ყველას გარდუვალი ეგონა. საფრანგეთის ელჩმა ბერლინში, რომელიც 4 მარტს წერდა, რომ „ვწევ რა რისკს, რათა გამოვიდე გაუსწორებელი ოპტიმისტი, მე უნდა გაგიმეოროთ თქვენ, რომ მდგომარეობა ყოველდღიურად უმჯობესდება"[2]. უკვე 26 მარტს ფლურანსს საიდუმლო წერილით აცნობა, რომ „მე უფრო მეშინია ბისმარკის ალერსის, ვიდრე მისი დარტყმის"[3], ხოლო 3 აპრილს, როდესაც უკვე ცხადი გახდა, რომ „მშვიდობის თაფლის თვე" დამთავრდა, ოპტიმისტი ერბეტი ფლურანსს უკვე გადაჭრით სწერს: „მდგომარეობა ისევ დაძაბულია. თუ ჩვენ გვინდა თავიდან ავიცილოთ პროვოკაციები ან კიდევ უარესიც კი, მაშინ საჭიროა გავაორკეცოთ ჩვენი სიფრთხილე"[4].

საფრანგეთი ისევ მძიმე მდგომარეობაში იყო, მაგრამ გერმანიას არ შეეძლო რაიმეს გაკეთება საფრანგეთის წინააღმდეგ რუსეთის ნეიტრალიტეტის გარეშე—აღნიშნავს ანდრე მევილი[5].

ბისმარკმა თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ გრაფ შუვალოვთან ერთ-ერთი საუბრის დროს (ეხებოდა რა რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულებას) განაცხადა: „რისი უნდა მშინებოდა მე რუსეთის მხრიდან? როგორც მე თქვენ გითხარით ჩვენი უკანასკნელი საუბრის დროს, მე კარგად მესმის, რომ, თუ ჩვენ საბედისწეროდ აღმოვჩნდებოდით საფრანგეთთან ომში ჩაბმული, მაშინ ჩვენი წარმატების შემთხვევაში რუსეთი გარკვეულ მომენტში ჩვენ გვეტყოდა „შეჩერდით!" და ჩვენც შევჩერდებოდით"[6].

რუსეთის მტკიცე პოზიციამ აიძულა ბისმარკი ამჯერადაც უკან დაეხია. მართალია, საფრანგეთის მოუმზადებლობამაც ხელი შეუწყო ომის თავიდან აცილებას, მაგრამ ფაქტია, რომ საფრანგეთის მთავრობამ არ მისცა საშუალება ის ჩაეთრიათ ომში. ამასთან ფაქტები მეტყველებენ, ჯერ ერთი, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ბულანჟეს პოლიტიკა და მოქმედება, საფრანგეთის მთავრობა ინარჩუნებდა მშვიდობიან პოლიტიკას, ხოლო „ყოვლის-

---

[1] Г. Гуревич, Дело Шнебеле... Ученые записки ЛГУ, № 36, серия ист. наук, Вып. 3, 1939, стр. 231—240.

[2] „Doc. Dipl. Fr.", t. VI, doc. N 459, p. 472.

[3] Ibid., doc. N 483, p. 492.

[4] Ibid., doc. N 486, p. 494.

[5] A. Mévil, Op. cit., p. VII.

[6] В. Н. Ламздорф, Дневник, стр. 278.

შემძლე" გენერალმა ბულანჟემ სულ მოკლე ხანში, როგორც სამხედრო მინისტრმა, დაამთავრა თავისი კარიერა. გობლეს მთავრობა შეცვალა 1887 წ. 13 მაისს რუვიეს მთავრობამ, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრად რჩებოდა ფლურანსი, მაგრამ მასში არ შედიოდა გენერალი ბულანჟე. მეორე,— მშვიდობის შენარჩუნებას ხელი შეუწყო ბისმარკის პოლიტიკის მარცხმა. თვით ბისმარკი და მოლტკეც აღიარებდნენ შემდგომში, რომ შნებელეს საქმე ცუდად იყო დაწყებული[1].

ამრიგად, ბისმარკმა ვერ გადაჭრა საფრანგეთის საკითხი ისე, როგორც ეს მას სურდა.

ჯერ კიდევ 1887 წ. იანვარში დაიწყო მოლაპარაკება რუსეთსა და გერმანიას შორის ხელშეკრულების დადების შესახებ, რომელსაც უნდა შეეცვალა „სამი იმპერატორის კავშირი". ინიციატივა ამ საქმეში ბისმარკს ეკუთვნოდა. ბისმარკი, დარწმუნდა რა, რომ რუსეთი არ მისცემდა მას თავისუფალ მოქმედების საშუალებას დასავლეთში, ყოველმხრივ ცდილობდა მოეხდინა ზეგავლენა რუსეთის მთავრობაზე. ის ხელს უშლიდა რუსეთს თავისი პოლიტიკა გაეტარებინა ბულგარეთში. ბისმარკი მხარს უჭერდა ავსტრია-უნგრეთს. გერმანიაში ადგენდნენ ახალ პროექტს რუსეთიდან შემოტანილ პურზე საბაჟო ტარიფების ასაწევად. მიუხედავად ამისა, მოლაპარაკება მიმდინარეობდა გერმანიასა და რუსეთს შორის.

„გადაზღვევის ხელშეკრულების" ტექსტის შესამუშავებლად ბერლინში ჩავიდა გრაფი პავლე შუვალოვი. დავა ბისმარკსა და შუვალოვს შორის დიდხანს გრძელდებოდა. 1887 წლის 18 ივნისს ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა[2]. ამ ხელშეკრულების თანახმად, მათ უნდა დაეცვათ ურთიერთნეიტრალიტეტი იმ შემთხვევაში, თუკი ერთი რომელიმე მხარე აღმოჩნდებოდა საომარ მოქმედებაში რომელიმე მეორე სახელმწიფოსთან. მაგრამ ეს არ ვრცელდებოდა გერმანიის მხრიდან ავსტრიაზე, ხოლო რუსეთის მხრიდან— საფრანგეთზე[3]. ეს არ იყო ის, რაც ბისმარკს უნდოდა, ამიტომ ბისმარკი არ იყო კმაყოფილი ამ ხელშეკრულებით. მან ვერ მიაღწია რუსეთის ნეიტრალიტეტს საფრანგეთ-გერმანიის ომის შემთხვევაში. კიდევ მეტიც, პავლე შუვალოვმა მოლაპარაკების დროს

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", t. VI. doc. N 514, p. 525.

[2] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches. Bd I. S. 365—367; История дипломатии, т. II, стр. 83.

[3] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches, Bd. I, S. 366.

განუცხადა ბისმარკს, რომ „რუსეთს არ შეუძლია დაუშვას საფრანგეთის განადგურება“ [1].

ამრიგად, ეს ხელშეკრულება არ წარმოადგენდა ბისმარკის პოლიტიკის გამარჯვებას, როგორც ეს ჰგონია დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ისტორიკოსს [2]. პირიქით, მან ხელფეხი შეუკრა ბისმარკს დასავლეთში მოქმედებისათვის. გერმანოფილი სიდნეი ფეიც იქვე აღიარებს, რომ ამ ხელშეკრულებამ ხელი ვერ შეუშალა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას [3]. ბისმარკმა ვერ მიიღო რუსეთისაგან ის, რაც მას სურდა. მან გააგრძელა, რუსეთზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით, თავისი ძველი პოლიტიკა. 1887 წ. ზაფხულში გერმანიის პრესამ დაიწყო აგიტაცია რუსეთისადმი კრედიტის მიცემის წინააღმდეგ (ცნობილია, რომ მეფის მთავრობის მთავარი კრედიტორი ამ პერიოდში გერმანია იყო). დაეცა რუსეთის ფასიანი ქაღალდების ფასი გერმანიის ბირჟაზე. მთავრობამაც კონტრზომები მიიღო. რუსეთში გამოცემულ იქნა კანონი, რომლის თანახმად, დასავლეთის მხარეებში, კერძოდ, პოლონეთში უცხოელებს ეკრძალებოდათ ჰქონოდათ უძრავი ქონება. თუ ვინმეს ასეთი გააჩნდა, ვალდებული იყო ლიკვიდაცია ექნა მისთვის სამი წლის განმავლობაში. ეს ბრძანება მიმართული იყო უმთავრესად პრუსიის ქვეშევრდომების წინააღმდეგ, რომლებიც ფლობდნენ მამულებს ამ მხარეებში. ამით უფრო ისარგებლა ბისმარკის პრესამ და გააძლიერა აგიტაცია რუსეთის წინააღმდეგ. „საჭიროა, რომ გერმანიის ბაზარი დაკეტილ იქნეს რუსეთის სესხებისათვის“ [4]—ასეთი იყო ლეიტმოტივი ამ პერიოდის გერმანული პრესისა. ამ პროპაგანდამ თავისი გავლენა მოახდინა საქმის ვითარებაზე. დაიწყო რუსული ქაღალდების სწრაფი გაყიდვა. ამ ფონდების საბირჟო ფასი მკვეთრად დაეცა. ბისმარკის ასეთმა მტრულმა ეკონომიურმა მოქმედებამ, ერთი მხრით, კიდევ უფრო გაამწვავა რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულება, მეორე მხრით კი, დააჩქარა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოება. მით უმეტეს, რომ ის თანხები, რომლებზედაც მეფის მთავრობას უარი უთხრეს ბერლინში, ცარიზმმა იოლად იშოვა პარიზში.

---

[1] Русско-германские отношения, стр. 116—117.

[2] С. Фей, Происхождение мировой войны, т. I, стр. 64—65; Г. Гуч, История современной Европы, стр. 86.

[3] С. Фей, Указ. соч., стр. 64.

[4] „Русская старина“, т. 96, стр. 54.

## თავი მესამე

## რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნა

1887 წლის ამბებმა არსებითად გაჰყო ევროპა ორ მოწინააღმდეგე ბანაკად. ამასთან, თვით 1887 წლამდე შექმნილ საერთაშორისო ურთიერთობას საქმე მიჰყავდა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებისაკენ. რუსეთ-საფრანგეთის კავშირი თუმცა არ იყო გაფორმებული, მაგრამ ფაქტიურად უკვე არსებობდა. მოწინააღმდეგეთა ბლოკი კი (ავსტრია გერმანიის) არსებობდა ჯერ კიდევ 1879 წლიდან.

სამთა კავშირის არსებობა, ბუნებრივია, იწვევდა მის მოწინააღმდეგეებში კავშირის შექმნის აუცილებლობას. სწორედ ეს საკითხი იდგა როგორც საფრანგეთის, ისე რუსეთის დიპლომატიის დღის წესრიგში უკვე 80-იანი წლების დასაწყისიდან.

1887 წლის ამბების შემდევ ადგილი აქვს ერთგვარ დაახლოებას საფრანგეთსა და ინგლისს შორისაც. 1887 წლის შემოდგომაზე საფრანგეთსა და ინგლისს შორის ხელმოწერილ იქნა კონვენცია ეგვიპტის საკითხისა და სუეცის არხში თავისუფალი ნაოსნობის შესახებ. როგორც ფლურანსის მორენჰაიმისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, ამ საკითხებში რუსეთი მხარს უჭერდა საფრანგეთს; გარდა ამისა, ფლურანსი აღნიშნავს, რომ საფრანგეთი მზადაა მხარი დაუჭიროს რუსეთს ინგლისთან ავღანეთის საკითხის გადაჭრაში და დაიკავოს ისეთი პოზიცია, როგორიც მას ეკავა ბულგარეთის საკითხში; საფრანგეთსა და ინგლისს შორის მოლაპარაკების დროს საფრანგეთის წარმომადგენელი იყო გრაფი შოდორდი, ხოლო ინგლისისა—პრემიერ-მინისტრი სოლსბერი[1]. საუბ-

[1] ისინი ერთმანეთს დაუახლოვდნენ ჯერ კიდევ 1876 წ. კონსტანტინეპოლის კონფერენციის შემდეგ, სადაც მათ ერთად მოუხდათ მუშაობა.

რის დროს შოდორდი შეეხო რუსეთ-ინგლისის დაახლოების შესაძლებლობის საკითხს. სოლსბერიმ ამაზე უპასუხა, რომ ამისათვის საჭიროა ავღანეთისა და სრუტეების საკითხში შეთანხმებაო.

ფლურანსი მომხრე იყო რუსეთ-ინგლისის დაახლოებისა. მან გადაწყვიტა საფრანგეთის ელჩი ლონდონში ვადინგტონი შეეცვალა გრაფ შოდორდით, რამდენადაც ეს უკანასკნელი რუსეთ-ინგლისის დაახლოების მომხრე იყო. მაგრამ ეს კომბინაცია ვერ განახორციელა ფლურანსმა.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი ცნობილი თანამშრომლის ჰანზენის აზრით, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებაში საგრძნობი წვლილი შეიტანა რუსეთის ელჩმა პარიზში ბარონ მორენჰაიმმა. თავის მოგონებებში ჰანზენი მოგვითხრობს, რომ მან გაიცნო მორენჰაიმი ჯერ კიდევ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი იყო რუსეთის დესპანად კოპენჰაგენში. მორენჰაიმს კარგად ესმოდა ბისმარკისა და ინგლისის მმართველი წრეების პოლიტიკის არსი და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მას არ მოსწონდა საფრანგეთის რესპუბლიკური მმართველობა, მაინც რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების მომხრე იყო[1]. მას შემდეგ, რაც მორენჰაიმი პარიზში ელჩად იქნა დანიშნული (1884 წ.), მან დაიწყო აქტიური მოქმედება რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შესაქმნელად. ამასთან, ის არ უარყოფდა, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნის წინააღმდეგი იქნებოდა რუსეთის საზოგადოების განსაზღვრული ნაწილი. პირველ რიგში საჭირო იყო რუსეთ-საფრანგეთის კავშირისადმი პეტერბურგის გერმანოფილური ჯგუფის წინააღმდეგობის გადალახვა, მუდამ მშიშარა გირსის დამშვიდება, დასასრულ, ბოლო მოღებოდა ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის გავლენას, რომელიც არ თანაუგრძნობდა ამ გეგმას. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, მორენჰაიმმა მაინც გადაწყვიტა განეხორციელებინა თავისი გეგმა. 1886 წელს, მაშინ როდესაც მორენჰაიმი შვებულებაში იყო, ის ჩავიდა მიუნხენში, სადაც გააცნო თავისი მოხსენებითი ბარათის შინაარსი რუსეთის დესპანს მიუნხენში გრაფ ოსტენ საკენს. ამ მოხსენებითი ბარათის ძირითად არსს წარმოადგენდა შემდეგი: „რუსეთის პოლიტიკის მიზანი უნდა გახდეს საფრანგეთთან დაახლოება“[2].

---

[1] J. Hansen, Ambassade à Paris du baron de Mohrenheim 1884—1898 p. 11—12; Documents Diplomatiques. L' Alliance Franco-russe, doc. № 16, p. 14—15; doc. № 19, p. 18.

[2] J. Hansen, Op. cit., p. 28.

მორენჰაიმის ასეთმა გაბედულმა გეგმამ გააკვირვა ოსტენ-საკენი და მან ამის გამო განუცხადა ბარონს: „თქვენ რისკს სწევთ დაჰკარგოთ იმპერატორის წყალობა ან გადაყენებულ იქნეთ"[1]. მორენჰაიმმა უპასუხა, რომ მას წარმოდგენილი აქვს, თუ რა საშიშროება მოელის, მაგრამ ის სავალდებულოდ სთვლის იზრუნოს სამშობლოს კეთილდღეობისათვის. ის ფიქრობს, რომ მისი გეგმა შეეფერება რუსეთის რეალურ ინტერესებს. ბარონ მორენჰაიმმა თავისი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა გირსს, რომელმაც მის შესახებ მოახსენა იმპერატორს. 1886 წლის ოქტომბერში მორენჰაიმს აუდიენცია ჰქონდა ალექსანდრე მესამესთან. მაგრამ, ვიდრე ის შევიდოდა იმპერატორის კაბინეტში, მას საუბარი ჰქონდა რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრ გრაფ დიმიტრი ანდრიას ძე ტოლსტოისთან, რომელმაც იცოდა მორენჰაიმის ზემოხსენებული მოხსენებითი ბარათის შინაარსი. შინაგან საქმეთა მინისტრმა შემდეგნაირად გამოთქვა თავისი შეხედულება მორენჰაიმის პროექტისადმი: „ძვირფასო ბარონო, მე დიდის ინტერესით წავიკითხე თქვენი ბარათი იმპერატორისადმი. მე გავიგე, როგორც იქნა, ჭეშმარიტი პატრიოტის ხმა, რაც იშვიათად შეგხვდებათ ჩვენს დიპლომატიურ კორპუსში"[2]. ამ სიტყვებით გამხნევებული მორენჰაიმი დამშვიდებული შევიდა იმპერატორთან. „მეფემ ის მეტად კარგად მიიღო, ალბათ, მოხსენებითი ბარათი მოეწონა"[3].

თავის მოხსენებით ბარათებში, რომლებსაც პარიზიდან პეტერბურგში აგზავნიდა ბარონ მორენჰაიმი, იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა რუსეთისადმი საფრანგეთის მთავრობის მეგობრულ დამოკიდებულებას. ამის შესახებ ალექსანდრე III სრული კმაყოფილება გამოთქვა პეტერბურგში საფრანგეთის ახალ ელჩ დე ლაბულესთან საუბრის დროს[4]. მორენჰაიმთან ერთად რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების საქმეში აქტიურ როლს ასრულებდა ზემოხსენებული ემილ ფლურანსი.

„ფლურანსი პირველი მიხვდა, — წერდა ჰანსენი, — რომ საფრანგეთისათვის აუცილებელი იყო მოენახა მოკავშირე; ამ აზრით იყო ის შეპყრობილი იმ დროს, როცა პარიზის მმართველ წრეებს უცხოეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობის გართულების ეშინოდათ"[5].

---

[1] J. Hansen, Op. cit., p. 28.

[2] Ibid., p. 21.

[3] Ibid.

[4] დე ლაბულე, საფრანგეთის ელჩი პეტერბურგში 1886 წლის ოქტომბრიდან 1891 წლის დეკემბრამდე.

[5] J. Hansen, Op. cit., p. 25.

როცა გერმანიასა და საფრანგეთს შორის დამოკიდებულება მეტად დაძაბული გახდა, ბარონმა მორენჰაიმმა პეტერბურგში გაგზავნა (1887 წლის 18 თებერვალს) საკმაოდ ვრცელი და მეტად მნიშვნელოვანი დეპეშა, სადაც ის ამტკიცებდა, რომ 1870 წელს რუსეთის ნეიტრალიტეტი არ იყო მიზანშეწონილი. ამასთან ავტორი მიუთითებდა, რომ დაშვებული შეცდომის განმეორება 1887 წელს არ იყო საჭირო. მორენჰაიმმა ფაქტიურად კავშირის შესახებ დააყენა საკითხი. ეს წერილი, ალბათ, ჰანზენის მორენჰაიმთან მოლაპარაკების შედეგი იყო, რომლის დროს ჰანზენი შეეხო ფლურანსის განზრახვას—„მიმართოს რუსეთის მთავრობას ნამდვილი თავდაცვითი კავშირის შექმნის წინადადებით.“ ბარონმა მორენჰაიმმა განუცხადა ჰანზენს, რომ პრინციპულად ის არ არის ამ პროექტის წინააღმდეგი და თავის მხრივ ურჩია ჰანზენს პეტერბურგში გაეგზავნათ სპეციალური წარმომადგენელი, რომელიც გირსს დაუყენებდა შემდეგ საკითხებს: „სულ ერთია თუ არა რუსეთის მთავრობისათვის როგორი პოზიციაც არ უნდა დაიკავოს საფრანგეთმა აღმოსავლეთში ომის შემთხვევაში? უკანასკნელის შემთხვევაში შესაძლებელია თუ არა დადებულ იქნას ნამდვილი კავშირი? ამის შემდეგ თქვენმა მოციქულმა—უთხრა მორენჰაიმმა—დამშვიდებულად უნდა დაუცადოს გადაცემულ კითხვების პასუხს“[1].

იმავე დღეს ჰანზენმა გადასცა ფლურანსს ყველაფერი ის, რაც მას რუსეთის ელჩმა უთხრა. მინისტრმა აღნიშნა, რომ მან უკვე მიიღო თანხმობა კავშირის დადების შესახებ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გობლესაგან და რომ ეჭვი არ ეპარება რესპუბლიკის პრეზიდენტის გრევის თანხმობაში. ამრიგად, გადასაწყვეტად რჩებოდა ერთი საკითხი, თუ ვისთვის უნდა დაევალებინათ ამ მეტად მნიშვნელოვანი მისიის შესრულება. არსებობდა ორი კანდიდატი: ვიკონტი ევგენი მელიქიორ დე ვოგიუე და დე კერეგიუ. ორივე ხსენებული პიროვნება მიეკუთვნებოდა დიპლომატიურ კორპუსს, ისინი წარმოადგენდნენ საელჩოს მდივნებს. გადაწყვეტილ იქნა ვიკონტი დე ვოგიუეს გაგზავნა. საგარეო საქმეთა სამინისტრომ მას გადასცა სპეციალური წერილი გირსის სახელზე, სადაც აღნიშნული იყო, რომ დე ვოგიუე იგზავნებოდა სპეციალური ამოცანის შესასრულებლად და დე ვოგიუე დახასიათებული იყო, როგორც განსაკუთრებით სანდო პიროვნება. გარდა ამისა, ფლურანსი ხაზს უსვამდა ამ წერილში, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სრული ნდობით მოეპყრობოდა ყოველივე იმას, რასაც

---

[1] J. Hansen, Op. cit., p. 34—35.

საფრანგეთის წარმომადგენელი გადასცემდა მას ფლურანსის სახელით [1].

მეორე დღეს, როცა ვიკონტი დე ვოგიუე უკვე მზად იყო გასამგზავრებლად, მორენჰაიმმა ინახულა ფლურანსი და გადასცა მას, რომ მან მიიღო წერილი გირსისაგან, სადაც მინისტრი წერდა მას, რომ მეფე მეტად კმაყოფილია საფრანგეთის მთავრობის ასეთი განზრახვით, მაგრამ ამჟამად მომენტი არც ისე ხელსაყრელია კავშირის დასადებად, რადგან ის გამოიწვევს განგაშს ევროპის სხვა სახელმწიფოებში. ამრიგად, მოლაპარაკება პეტერბურგის მთავრობასთან არ შედგა. მიუხედავად ამისა, საფრანგეთის მთავრობას უარი არ უთქვამს რუსეთთან კავშირის დადებაზე.

მალე საფრანგეთის პრეზიდენტი გრევი ისევ შეეხო რუსეთ-საფრანგეთის კავშირის საკითხს. მისი გამოსვლა დაკავშირებული იყო ზემოხსენებულ შნებელეს საკითხთან. საბოლოოდ, შნებელეს საქმე მოგვარებულ იქნა. 29 აპრილს, დღის 4 საათზე, საფრანგეთის კომისარი განთავისუფლებულ იქნა ვილჰელმის ბრძანებით. გერმანიას სხვანაირად არ შეეძლო მოქცეულიყო, ვინაიდან გობლემ და ფლურანსმა დოკუმენტალურად დაამტკიცეს, რომ, გადავიდა რა საზღვარზე, შნებელეს ამით თავისი უფლებებისათვის არ გადაუჭარბებია.

საფრანგეთის პრეზიდენტმა გრევიმ ამ საკითხის გამო 1887 წ. 6 მაისს განაცხადა: „ვიდრე მე ვაწარმოებ საქმეებს და ისინი ჩემს ხელში იქნება, საფრანგეთის მოქმედება არ იქნება გამომწვევი და იგი არასდროს არ გამოაცხადებს ომს. გერმანია თავს რომ დასხმოდა საფრანგეთს თავისი ქარაფშუტობით ანდა წარმოუდგენელი ბარბაროსობის გამო, მაშინ მე დავიწყებდი დაცვას, მე არ მეშინია" [2]. გარდა ამისა, შეეხო რა რუსეთ-საფრანგეთის დამოკიდებულების საკითხს, პრეზიდენტმა განაცხადა: „რაც შეეხება საფრანგეთსა და რუსეთს, მათ ამჟამად, ალბათ, გააჩნიათ საერთო ინტერესი — არ დაუშვან გერმანიის იმპერიის შემდგომი გაძლიერება. ის საფრთხეს უქმნის რუსეთს ისევე, როგორც საფრანგეთს, მაშასადამე, ორივე სახელმწიფომ მშვიდობიანი გზით მხარი უნდა დაუჭირონ ერთმანეთს" [3].

1887 წლის 3 დეკემბერს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩეულ იქნა სადი კარნო. ახალი პრეზიდენტის არჩევას

---

[1] J Hansen, Op. cit., p. 36.
[2] Ibid., p. 41 — 42.
[3] Ibid., p. 42.

რუსეთის საელჩო თანაგრძნობით შეხვდა. ასევე შეხვდნენ მას პეტერბურგშიც, რაზედაც სპეციალურად სწერდა საფრანგეთის ელჩი დე ლაბულე ფლურანსს მას შემდეგ, რაც ახალი პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებით საფრანგეთის ელჩი მიიღო რუსეთის იმპერატორმა[1].

საერთაშორისო მდგომარეობა ამ დროს დაძაბული იყო. ბისმარკი აწარმოებდა მოლაპარაკებას იტალიასთან სამხედრო კონვენციის დადების შესახებ, რომელიც მიმართული იყო საფრანგეთის წინააღმდეგ, ხოლო არაპირდაპირ — რუსეთის წინააღმდეგაც. იმისათვის, რომ შეეშინებინა თავისი მოწინააღმდეგეები, ბისმარკმა 1888 წლის 4 თებერვალს გასცა განკარგულება გამოექვეყნებინათ გაზეთებში ავსტრია-გერმანიის 1879 წლის ხელშეკრულების ტექსტი.

დე ლაბულე 6 თებერვალს სწერდა ფლურანსს, რომ „ავსტრია-გერმანიის 1879 წლის ხელშეკრულების ტექსტის 4 თებერვალს ბერლინსა და ვენაში გამოქვეყნებამ გამოიწვია დიდი უკმაყოფილება პეტერბურგში"[2].

გერმანიის მთავრობის ასეთი მოქმედება მეტად გამომწვევი იყო და მას რუსეთის მთავრობამ უპასუხა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შესახებ მოლაპარაკების დაწყებით. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ შეიძლებოდა ამ მოლაპარაკებისათვის ხელი შეეშალა იმ გარემოებას, რომ რუსეთის ელჩი არ გამართავდა მოლაპარაკებას საფრანგეთის პალატის პრეზიდენტ ფლოკესთან, ვინაიდან მორენჰაიმსა და ფლოკეს შორის მეტად ცუდი ურთიერთობა იყო ფლოკეს წარსული ანტირუსული პოლიტიკის გამო. პალატის პრეზიდენტს აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა მოლაპარაკებაში, მაგრამ მორენჰაიმმა გადაწყვიტა დაეწყო მოლაპარაკება ფლოკესთანაც. ამას დაჟინებით მოითხოვდა ფლურანსი. მეორე მხრით, პოლიტიკურ წრეებში დადიოდა ხმები ფლოკეს კაბინეტის შედგენის შესაძლებლობის შესახებ, რომ ფლოკე გამოსთქვამდა სურვილს დაახლოებოდა რუსეთის ელჩს.

ბარონ მორენჰაიმის პირველი შეხვედრა ფლოკესთან მოხდა 1888 წლის 7 თებერვალს. მეორე დღეს ფლოკემ საპასუხო ვიზიტით ინახულა რუსეთის ელჩი. შეხვედრამ მეტად მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა. რუსეთის საელჩოს ბიბლიოთეკაში ფლოკე აღფრთოვანებით მიესალმა რუსეთის მონარქების პორტრეტებს, რომ-

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. VII, doc. № 9, p. 12.

[2] 1888 წლის 6 თებერვლის წერილი: იხ. „Doc. Dipl. Fr.", I série, t. VII, doc. № 27, p. 26 — 27.

ლებიც ჩამოკიდებული იყვნენ ბიბლიოთეკის კედლებზე. ბარონთან საუბრის დროს ფლოკემ თანაგრძნობით აღნიშნა ფლურანსის ცდები საფრანგეთისა და რუსეთის დაახლოების საკითხში. რუსეთის ელჩმა მიიღო მიპატიჟება სადილზე, რომელსაც ფლოკე აწყობდა 23 თებერვალს რესპუბლიკის პრეზიდენტის პატივსაცემად.

1888 წლის 3 აპრილს შეიქმნა ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში ფლოკე ჩაუდგა. ფლურანსი ახალ კაბინეტში ვერ შევიდა; საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა გობლე. ეს იყო დიდი უსიამოვნება მორენჰაიმისათვის, ამიტომ მისი დამოკიდებულება ფლოკეს კაბინეტთან არ იყო ისეთი მეგობრული, როგორც ფლურანსის კაბინეტთან. მაგრამ ფლურანსის წასვლა პოლიტიკური ასპარეზიდან ასე თუ ისე კომპენსირებულ იქნა. სამხედრო მინისტრის პორთფელი ფლოკეს კაბინეტში მიიღო ფრეისინემ, რომელმაც ის შეინარჩუნა 5 წლის განმავლობაში. ამას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების საქმეში, „ვინაიდან ფრეისინე საფრანგეთის მინისტრებიდან ყველაზე მეტად უწყობდა ხელს საფრანგეთ-რუსეთის კავშირის განხორციელებას“ [1].

ერთ დროს ინგლისის მმართველი წრეები შეეცადნენ კავშირი დაედოთ გერმანიასთან რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ინგლისმა ვერ მიაღწია ასეთ კავშირს. მაშინ ინგლისის მთავრობამ გადაწყვიტა დაედო შეთანხმება ავსტრია-უნგრეთთან და იტალიასთან. ასე შეიქმნა ე. წ. „ხმელთაშუა ზღვის ანტანტა“ 1887 წელს. ზემოხსენებული შეთანხმება მიმართული იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკისა და შავი ზღვის სრუტეებისაკენ რუსეთის მისწრაფების წინააღმდეგ. გერმანია არ შეუერთდა ამ შეთანხმებას, მაგრამ ბისმარკი თანაუგრძნობდა მას იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი იყო ზემოხსენებულ სახელმწიფოებს შორის წინააღმდეგობის გამწვავება.

„ხმელთაშუა ზღვის ანტანტის“ შექმნამ დააჩქარა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის გაფორმება. ამ კავშირის შექმნას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამაც: 1888 წლის ბოლოს სამთა კავშირში შემავალ სახელმწიფოებსა და ინგლისს შორის დაიწყო მოლაპარაკება სამთა კავშირში ინგლისის შესვლის შესახებ. მთავარ როლს ამ მოლაპარაკების დროს ასრულებდა იტალიის პრემიერ-მინისტრი კრისპი, რომელიც მტრულად იყო განწყობილი საფრანგეთის მიმართ. მისი ინიციატივით გაიგზავნა ვენასა და ბერლინში ერთ-

---

[1] J. Hansen, Op. cit., p. 81.

ერთი მაღალი ჩინის იტალიელი სამხედრო პირი, რათა იქ დაესვა საკითხი სამხედრო კონვენციის დადების შესახებ სამთა კავშირში შემავალ სახელმწიფოებს შორის [1].

ინგლისი მთლიანად არ შეუერთდა სამთა კავშირის ხელშეკრულებას, მან მოიწონა მხოლოდ მისი ცალკე მუხლები, რომლებიც შეიძლებოდა განსაზღვრულ პირობებში სასარგებლო ყოფილიყო დიდი ბრიტანეთისათვის.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გობლე ითვალისწინებდა საერთაშორისო ურთიერთობაში შექმნილ სიტუაციას და ყოველგვარ ზომებს ღებულობდა იმისათვის, რათა შეენარჩუნებინა რუსეთთან მეგობრული დამოკიდებულება, რომელიც დამყარდა ფლურანსის დროს, და შესაძლებლობისდაგვარად ეხმარებოდა ფრეისინეს. რომელიც ცდილობდა სამსახური გაეწია რუსეთის სამხედრო უწყებისათვის. მაგრამ 1888 წელმა მნიშვნელოვანი ცვლილებები ვერ მოგვცა საფრანგეთ-რუსეთის დამოკიდებულებაში. ორივე მხარე თითქოს თავს იკავებდა და კავშირის საკითხი მიყრუვდა. ამის შესახებ ბევრს წერდნენ ამ დროს ფრანგულ გაზეთებში, რომლებიც პირდაპირ ბრალს სდებდნენ ფლოკეს მთავრობას უმოქმედობაში. ფრანგული გაზეთები აღნიშნავდნენ, რომ საფრანგეთის მდგომარეობა არ იყო განსაზღვრული, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დაკავებული იყო მხოლოდ მიმდინარე საკითხებით. რუსეთის მთავრობას არ შეუცვლია თავისი პოლიტიკის მიმართულება, ის მტკიცედ იდგა თავის პოზიციებზე, მიუხედავად ბისმარკის ცდისა—ისევ მოეპოვებინა ნდობა მეფის რუსეთის წინაშე. საფრანგეთის რადიკალური მთავრობის პოლიტიკამ ვერ გააუმჯობესა დამოკიდებულება პეტერბურგთან. მორენჰაიმი უფრო თავშეკავებული გახდა. ასეთი იყო რუსეთ-საფრანგეთის დამოკიდებულება ფლოკეს მთავრობის დროს [2]. რომელმაც 1889 წლის თებერვლამდე იარსება.

1889 წ. 22 თებერვალს ფლოკემ ადგილი დაუთმო ტირარს, რომელმაც ახალი კაბინეტი შეადგინა. ტირარის მთავრობაში საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა სპიულერმა. ამ მთავრობამ იარსება მხოლოდ 1890 წლის მარტამდე. ტირარის მთავრო-

---

[1] სამთა კავშირი შეიქმნა 1882 წლის 20 მაისს. პირველად ის 1887 წელს აღდგენილ და გაგრძელებულ იქნა 5 წლით, მაგრამ 1891 წ. მაისში ვადის დამთავრებამდე გაგრძელებულ იქნა კიდევ 6 წლით, ე. ი. 1897 წლამდე; ამ წელს—ისევ 6 წლით, 1902 წელს—6 წლით და, ბოლოს, მეხუთეჯერ სამთა კავშირის ვადის გაგრძელება მოხდა 1912 წ.

[2] „Санкт-Петербургские ведомости", июнь-июль, 1888 г.

ბის დროს საფრანგეთისა და რუსეთის დამოკიდებულება წინანდებურად მეგობრული რჩებოდა. ურთიერთობის განსაკუთრებულ გაუმჯობესებას კი ადგილი არ ჰქონია[1].

მიუხედავად იმისა, რომ სპიულერმა იცოდა, თუ როგორ მონსახურებას უწევდა ფრეისინე რუსეთის სამხედრო უწყებას, მაინც მისი მოქმედება უფრო პასიური იყო[2].

1888 წელს გერმანიის იმპერატორად გამოცხადდა ვილჰელმ II[3]. მან საგარეო პოლიტიკის საკითხებს მალე ჩამოაშორა ბისმარკი, რომელიც 28 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მას. კაიზერსა და კანცლერს შორის არ იყო აზრთა ერთიანობა რუსეთთან დამოკიდებულების საკითხში. ვილჰელმ II იზიარებდა მოლტკეს და ვალდერზეეს აზრს რუსეთის წინააღმდეგ ომის აუცილებლობის შესახებ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კანცლერი გენერალი კაპრივი, რომელმაც ბისმარკი შეცვალა, გენერალური შტაბის პოლიტიკის მომხრე იყო[4].

---

[1] „Вестник Европы“, т. IX, апрель, 1889 г.

[2] საინტერესოა სპიულერის მიწერ-მოწერა პოლ კამბონთან. რომელიც იმ პერიოდში საფრანგეთის ელჩი იყო მადრიდში. ერთ-ერთ წერილში პოლ კამბონი სპიულერს სწერდა: „...ამჟამად ჩვენს ერთადერთ თავშესაფარს წარმოადგენს მხარდაჭერის იმედი რუსეთის მხრიდან“. იხ. P. Cambon, Correspondence 1870—1924, Paris, 1940, vol. I, p. 331.

[3] გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ I გარდაიცვალა 1888 წლის მარტში ტახტზე ავიდა მისი შვილი ფრიდრიხ III, რომელიც სამი თვის შემდეგ გარდაიცვალა. 1888 წლის ივნისში გერმანიის იმპერატორი გახდა ფრიდრიხ III შვილი ვილჰელმი (დაიბადა 1859 წლის იანვარში). ახალგაზრდობაში ვილჰელმი რუსეთთან მტკიცე კავშირის მომხრე იყო. როდესაც იგი ტახტზე ავიდა, ზოგიერთს (მაგალითად, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრს სოლსბერის) ეგონა, რომ ის კავშირს გაწყვეტდა ავსტრია-უნგრეთთან და მტკიცედ დაუკავშირდებოდა რუსეთს. მაგრამ ვილჰელმი უკვე მოქცეული იყო გენერალური შტაბის ახალი უფროსის ვალდერზეესა და იმ პირების გავლენის ქვეშ, რომლებიც ომს ამზადებდნენ საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. ვალდერზეე და მისი მეგობრები რუსეთთან პრევენტული ომის მომხრეები იყვნენ, მაშინ როდესაც, ბისმარკი რუსეთის წინააღმდეგ ომს დამღუპველად სთვლიდა. კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი სმიტი, ეხება რა ბისმარკის პოლიტიკას რუსეთის მიმართ, წერს: „რაც შეეხება ბისმარკის მეთოდს, მისი საგარეო პოლიტიკის მთავარი პრინციპი თავიდან ბოლომდე მისი ოფიციალური კარიერისა, იყო მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნება რუსეთთან“. იხ. Monroe Smith, Militarism and Statecraft. New York and London., 1918, p. 26

[4] კაპრივი დე კაპრერა დე მონტეკუკული (გეორგ-ლეო ფონ) სუსტი იყო საგარეო პოლიტიკაში; არც მისი სტატს-მდივანი მარშალი იყო ძლიერი ამ საკითხში. ისინი, კაპრივი და მარშალი, ეყრდნობოდნენ საგარეო საქმეთა უწყების ერთ-ერთ წამყვან მოხელეს ჰოლშტაინს, რომელმაც ბისმარკის შემდეგ თავისი კონტროლი დაამყარა გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე. ჰოლშტაინი მტკიცე კავშირში იყო გენერალურ შტაბთან და იმპერატორთან.

1888 წლის ივნისში ვილჰელმ II გამოვიდა სიტყვით, სადაც შეეხო გერმანიის საგარეო პოლიტიკის საკითხებს[1]. რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III მაშინვე გაიგო ვილჰელმ II საგარეო პოლიტიკის აგრესიული არსი. გერმანიის იმპერატორის პოლიტიკამ უფრო დააჩქარა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოება, მან კიდევ უფრო გააძლიერა საფრანგეთის აქტივობა ამ საქმეში.

1889 წლის აგვისტოს ბოლოს ბერლინში ჩამოვიდა ავსტრია-უნგრეთის იმპერატორი ფრანც-იოსები. მოლაპარაკების დროს ვილჰელმ II მას აღუთქვა, რომ ავსტრია-უნგრეთის ჯარების მობილიზაციის შემთხვევაში, რა მიზეზითაც არ უნდა მოხდეს ის, გერმანია მაშინვე მოახდენს თავისი ჯარების მობილიზაციასო. იმავე წლის ოქტომბერში ბერლინში ჩავიდა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III. ბერლინში რუსეთის იმპერატორის მიღებისას არ იგრძნობოდა ძველებური მეგობრობა გერმანელების მხრიდან. ალექსანდრე III სადილზე ვილჰელმ II სადღეგრძელო წარმოთქვა ფრანგულ ენაზე, რამაც კიდევ უფრო შეანელა ურთიერთობა ბერლინსა და პეტერბურგს შორის.

1890 წლის მარტი აღინიშნა საფრანგეთისათვის ორი მნიშვნელოვანი მოვლენით რომლებმაც გავლენა მოახდინეს ევროპის სახელმწიფოების პოლიტიკაზე, უმთავრესად კი გერმანიისა და საფრანგეთის დამოკიდებულებაზე: 17 მარტს შეიქმნა ფრეისინეს მთავრობა, სადაც საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი დაიკავა რიბომ; მეორე დღეს კი მოვიდა ცნობა ბისმარკის გადაყენების შესახებ. ბისმარკის გადადგომამ გამოიწვია შემსუბუქების გრძნობა საფრანგეთში; ეს ნიშნავდა იმას, რომ ბოლო ეღებოდა იმ განუსაზღვრელ განგაშებს, რომლებსაც ბისმარკი იწვევდა საფრანგეთის მიმართ[2].

პეტერბურგისა და პარიზის კაბინეტების დაახლოებას ასევე ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებამ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1890 წლის მაისში: რუსეთის მთავრობამ გაიგო თავისი აგენტების საშუა-

[1] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. VII, doc. № 153, p. 165.

[2] ბისმარკმა, როგორც კანცლერმა, უკანასკნელად მისწერა წერილი ვილჰელმ II (იხ. Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches.. Bd. I, S. 454—456), სადაც ბისმარკი ცდილობს დაამტკიცოს თავისი პოლიტიკის სისწორე, მაგრამ უკვე შეუძლებელი იყო საერთო ენის გამონახვა იმპერატორსა და ბისმარკს შორის. ბისმარკი ამბობდა, რომ „ის რჩებოდა ერთგული არა თავისი პრინციპისადმი, არამედ თავისი მოვალეობისადმი“. იხ. Hazen Charles Downer. The Kaiser vs. Bismarck: Suppressed Letters by the Kaiser and New Chapters from the Autobiography of the Tron Chanceller. New York, 1921, p. 85.

ლებით, რომ რუს ემიგრანტებს განზრახული ჰქონდათ რამდენიმე თავდასხმა მოეწყოთ რუსეთში. პეტერბურგში გადაწყდა, ბარონ მორენჰაიმს მოეთხოვა საფრანგეთის მთავრობისაგან ამ პირების დაპატიმრება იმ სიის მიხედვით, რომელსაც საფრანგეთის მთავრობას გადასცემდა რუსეთის საელჩო. მას შემდეგ, რაც რუსეთის ელჩი ამ საკითხის შესახებ შეხვდა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრს კონსტანს, ამ უკანასკნელმა გასცა განკარგულება ამ რევოლუციონერების დაპატიმრების შესახებ. მისი სისრულეში მოყვანა მოხდა რუსეთის ელჩის, ფრეისინესა და რიბოს შეხვედრის შემდეგ.

1890 წ. 29 მაისს, შუაღამისას, 12 რევოლუციონერი დააპატიმრეს, ხოლო მათი ქაღალდები კი წაიღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებმა. ეს იყო ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი, ვინაიდან საფრანგეთის მთავრობამ იცოდა, რომ ეს უკმაყოფილებას გამოიწვევდა რადიკალურ პარტიაში, რომელიც ყოველთვის უარყოფითად ეპყრობოდა რეპრესიული ზომების გამოყენებას რევოლუციონერების წინააღმდეგ.

ამ ფაქტებმა დიდი კმაყოფილება გამოიწვია პეტერბურგის მმართველ წრეებში, რომლებიც მასში ხედავდნენ საფრანგეთის მხრივ მეგობრული დამოკიდებულების სერიოზულ გამოხატულებას. 31 მაისს რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა, მთავრობის სახელით, მადლობა გადასცა საფრანგეთის ელჩს საფრანგეთის მთავრობის ასეთი მოქცევის გამო[1]. ალექსანდრე III განკარგულება გასცა საფრანგეთის მთავრობისათვის გადაეცათ ოფიციალური მადლობა[2]. ყველანი ფიქრობენ, წერს ჰანზენი, („რომ იმპერატორმა ამის შემდეგ საბოლოოდ გადაწყვიტა დაედო კავშირი, რომელიც მზადდებოდა ორივე მხრიდან რამდენიმე წლის განმავლობაში“[3]. კავშირი, რომელიც საფრანგეთისათვის წარმოადგენდა „ოცნებას“[4], თანდათანობით რეალური ხდებოდა. ინიციატივა კვლავ საფრანგეთის ხელში იყო.)

ბისმარკის გადადგომის შემდეგ გენერალმა კაპრივიმ საჭიროდ არ ცნო 1887 წლის რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების განახლება. კაპრივი საერთოდ უარყოფითად უყურებდა მოლაპარაკებას და შეთანხმებას რუსეთთან. მისი აზრით, რუსეთთან ურთიერ-

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. VII, doc. № 71, p. 98.

[2] J. Hansen, Op. cit., p. 115.

[3] Ibid.

[4] L. Dechanel, Histoire de la politique extérieure de la France (1806—1936), Paris, 1936, p. 261.

თობის ყოველგვარი განმტკიცება ზიანს მიაყენებდა გერმანიის კავშირის განმტკიცებას ავსტრია-უნგრეთთან და გერმანიის დაახლოებას ინგლისთან, რისი იმედიც კაპრივის ჰქონდა. ბისმარკი ცდილობდა სხვადასხვა კომბინაციებით შეენარჩუნებინა ხელშეკრულება რუსეთთან, რათა ამ გზით ხელი შეეშალა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნისათვის. კაპრივის კი შესაძლებლად არ მიაჩნდა ამ გზით რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების ჩაშლა.

1891 წლის 6 მაისს ბერლინში გერმანიას, ავსტრია-უნგრეთსა და იტალიას შორის ხელმოწერილ იქნა მესამე სამოკავშირეო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, სამთა კავშირი გაგრძელებულ იქნა ექვსი წლით[1]. მაგრამ, თუ ვადის გასვლამდე ერთი წლით ადრე ხელშეკრულების მონაწილე რომელიმე მხარის მიერ ხსენებული ხელშეკრულება არ იქნებოდა დენონსირებული, სამთა კავშირი ძალაში დარჩებოდა ისევ ექვსი წლის ვადით. ამასთანავე, მოხდა მეგობრობის დემონსტრაცია სამთა კავშირის წევრებსა და ინგლისს შორის და დადიოდა ხმები სამთა კავშირში ინგლისის შესვლის შესახებაც[2].

გერმანიის კანცლერ გენერალ კაპრივის ე. წ. „ახალი კურსი" ითვალისწინებდა ორ მიზანს საგარეო პოლიტიკაში: სამთა კავშირის განმტკიცებას და ინგლისთან დაახლოებას[4]. 1890 წ. 18 ივნისს ინგლის-გერმანიას შორის დადებული ხელშეკრულებით გერმანიამ დაუთმო ინგლისს კოლონიურ საკითხებში. ამ ხელშეკრულების თანახმად, გერმანიამ უარი განაცხადა აფრიკაში ზანზიბარის ახლომდებარე ტერიტორიებზე, სამაგიეროდ მან მიიღო კუნძული ჰელჰოლანდი. ამრიგად, თითქოს, იწყება გერმანიის ერთდაგვარი დაახლოება ინგლისთან[3], თუმცა კავშირის დადება ინგლისთან კაპრივიმ ვერ შესძლო. გერმანიის ახალმა სამხედრო კანონმა, რომლითაც გერმანიის სამხედრო ძლიერება 18 ათასი კაცით გაიზარდა, აამოძრავა როგორც საფრანგეთი, ისე რუსეთიც. ამასთან 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში, როგორც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულება მკვეთრად გაუარესდა. გაუარესდა რუსეთის დამოკიდებულება ასევე ავსტრიასთანაც. ყოველივე ამან ხელი შეუწყო რუსეთის მთავრობას, რომელიც აქამ-

---

[1] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches, Bd. I, S. 517.

[2] Ю. В. Ключников и А. Сабанин, Указ. сб., стр. 267; „Die Grosse Politik", Bd. VIII. S. 3—25.

[3] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. VIII, doc. № 350, p 474—475. Documents diplomatiques. L'Alliance franco-russe. № 3. p. 2—4; № 15. p. 12—14.

[4] А. С. Ерусалимский, Внешняя политика и дипломатия Германского империализма в конце XIX в. М., 1948, стр. 55.

დე თავს იკავებდა, უფრო აქტიურად გამოხმაურებოდა საფრანგეთის მისწრაფებებს[1].

— რუსეთ-საფრანგეთის კავშირთან დაკავშირებულ საკითხებზე მეტად საიდუმლოდ მიმდინარეობდა მოლაპარაკება ამ ორ სახელმწიფოს შორის, რათა ამის შესახებ არ გაეგო გერმანიის მთავრობას. ამიტომაც რუსეთის მთავრობა განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა ამ საქმეში. მართლაც, იმდენად საიდუმლოდ მოხდა კავშირის დადება, რომ არავინ იცოდა, თუ როგორი იყო ამ ორ ქვეყანას შორის დადებულ ხელშეკრულებათა ნამდვილი არსი[2].)

დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე უფროსი 1890 წლის ზაფხულში პარიზს გაემგზავრა. აქ მას საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა გააცნო საფრანგეთის არმიის ორგანიზაცია, რამაც რუს დიდ მთავარზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა[3].

1890 წლის აგვისტოში რუსეთში (ნარვაში) უნდა მომხდარიყო ჯარების მანევრები. რუსეთის ჯარების მანევრებს იმპერატორის მოწვევით დაესწრო ფრანგი გენერალი ბუადეფრი[4], ხოლო ბერლინიდან კი ჩამოვიდა ვილჰელმ II. გენერალმა ბუადეფრმა 15 დღე დაჰყო რუსეთში, რუსეთის ჯარების მანევრებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანგ გენერალზე[5]. რუსეთის პრესა გამოეხმაურა ამ ამბავს და აღნიშნავდა, რომ რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების საკითხში არსებობს ერთდაგვარი პროგრესი[6]. საფრანგეთის საქმეთა რწმუნებული პეტერბურგში დე ვოვინო ატყობინებდა თავის მთავრობას, რომ „რუსეთის პრესა სიმპათიურად ეპყრობა საფრანგეთ-რუსეთის დაახლოების საკითხს“[7]. განსაკუთრებით, დე ვოვინოს სიტყვებით, ამ მხრივ განირჩეოდნენ: „ნოვოე ვრემია“, „პე-

---

[1] ა. დ ე ბ ი დ უ რ ი როდესაც იხილავს რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების საკითხს XIX საუკუნის 80-იან წლებში, შეცდომით თვლის რუსეთს კავშირის დადებაში უფრო დაინტერესებულ მხარედ, იგი წერს: „შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ 1886 წლის ბოლოს მან (პეტერბურგის კაბინეტი — ი. ტ.) ფორმალურად შესთავაზა თავისი კავშირი ფრეისინეს სამინისტროს და რომ ამ დროიდან მან (პეტერბურგის კაბინეტმა—ი. ტ.) არაერთხელ განაახლა ეს ცდა“ (იხ. А. Дебидур, Указ. соч., т. II, стр. 521). ა. დებიდურის ეს დებულება სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს. კავშირის დადების შესახებ ინიციატივა გამოდიოდა საფრანგეთის მხრიდან, რომელსაც უფრო ესაჭიროებოდა ეს კავშირი, ვიდრე რუსეთს.

[2] В. М. Л а м з д о р ф, Дневник 1891—1992 гг., стр. VII.

[3] Р. П у а н к а р е, Происхождение мировой войны, стр. 67.

[4] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. V, № 130. p. 180.

[5] Documents diplomatiques. L'Alliance franco-russe, p. 1—2.

[6] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. VIII, doc. № 206, p. 291.

[7] Ibid., p. 471—472.

ტერბურგსკაია გაზეტა“ და „გრაჟდანინ“. 1891 წლის ზაფხულში საფრანგეთის მთავრობამ დასვა საკითხი საფრანგეთის ესკადრის მეგობრული მისიით კრონშტადტში გაგზავნის შესახებ.

დე ლაბულე განსაკუთრებული ენერგიით შეუდგა ამ საკითხის ორგანიზაციას პეტერბურგში. დაიწყო მოლაპარაკება რუსეთის მთავრობასთან, რომლის შემდეგ საფრანგეთის ელჩმა შეატყობინა თავის მთავრობას, რომ მეფემ გამოთქვა თანხმობა, მიიღოს საფრანგეთის ესკადრა 1891 წლის ივლისში. როგორც დე ლაბულე აღნიშნავდა, პეტერბურგში ყურადღებით ეპყრობოდნენ საფრანგეთის ესკადრის ჩამოსვლის საკითხს [1]. დე ვოვინოს სპეციალური საუბარი ჰქონდა ამის შესახებ რუსეთის საზღვაო მინისტრთან, რომელმაც განუცხადა საფრანგეთის წარმომადგენელს, რომ პეტერბურგში ყველაფერი მზადაა საფრანგეთის ესკადრის მისაღებად [2]. პეტერბურგში გადაწყვეტილ იქნა საფრანგეთის ესკადრის მეტი ნაწილი მიეღოთ კრონშტადტის დიდ რეიდზე, ხოლო მცირე ნაწილი კი — მის პატარა რეიდზე. კრონშტადტთან მოახლოების დროს საფრანგეთის ესკადრას უნდა აღემართა რუსეთის დროშა და 21-ჯერ უნდა გაესროლა ზარბაზანი. ამის პასუხად კრონშტადტის ციხის გალავანზედაც უნდა დაეცალათ ზარბაზნები და აღემართათ საფრანგეთის დროშა [3].

1891 წლის 12 ივლისს საფრანგეთის ესკადრა, რომელიც შედგებოდა 5 ჯავშნიანი და 3 სანაღმო გემისაგან (ეკიპაჟი კი 2 300 კაცი), ადმირალ ჟერვეს მეთაურობით შევიდა კრონშტადტის რეიდში. იქ მათ სადღესასწაულო შეხვედრა მოუწყვეს. ყველგან გაისმოდა „მარსელიოზა“ და შეძახილები: „ურა“ და „ვივ ლა ფრანს“. სტუმრებთან შესახვედრად ერთ ხაზზე ჩამწკრივებულ იქნა რუსეთის ესკადრის 14 სამხედრო გემი. დღის 11 საათსა და 45 წუთზე საფრანგეთის ადმირალის გემმა „მორენგომ“ აღმართა რუსეთის დროშა და მისცა სალუტი რუსეთის სარდლის ადმირალ კოზმაკოვის პატივსაცემად. ამ უკანასკნელმა კი გასცა ბრძანება საპასუხოდ აღემართათ საფრანგეთის დროშა თავის გემზე და ეპასუხნათ სალუტით. სტუმრების პატივსაცემად პეტროვის ნავსადგური კრონშტადტში შემკობილ იქნა რუსეთისა და საფრანგეთის დროშებით. იმავე დღის 4 საათზე ადმირალი ჟერვე სადარბაზოდ იყო ადმირალ კოზმაკოვთან, ხოლო 6 საათზე ადმირალი ჟერვე საფრან-

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. VIII. doc. № 347, p. 596—597.
[2] Ibid., doc. № 414, p. 555—556.
[3] გაზ. „ივერია“, 13. 7. 1891 წ.

გეთის ესკადრის მეთაურებთან ერთად და კრონშტადტის ნავსადგურის უფროსის ადმირალ შვარცის თანხლებით რუსეთის გემით პეტერბურგს გაემგზავრა საფრანგეთის ელჩ დე ლაბულესთან. ელჩმა სტუმრებს მოუწყო სადილი, სადაც წარმოთქმულ იქნა მთელი რიგი მისასალმებელი სიტყვა. სადილს ესწრებოდა 50-მდე კაცი.

13 ივლისს საფრანგეთის ესკადრა ინახულა იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ დედოფალითა და მთელი ოჯახითურთ. დაათვალიერა რა სამხედრო გემი „მორენგო", იმპერატორმა ქუდმოხდილმა მოისმინა „მარსელიოზა". ეს იყო საინტერესო სანახაობა: სრულიად რუსეთის თვითმპყრობელმა ქუდი მოიხადა რევოლუციური ჰიმნის ხმის გაგონებაზე. „სანახაობა იყო მეტად მშვენიერი, მას ჰქონდა სადღესასწაულო სახე"—აგვიწერს „მოსკოვსკიე ვედომოსტი"—განსაკუთრებით მაშინ, როდესაც რუსეთის გემები „ცარევნა" და „ალექსანდრია", რომლითაც ჩამოვიდნენ რუსეთის მეფე და დედოფალი თავისი ოჯახით, გადიოდნენ საფრანგეთის და რუსეთის მრისხანე და მშვენიერ სამხედრო გემების ორ ხაზს შუა. ორივე ესკადრის პირადი შემადგენლობა მწყობრში იდგა. მათი შეძახილები „ურა", „ვივ ლა ფრანს" და მუსიკის ხმა შორს იფანტებოდა ზღვაზე, ხოლო გემების კვამლისა და ზარბაზნების სროლის გამო ზღვაზე მთელი ღრუბლები გაჩნდა[1]. საფრანგეთის გემ „მორენგოზე" გაიმართა საუზმე, რომლის დროსაც სადღეგრძელოებს თან ახლდა მუსიკა და შეძახილები რუსეთისა და საფრანგეთის პატივსაცემად. „ხელმწიფე იმპერატორმა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სადღეგრძელო შეირთვა, ელჩმა ლაბულემ წარმოსთქვა ხელმწიფე იმპერატორის და მთელი რუსეთის ფლოტილიის სადღეგრძელო"[2].

ერთ-ერთი ფრანგი კორესპონდენტი, აღწერდა რა პეტერბურგის ამბებს, ხაზს უსვამდა იმას, თუ რამდენად მეგობრულად შეხვდნენ რუსეთში ფრანგ მეზღვაურებს[3]. საფრანგეთის ესკადრის პატივსაცემად რუსეთში მოეწყო რამდენიმე ოფიციალური დღესასწაული და სადილი. ყველაზე უკეთესი მიღება ფრანგ მეზღვაურებს მოუწყო პეტერბურგის ქალაქის საბჭომ. დღესასწაულებისათვის ასიგნებულ იქნა 15 ათასი მანეთი. ყოველ ფრანგ მეზღვაურს გადაეცა საჩუქარი წარწერით: „ქალაქ სანქტ-პეტერბურგისაგან 1891

---

[1] „Московские ведомости", 15. 6. 1891 г.; „Doc. Dipl. Fr.", I série, t. VIII, doc. № 442, p. 601—603.

[2] გაზ. „ივერია", 16.7. 1891 წ.

[3] „С. Петербургские ведомости", 27.6. 1891 г.; „Русская старина", т. 131, стр. 7—8, июль 1907 г.

წლის ივლისში ესკადრის მეგობრული ჩამოსვლის კეთილსახსოვრად".

მაგრამ მაინც ოფიციალურ მისალმებებსა და სადღეგრძელოებში არაფერი იყო ნათქვამი ისეთი, რასაც შეეძლო მიეთითებინა კავშირის შესაძლებლობაზე, ანუ აეხსნა რუსეთ-საფრანგეთის მეგობრობის პოლიტიკური აზრი. ლაპარაკი იყო მხოლოდ სიმპათიებზე ყოველგვარი ზუსტი განმარტებების გარეშე და თუ რას შეეხება ეს სიმპათია და რით არის იგი გამოწვეული, ამაზე არაფერი არ თქმულა.

ალექსანდრე III მიერ ფრანგი ადმირალ ჟერვეს გულთბილმა მიღებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში. განსაკუთრებით ბევრ კომენტარებს უკეთებდნენ ამ ამბავს გერმანიისა და ინგლისის გაზეთები[1]. მართალია, რუსეთი ჯერ კიდევ აშკარად არ დგამდა წინ ნაბიჯს — არ სვამდა საკითხს კავშირის დადების შესახებ, მაგრამ ორივე მხარე საიდუმლოდ ამზადებდა შეთანხმების პირობებს.

განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყვნენ ფრანგული გაზეთები. გაზეთი „ეკლერი" წერდა: „კრონშტადტის ზალპმა გააგონა მთელს მსოფლიოს დიდი ამბავი იმის შესახებ, რომ გერმანიის ყოველგვარმა ცდამ, გაეთიშა საფრანგეთი და რუსეთი, განიცადა სრული მარცხი"[2].

გაზეთი „ვოლტერი", უდიდეს შეფასებას აძლევდა რა კრონშტადტში საფრანგეთის ესკადრის ვიზიტს, წერდა: „რაც უნდა ეცადონ ამ ამბის მნიშვნელობის შემცირებას, მაინც აშაოდ ჩაუვლით, ამგვარი პატივისცემით შეხვედრა ამტკიცებს დიდს მეგობრულს გრძნობას და აკავშირებს იმ ორი ხალხის მეგობრულ გრძნობას, რომელთა ინტერესები არსად არ დაუპირისპირდება ერთმანეთს"[3]. გაზეთი „ტანი" პეტერბურგში საფრანგეთის ესკადრის ჩამოსვლაში ხედავდა საფრანგეთსა და რუსეთს შორის მჭიდრო კავშირის საფუძველს. ეს გაზეთი მიუთითებდა, რომ რუსეთი მტკიცედ დგას თავის პოზიციაზე და არავის შეუძლია შეაცვლევინოს მას თავისი საგარეო პოლიტიკის პრინციპები, რომ საფრანგეთი მასზე ამყარებს

[1] გერმანიის ელჩი პეტერბურგში ყოველ წვრილმან ფაქტსაც კი ატყობინებდა თავის მთავრობას, თუ ეს ეხებოდა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას. ელჩი მიუთითებდა თავის ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში, რომ რუსეთის იმპერატორმა ფრანგი სტუმრების მიღების დროს მეტად თბილი სიტყვა წარმოსთქვა საფრანგეთის მიმართ. იხ: „Die Grosse Politik", Bd. 7, S. 213.

[2] „С. Петербургские ведомости", 10.9. 1891 г.

[3] გაზ. „ივერია", 14.7. 1891 წ.

იმედებს. „საფრანგეთის ერს შეგნებული აქვს,— აგრძელებდა გაზეთი,— რომ რუსეთი არავის არ მისცემს საფრანგეთის ხელმეორედ დაუძლურების ნებას. 1876 წელს ალექსანდრე II ჩარევა საქმეში იმავე მოსაზრებათა გამო მოხდა, რა მოსაზრებითაც ალექსანდრე I ხელმძღვანელობდა 1815 წელს, როდესაც წინ აღუდგა მოკავშირეთა მიერ საფრანგეთის განაწილებას"[1].

საფრანგეთის ესკადრასთან პეტერბურგში მეგობრული შეხვედრა იყო მხოლოდ გარეგანი გამოხატულება მეტად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებისა, რომელიც მიიღო იმ დროს პეტერბურგის კაბინეტმა — დაეწყო უშუალო მოლაპარაკება რუსეთსა და საფრანგეთს შორის კავშირის დადების შესახებ.

ჯერ კიდევ 1891 წლის ივლისის პირველ რიცხვებში საფრანგეთის ელჩი დე ლაბულე, როგორც კი ჩავიდა პარიზიდან პეტერბურგში, მაშინვე გაემგზავრა გირსთან, რომელიც ამ დროს იმყოფებოდა თავის მამულში (ფინეთში). ამ შეხვედრის დროს ელჩსა და მინისტრს შორის მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა სამთა კავშირის დემონსტრატიულად აღდგენის შემდეგ ევროპაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ამ საუბრის დროს ერთხელ კიდევ ხაზი გაესვა რუსეთისა და საფრანგეთის დაახლოების მნიშვნელობას[2].

როგორც ლამზდორფი აღნიშნავს, გირსს სრულებითაც არ ჰქონდა მიზნად ინიციატივა აეღო რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების საქმეში. მაგრამ, როცა დაბრუნდა პეტერბურგში, მან მიიღო საფრანგეთის ელჩი დე ლაბულე, საუბრის დროს ელჩმა გირსს გააცნო საფრანგეთის მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკური შეთანხმების პროექტი, რომელიც ორი მუხლისაგან შედგებოდა:

„1. რომ აუცილებელია გულითადი შეთანხმების განმტკიცება, რომელიც აერთიანებს ორივე კაბინეტს, განცხადებით, რომ ისინი შეთანხმდებიან ყველა საკითხში, რომლებმაც შეიძლება შეუქმნან საშიშროება ევროპის მშვიდობიანობას.

2. იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობიანობას ნამდვილად შეუქმნის საფრთხეს სამთა კავშირის რომელიმე წევრი, ორივე მთავრობა სცნობს აუცილებლად გამოიმუშავონ ის წინასწარი ზომები, რომლებიც მათ ევალებათ მიიღონ უშუალოდ და ერთდროულად ასეთი საშიშროების არსებობის შემთხვევაში"[3].

---

[1] გაზ. „ივერია" 27.7. 1891 წ.

[2] Арх. ВПР, д. № 380 а, ч. I, л. 3.

[3] იქვე, ფ. 4.

დე ლაბულე, ატყობინებდა რა გირსთან საუბრის შედეგს თავის საგარეო საქმეთა მინისტრს რიბოს, აღნიშნავდა, რომ რუსეთის იმპერატორი თანახმაა აზრთა გაცვლა-გამოცვლისა ორივე სახელმწიფოს მთავრობებს შორის[1]. საფრანგეთის მთავრობის მიერ შემუშავებული პოლიტიკური შეთანხმების პროექტი რამდენადმე შეცვლილ იქნა რუსეთის მთავრობის მიერ. მოლაპარაკება დიდხანს გრძელდებოდა. 1891 წლის 6 აგვისტოს წერილით დე ლაბულე ატყობინებდა რიბოს, რომ გირსთან „თანდათანობით მოლაპარაკების შედეგად" ისინი „შეთანხმდნენ პროექტის ძირითად საკითხებში"[2], დე ლაბულეს წერილის შინაარსი რიბომ მაშინვე მოახსენა პრემიერ და სამხედრო მინისტრს დე ფრეისინეს და მისი ტექსტი დაუყოვნებლივ გადასცა რესპუბლიკის პრეზიდენტ კარნოს[3]. ხოლო დე ლაბულეს რიბომ შეატყობინა, რომ საფრანგეთის მთავრობა მზადაა განიხილოს შეთანხმების ყოველგვარი პროექტი რუსეთის მთავრობასთან[4].

1891 წლის 21 აგვისტოს გირსმა სპეციალური წერილი გაუგზავნა ბარონ მორენჰაიმს, სადაც ჩამოყალიბებული იყო გულითადი შეთანხმების („entente cordiale") ძირითადი პუნქტები. თავის წერილის შესავალში გირსი აღნიშნავდა: „იმ ვითარების შესახებ, რომელიც შეიქმნა ევროპაში სამთა კავშირის აშკარად აღდგენისა და დიდი ბრიტანეთის ამ კავშირის მიზნებთან მეტნაკლებად შესაძლებელი შეერთების გამო, ბატონ დე ლაბულეს აქ ყოფნის დროს, ამ ახლო წარსულში, მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საფრანგეთის ელჩსა და ჩემს შორის. ამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის მიზანი იყო იმ პოზიციის დადგენა, რომელიც იქნებოდა ყველაზე უფრო მიზანშეწონილი გარკვეული პირობების შექმნის შემთხვევაში ორივე ჩვენი მთავრობისათვის, რომლებსაც, მიუხედავად იმისა, რომ რჩებიან ყოველგვარი კავშირების გარეშე, გულწრფელად სურთ შექმნან ყველაზე მტკიცე გარანტია მშვიდობის დასაცავად". შემდეგ გირსი სწერდა რუსეთის ელჩს, რომ საფრანგეთის ელჩთან მოლაპარაკების დროს მათ შეიმუშავეს შეთანხმების შემდეგი ორი პუნქტი:

„1. იმისათვის, რათა ბოლომდე განხორციელდეს და განმტკიცდეს გულითადი შეთანხმება („entente cordiale"),—რომელიც

---

[1] Documents diplomatiques. L'Alliance franco-russe, № 7, p. 8.
[2] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. VIII, doc. № 461, p. 624—625.
[3] Ibid., doc. № 467, p. 631, doc. № 468, p. 631.
[4] Documents Diplomatiques. L'Alliance franco-russe, № 8, p. 9.

აკავშირებს ორივე სახელმწიფოს, მოწადინებული ვართ რა ხელი შევუწყოთ შეთანხმებულ მოქმედებას მშვიდობიანობის საქმეში, რაც წარმოადგენს მათი გულწრფელი სურვილის საგანს, — ორივე მთავრობა აცხადებს, რომ მომავალში ისინი შეათანხმებენ ერთმანეთს ყველა საკითხს, რომლებიც ეხება საყოველთაო მშვიდობიანობის შენარჩუნების საქმეს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ეს მშვიდობიანობა ანდა, განსაკუთრებით, რომელიმე მხარე აღმოჩნდება ნამდვილი საშიშროების წინაშე, ორივე სახელმწიფო უნდა შეთანხმდნენ იმ პირობებზე, რომელთა სისრულეში მოყვანა უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივ და ერთდროულად ორივე მთავრობის მიერ".

ამასთან გირსი აღნიშნავდა, რომ მან ყველაფერი ეს მოახსენა იმპერატორს, რომელმაც მოიწონა ეს ტექსტი და სურვილი გამოთქვა, რომ შეთანხმების ზემოხსენებული ტექსტი „მიღებული ყოფილიყო ორივე მთავრობის მიერ". „გაცნობებთ, რა თქვენ ამ უდიდესი წინასწარდასახულების შესახებ, — აგრძელებს გირსი თავის წერილში, — მე გთხოვთ თქვენ მოახსენოთ ეს საფრანგეთის მთავრობას და შეატყობინოთ გადაწყვეტილება, რომელზედაც, თავის მხრივ, საფრანგეთის მთავრობას შეეძლო შეჩერებულიყო"[1].

გირსის მიერ მორენჰაიმისათვის შედგენილი წერილი იმპერატორმა წაიკითხა[2] და თანდართული შეთანხმების პროექტიც მოიწონა[3].

დე ლაბულემ შეთანხმების პროექტი ასევე გაუგზავნა თავის მთავრობას[4]. მალე ამის შემდეგ საფრანგეთის ელჩი მიიღო ალექსანდრე III. ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ ელჩი გაემგზავრა პარიზს[5].

ასრულებდა რა თავისი მთავრობის დავალებას, რუსეთის ელჩმა პარიზში მორენჰაიმმა შეატყობინა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ რიბოს იმის შესახებ, რომ მან მიიღო გირსის წერილი და რუსეთის მთავრობის თანხმობა შეთანხმების შესახებ.

---

[1] Арх. ВПР, д. № 380 6, ч. II, л. 275; Ю. Ключников и А. Сабанин, Указ. соч., ч. I, стр. 268—269; „Doc. Dipl. Fr.", I série, t. VIII, p. 684, annex.

[2] Арх. ВПР, д. № 380 6, ч. II, л. 276. იმპერატორის ხელით მიწერილია: „წავიკითხე".

[3] იქვე, д. № 380 а., ч. I, л 15. იმპერატორის ხელით მიწერილია: „ძალიან კარგია".

[4] იქვე, ფ. 11; „Doc. Dipl. Fr.", I série, t. VIII, doc. № 461, p. 624—625.

[5] იქვე. ფ. 13.

რიბომ უპასუხა მორენჰაიმს იმავე დღეს—1891 წ. 27 აგვისტოს—სპეციალური წერილით, სადაც იგი წერდა: „მე ბედნიერი ვარ... ვაცნობო თქვენს მთავრობას, რომ რესპუბლიკის მთავრობა სავსებით იწონებს ამ ორ პუნქტს, რომლებიც გირსის წერილის არსს წარმოადგენენ და რომლებიც ჩამოყალიბებული არიან შემდეგნაირად (აქ რიბოს მოჰყავს გირსის წერილიდან შეთანხმების პროექტის ორივე პუნქტი—ი. ტ.). მეორე მხრივ,—აგრძელებს რიბო,—იმპერატორის მთავრობა, ისევე როგორც ჩვენ, უეჭველია, საჭიროდ ჩასთვლის დაავალოს სპეციალურ დელეგატებს... ზომების პრაქტიკული შესწავლა"[1].

რუსეთის იმპერატორმა, მოიწონა რა შეთანხმების პროექტი, 1891 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში გამოიძახა მორენჰაიმი პარიზიდან სამოკავშირო ხელშეკრულების საბოლოოდ რედაქტირებისათვის. გირსმა გააცნო მას საქმის ყოველგვარი დეტალი, ხოლო მეორე დღეს მორენჰაიმი შეხვდა ალექსანდრე III, ამ უკანასკნელმა კი მოიწონა შეთანხმების საბოლოო ტექსტი და ნება დართო რუსეთის ელჩს წაეღო იგი პარიზში[2].

1891 წლის 22 აგვისტოს მორენჰაიმი მიიღო რიბომ და მათ რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობების სახელით ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლის თანახმად, რუსეთი და საფრანგეთი ვალდებულებას კისრულობდნენ მხარი დაეჭირათ ერთმანეთისათვის გარედან თავდასხმის შემთხვევაში. ხოლო ამის საფუძველზე რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა პეტერბურგსა და პარიზში გადასცეს წერილები შეთანხმების შესახებ იმ მთავრობებს, რომლებთანაც ისინი იყვნენ აკრედიტებულნი[3].

XIX საუკუნის 90-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკამ მიიღო ახალი მიმართულება. რუსეთ-გერმანიის ახლო ურთიერთობა, რომელიც დამახასიათებელი იყო ამავე საუკუნის წინა პერიოდისათვის, შეიცვალა რუსეთ-საფრანგეთის კავშირით.

რუსეთ-საფრანგეთის ხელშეკრულების დადების ფაქტი დიდხანს ინახებოდა საიდუმლოდ, მაგრამ საზეიმო შეხვედრა, რომელიც მოუწყვეს საფრანგეთის ესკადრას კრონშტადტში, ხოლო შემდეგში ელჩი მორენჰაიმის ჩამოსვლა პეტერბურგში და სხვ. მიუთითებდა იმაზე, რომ რუსეთი და საფრანგეთი სულ უფრო მჭიდროდ უკავშირ-

---

[1] Арх. ВПР, д. № 380 а, ч. I, л. 26, 260; „Doc. Dipl. Fr.", I série, t. VIII. doc. № 517, p. 686.

[2] Арх. ВПР, д. № 14.

[3] რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმების სრული ტექსტი იხ. დამატებაში.

დებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ბარონი მორენჰაიმი, ფრეისინე და რიბო გამოდიოდნენ უკანასკნელი ამბების შესახებ ოფიციალური სიტყვებით, არაფერს ამბობდნენ განსაზღვრულად. მაგრამ მიუთითებდნენ მომხდარი ამბების უდიდეს მნიშვნელობაზე. საფრანგეთსა და რუსეთს შორის შეთანხმებამ უდიდესი კმაყოფილება გამოიწვია საფრანგეთის მმართველ წრეებში.

ბარონ მორენჰაიმს საფრანგეთში ყველგან ხვდებოდნენ აღფრთოვანებული ოვაციებით. 1891 წ. 10 სექტემბერს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და სამხედრო მინისტრმა ფრეისინემ სიტყვა წარმოთქვა ვანდევრში, სადაც მან საფრანგეთის აღმოსავლეთის ჯარების მანევრების აღსანიშნავად საუზმე გაუმართა გენერლებს და სამხედრო რწმუნებულებს. თავის სიტყვაში ფრეისინემ განსაკუთრებით ხაზი გაუსვა არმიის რაოდენობისა და შეიარაღების ზრდის საქმეს. მალე ამ სიტყვის შემდეგ, 1891 წელს, ფრეისინემ გაატარა მნიშვნელოვანი კანონ-პროექტი, რომლის თანახმად, საგრძნობლად იზრდებოდა საფრანგეთის სამხედრო ძალები. ამ კანონის მიხედვით ყველა სათადარიგო ლეგიონიდან უნდა გამოყოფილიყო ორ-ორი ათასეული, რომლებიც უთანაბრდებოდნენ ყოველმხრივ, მომზადების და მობილიზაციის თვალსაზრისით, მოქმედი არმიის შესაბამის ლეგიონებს.

ამრიგად, ასეთი კანონის შემწეობით მობილიზაციის დამთავრების მომენტისათვის ქვეითი ლეგიონების რიცხვი საფრანგეთის მოქმედ არმიაში ორკეცდებოდა.

საფრანგეთში ახალი სამხედრო კანონ-პროექტის გატარების გამო გერმანიაში სიტყვით გამოვიდა გრაფი მოლტკე. თავის სიტყვაში ის შეეხო საერთაშორისო მდგომარეობას ევროპაში. მისი სიტყვებიდან ჩანდა, რომ რუსეთი ჯერ არ იყო მთლიანად მომზადებული ომისათვის, მაშინ როდესაც საფრანგეთმა უკვე მთლიანად გარდაქმნა და შეავსო თავისი თავდაცვის საშუალებები. გრაფი მოლტკე სრულებით არ მალავდა თავის მაღალ შეხედულებას ფრეისინეზე, „ამ სამოქალაქო სამხედრო მინისტრზე", როგორც მოლტკე უწოდებდა მას, რომელმაც შესძლო აღედგინა ფრანგებში თავისი არმიის ძლიერების რწმენა. სწორედ არმიის ამ გარდაქმნაში იმარხება საყოველთაო უშიშროების დარღვევის საფრთხე—ასე დაამთავრა თავისი სიტყვა 1891 წ. 4 ივლისს გრაფმა მოლტკემ[1].

გერმანელი გენერალი ლეშჩინსკი ევროპაში მოსალოდნელი ომის შესახებ უფრო გვიან წერდა: „ჩვენ უფრო ბევრად ვჯობი-

[1] „Московские ведомости", 6.7. 1891 г.

ვართ რუსეთს სამხედრო მომზადების მხრივ და საერთოდ ეხლანდელი დრო ძალიან მოხერხებული დროა რუსეთთან ომის დაწყებისათვის“. შემდეგ მან შეადარა გერმანიისა და საფრანგეთის ჯარები და თქვა: „ჩვენი მხედრობა ბევრად უკეთ არის მოწყობილი, ვიდრე საფრანგეთისა“. რაც შეეხება ინგლისის როლს მომავალ ომში, გენერალი ლეშჩინსკი ამბობდა: „გერმანიამ ისე უნდა ივარაუდოს, რომ ინგლისის მომხრობა მხედველობაში არ იქონიოს მოსალოდნელ ომში. მართალია, ინგლისი დიდი მტერია რუსეთისა, მაგრამ საფრანგეთის შემოწყრომა არ უნდა და ამიტომ შესაძლებელია სამთა კავშირს არ მიეკედლოს“ [1]. გენერალი მოუწოდებს გერმანიას ყოველთვის მზად იყოს ომისათვის.

1891 წლის 15 სექტემბერს, ქალაქ ბაპომში გენერალ ფედებრის (რომელიც რუსეთ-საფრანგეთის დაახლოების მომხრე იყო) ძეგლის დადგმის დროს, სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიბომ. ის შეეხო რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის განმტკიცების საკითხს, ილაპარაკა იმ თანაგრძნობაზე, რომელიც რუსეთში აღმოუჩინეს საფრანგეთის ესკადრას, და იმ ღრმა სიმპათიაზე, რომელსაც რუსეთის იმპერატორი იჩენდა საფრანგეთისადმი ამ უკანასკნელ პერიოდში. რიბოს ამ გამოსვლას დამსწრეები შეხვდნენ შეძახილებით: „გაუმარჯოს რუსეთის ხელმწიფეს, გაუმარჯოს რუსეთს!“ [2]

ასე აღფრთოვანებით ხვდებოდნენ რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას საფრანგეთში, მაგრამ საფრანგეთის მთავრობას არ აკმაყოფილებდა დადებული კავშირი, მას სურდა კიდევ ერთი ნაბიჯი გადაედგა წინ ორივე ქვეყნის კავშირის განმტკიცების საქმეში და დადებულიყო სამხედრო კონვენცია საფრანგეთსა და რუსეთს შორის, როგორც ეს გააკეთეს სამთა კავშირში შემავალმა სახელმწიფოებმა 1888 წელს.

სამხედრო კონვენციის დადების საქმეში განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა საფრანგეთის სამხედრო მინისტრი ფრეისინე. მოლაპარაკებამ, რომელსაც ის აწარმოებდა რუსეთის სამხედრო წარმომადგენელთან პარიზში ბარონ ფრედერიკსთან, საქმე მიიყვანა იქამდე, რომ ფრეისინემ აღუთქვა დაემზადებინა რუსეთისათვის ნახევარი მილიონი შაშხანა შატელროს ქარხანაში. მანვე დართო ნება რუსეთის ოფიცრებს, შეესწავლათ საფრანგეთის არმიის მთავარი შტაბის მასალები ჯარების გადაყვანისა და

---

[1] გაზ. „ივერია“, 1891 წ. 20 დეკემბერი.

[2] გაზ. „ივერია“, 1891 წ. 18 სექტემბერი.

სურსათის გადაზიდვის შესახებ. ფრეისინეს ჰქონდა მუდმივი მიწერ-მოწერა რუსეთის სამხედრო მინისტრ გენერალ ვანოვსკისთან, რომელიც ასევე მომხრე იყო რუსეთ-საფრანგეთს შორის მტკიცე კავშირისა.

ფრეისინემ, როგორც ის წერს თავის მოგონებებში [1], იცოდა, თუ რა აზრისა იყო ალექსანდრე III სამხედრო კონვენციის საკითხში. რუსეთის იმპერატორი მოითხოვდა სერიოზულად შეესწავლათ რუსეთ-საფრანგეთს შორის სამხედრო კონვენციის დადების საკითხი.

ფრეისინე მოითხოვდა ასეთი კონვენციის დაუყოვნებლივ დადებას, რათა ორივე სახელმწიფოს თავიდან აეცდინა ყოველგვარი მოულოდნელობა, რომლის დროსაც სამთა კავშირს შეეძლო საფრანგეთი და რუსეთი ცალ-ცალკე დაემარცხებინა. სამხედრო კონვენციის მთავარი პუნქტი, ფრეისინეს აზრით, უნდა ყოფილიყო პუნქტი იმის შესახებ, რომ სამთა კავშირის ჯარების მობილიზაციისთანავე საფრანგეთს და რუსეთს დაუყოვნებლივ დაეწყოთ თავიანთი ძალების მობილიზაცია. გარდა ამისა, რუსეთ-საფრანგეთის არმიების გენერალურ შტაბებს უნდა შეედგინათ გეგმა შექმნილი მდგომარეობის მიხედვით მათი არმიების ერთდროული გადაჯგუფებისა და თავმოყრის შესახებ.

ფრეისინემ გადაწყვიტა სპეციალური წარმომადგენელი გაეგზავნა რუსეთის იმპერატორთან, რომელიც ამ დროს ფრედენსბორგში (დანია) იმყოფებოდა, რათა მოეხსენებინა მისთვის საფრანგეთის მთავრობის აზრი. ეს მისია ფრეისინემ ჰანზენს დაავალა. 1891 წ. 4 სექტემბერს ჰანზენი უკვე ფრედენსბორგის ციხე-კოშკში იყო თავად ობოლენსკისთან, რომელსაც იმპერატორისათვის მოსახსენებლად გადასცა საფრანგეთის მთავრობის სურვილი სამხედრო კონვენციის დადების შესახებ. მეორე დღეს ჰანზენმა მიიღო პასუხი, რომ იმპერატორი ამ საკითხს სერიოზულ ყურადღებას აქცევს და მის შესწავლას ხელს მოჰკიდებდა პეტერბურგში დაბრუნებისთანავე.

1891 წლის ოქტომბერში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გირსმა შვებულება მიიღო ავადმყოფობის გამო და გაემგზავრა უცხოეთში. 19 ნოემბერს ის პარიზში ჩავიდა. აქ ბარონ მორენჰაიმთან ერთად ის შეხვდა ფრეისინეს და რიბოს. ამ საუბრის დროს კონკრეტულად საკითხების გარჩევა არ მოხდარა [2]. მეორე დღეს ისევ მოხდა ზემოხსენებულ პირთა შეხვედრა, რომლის დროს გირს-

[1] C. de Freycinet, Souvenirs 1878—1893, Paris, 1913.

[2] „Doc. Dipl. Fr.", I série, t. IX, doc. № 74, p. 109.

მა, შეეხო რა რუსეთ-საფრანგეთს შორის არსებული კავშირის საკითხს, აღნიშნა, რომ კავშირის მიზანს წარმოადგენდა ევროპაში ძალთა თანაფარდობის დაცვა. ამ სხდომის დროს ფრეისინემ პირდაპირ დასვა საკითხი რუსეთ-საფრანგეთს შორის სამხედრო კონვენციის დადების შესახებ, მაგრამ გირსმა ხაზი გაუსვა ამ საკითხის სირთულეს, რომელიც მოითხოვდა ჯეროვან შესწავლას, ვიდრე მიღებული იქნებოდა საბოლოო გადაწყვეტილება [1].

გირსის პარიზში ყოფნამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საფრანგეთისა და გერმანიის გაზეთებში. მას პარიზელები დიდი თანაგრძნობით ხვდებოდნენ. პრეზიდენტმა კარნომ მას სპეციალური სადილიც კი გაუმართა [2]. 1891 წ. 22 ნოემბერს გირსი გამოემგზავრა პეტერბურგს.

1892 წ. 18 თებერვალს ისევ შეიცვალა მთავრობა საფრანგეთში. ახალ კაბინეტში, რომელიც 27 თებერვალს შეადგინა ლუბემ, ფრეისინემ და რიბომ შეინარჩუნეს თავიანთი პოსტები.

მაგრამ რუსეთის მთავრობა, კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრი გირსი, აყოვნებდა შემდგომი ნაბიჯის გადადგმას. ეხებოდა რა საფრანგეთთან შეთანხმების საკითხს, 1891 წ. 28 აგვისტოს თავის მოხსენებით ბარათში გირსი სწერდა ალექსანდრე III, რომ თანამედროვე პირობებში საფრანგეთთან დადებული შეთანხმება „შეიძლება ჩაითვალოს სრულიად საკმარისად", რამდენადაც ის უზრუნველყოფდა რუსეთს ომის შემთხვევაში იზოლირებულ მდგომარეობაში აღმოჩენის საშიშროებისაგან. ამ საკითხში მას რუსეთის იმპერატორი დაეთანხმა [3].

„მეტად არასასურველია,—წერს გირსი,—რათა ჩვენ ნაადრევად შევიზღუდოთ თავი რაიმე დადასტურებითი ვალდებულებებით სამხედრო სფეროში და ამით შევბოჭოთ ჩვენი მოქმედების თავისუფლება" [4]. გირსი ურჩევდა იმპერატორს, ვიდრე ის არ დაბრუნდება პეტერბურგში, არ მიეღო არავითარი გადაწყვეტილება ამ საკითხზე. „ამ პროგრამიდან გადახვევა შეიძლებოდა გამოეწვია მხოლოდ რაიმე უეცარ საგანგაშო მდგომარეობას" [5].

საფრანგეთის წარმომადგენლები არ ისვენებდნენ. 1891 წ. ოქტომბერში რიბომ პირადი წერილი გაუგზავნა გირსს სადაც

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", I série. t. IX, doc. № 76, p. 111—114.

[2] გაზ. „ივერია", 27. 11. 1891 წ.

[3] Арх. ВПР, д. № 380 а, ч. I, л. 27.

[4] იქვე, ფ. 28.

[5] იქვე.

ლაპარაკი იყო სამხედრო კონვენციის დადებაზე, მაგრამ გირსი აჭიანურებდა საკითხის განხილვას. მას ეშინოდა გერმანიას არ გაეგო ეს ამბავი და არ მოჰყოლოდა მასთან დამოკიდებულების გართულება.

1892 წლის თებერვალში საფრანგეთის ელჩმა პეტერბურგში მონტებელომ გადასცა გირსს სპეციალური წერილი, სადაც მოცემული იყო საფრანგეთის მთავრობის აზრი სამხედრო კონვენციის არსისა და მოცულობის შესახებ[1].

საფრანგეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტი შედგებოდა სამი ნაწილისაგან. მის შესავალში ნათქვამი იყო, რომ რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო შეთანხმებას უნდა ჰქონოდა თავდაცვითი ხასიათი. თუ ერთ-ერთ მათგანს სამთა კავშირში შემავალი რომელიმე სახელმწიფო დაეცემოდა, ისინი დაუყოვნებლივ უნდა დახმარებოდნენ ერთმანეთს იმ ძალებით, რაც მათ განკარგულებაში იქნებოდა. ამასთან, როგორც კი საფრანგეთისა და რუსეთისათვის ცნობილი გახდებოდა სამთა კავშირში შემავალ სახელმწიფოებში მობილიზაციის დაწყება, მაშინვე უნდა დაწყებულიყო მობილიზაცია საფრანგეთსა და რუსეთში. ამ დროს მობილიზაციის სისწრაფეს უნდა მისცემოდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. რამდენადაც ორივე მხარის ძალები საფრანგეთის გამოანგარიშებით თითქმის თანასწორი იყვნენ, სწორედ ამიტომ გადამწყვეტ როლს ითამაშებდა მათი მობილიზაციის სისწრაფე და მათი კარგად განლაგება[2].

საფრანგეთის აზრით, სამთა კავშირიდან ყველაზე ძლიერს გერმანია წარმოადგენდა. ამიტომ საჭირო იყო პირველ რიგში მთავარი მტრის განადგურება, ხოლო შემდეგ კი შეიძლებოდა ძალების მიმართვა ავსტრიისა და იტალიის წინააღმდეგ. ამრიგად, ომის შემთხვევაში საფრანგეთის გენერალურ შტაბს მთავარი ძალები უნდა გამოეყვანა გერმანიის წინააღმდეგ.

მაგრამ, თუ სამთა კავშირში შემავალი რომელიმე სახელმწიფო თავს დაესხმოდა რუსეთს, საფრანგეთი არ დასტოვებდა იტა-

[1] Documents diplomatiques. L'Alliance franco-russe, p. 43, 44, 45.

[2] საფრანგეთის გენერალური შტაბის გამოანგარიშებით, სამთა კავშირისა და რუსეთ-საფრანგეთის წინა ხაზის ჯარების რაოდენობა შემდეგი იყო:

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანიას ჰყავდა | 1.550.000 | საფრანგეთს | — 1.550.000 |
| ავსტრიას | —880.000 | რუსეთს | — 1.600.000 |
| რუმინეთს | —100.000 | სულ | —3.150.000 |
| იტალიას | —360.000 | | |
| სულ | —2.810.000 კაცი | | |

იხ. Documents diplomatiques. L'Alliance franco-russe, p. 45.

ლიის 360.000-იანი ჯარის წინაშე აუცილებლად საჭირო ძალების მეტს და თავისი წინა ხაზის არმიის 5/6-ზე მეტს, ე. ი. დაახლოებით 1.300.000 კაცს, მიმართავდა გერმანიის წინააღმდეგ, რაც არ მისცემდა გერმანიას დიდძალი არმიის გადაყვანის საშუალებას აღმოსავლეთის ფრონტზე.

ასევე, რუსეთსაც უნდა გამოეყვანა გერმანიის წინააღმდეგ დაახლოებით 700-დან 800 ათასამდე ჯარისკაცი, რაც რუსეთის არმიის ნახევარს უდრიდა (1.600.000). რუსეთს ავსტრიის წინააღმდეგ ომი უნდა დაეწყო გერმანიის დამარცხების შემდეგ.

რუსეთ-საფრანგეთის გაერთიანებული ძალები საკმაოდ ძლიერი და საშიში იქნებოდა გერმანიისათვის, მაგრამ ყველაფერი მაინც დამოკიდებული იქნებოდა, — ხაზგასმით იყო ნათქვამი საფრანგეთის პროექტში, — ამ ძალების კონცენტრაციაზე იქ, სადაც მას შეეძლო მეტი დამარცხება მიეყენებინა მოწინააღმდეგისათვის, ამ ძალების გამოყენების სისწრაფეზე და ოპერატიულობაზე.

ასეთი იყო საფრანგეთის მთავრობის პროექტი საერთო სამხედრო მოქმედების საკითხში, რომლის თანახმად, რუსეთს უნდა გამოეყვანა თავისი ძალების 50%-ზე მეტი გერმანიის წინააღმდეგ. ამ პროექტის ნაკლი იმაში მდგომარეობდა, რომ აქ ნაკლები ყურადღება ექცეოდა რუსეთის ინტერესებს, რუსეთ-ავსტრიის დამოკიდებულებას და სხვა.

ეხებოდა რა საფრანგეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილ რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის პროექტს, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ობრუჩევი 1892 წ. მაისს თავის მოხსენებით ბარათში ალექსანდრე III-სადმი იძლევა მთელ რიგ საინტერესო და მნიშვნელოვან შენიშვნებს [1]. ობრუჩევი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ფრანგები ამბობენ არა სამოკავშირო ხელშეკრულებაზე, არამედ სამხედრო კონვენციაზე, რომელსაც უნდა განესაზღვრა საფრანგეთისა და რუსეთის არმიების მობილიზაციის ერთდროულობა და მათი მოქმედების მეთოდის წინასწარი შეთანხმება. ასეთი აქტის დადებითი მხარე საფრანგეთისათვის იმაში მდგომარეობს, რომ სამოკავშირო ხელშეკრულების დადების და ომის გამოცხადებისათვის საჭიროა საფრანგეთის პალატის თანხმობა. ხოლო მობილიზაცია შეიძლებოდა გამოცხადებულიყო რესპუბლიკის პრეზიდენტის განკარგულებით, პალატის გარეშე, საპარლამენტო კამათში დროის დაკარგვის გარეშე. მობილიზაციის ერთდროულობას და სისწრაფეს უდიდეს ყურადღებას აქცევდა ობრუჩევი. ვინაი-

[1] Арх. ВПР, д. № 380 а, ч. I, л. 44, 45, 46, 47, 48.

დან,—აღნიშნავდა ის,—ვისაც შეუძლია უფრო ჩქარა მოახდინოს თავისი ძალების მობილიზაცია, ის იგებს ომს. ამასთან ობრუჩევი დეტალურად ჩერდებოდა საერთო მობილიზაციის საბაბზე.

ფრანგები—აგრძელებს ის—თავიანთ უშუალო მტრად სთვლიან თითქმის მხოლოდ გერმანელებს, იტალიას ისინი აძლევენ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას, ხოლო ავსტრიასთან კი, როგორც გერმანიის ისტორიულ მტერთან, სიმპათიური განწყობილებაც კი აქვთ. ამიტომ ფრანგებს უნდათ დასდონ რუსეთთან სამხედრო კონვენცია მხოლოდ გერმანიასთან ომის შემთხვევისათვის. განსაზღვრულ პირობებში ასეთი შეთანხმება ორივესათვის ხელსაყრელია, „მაგრამ—ამბობს ობრუჩევი—არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ის (სამხედრო კონვენცია—ი. ტ.) გაცილებით უფრო ხელსაყრელია საფრანგეთისათვის, ვიდრე ჩვენთვის". მიიღო რა გარანტია მისთვის ყველაზე საშიში მტრის წინააღმდეგ, საფრანგეთს შეუძლია ავსტრიასთან რუსეთის ომის შემთხვევაში, რომელიც შეიძლებოდა წარმოშობილიყო თუნდაც გერმანიის ბრძანებითაც კი, დარჩეს მონაწილეობის მიღების გარეშე და უცადოს ნოქმედების დამთავრებას, რასაც შეიძლება მოჰყვეს ჩვენთვის დამღუპველი შედეგები. მაშინ ჩვენ მოგვიხდება ბრძოლა არა მარტო ავსტრიასთან, არამედ გერმანიის ნაწილებთან და შეიძლება სამთა კავშირის სხვა წევრების ძალებთანაც.

ბერლინის კონგრესი იყო ჩვენთვის საკმაო გაკვეთილი, რომელმაც გვასწავლა, თუ ვინ უნდა ჩავთვალოთ ჩვენ საშიშ მტრად,—ის, ვინც ჩვენ უშუალოდ გვეჯახება, თუ ის, ვინც უცდის ჩვენს დასუსტებას, რათა შემდეგ გვიკარნახოს საზავო პირობები. ამიტომ ჩვენთვის სრულებით არ არის ხელსაყრელი გამოვჩნდეთ საომარ ასპარეზზე მოკავშირის გარეშე. ჩვენი იზოლირებული მდგომარეობა ყოველთვის გაამხნევებდა ჩვენს მოწინააღმდეგეებს და ხელს შეუწყობდა კოალიციის შექმნას რუსეთის წინააღმდეგ, ისევე როგორც საფრანგეთ-რუსეთის კავშირს შეეძლო ხელი შეეშალა ასეთი კოალიციის შექმნისათვის.

ამიტომ ჩვენთვის არ არის ხელსაყრელი მხოლოდ გერმანიასთან ომის შემთხვევისათვის დავდოთ სამხედრო კონვენცია საფრანგეთთან. ჩვენს წინაშე დგას, სამხედრო თვალსაზრისით, ძლიერ შეიარაღებული სამთა კავშირი. მაშასადამე, კონვენციაში უნდა აღინიშნოს საფრანგეთისა და რუსეთის ჯარების ერთდროული მობილიზაცია მათზე არა მარტო გერმანიის, არამედ სამთა კავშირში შემავალ რომელიმე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში. ამრიგად, სამთა კავშირში შემავალ რომელიმე სახელმწიფოს საფრან-

გეთზე თავდასხმის შემთხვევაში დაუყოვნებლივ უნდა მოვახდინოთ ჩვენი არმიის მობილიზაცია და დავიწყოთ საომარი მოქმედება ამ კავშირის წევრ ჩვენთვის უახლოეს სახელმწიფოებთან—გერმანიასა და ავსტრიასთან, მოვითხოვოთ რა საფრანგეთისაგან იგივე ვალდებულების შესრულება.

რაც შეეხება ჯარების განლაგების საკითხს, ობრუჩევი წერდა, რომ „რუსეთს უნდა ჰქონდეს ჯარების განაწილების სრული თავისუფლება, რათა გადამწყვეტი მარცხი მივაყენოთ სამთა კავშირის ჯარებს. ამ ამოცანის შესრულების დროს შეიძლება ჩვენ მთავარი ძალები მივმართოთ გერმანიის წინააღმდეგ, თუ ეს ჩვენ საჭიროდ დავინახეთ, მაგრამ შეიძლება ჯერ ავსტრია დავამარცხოთ და შემდეგ გაერთიანებული ძალებით მივუბრუნდეთ გერმანიას. ამიტომ — დაასკვნის ობრუჩევი — კონვენციაში ჩვენ აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ საფრანგეთისა და რუსეთის არმიების ერთდროული მობილიზაციის შესახებ ერთ-ერთ მათგანზე არა გერმანიის, არამედ სამთა კავშირის რომელიმე სახელმწიფოს თავდასხმის შემთხვევაში, ვთვლით რა მათ სრულიად სოლიდარულად და განუყრელად“ [1].

ამასთან, გენერალ ობრუჩევის აზრით, სამხედრო კონვენციის დადებისას აუცილებელი იქნებოდა მხედველობაში მიღებულიყო შემდეგი გარემოება: ჯერ ერთი, რომ ევროპის სახელმწიფოები შეიარაღებული არიან ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით, ხოლო მათი მობილიზაციის საკითხი განისაზღვრება დღეებით და საათებით. მიღწევები დამოკიდებულია ჯარების რაოდენობაზე, მათი გამოყვანის სისწრაფეზე და საომარი მოქმედების დაწყების დასწრებაზე. სიტყვა „მობილიზაცია“ უნდა ნიშნავდეს საომარი მოქმედების დაწყებას, ვინც დააყოვნებს, ის წააგებს.

მეორე, — საჭიროა მობილიზაციის მომენტში დიპლომატიამ შესძლოს ზუსტად განსაზღვროს, თუ ვისთან იწყებს ომს, საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ, თუ ომი დაიწყო, ის არ იქნება იზოლირებული ომი ორ სახელმწიფოს შორის. რომ ადრე თუ გვიან, ღიად თუ ფარულად სხვა სახელმწიფოებიც მიიღებენ მასში მონაწილეობას. ყოველ შემთხვევისათვის ომი დამთავრდება საერთაშორისო კონგრესით და ამ კონგრესზე იმ მხარეს ექნება მეტი წონა, ვისაც მოცემულ მომენტში ეყოლება მეტი ძალა. ჩვენმა დიპლომატიამ უნდა იცოდეს, რომ ამ კონგრესზე მას არ ექნება საქმე ერთ სახელმწიფოსთან—გერმანიასთან, ავსტრიასთან თუ თურქეთთან. ბერლინის კონგრესი ამ მხრივ ჩვენთვის დიდი გაკვეთილი იყო.

[1] Арх. ВУА, д. № 360 а, ч. I, л. 47.

ასეთია ობრუჩევის მოხსენებითი ბარათის შინაარსი, რომლითაც ის რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმების და ურთიერთდახმარების საქმეს რეალურ ნიადაგზე აყენებდა. ობრუჩევი უარს ამბობდა ომის ისეთ საერთო-სამოკავშირო გეგმაზე, სადაც მხოლოდ ერთი მხარე მუშაობს მეორის სასარგებლოდ. მისი აზრით, თვითეულს უნდა დარჩენოდა თავისუფალი მოქმედების საშუალება.

გაეცნო რა გენერალ ობრუჩევის მოხსენებით ბარათს, იმპერატორმა ალექსანდრე III მოისურვა მის შინაარსს გაცნობოდა საგარეო საქმეთა მინისტრი ნ. გირსი და შეესწავლა იგი პოლიტიკური თვალსაზრისით[1].

გირსი გაეცნო გენერალ ობრუჩევის მოხსენებითი ბარათის შინაარსს და მთელ რიგ საკითხებში არ დაეთანხმა მას. სამხედრო მინისტრ ვანოვსკისადმი 1892 წ. 13 მაისს მიწერილ წერილში გირსი ხაზს უსვამდა, რომ ობრუჩევის მიერ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რუსეთს შეექმნებოდა არახელსაყრელი პირობები, ვინაიდან—წერდა გირსი — ლაპარაკია არა მობილიზაციაზე იმ აზრით, როგორც ეს ესმით ფრანგებს—ჯარების 14 დღის განმავლობაში თავმოყრაზე,—არამედ ჩვენი დაუყოვნებლივ თავდასხმაზე ორ უძლიერეს მოწინააღმდეგეზე, საფრანგეთის საზღვარზე იტალიელების უმნიშვნელო მობილიზაციის შემთხვევაშიც კი. „მსგავსი ვალდებულების აღება ჩვენს მხრივ, — დაასკვნიდა გირსი, — იქნებოდა, ყოველ შემთხვევისათვის, ნაადრევი და პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენთვის მეტად არახელსაყრელი“[2].

თითქმის ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნა ნ. გირსმა იმპერატორ ალექსანდრე III 1892 წ. 4 ივნისს[3]. რუსეთის იმპერატორმა მოიწონა საგარეო საქმეთა მინისტრის აზრი და შეუერთდა მას.

საქმე ისე ვითარდებოდა, რომ რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის საკითხი თითქოს უნდა გადადებულიყო. ფრეი-

---

[1] ალექსანდრე III გარკვევით ჰქონდა წარმოდგენილი რუსეთის მოქმედება გერმანიის წინააღმდეგ. მას საჭიროდ მიაჩნდა პირველ რიგში მთავარი მოწინააღმდეგის—გერმანიის განადგურება. ალექსანდრე III ჯერ კიდევ 1892 წლის 25 თებერვალს ნ. გირსს უთხრა: „საჭიროა... საფრანგეთსა და გერმანიას შორის ომის შემთხვევაში მაშინვე ვეცეთ გერმანელებს... საჭიროა გამოსწორებულ იქნას წარსულის შეცდომა და განადგურებულ იქნას პირველი შესაძლებლობისთანავე გერმანია“. იხ. В. Н. Ламздорф, Дневник 1891—1892, М. — Л., 1934, стр. 299.

[2] Арх. ВПР, д. № 360 а, ч. I, л. 42.

[3] იქვე, ფ. 54 — 55.

სინე აგრძელებდა ბრძოლას, რათა ეს საქმე ბოლომდე მიეყვანა. რადგან პეტერბურგიდან პასუხს ვერ ღებულობდა, მან წერილით მიმართა ალექსანდრე III, რომელიც იმ დროს დანიაში იმყოფებოდა მეფე ქრისტიან IX და დედოფალ ლუიზას ქორწინების დროს გამართულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

თავის წერილში ფრეისინე გამოსთქვამდა საფრანგეთის მთავრობის სურვილს, რათა რუსეთ-საფრანგეთის კავშირი განმტკიცებულიყო სამხედრო კონვენციით. ფრეისინე სთხოვდა რუსეთის იმპერატორს, ნება დაერთო საფრანგეთიდან პეტერბურგში რომელიმე მაღალი წოდების სამხედრო პიროვნების გამოგზავნაზე, რათა ამ გამოგზავნილ პიროვნებას გამოემუშავებინა სამხედრო კონვენციის პროექტი რუსეთის სამხედრო მინისტრთან და გენერალურ შტაბის უფროსთან ერთად.

1892 წ. ივნისში პეტერბურგიდან მიღებულ იქნა დადებითი პასუხი. რამდენიმე ხნის შემდეგ გენერალი ბუადეფრი გაემგზავრა პეტერბურგში სამხედრო კონვენციის პროექტით, რომელიც შედგენილი იყო ფრეისინეს მიერ.

მდგომარეობა გააუმჯობესა 1892 წ. ივლისის მანევრებზე კრასნოე სელოში გენერალ ბუადეფრის ჩამოსვლამ, რომელიც იმპერატორის მიერ იყო მოპატიჟებული[1]. ამ პერიოდისათვის ელჩმა მონტებელომ გაუგზავნა თავის მთავრობას სპეციალური წერილი, რომლითაც ის ატყობინებდა, რომ რუსეთის იმპერატორი პრინციპულად თანახმა იყო სამხედრო კონვენციის დადებაზე[2] და რომ პეტერბურგში ადგილი ჰქონდა კონვენციის პროექტის შემუშავებას[3]. 1892 წ. 6 მაისს მონტებელო წერილით ატყობინებს რიბოს, რომ გენერალმა ვანოვსკიმ და იმპერატორმა შეისწავლეს კონვენციის პროექტი, რომელიც განხილული იქნება ივლისში ფრანგ გენერალთან ერთად[4].

დიდხანს გრძელდებოდა მსჯელობა პეტერბურგში კონვენციის პროექტის გარშემო. საფრანგეთის გენერალური შტაბის მიერ წარმოდგენილი პროექტის შესავალში ლაპარაკი იყო თავდაცვით ომზე, რომელიც შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო საფრანგეთზე ან რუსეთზე სამთა კავშირის თავდასხმით. კონვენციის პროექტში ნათქვამი იყო:

---

[1] „Doc Dipl. Fr.", I série, t. IX, doc. № 296, p. 428; doc. № 306, p. 441; doc. № 308, p. 444.

[2] Ibid., doc. № 231, p. 341.

[3] Ibid., doc. № 296, p. 428.

[4] Ibid., doc. № 300, p. 434 — 436.

„1. იმ შემთხვევაში, თუ სამთა კავშირის ან მხოლოდ გერმანიის ძალები დაიწყებენ მობილიზაციას, საფრანგეთი და რუსეთი ამ მოქმედების გაგებისთანავე წინასწარი შეთანხმების გარეშე დაუყოვნებლივ და ერთდროულად მოახდენენ მთელი თავიანთი ძალების მობილიზაციას და წასწევენ მათ, რამდენადაც შეიძლება ახლო, საზღვრებისაკენ.

2) თუ რუსეთსა და საფრანგეთზე სინამდვილეში სამთა კავშირი (ან მხოლოდ გერმანია) იერიშს მიიტანს, ორივე სახელმწიფო მიმართავენ თავიანთ ყველა ძალებს გერმანიის წინააღმდეგ, გარდა იმ რაოდენობისა, რომელთა დატოვება აუცილებელია სხვა პუნქტებისათვის. ეს ძალები გადადიან გადამწყვეტ და მეტად სწრაფ შეტევაზე, რათა გერმანია იძულებული გახდეს ერთდროულად იმოქმედოს როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში.

3. მეტად არასასურველ შემთხვევაში, ე. ი. იმ მომენტში, როცა სამთა კავშირის ყველა ძალები მიიღებენ მონაწილეობას მოქმედებაში, საფრანგეთს განზრახული აქვს გამოიყვანოს გერმანიის წინააღმდეგ თავისი მოქმედი არმიიდან 1.300.000 კაცი, და ეს ძალები თავმოყრილ იქნებიან საზღვარზე მობილიზაციის მე-14 დღეს. იმავე შემთხვევაში რუსეთს განზრახული აქვს გამოიყვანოს გერმანიის წინააღმდეგ მოქმედი არმიიდან 800.000 კაცი, და ეს ძალები თავმოყრილ იქნებიან საზღვარზე მობილიზაციის მე—„...“ დღეს; ავსტრიას უნდა დაუპირისპირდეს უაღრესად მისი თანასწორი ძალა.

4. საფრანგეთი და რუსეთი არ დადებენ სამთა კავშირთან სეპარატულ ზავს, როგორი შედეგიც არ უნდა ჰქონდეს ომს; ყოველი მხარე საბოლოო ხელშეკრულების დადების დროს დაიცავს მეორე მხარის ინტერესებს ისევე, როგორც თავის საკუთარ ინტერესებს“.

მეხუთე მუხლის თანახმად, ორივე არმიის გენერალური შტაბების უფროსები უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს პერიოდულად ტექნიკური დეტალების დასაზუსტებლად, ხოლო მეექვსე მუხლი კი ითვალისწინებდა კონვენციის ხანგრძლივობას მანამ, სანამ იარსებებდა სამთა კავშირი [1].

როგორც ჩანს, საფრანგეთის სამხედრო კონვენციის ამ პროექტის თანახმად, ჯერ ერთი, ორივე მხარეს მთელი ძალები უნდა მიემართა გერმანიის წინააღმდეგ, კონვენცია არ იცავდა რუსეთს ავსტრიის თავდასხმის შემთხვევაში. ამდენად ის უფრო გამოსადეგი

[1] Documents diplomatiques. L'Alliances franco-russe, p. 62.

იყო საფრანგეთისათვის, ვიდრე რუსეთისათვის. მეორე, ორივე მხარე თანხმდებოდა არა მარტო იმაში, რომ არ დაედვათ სეპარატული ზავი მოწინააღმდეგესთან, არამედ მოლაპარაკების დროს მხარი დაეჭირათ ერთმანეთისათვის. საფრანგეთის პროექტი არ ითვალისწინებდა ცალკე მხარეების პოლიტიკურ და ეკონომიურ პირობებს მობილიზაციის დროს, რასაც ობრუჩევი მოითხოვდა თავის პროექტში.

რუსეთის გენერალურმა შტაბმა, თავის მხრივ, წარუდგინა პროექტი საფრანგეთის წარმომადგენელს და, ამრიგად, რამდენიმე ხნის მუშაობის შემდეგ მიღწეულ იქნა საერთო შეთანხმება.

1892 წ. 2 აგვისტოს, როდესაც იმპერატორ ალექსანდრე III წარუდგინეს სამხედრო კონვენციის პროექტი, მან ის მოიწონა და ზედ დააწერა: „კარგია“ [1]. გირსი აუცილებლად სთვლიდა კონვენციის საიდუმლოების დაცვას. ის აფრთხილებდა გენერალ ბუადეფრს, რომ საიდუმლოების მცირეოდენ გაცემასაც კი შეიძლებოდა მოჰყოლოდა მეტად საშიში შედეგები [2].

1892 წ. 17 აგვისტოს საფრანგეთისა და რუსეთის გენერალური შტაბების უფროსებმა ბუადეფრმა და ობრუჩევმა ხელი მოაწერეს რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციას [3].

ეს სამხედრო კონვენცია თავისი შინაარსით განსხვავდებოდა ყველა მანამდე წარმოდგენილი პროექტებისაგან. აქ საკმაოდ დაცული იყო რუსეთის ინტერესებიც. ამასთან ორივე მხარე, როგორც საფრანგეთი, ისე რუსეთი, გამოდიოდა თანასწორუფლებიანი. პირველი მუხლის თანახმად, საფრანგეთს უნდა გამოეყვანა თავისი ძალები გერმანიის წინააღმდეგ რუსეთზე ავსტრიის თავდასხმის შემთხვევაშიც კი.

როგორც აღვნიშნეთ, რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის პროექტი საბოლოოდ შემუშავებულ იქნა პეტერბურგში გენერლების ობრუჩევისა და ბუადეფრის მიერ და მათ მიერვე ხელმოწერილი; პირველ ხანებში გათვალისწინებული ჰქონდათ კონვენციისათვის ხელი მოეწერათ ორივე ქვეყნის სამხედრო მინისტრებს, მაგრამ შემდგომი მოლაპარაკების პერიოდში ორივე მხარემ ამაზე უარი განაცხადა [4].

---

[1] Арх. ВПР, д. № 380 а, ч. I, л. 82; „Doc. Dipl. Fr.“, I série, t. IX, doc. № 445, p. 645; № 456, p. 668

[2] Арх. ВПР, д. 380 а, ч. I, л. 68.

[3] სამხედრო კონვენციის სრული ტექსტი იხ. დამატებაში.

[4] კონვენცია ძალაში შევიდა მხოლოდ 1893 წლის ბოლო რიცხვებში, მისი დადების თარიღად მაინც დარჩა 1892 წ. 17 აგვისტო.

ამრიგად, სამხედრო კონვენციის პროექტი შემუშავდა, მაგრამ არ იქნა დამტკიცებული, რადგან შემდგომი მოლაპარაკება სამხედრო კონვენციის დადების შესახებ შეწყვეტილ იქნა პანამის ამბებთან დაკავშირებით 1892 წელს, რომლის დროს საფრანგეთის პრესამ დაიწყო კამპანია ბარონ მორენჰაიმის წინააღმდეგ. საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო, რუსეთის ელჩის სახელი ნახსენებ იქნა საჯაროდ პანამის ავანტიურის გამოაშკარავებასთან დაკავშირებით.

პრესაში აღნიშნული იყო, რომ, ვითომც, ცნობილი $x$, რომელზედაც ლაპარაკი იყო გაზეთებში, სხვა არავინ იყო, გარდა ბარონ მორენჰაიმისა, და რომ მან მიიღო პანამის კომპანიისაგან ქრთამი 500 ათასი ფრანკი. რუსეთის დიპლომატიური კორპუსი აღშფოთებული იყო იმით, რომ პრესამ საჯაროდ გაილაშქრა მორენჰაიმის წინააღმდეგ. 1893 წლის მარტში რიბომ დასვა ეს საკითხი დეპუტატთა პალატაში. მან გააკრიტიკა მორენჰაიმზე თავდასხმის საკითხი, რომელზედაც, რიბოს სიტყვებით, არავის არავითარი რეალური საფუძველი არ ჰქონდა. რიბო შეეცადა გაემართლებინა რუსეთის ელჩი. მისმა გამოსვლამ ძლიერი შთაბეჭდილება დატოვა.

მთავრობის განკარგულებით ერთდროულად გაზეთებში მოთავსებულ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ ამ უკანასკნელ პერიოდში გავრცელდა არასწორი ხმები უცხოეთის წარმომადგენლის მიმართ და რომ ეს უკანასკნელი არის საფრანგეთთან მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი ქვეყნიდან. ცნობაში ამასთან აღნიშნული იყო, რომ ეს ინსინუაცია გადმოღებულია სამთა კავშირში შემავალ სახელმწიფოების გაზეთებიდან, რაშიაც არ შეიძლება არ დავინახოთ განსაზღვრული პოლიტიკური ხერხი[1]. ამის შემდეგ რიბომ პირადად გამოუცხადა მორენჰაიმს სინანული იმის გამო, რომ ეს შეურაცხმყოფელი სიტყვები განმეორებულ იქნა ზოგიერთი ფრანგული გაზეთის მიერ.

რამდენიმე დღის შემდეგ, 1893 წ. 31 მარტს, დეველმა (საგარეო საქმეთა მინისტრი რიბოს კაბინეტში) მორენჰაიმს გადასცა წერილი, სადაც მოცემული იყო დეპუტატთა პალატის მიერ გამოყოფილი გამომკვლევი კომისიის სხდომის ოქმის შინაარსი. დამნაშავე პირთა და მოწმეების დაკითხვიდან ჩანდა, რომ ის პიროვნება, ვინც იმალებოდა $x$-ის ქვეშ, არ იყო მორენჰაიმი, ამასთან აღნიშნულ იყო, რომ საფრანგეთთან მეგობრულად განწყობილი სახელმწიფოს დიპლომატიური კორპუსი არ იყო ჩარეული პანამის

[1] „Le temps", 28.3. 1893.

საქმეებში. შემდეგ, წერილში ნათქვამი იყო, რომ მორენჰაიმს დიდი სიმპათიით ეპყრობიან საფრანგეთში, როგორც რუსეთის იმპერატორის წარმომადგენელს. საგარეო საქმეთა მინისტრი გულისწყრომას გამოსთქვამდა რუსეთის ელჩის წინაშე, რომ მისი სახელი ნახსენებია პანამის საქმეებში [1].

ამის საპასუხოდ მორენჰაიმმა განუცხადა ჰანზენს, რომ ის, მორენჰაიმი, შეიძლება დაკმაყოფილდეს ასეთი წერილით, მაგრამ საჭიროა ამ საკითხის შესახებ თავისი აზრი გამოთქვას საფრანგეთის მთავრობის რომელიმე წარმომადგენელმა რუსეთის იმპერატორის წინაშე, რომლის წარმომადგენელიც ბარონი მორენჰაიმი იყო [2].

მეორე დღეს მინისტრმა სთხოვა რესპუბლიკის პრეზიდენტს, მიეწერა წერილი ალექსანდრე მესამისათვის და განემარტა მომხდარი ამბების არსი. რამდენიმე დღის შემდეგ შიშკინმა, რომელიც ამ დროს ხელმძღვანელობდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს, გაუგზავნა დეპეშა ბარონ მორენჰაიმს, სადაც წერდა, რომ იმპერატორი კმაყოფილია და საქმეს დამთავრებულად სთვლის. ამრიგად, ცდამ, ხელი შეეშალათ რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებისათვის, მარცხი განიცადა. საქმე მოგვარებულ იქნა. მოლაპარაკება რუსეთ-საფრანგეთს შორის ისევ განახლდა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოლაპარაკების განახლებას პირველ რიგში ხელი შეუწყო გერმანიის მთავრობის მოქმედებამ. მან ჩაიდინა რუსეთის მიმართ ახალი მტრული აქტი იმისათვის, რათა აეძულებინა რუსეთი გაეხსნა თავისი ბაზრები გერმანიის მრეწველობისათვის. გერმანიის მთავრობას საქმე მიჰყავდა საბაჟო ომის დაწყებამდე, რომელიც კიდეც დაიწყო 1893 წელს. საბაჟო ომმა გაამწვავა დამოკიდებულება გერმანიასთან და მასთან მტრულ განწყობილებაში დააყენა რუსეთის გაბატონებული კლასი, კერძოდ, თავადაზნაურობა, რომელიც მანამდე მერყეობდა.

მას შემდეგ, რაც საფრანგეთისა და რუსეთის არმიების გენერალური შტაბების უფროსებმა ხელი მოაწერეს სამხედრო კონვენციას, იგი გადასასინჯად გადაეცა ისევ გირსს. ობრუჩევთან ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ გირსმა პრინციპულად მოიწონა კონვენციის პროექტი, რომელიც უნდა დაედასტურებინათ ორივე ქვეყნის სამხედრო მინისტრებს.

---

[1] J. Hansen, L'Ambassade à Paris du baron de Mohrenheim 1884—1898, Paris, 1906, p. 151—153.

[2] Ibid. p. 153—154.

თავის წერილში იმპერატორისადმი გირსი განსაკუთრებით ხაზს უსვამდა კონვენციის საიდუმლოების საკითხს, რაშიაც მას იმპერატორიც დაეთანხმა. ფრანგმა გენერალმა ბუადეფრმა მიიღო რუსეთის იმპერატორის და საგარეო საქმეთა მინისტრის ეს მოთხოვნა და აღუთქვა, რომ მას მოახსენებდა თავის მთავრობას[1].

სამხედრო კონვენციის ხელმოწერას აჭიანურებდა ნ. გირსი, რომელიც უფრო პროგერმანული პოლიტიკის მომხრე იყო. მართალია, გირსი, წინააღმდეგ თავის სურვილისა, თანდათანობით იხრებოდა საფრანგეთთან დაახლოებისაკენ, მაგრამ ცალი თვალი მას მაინც ბერლინისაკენ ეჭირა. გირსი იძულებული იყო დაახლოებოდა იმ საფრანგეთს, რომელთანაც კავშირს ის რამდენიმე ხნის წინათ „თვითმკვლელობად" სთვლიდა. სცვლიდა რა თავის პოლიტიკურ კურსს, გირსი თავს არიდებდა საფრანგეთთან ფორმალური შეთანხმების დადებას.

ფრანგები მოითხოვდნენ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. რიბომ ისევ გაუგზავნა წერილი გირსს, სადაც გამოსთქვამდა სურვილს, რათა პროექტი გადაქცეულიყო სამხედრო კონვენციად. გარდა ამისა, ამ პერიოდში გერმანიაში გამოქვეყნებულ იქნა ახალი კანონი არმიის და შეიარაღების გაზრდის შესახებ, რაც, ცხადია, მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. რიბოს წერილი შიშკინმა გადასცა რუსეთის იმპერატორს[2].

საფრანგეთსა და რუსეთში საკმაოდ ესმოდათ გერმანიის 1893 წლის 3 აგვისტოს სამხედრო კანონის მნიშვნელობა. ამ საკითხის შესახებ გენერალმა ვანოვსკიმ სპეციალური მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა რუსეთის იმპერატორს და საგარეო საქმეთა მინისტრს[3]. ამ წერილში იგი მთლიანად უერთდებოდა ფრანგების აზრს იმის შესახებ, რომ გერმანიის კანონი ატარებდა წმინდა შეტევითს ხასიათს. მით უმეტეს, რომ ამ კანონის მიღების დროს რაიხსტაგში ხაზი გაესვა გრაფ მოლტკეს მიერ 1879 წელს შედგენილ შეტევითი გეგმის მხარდაჭერის აუცილებლობას.

ვანოვსკი ასევე შესაძლებლად სთვლიდა ავსტრია-უნგრეთის ჯარების გაზრდას, რისთვისაც საჭირო იქნებოდა რუსეთს მიეღო ახალი ზომები, რადგან, გერმანიის 3 აგვისტოს სამხედრო კანონის თანახმად, იზრდებოდა ქვემეხების რიცხვი გერმანიაში. ამასთან საველე ქვემეხების რიცხვი დიდი იყო ავსტრია-უნგრეთშიც

---

[1] Арх. ВПР, д. № 380 а, ч. I, л. 63.
[2] Арх. ВПР, д. № 380 а, ч. I, л. 71.
[3] იქვე, ფ. 97.

(6600 ცალი)[1]. გერმანიის მტრულმა განწყობილებამ რუსეთისადმი და ასევე სამხედრო კანონის მიღებამ გამოიწვია კონტრზომები რუსეთის მხრიდან, როგორც შეიარაღების, ისე არმიის გაზრდის საქმეში: გაიზარდა რუსეთში ზოგიერთი სათადარიგო ნაწილის შემადგენლობა, შეიქმნა ორი ახალი არმიის კორპუსი (XX და XXI) ქვეყნის დასავლეთის საზღვრების მახლობლად, უნდა შექმნილიყო რამდენიმე საარტილერიო ბატარეა, საინჟინერო ნაწილების ათასეულები და ა. შ. ამასთან გათვალისწინებული იყო რკინიგზის ქსელის გაზრდა იმპერიის დასავლეთ ნაწილში[2].

1893 წლის მეორე ნახევარში რუსეთისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის მოხდა შეთანხმება იმის შესახებ, რომ რუსეთის ესკადრა ინახულებდა საფრანგეთის ერთ-ერთ სამხედრო ნავსადგურს საფრანგეთის ესკადრის 1891 წელს კრონშტადტში ჩამოსვლის საპასუხოდ.

მიიღო რა პეტერბურგიდან ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ რუსეთის ესკადრა ადმირალ აველანის მეთაურობით საფრანგეთში გაემგზავრებოდა ოქტომბერში, საფრანგეთის მთავრობამ დაიწყო მზადება მის შესახვედრად.

შინაგან საქმეთა მინისტრ დიუპიუის საუბარი ჰქონდა ბარონ მორენჰაიმთან ვიზიტის პირობების შესახებ. რუსეთის ელჩს ასევე საუბარი ჰქონდა პარიზის, ლიონის, ტულონის და მარსელის მუნიციპალურ საბჭოებთან. ამ შეხვედრების დროს გადაწყდა, რომ დღესასწაულს, რომელიც მოეწყობოდა რუსეთის ესკადრის ჩამოსვლასთან დაკავშირებით, არ უნდა ჰქონოდა პოლიტიკური ხასიათი, მით უმეტეს, რომ ალექსანდრე მესამეს ჰსურდა პატრიოტულ მანიფესტაციებს რუსეთის ესკადრის შეხვედრის დროს არ ჰქონოდა გამომწვევი ხასიათი საფრანგეთისა და რუსეთის მოწინააღმდეგეების მიმართ. როგორც გაზეთ „მოსკოვსკიე ვედომოსტის" კორესპონდენტი პარიზიდან იტყობინება, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესძლო სრული წესრიგი დაეცვა როგორც პარიზში, ისე სხვა დიდ ქალაქებში, სადაც მზადდებოდა დღესასწაული რუსი მეზღვაურების ჩასვლასთან დაკავშირებით[3].

საფრანგეთის ქალაქები, სადაც, წინასწარ შედგენილი მარშრუტის თანახმად, უნდა ჩასულიყვნენ რუსი მეზღვაურები, ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს იმაში, თუ რომელი უფრო უკეთეს შეხვედრას მოუწყობდა რუს სტუმრებს.

---

[1] Арх. ВПР, д. № 380 а, ч. I, л. 97, 98.

[2] იქვე, ფ. 97.

[3] „Московские ведомости", 30 10. 1893 г.

1893 წ. 13 ოქტომბერს, დილის 10 საათსა და 30 წუთზე, რუსეთის 5 გემისაგან შემდგარი ესკადრა ადმირალ აველანის მეთაურობით ტულონში ჩავიდა, სადაც მას განსაკუთრებული შეხვედრა მოუწყვეს[1]. საფრანგეთის მთავრობის განკარგულებით რუსეთის ესკადრის შესახვედრად გაიგზავნა საფრანგეთის კრეისერი 8 ნაღმოსნით, რომელთა ბაქანზე საფრანგეთის სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ტულონის მახლობლად, ღია ზღვაზე, გემები ერთმანეთს მიესალმნენ ქვემეხების სალუტით. დაახლოებით დღის 12 საათზე რუსეთის ესკადრამ ღუზა ჩაუშვა ტულონის ნავსადგურში.

პარიზიდან ტულონში ჩავიდა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი სადი კარნო, რათა მისალმებოდა რუსეთის ესკადრის ოფიცრებს, „რომლებიც გამოგზავნა დიდმა მშვიდობისმოყვარულმა მეფე ალექსანდრე მესამემ“[2].

ტულონში მოეწყო სპეციალური ბანკეტი რუსი მეზღვაურების პატივსაცემად, რომელსაც დაესწრო საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი კარნო, მინისტრები, ბარონ მორენჰაიმი, რუსეთის საელჩოს წარმომადგენლები, ელჩი დე მონტებელო, ადმირალი აველანი, რუსეთის ოფიცრობა და სხვები. ამ ბანკეტის დროს ერთმანეთს მიესალმნენ საფრანგეთის პრეზიდენტი და ადმირალი აველანი[3]. როგორც ფრანგული გაზეთები აღნიშნავდნენ, ტულონმა გააკეთა ყოველივე ის, რისი გაკეთებაც შეეძლო ქალაქს მეგობრული ქვეყნის წარმომადგენლების პატივსაცემად.

ტულონში სამი დღის ზეიმის შემდეგ ადმირალი აველანი 50 ოფიცრით პარიზს გაემგზავრა. მთელს საფრანგეთის ქალაქებში მხოლოდ რუსეთზე იყო ლაპარაკი. ამ დრომ მიიღო „რუსეთის პერიოდის“ სახელწოდება საფრანგეთში. იმ დღეს, როცა უნდა ჩამოსულიყვნენ რუსი ოფიცრები, მთელი პარიზი დილაადრიანად ფეხზე იდგა, იქ სადაც უნდა გაევლო კორტეჟს, მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა, ხალხით გაჭედილი იყო არა მარტო ტროტუარები, არამედ ყველა სართულების ფანჯრები, სახლების სახურავები. პარიზის ქუჩებში გაუგონარ გამოცოცხლებას ჰქონდა ადგილი. პარიზში ყოფნის უკანასკნელ დღეებში ყოველ დილას ადმირალი აველენი ღებულობდა სხვადასხვა დელეგაციებსა და საჩუქრებს. პარიზიდან გამომგზავრების დღეს პრეზიდენტმა კარნომ გამოსამშვიდობებელი სა-

---

[1] Deschamps, Livre d'Or de L'Alliance franco-russe, p. 30.
[2] Ibid.
[3] Ibid., p. 31.

უზმე მოუწყო ადმირალ აველანს, რომლის დროსაც ადმირალმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს გულთბილი შეხვედრისათვის. 1893 წ. 27 ოქტომბერს პრეზიდენტი კარნო ტულონში ჩავიდა რუსეთის ესკადრის გასაცილებლად. ბანკეტზე მან წარმოსთქვა სადღეგრძელო, სადაც ხაზი გაუსვა იმ მეგობრულ და სამშვიდობო მანიფესტაციებს, რომლებიც გამოიწვია საფრანგეთისა და რუსეთის ესკადრების ჩამოსვლამ კრონშტადტში და ტულონში. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ როგორც რუსეთის, ისე საფრანგეთის ფლოტმა ღირსეულად შეასრულა მასზე დაკისრებული ამოცანა [1].

28 ოქტომბერს, პრეზიდენტ კარნოს პარიზში გამგზავრების წინ, მიღებულ იქნა დეპეშა რუსეთის იმპერატორისაგან. ალექსანდრე მადლობას უცხადებდა საფრანგეთის პრეზიდენტს იმ ბრწყინვალე მიღებისათვის, რომელიც აღმოუჩინეს რუს მეზღვაურებს საფრანგეთში, რაც, რუსეთის იმპერატორის აზრით, კიდევ უფრო განამტკიცებდა „ახალ კავშირს“ ამ ორ ქვეყანას შორის. პრეზიდენტმა უპასუხა ისეთივე შინაარსის დეპეშით [2].

ამასთანავე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გირსმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა პარიზში ბარონ მორენჰაიმს: „იმპერატორი გავალებთ თქვენ გადაუხადოთ გულითადი მადლობა მთავრობის ორგანოებს და ყველა საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საფრანგეთში რუსეთის ესკადრის ბრწყინვალე და გულითად მიღებაში. იმპერატორი მეტად კმაყოფილია იმ მეგობრული და სიმპათიური გრძნობებით, რომლებიც ასე მშვენივრად გამოხატულ იქნა ამ შემთხვევაში“ [3].

რუსეთის ესკადრის ჩასვლას ტულონში უდიდესი შეფასება მისცა საფრანგეთის საზოგადოებამ და პრესამ. ეხებოდა რა რუსი მეზღვაურების ჩასვლას საფრანგეთში, საგარეო საქმეთა მინისტრმა დეველმა კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა: „ჩვენ მათ ვხვდებოდით, როგორც მეგობრებს“ [4].

საფრანგეთის მთავრობამ გადაწყვიტა რუსეთის ესკადრის ტულონში ჩამოსვლის დღე გამოეცხადებინა „ნაციონალურ დღესასწაულად, რასაც სიხარულით გამოეხმაურა მთელი საფრანგეთის ხალხი“ [5]. დეპუტატთა პალატის უხუცესმა წევრმა ბლანმა ერთ-

[1] Deschamps, Livre d'Or de l'Alliance franco-russe, p. 31.

[2] მაგრამ კავშირის დადებას ვერც ალექსანდრე III და ვერც სადი კარნომ ვერ მოესწრნენ. ორივე 1894 წელს გარდაიცვალა. (კარნო მოკლეს 1894 წ. ივნისში).

[3] Deschamps, Livre d'Or de l'Alliance franco-russe, p. 32.

[4] Кронштадт-Тулон. Летопись Великого События, стр. 37.

[5] Н. Лапицкий, Русская эскадра во Франции, стр. 4.

ერთი თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა: „დაე დამშვიდდეს და იზეიმოს საფრანგეთმა, მისი მარტოობა წარსულს ჩაბარდა. რაკი მის გვერდით დგას დიდი და უძლიერესი ხალხი, მას არ უნდა ეშინოდეს მომავლისა, და მას შეუძლია შეინარჩუნოს ყველა თავისი იმედი"[1].

საფრანგეთი უდიდეს იმედს ამყარებდა რუსეთზე მისი ისტორიული მტრისაგან—გერმანიისაგან თავდასაცავად. რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარების იმედი საფრანგეთში უფრო განმტკიცდა რუსეთის ესკადრის ტულონში ჩამოსვლის შემდეგ. ფრანგების ეს იმედი საფრანგეთის პრესამ შემდეგ სიტყვებში გამოხატა:

„Промчались тучи Меца и Седана,
Прошла гроза, и заалел восток;
Рассеять смрад немецкого тумана,
Его заре назначен рок"[2].

ტულონის ამბების შემდეგ მოლაპარაკება საფრანგეთ-რუსეთს შორის სამხედრო კონვენციის გაფორმებაზე ჩქარი ტემპით წავიდა. მოლაპარაკება ფაქტიურად დამთავრდა 1893 წლის ნოემბერში, მაგრამ დიუპიუიმ და დეველმა, დარწმუნებული იყვნენ რა მათი კაბინეტის დაცემაში, საჭიროდ ჩათვალეს დაეცადათ ახალი კაბინეტის შექმნამდე. 1893 წ. 3 დეკემბერს შეიქმნა ახალი მთავრობა კაზიმირ-პერიეს მეთაურობით, რომელსაც წილად ჰვდა ხელი მოეწერა რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციაზე.

პირველ ხანებში საფრანგეთის მთავრობა შეეცადა სამხედრო კონვენციის პროექტში შეეტანა ზოგიერთი ცვლილება, რომელიც ეხებოდა მობილიზაციის საკითხს იტალიის ან ავსტრია-უნგრეთის საფრანგეთსა და რუსეთზე თავდასხმის შემთხვევაში, მაგრამ მალე თვითონვე უარი განაცხადა ამ შესწორებებზე, რათა არ შეეფერხებინა კონვენციის ხელმოწერის საქმე.

1893 წ. 15 დეკემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა საფრანგეთის მთავრობას, რომ იმპერატორმა ალექსანდრე III მოიწონა რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის პროექტი, გირსმა ასეთივე შინაარსის წერილი გაუგზავნა 15 დეკემბერს (27 დეკემბერი) საფრანგეთის ელჩს პეტერბურგში მონტებელოს საფრანგეთის მთავრობისათვის გადასაცემად[3].

---

[1] Ю. Елец, Русская эскадра во Франции, стр. 126.
[2] Кронштадт-Тулон. Летопись Великого События, стр. 3.
[3] წერილის სრული ტექსტი იხ. დამატებაში.

ამ წერილში გირსი აღნიშნავდა, რომ მან წარუდგინა კონ-
ვენციის პროექტი იმპერატორს და მოახსენა თავისი აზრი ამ საკით-
ხზე, რის შემდეგ ალექსანდრე III მოიწონა რუსეთ-საფრანგეთის
სამხედრო კონვენციის პროექტი იმ სახით, რა სახითაც ის ხელმოწე-
რილ იქნა გენერალ-ადიუტანტ ობრუჩევისა და დივიზიის გენე-
რალ ბუადეფრის მიერ.

ამრიგად, ორივე ქვეყნის არმიის გენერალური შტაბების წარ-
მომადგენლებს უფლება ეძლეოდათ ამიერიდან—აღნიშნავდა ამ წე-
რილში გირსი—მოლაპარაკებულიყვნენ საჭირო საკითხებზე [1].

1893 წლის 23 დეკემბერს (1894 წლის 4 იანვარი) ელჩმა მონ-
ტებელომ წერილით დაადასტურა გირსის წერილის მიღება და
განაცხადა, რომ საფრანგეთი ამიერიდან ძალაში შესულად სთვლის
სამხედრო კონვენციას [2]. ამრიგად, საფრანგეთის პრემიერ-მინისტ-
რმა კაზიმირ პერიემ პარიზში და რუსეთის საგარეო საქმეთა მი-
ნისტრმა გირსმა პეტერბურგში ერთსა და იმავე დღეს ხელი მოაწე-
რეს რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციას. „გირსი, როგორც
აღმასრულებელი მოხელე, მხოლოდ ალექსანდრე III პირდაპირი
მითითებით დასთანხმდა სამხედრო კონვენციის ხელმოწერაზე და,
ამრიგად, თავისივე სურვილის წინააღმდეგ, თავისი სახელი დაუკავ-
შირა საფრანგეთ-რუსეთის კავშირს“ [3].

რუსეთთან სამხედრო კონვენციის დადებას უდიდესი ისტო-
რიული მნიშვნელობა ჰქონდა საფრანგეთისათვის. აღსრულდა ის,
რისთვისაც იბრძოდნენ საფრანგეთის პოლიტიკური და სახელმწი-
ფო მოღვაწეები ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულების ხელმო-
წერის დღიდან. ამიერიდან საფრანგეთს შეეძლო დამშვიდე-
ბულიყო. გერმანიის მუქარა მისთვის არ წარმოადგენდა ახლა
ისეთსავე საშიშს, როგორც მანამდე. ფრანგი ისტორიკოსი დეშა-
ნელი აღნიშნავს, რომ „რუსეთთან კავშირმა საფრანგეთი გამოიყ-
ვანა იზოლირებული მდგომარეობიდან, გადაარჩინა გერმანიის მუ-
ქარას და დაუბრუნა მას ისევ დიდი ერის ადგილი“ [4].

ტარდიე წერდა: „კავშირმა ჩვენ მოგვცა ევროპაში მორალუ-
რი ავტორიტეტი, რომელიც ჩვენი დამარცხების დროიდან ჩვენ
არ გაგვაჩნდა. მან ასწია ჩვენი დიპლომატიური ღირებულება, გაგ-
ვიხსნა ჩვენ პოლიტიკური კომბინაციების ასპარეზი, რომელიც

---

[1] Арх. ВПР, д. № 380 б, ч. II, л. 283.

[2] იქვე. д. № 380 а, ч. I, л. 112; д. № 380 б, ч. II, л. 285.

[3] Дипломатический словарь, т. I, стр. 488.

[4] L. Dechanel, Histoire de la politique extérieure de la France 1806—1936, p. 363.

ჩვენთვის დაკეტილი იყო ჩვენი იზოლაციის შედეგად. მეთვალყურის როლიდან, რუსეთთან კავშირისა და მის მიერ დამყარებულ ძალთა თანაფარდობის საშუალებით, ჩვენ შევძელით გადავსულიყავით ნამდვილ პოლიტიკაზე"[1].

რუსეთთან კავშირის დადებამ ხელი შეუწყო საფრანგეთის ურთიერთობის გაუმჯობესებას სხვა ქვეყნებთან. ჟორჟ კლემანსოს აზრით, რუსეთთან საფრანგეთის დაახლოება იყო დიდი მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა.

რაიმონდ პუანკარე აღნიშნავდა იმ კმაყოფილებას, რომელიც გამოიწვია იმედმა, რომ „საფრანგეთსა და რუსეთს შორის შეთანხმების შედეგად 1873, 1875 და 1887 წლების განგაში ამიერიდან არ განმეორდება და მომავალში ჩვენი სიმშვიდე უზრუნველყოფილი იქნება"[2].

რუსეთ-საფრანგეთის მჭიდრო ურთიერთობას იმთავითვე დიდ შეფასებას აძლევდნენ ფრანგი მოღვაწეები. ჯერ კიდევ ფრანგმა პოეტმა და ისტორიკოსმა 1848 წლის რევოლუციის დროს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და დროებითი მთავრობის ფაქტიურმა მეთაურმა ალფონს დე ლამარტინმა რუსეთსა და საფრანგეთს შორის კავშირს „ბუნების მოთხოვნილება და გეოგრაფიული კანონზომიერება" უწოდა[3].

საბჭოთა მეცნიერი პროფესორი ა. მანფრედი ასეთ შეფასებას აძლევს რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დადებას: „რუსეთთან კავშირი აღმოჩნდა საფრანგეთის ბედისათვის პირველხარისხოვანი, კარდინალური მნიშვნელობის ფაქტორი. მან შეიტანა გადამწყვეტი ცვლილება მის სტატუტში; მან ძირეულად შესცვალა საფრანგეთის მდგომარეობა ევროპასა და მსოფლიოს სახელმწიფოთა სისტემაში"[4].

რამ გამოიწვია რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნის ასეთი გაჭიანურება? როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, ეს განაპირობა ორმა გარემოებამ: ჯერ ერთი, საფრანგეთში მემარჯვენე „ზომიერი" რესპუბლიკელების ბატონობის დროს მთავრობა კოლონიური დაპყრო-

---

[1] A. Tardieu, La France et les alliances, p. 16.

[2] Р. Пуанкаре, Происхождение мировой войны. Пер. с французского. М.—Л., 1924, стр. 70.

[3] Lamartine. Alphonse de. Oeuvres complétes, t. 39. Mémoires politiques, v. III, Paris, 1863, p. 15. იხ. В. М. Хвостов, Франко-Русский союз и его историческое значение... стр. 618.

[4] А. З. Манфред, Из предистории франко-русского союза. „Вопросы истории", 1947 г, № 1, стр. 52.

ბების მომხრე იყო. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო გართულება ინგლისთან და იტალიასთან. საფრანგეთს კი ამ დროს სჭირდებოდა გერმანიის მხარდაჭერა. ეს წრეები უფრთხილდებოდნენ რუსეთთან დაახლოებას, რათა ამას არ გამოეწვია ბისმარკის განრისხება [1].

მეორე, როგორც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებას ხელს უშლიდა ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობა, რაც განსაკუთრებით გამწვავდა რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, რუსეთს ინგლისთან შეჯახების შემთხვევაში სჭირდებოდა გერმანიის ნეიტრალიტეტი, ასევე ავსტრია-უნგრეთის ნეიტრალიტეტიც. ამიტომ ასეთ ვითარებაში რუსეთისათვისაც არ იყო ხელსაყრელი მჭიდრო კავშირის დამყარება საფრანგეთთან [2].

იყო სხვა გარემოებაც. სახელდობრ ის, რომ ჯერ კიდევ სხვადასხვა მიზეზების გამო შესაძლებელი ხდებოდა რუსეთ-გერმანიის ასე თუ ისე ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება. ამას ხელს უწყობდა: 1) რუსეთში მზარდი რევოლუციური მოძრაობა; 2) ალექსანდრე II მკვლელობა. ყოველივე ამან განაპირობა 1881 წლის 18 ივნისს ბერლინში სამი იმპერატორის (რუსეთი, გერმანია, ავსტრია-უნგრეთი) ხელშეკრულების ხელმოწერა ნეიტრალიტეტის შესახებ, რომელსაც უწოდებდნენ სამი იმპერატორის კავშირს.

რა მიზანს ისახავდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირი? ეს იყო პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის ერთ-ერთი საფუძველი. იგი იყო პასუხი სამთა კავშირისა და მიმართული მის წინააღმდეგ—გერმანიისა და გერმანიის ბლოკის წინააღმდეგ.

გერმანელთა და ანგლო-საქსების ბანაკიდან ზოგიერთი ისტორიკოსი ცდილობს დაამტკიცოს, რომ თითქოს რუსეთ-საფრანგეთის კავშირი წარმოიშვა არა როგორც სამთა კავშირის პასუხი, არამედ როგორც ორი აგრესიული ქვეყნის გაერთიანება „მშვიდობისმოყვარული" გერმანიის წინააღმდეგ. ეს აზრი ეკუთვნის ბისმარკს და შემდგომში მას ქადაგებდნენ ბისმარკის მომხრე რეაქციონერი ისტორიკოსები. ამით ბისმარკს და მის მომხრეებს უნდოდათ სამთა კავშირი გადაექციათ თავდაცვით აქტად. ასეთ აზრს ატარებენ თავიანთ ნაშრომებში გერმანელი ნაციონალისტი ავტორები ჰ. პლეხი, ო. ბეკერი, ე. ბრანდენბურგი, ჰ. ონკენი და სხვ.

ვერ დავეთანხმებით პროფ. ა. ერუსალიმსკის აზრს იმის შესახებ, რომ თითქოს საფრანგეთის კავშირის გაფორმება მეფის

---

[1] „Красный Архив", 1922. т. I, стр. 89.

[2] „Die Grosse Politik", Bd. VI, № 1234, და შენიშვნა, გვ. 54.

რუსეთთან დაკავშირებული იყო ინგლისის ექსპანსიურ პოლიტიკასთან[1]. აქედან გამოდის, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირის წარმოშობა იყო პასუხი არა სამთა კავშირის შექმნისა, არამედ პასუხი ინგლისის ექსპანსიური პოლიტიკისა. ეს კი შეცდომაა. რუსეთ-საფრანგეთის კავშირი იყო საფარი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკისათვის შუა აღმოსავლეთში, ასევე საფრანგეთის იმპერიალიზმის პოლიტიკისათვის ჩრდილოეთ აფრიკაში.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს რუსეთ-საფრანგეთის კავშირს საფუძვლად ედოს 80-ანი წლების აღმოსავლეთის საკითხი. რუსეთ-საფრანგეთის კავშირს, როგორც ამაზე ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, საფუძველი ჩაეყარა გაცილებით ადრე. ამრიგად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი არ წარმოშობილა აღმოსავლეთის საკითხიდან. ამ აზრისა არიან საბჭოთა მეცნიერები ვ. ხვოსტოვი[2], ა. მანფრედი[3] და სხვ. ეს აზრი სავსებით სწორია. ამ აზრს იზიარებს ზოგიერთი უცხოელი მეცნიერიც, მაგალითად, იტალიელი ალბერტინი[4] და სხვ.

ფრანგი ისტორიკოსი ჟორჟ მიშონი ცდება, როცა რუსეთ საფრანგეთის კავშირის საფუძველს ეძებს აღმოსავლეთის საკითხში[5].

უნდა აღინიშნოს, რომ აღმოსავლეთის საკითხში არ იყო ისეთი თანამშრომლობა რუსეთ-საფრანგეთს შორის, რომ მას ხელი შეეწყო კავშირის შექმნისათვის ამ ორ ქვეყანას შორის. მოვიგონოთ რუსეთ-თურქეთის ომი, ბერლინის კონგრესი და სხვ. თუ ამ რაიონში ადგილი ჰქონდა რუსეთის აქტიურ მოქმედებას, ეს იყო გასული საუკუნის 80-ან წლებში, როცა კარგი ურთიერთობა იყო რუსეთ-გერმანიას შორის. პროფესორ ვ. ხვოსტოვი წერს: „რაც შეეხება რუსეთის პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთში, აქ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი... ვერ დაეხმარა რუსეთს ვერც ბოსნიის კრიზისის დღეებში, ვერც ჩარიკოვის დემარშის დღეებში. და შემთხვევითი როდი იყო, რომ სწორედ აღმოსავლეთის პოლი-

---

[1] А. С. Ерусалимский, „А. З. Манфред. Внешняя политика Франции 1871—1891 годов". Рецензия. „Вопросы истории", № 9, 1955 г., стр. 150.

[2] В. М. Хвостов, Франко-русский союз и его историческое значение... стр. 622 — 623.

[3] А. З. Манфред, Внешняя политика Франции 1871 — 1891 гг. стр. 180—226.

[4] Albertini, Le origini della guerra del 1914. Milano, 1942, vol. I, p. 83. См. В. М. Хвостов, Указ. соч. стр. 623.

[5] Michon, Georges. L'alliance franco-russe 1891—1917. Paris, 1928, pp. 15, 16, 21, 167.

ტიკის ასპარეზზე ადგილი ჰქონდა რუსეთ-გერმანიის თანამშრომლობის რეციდივებს 1910 წლის პოტსდამის შეთანხმების მსგავსად"[1].

რუსეთ-საფრანგეთის კავშირი, დადებული ორ კაპიტალისტურ სახელმწიფოს შორის, თავისი შინაარსით იყო იმპერიალისტური სამხედრო კავშირი. „საფრანგეთ-რუსეთის 1893 წლის კავშირი — წერს პროფესორ ვ. ხვოსტოვი — იყო იმპერიალისტური სამხედრო ბლოკი, და იგი არც შეიძლებოდა სხვანაირი ყოფილიყო, ვინაიდან ის დადებულ იქნა ორ იმპერიალისტურ ქვეყანას შორის იმპერიალიზმის გარიჟრაჟზე"[2]. რუსეთ-საფრანგეთის კავშირი იყო გერმანიის ბლოკის წინააღმდეგ მიმართული გაერთიანება. როგორც ერთი, ისე მეორე—სამთა კავშირი და რუსეთ-საფრანგეთის კავშირი აგრესიული ხასიათისა იყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: შეცდომად უნდა ჩაითვალოს აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს რუსეთ-საფრანგეთის კავშირი პასუხობდა მთელი ფრანგი ხალხის ეროვნულ ინტერესებს.

ამასთანავე ჩვენ გადაჭრით უარვყოფთ იმ ბურჟუაზიული ისტორიკოსების აზრს, რომლებიც აიგივებენ მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას ან ერთიმეორის გაგრძელებად თვლიან მათ, მაშინ როდესაც საბჭოთა კავშირმა თავისი არსებობის პირველ დღიდანვე წამოაყენა სრულიად ახალი სახის საგარეო პოლიტიკის პრინციპები, რომელთა მსგავსი არ ახსოვს სახელმწიფოების ურთიერთობის ისტორიას.

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას და კავშირს საფუძვლად ედო ამ ორი ქვეყნის გაბატონებული კლასების ეკონომიური, პოლიტიკური და სტრატეგიული ინტერესები.

რუსეთ-საფრანგეთის კავშირმა ძირეულად შეცვალა საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა, გაიზარდა მისი პრესტიჟი მსოფლიოს სახელმწიფოებს შორის. რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა მნიშვნელოვნად გააძლიერა საფრანგეთის მმართველი წრეების იმპერიალისტური მისწრაფებები.

ამიერიდან მილიტარისტული გერმანია არ იყო საფრანგეთისათვის იმდენად საშიშო. გერმანიის მუქარისაგან თავდასაცავად საფრანგეთს ახლა უკვე გააჩნდა მოკავშირე რუსეთის სახით, რო-

---

[1] В. М. Хвостов, Франко-русский союз и его историческое значение... стр. 644.

[2] იქვე, გვ. 622.

მელიც საჭიროების შემთხვევაში თავისი შეიარაღებული ძალებით გვერდით ამოუდგებოდა საფრანგეთს.

რუსეთ-საფრანგეთის კავშირს სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა: ამიერიდან გერმანიის ომი საფრაჴგეთის მიმართ გამოიწვევდა ორი ფრონტის შექმნას გერმანიისათვის, ხოლო ეს კი მისთვის დამღუპველი იქნებოდა.

კავშირის მნიშვნელობა დიდი იყო საფრანგეთისათვის, რადგან საფრანგეთ-გერმანიას შორის ომი დღე-დღეზე იყო მოსალოდნელი. ასეთ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი მოკავშირის გარეშე აღმოჩნდებოდა, მისთვის ძნელი იქნებოდა გამკლავებოდა მილიტარისტულ გერმანიას. ხოლო რუსეთთან კავშირი კი აჩერებდა გერმანიის აგრესიას საფრანგეთის მიმართ, მაგრამ, თუ გერმანია მაინც დაიწყებდა საფრანგეთთან ომს, რუსეთ-საფრანგეთის ერთიან მოქმედებას გერმანია ვერ გაუძლებდა. ამდენად, რუსეთ-საფრანგეთის კავშირი წარმოადგენდა საფრანგეთის დამოუკიდებლობის დაცვის ერთ-ერთ გარანტიას. ამაში მდგომარეობდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის განსაკუთრებული მნიშვნელობა საფრანგეთისათვის.

გერმანიამ ვერ შესძლო საფრანგეთის იზოლირება, ვერ შესძლო ხელი შეეშალა რუსეთ-საფრანგეთის დაახლოებისათვის. რუსეთ-საფრანგეთის კოალიცია, რომლის კოშმარი მოსვენებას არ აძლევდა ბისმარკს, ფაქტი გახდა. „გრაფი შუვალოვი — აღიარებდა ბისმარკი — სავსებით სწორი იყო, როცა ამბობდა, რომ კოალიციების შესახებ აზრი ჩემში კოშმარს იწვევს“ [1].

რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნა, რომლის წინააღმდეგ ბისმარკი მთელი ენერგიით იბრძოდა, გარდუვალი გახდა. წინააღმდეგ ბერლინის მმართველი წრეების სურვილისა, რუსეთ-საფრანგეთის კავშირი შეიქმნა. ეს იყო გერმანიის დიპლომატიის კრახი [2].

საფრანგეთის ფინანსურმა ოლიგარქიამ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ვაიზარდა რუსეთში საფრანგეთის კაპიტალის ექსპანსია. საფრანგეთიდან მაღალ პროცენტებში მიღებული სესხი იწვევდა რუსეთის ეკონომიურ დაკაბალებას. ფრანგი მონოპოლისტები მდიდრდებოდნენ რუსეთის მშრომელი მასების ხარჯზე. ამასთანავე, რუსეთ-საფრანგეთის კავშირი,

---

[1] О. Бисмарк, Мысли и воспоминания, т. II, стр. 211.

[2] იხ. В. М. Хвостов. Кризис внешней политики Бисмарка. „Историк-марксист", 1934 г., т. 5 (29); Ерусалимский, А. С. Бисмарк как дипломат. М., 1949 г.

ხოლო შემდგომში რუსეთ-ინგლისის შეთანხმება (1907 წ.) მტკიცედ აკავშირებდა ეკონომიურად და პოლიტიკურად რუსეთს ამ ორ ქვეყანასთან და, მაშასადამე, ხელს უწყობდა რუსეთის ჩაბმას მომავალ ომში ამ ქვეყნების მხარეზე [1].

1914—1918 წწ. ომის პერიოდი წარმოადგენდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის ერთდაგვარი გამოცდის პერიოდს. ეს იყო პერიოდი, როცა რუსეთისა და საფრანგეთის მმართველ წრეებს უნდა განეხორციელებინათ ის მიზნები და ამოცანები, რასაც ისახავდა მათ შორის დადებული კავშირი.

რუსეთ-საფრანგეთის კავშირი, ისევე როგორც მთლიანად ანტანტა და სამთა კავშირი, წარმოადგენდა ინსტრუმენტს, რომლის მიზანი იყო მსოფლიოს გადანაწილება.

---

[1] უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-საფრანგეთის 1891—1893 წწ. შეთანხმებათა იმპერიალისტურ არსს თავის დროზე მართებულად აკრიტიკებდნენ ფრანგი სოციალისტები და საფრანგეთის სხვა დემოკრატიული წრეები.

რუსეთისა და საფრანგეთის მოწინავე საზოგადოება გმობდა მეფის რუსეთისა და ბურჟუაზიული საფრანგეთის შეთანხმებას მისი იმპერიალისტური საფუძვლების გამო. საფრანგეთის მუშათა კლასი, მისი სოციალისტური ხელმძღვანელობა (პოლ ლაფარგი და სხვ.) აუცილებლად თვლიდნენ ფრანგი და რუსი ხალხების მტკიცე თანამშრომლობას მათი ქვეყნების მმართველი წრეების იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ. ფრანგი სოციალისტები მოუწოდებდნენ მშრომელებს ძმური სოლიდარობისაკენ გერმანიის მუშათა კლასთან. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ქვეყნებში მუშათა მოძრაობა ჯერ არ იყო იმდენად ძლიერი, რომ მას ზეგავლენა მოეხდინა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე.

## რუსეთი და საფრანგეთი პირველი მსოფლიო ომის წინ

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ხდება კაპიტალიზმის გადასვლა მის უმაღლეს სტადიაში—იმპერიალიზმში. იმპერიალიზმი წარმოადგენს კაპიტალიზმის ძირითად თვისებათა განვითარებას და მის პირდაპირ გაგრძელებას. იმპერიალიზმის, როგორც კაპიტალიზმის მონოპოლისტური სტადიის, განსაზღვრა მოგვცა ვ. ი. ლენინმა. იმპერიალიზმის ლენინური განსაზღვრა შეიცავს შემდეგ ხუთ ძირითად ნიშანს: „1) წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაცია, განვითარების ისეთ მაღალ საფეხურამდე მისული, რომ მან შექმნა მონოპოლიები, რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ სამეურნეო ცხოვრებაში; 2) საბანკო კაპიტალის შერწყმა სამრეწველოსთან და ამ «ფინანსური კაპიტალის» ბაზაზე ფინანსური ოლიგარქიის შექმნა; 3) კაპიტალის გატანას, საქონლის გატანისაგან განსხვავებით, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება; 4) იქმნება კაპიტალისტების საერთაშორისო მონოპოლისტური კავშირები, რომლებიც მსოფლიოს ინაწილებენ და 5) დამთავრებულია დედამიწის ტერიტორიული განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის“ [1].

იქვე ვ. ი. ლენინი იძლევა იმპერიალიზმის მოკლე განსაზღვრას: „იმპერიალიზმი არის კაპიტალიზმი განვითარების იმ საფეხურზე, როდესაც ჩამოყალიბდა მონოპოლიებისა და ფინანსური კაპიტალის ბატონობა, უაღრესი მნიშვნელობა მიიღო კაპიტალის გატანამ, დაიწყო მსოფლიოს განაწილება საერთაშორისო

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 335.

ტრესტებს შორის და დამთავრდა დედამიწის მთელი ტერიტორიის განაწილება უდიდეს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის"[1].

კაპიტალიზმის იმპერიალიზმში გადასვლის პერიოდში ადგილი ჰქონდა კაპიტალისტური ქვეყნების მკვეთრ უთანაბრო განვითარებას. „...სხვანაირად,—წერდა ვ. ი. ლენინი,—თუ არა ნახტომებით, საზოგადოდ კაპიტალისტური განვითარება არ შეიძლება ხდებოდეს"[2]. XIX და XX საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიო უკვე განაწილებული იყო. ამიერიდან იწყება ბრძოლა მსოფლიოს ხელახლა გადანაწილებისათვის. 1898 წელს ესპანეთ-ამერიკის ომი იყო პირველი ომი მსოფლიოს გადანაწილებისათვის. ბრძოლა ტერიტორიებისათვის, გასაღების ბაზრებისა და ნედლეულის წყაროებისათვის იწვევდა წინააღმდეგობის გამწვავებას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის.

მეფის რუსეთი სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო გვიან დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას. ეს მოხდა რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ. ამიერიდან რუსეთში სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარება საკმაოდ სწრაფად მიმდინარეობს, რუსეთი თანდათანობით შედის მსოფლიო მეურნეობის სისტემაში და იკავებს იქ განსაზღვრულ ადგილს. კაპიტალიზმის განვითარებასთან ერთად რუსეთში სწრაფად იზრდებოდა სამრეწველო პროლეტარიატის რიცხვი. 1865—1890 წწ. მუშათა რაოდენობა რუსეთის დიდ ფაბრიკებსა და ქარხნებში, რკინიგზებზე გაიზარდა 706 ათასიდან 1.433 ათასამდე; ხოლო XIX საუკუნის ბოლოს იგი გაიზარდა 2.792 ათასამდე, ეს იყო თანამედროვე სამრეწველო პროლეტარიატი, რომელსაც გააჩნდა საბრძოლო რევოლუციური თვისებები.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსეთში არსებობდა არა მარტო სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარებული ფორმების ყველა ძირითადი სახე, არამედ აქაც ადგილი ჰქონდა კაპიტალიზმის გადასვლას მის უმაღლეს სტადიაში — იმპერიალიზმში: მიმდინარეობდა მრეწველობის კონცენტრაციისა და მონოპოლიების შექმნის პროცესი; რუსეთი შედის იმპერიალისტურ (რუსეთ-საფრანგეთის) კავშირში; ცარიზმი ატარებდა სხვისი ტერიტორიების დაპყრობის პოლიტიკას. იზრდებოდა წინააღმდეგობა, ერთი მხრივ, რუსეთსა და, მეორე მხრივ, სხვა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, კერძოდ, რუსეთ-ინგლისის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 335.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი ტ. 3, გვ. 580.

წინააღმდეგობა ახლო და შუა აღმოსავლეთში, შუა აზიაში, შორეულ აღმოსავლეთში; რუსეთ-ავსტრიისა — ბალკანეთში, რუსეთ-გერმანიისა—ევროპაში, უფრო გვიან, რუსეთ-იაპონიისა—შორეულ აღმოსავლეთში და ა. შ.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკა ახალ, გარკვეულ მიმართულებას იღებს და მას საფუძვლად უდევს რუსეთ-საფრანგეთის კავშირი. ეს იყო ახალი მიმართულება იმიტომ, რომ მანამდე ათეული წლების განმავლობაში რუსეთის საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო გერმანიასთან მჭიდრო ურთიერთობა. რუსეთ-საფრანგეთის კავშირი, წერს ფ. როტშტეინი, „ეს იყო რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკაში მობრუნების მომენტი, რომელსაც თავისი სიმკვეთრით ტოლი არ გააჩნდა წარსულში და თავისი შედეგებით გადააჭარბა 1907 წელს ინგლისთან დადებულ შეთანხმებასთან დაკავშირებულ შემდგომ მობრუნებას"[1].

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთ-გერმანიის ეკონომიური ურთიერთობა უარესდება. ამას ხელი შეუწყო ბისმარკის პოლიტიკამ, რომელმაც 1887 წელს დახურა ბერლინის ბირჟა რუსეთის სესხისათვის. ბისმარკის მითითებით გერმანიის პრესა აშკარად გამოდიოდა რუსეთის სესხის წინააღმდეგ. ამას მოჰყვა საბაჟო ომი რუსეთსა და გერმანიას შორის.

ამრიგად, რუსეთსა და გერმანიას შორის ეკონომიური ურთიერთობის გაუარესების პარალელურად თანდათანობით მტკიცდებოდა რუსეთ-საფრანგეთის ფინანსური ურთიერთობა.

საფრანგეთის კაპიტალი რუსეთში ჩნდება XIX საუკუნის 70-ანი წლებიდან, როცა საფრანგეთში იქმნება „ჭარბი კაპიტალი"[2]. ამ პერიოდში რუსეთში მიმდინარეობს კაპიტალიზმის განვითარება, ხდება ფაბრიკა-ქარხნების აგება, რკინიგზების გაყვანა და სხვ., რისთვისაც რუსეთს სჭირდებოდა კაპიტალი.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან რუსეთის ფინანსთა სამინისტროს სათავეში ექცევიან ბურჟუაზიის ისეთი წარმომადგენლები (ბუნგე, ვიშნეგრადსკი), რომლებიც ხელს უწყობდნენ უცხოეთის კაპიტალის შემოჭრას რუსეთში. მათ უარი თქვეს ფრიტრედერულ პოლიტიკაზე და გადავიდნენ პროტექციონისტულ პოლიტიკაზე. ეკონომიურ პოლიტიკაში აშკარად ატარებდნენ ნაციონალისტურ კურსს.

---

[1] В: Н. Ламздорф. Дневник. т. I, Продисловие Ф. Ротштейна, стр. IX.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ; ტ. 22, გვ. 302.

მიუხედავად ამისა, რუსეთ-იაპონიის ომამდე რუსეთ-საფრანგეთის კავშირის გვერდით არსებობდა მეგობრული ურთიერთობა რუსეთსა და გერმანიას შორის. 1894 წლიდან პირადი ურთიერთობა ჰქონდათ ნიკოლოზ II და ვილჰელმ II. ვილჰელმ II ბრძოლა სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ მხარდაჭერას პოულობდა რუსეთის კონსერვატიულ წრეებში. ვილჰელმ II იცავდა აზრს მონარქიის ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ. ეს მოსწონდათ რუსეთის იმპერატორის სასახლის წრეებს.

რუსეთის საზოგადოების ერთი ნაწილი მოითხოვდა გერმანიასთან ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტას და საფრანგეთთან ეკონომიურ-ფინანსური ურთიერთობის გაფართოებას. საფრანგეთის მმართველი წრეები მხარს უჭერდნენ რუსეთის პროფრანგული წრეების მისწრაფებას. სესხი, რომელზედაც ბერლინში უარს ეუბნებოდნენ რუსეთს, ამ უკანასკნელს შეეძლო თავისუფლად მიეღო პარიზში. საფრანგეთი — ეს მსოფლიო მევახშე — ენერგიულად აფინანსებდა რუსეთის კაპიტალისტურ წარმოებას, ბანკებს, ტრანსპორტს და ა. შ.

80-იანი წლების ბოლოდან რუსეთისათვის კაპიტალის მიღების მთავარი წყარო ხდება საფრანგეთი. 1888—1889 წწ. საფრანგეთში რეალიზებულ იქნა რუსეთის სახელმწიფო სესხი 2,6 მილიარდი ფრანკის რაოდენობით. ამ სესხის უდიდესი ნაწილი უნდა მოხმარებოდა რუსეთის არმიის შეიარაღების საქმეს, რაც ძალიან აინტერესებდათ საფრანგეთში.

რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნის შემდეგ სულ უფრო იზრდებოდა საფრანგეთის მილიარდების რაოდენობა რუსეთში. საფრანგეთის კაპიტალი ფეხს იკიდებდა და მტკიცდებოდა რუსეთის მძიმე მრეწველობაში, რკინიგზის მშენებლობასა და სამხედრო მრეწველობაში, სამთო მრეწველობასა და საფეიქრო მრეწველობაში, ვაჭრობაში და სხვ.

საფრანგეთიდან მიღებული თანხების უდიდესი ნაწილი პარიზის მმართველი წრეების მოთხოვნით ცარიზმს უნდა გამოეყენებინა რუსეთის შეიარაღებული ძალების გაზრდისათვის. საფრანგეთის მთავრობა მოითხოვდა რუსეთის არმიების დისლოკაციის შეცვლას, მათ განლაგებას დასავლეთის რაიონებში, რათა საჭიროების შემთხვევაში ისინი გამოეყენებინათ გერმანიის წინააღმდეგ. რუსეთის ტერიტორიაზე საფრანგეთის სურვილის მიხედვით უნდა გაეყვანათ ახალი რკინიგზები, უმთავრესად დასავლეთის რაიონებში. ერთი სიტყვით, საფრანგეთის მილიარდებს ხელი უნდა შეეწყო რუსეთის მომზადებისათვის გერმანიის წინააღმდეგ საომ-

რად. სწორედ ამაში იყო საფრანგეთის სესხისა და რუსეთ-საფრანგეთის კავშირის იმპერიალისტური ხასიათი.

საფრანგეთის მონოპოლისტურმა კაპიტალმა ისარგებლა რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო - პოლიტიკური კავშირის დადებით და დაამყარა ფართო ფინანსური ურთიერთობა რუსეთთან. მეფის რუსეთი დიდძალ სესხს ღებულობდა საფრანგეთიდან, იგი არ ერიდებოდა ამ შემთხვევაში მაღალ პროცენტებსაც. ყოველივე ეს ზრდიდა რუსეთის ფინანსურ დამოკიდებულებას საფრანგეთზე, საშუალებას აძლევდა საფრანგეთის ფინანსისტებს ცარიზმზე დაყრდნობით თავისუფლად ეძარცვათ რუსეთის მშრომელები, ხელში ჩაეგდოთ რუსეთის სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი პოზიციები.

რუსეთში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დაწყების მომენტისათვის საფრანგეთის კაპიტალდაბანდება რუსეთის სამრეწველო საწარმოებში შეადგენდა 731,7 მილ. მანეთს[1].

მეორე მხრივ, რუსეთ-საფრანგეთის კავშირმა განამტკიცა საფრანგეთის საერთაშორისო მდგომარეობა. მან საშუალება მისცა საფრანგეთის მმართველ წრეებს კვლავ ხელი მოეკიდათ აქტიური კოლონიური პოლიტიკისათვის. გასული საუკუნის 90-იან წლებში საფრანგეთმა დაიპყრო გვინეა, ტიმბუქტუ, დაიმორჩილა მადაგასკარი და, ამგვარად, დაიწყო აქტიური ექსპანსია აფრიკაში, სადაც იგი წააწყდა განსაკუთრებით ინგლისის წინააღმდეგობას.

რუსეთში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების გვერდით არსებობდა ბატონყმური გადმონაშთებიც. კაპიტალიზმი ვითარდებოდა თვითმპყრობელობის, მემამულურ, ნახევრად ბატონყმურ ქერქში. ყოველივე ეს ხელს უშლიდა რუსეთში კაპიტალიზმის სწრაფი ტემპით განვითარებას, მაგრამ ის, რაც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში ათეულ წელს გრძელდებოდა, რუსეთში შედარებით უფრო სწრაფი ტემპით ხდებოდა. თუჯის წარმოების მხრივ 1880 წელს რუსეთს მსოფლიოში მე-7 ადგილი ეკავა, 1890 წელს—მე-6 ადგილი, 1895 წელს — მე-5 ადგილი და 1900 წელს — მე-4 ადგილი.

სამთო მრეწველობა რუსეთში უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებოდა, ვიდრე დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, „რამდენადმე

---

[1] П. В. Оль, Иностранные капиталы в России. Птб, 1922, стр. 10.

უფრო ჩქარაც კი, ვიდრე ჩრდილოეთ ამერიკაში"[1]. 1870 წელს რუსეთი ამზადებდა თუჯის მსოფლიო წარმოების 2,9%-ს (22 მილ. ფუთს 745 მილიონიდან), 1894 წელს კი—4,1%-ს (81,3 მილ. ფუთს 1.584,2 მილ. ფუთიდან). 1886—1896 წწ. რუსეთში თუჯის გამოდნობა სამჯერ გაიზარდა მაშინ, როდესაც საფრანგეთში ამგვარი ნაბიჯის გადადგმა შესძლეს 28 წელიწადში (1852—1880 წწ.), ამერიკის შეერთებულ შტატებში—23 წელიწადში (1845—1868 წწ.), ინგლისში—22 წელიწადში (1824—1846 წწ.), გერმანიაში—12 წელიწადში (1859—1871 წწ.)[2].

XIX საუკუნის უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში თუჯის გამოდნობა გაიზარდა ინგლისში 18%-ით, გერმანიაში — 72%-ით, ამერიკის შეერთებულ შტატებში—50%-ით, რუსეთში — 190%-ით; რკინის წარმოება ინგლისში გაიზარდა 8%-ით, გერმანიაში —78 %-ით, ამერიკის შეერთებულ შტატებში —63 %-ით, რუსეთში—116%-ით; ქვანახშირის ამოღება ინგლისში გაიზარდა 22%-ით, გერმანიაში—52%-ით, ამერიკის შეერთებულ შტატებში—61%-ით, რუსეთში -131%-ით, ბამბეულის მრეწველობაში თითისტარის რიცხვი ათი წლის განმავლობაში გაიზარდა ინგლისში 3,8%-ით, ამერიკის შეერთებულ შტატებში —25,6%-ით, ევროპის კონტინენტზე—33%-ით, რუსეთში—76%-ით.

1890 წელს რუსეთში თითისტარის რიცხვი შეადგენდა მსოფლიოს თითისტართა 4%-ს, ხოლო ევროპის კონტინენტის—14%-ს; 1899 წელს — მსოფლიოს ქვეყნების თითისტართა 6%-ს, ხოლო ევროპის კონტინენტის ქვეყნების—18,7%-ს[3].

XIX საუკუნის 90-იანი წლები—ეს იყო რუსეთში სამრეწველო აღმავლობის წლები. განსაკუთრებით სწრაფად იზრდებოდა რკინიგზის ქსელი. 1890—1900 წწ. გაყვანილ იქნა 21 ათას ვერსზე მეტი რკინიგზის ხაზი[4].

ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ დონე, საიდანაც ხდებოდა ეს შედარებითი ზრდა, მეტად დაბალი იყო. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა: „...თუ განვითარების მოცემულ სისწრაფეს შევადარებთ იმას, როგორიც შესა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ., 3, გვ. 579.

[2] იქვე, გვ. 579—580.

[3] П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, т. II, М., 1952, стр. 213.

[4] История Коммунистической партии Советского Союза, М., 1959, стр. 32.

ძლებელია საზოგადოდ ტექნიკისა და კულტურის თანამედროვე დონის პირობებში, მაშინ მართლაც უნდა ვაღიაროთ, რომ კაპიტალიზმის მოცემული განვითარება რუსეთში ნელა მიმდინარეობს. და ეს განვითარება არც შეიძლება ნელი არ იყოს, ვინაიდან არც ერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში არ შემორჩენილა ასე უხვად ძველებური დაწესებულებანი, რომელნიც შეუთავსებელია კაპიტალიზმთან, აფერხებენ მის განვითარებას, უსაზღვროდ აუარესებენ იმ მწარმოებელთა მდგომარეობას, ვინც «იჩაგრებიან კაპიტალიზმისაგანაც და კაპიტალიზმის არასაკმაო განვითარებისგანაც» [1].

1890 წელს საფრანგეთში იფეთქა ახალმა კრიზისმა. თუჯის წარმოება 1900—1901 წწ. დაეცა 2714 ათასი ტონიდან 2319 ათას ტონამდე, ე. ი. 12%-ით; რკინის მადნეულობის მოპოვება დაეცა 11,1%-ით, ფოლადის წარმოება —9%-ით [2]. 1897 წლიდან საფრანგეთის სამრეწველო წარმოების თითქმის ყველა დარგში ახალ აღმავლობას ჰქონდა ადგილი.

XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთი შევიდა იმპერიალიზმის ეპოქაში. ისევე, როგორც სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, საფრანგეთში ადგილი ჰქონდა მრეწველობის განვითარებას. იქმნებოდა ახალი ინდუსტრიული ცენტრები, სწრაფი ტემპით იზრდებოდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა: ელექტროტექნიკა, ქიმია, მანქანათმშენებლობა და სხვ. მაგრამ საფრანგეთის მრეწველობა მაინც ჩამორჩებოდა სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობას. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ელზას-ლორენის მდიდარი რაიონის დაკარგვა. ცნობილია, რომ გერმანიაში რკინის მადნეულის ამოღების 75% მოდიოდა გერმანიის მიერ ოკუპირებულ საფრანგეთის ლორენზე. საფრანგეთს არ ჰყოფნიდა ქვანახშირი. იგი ამ მხრივ გერმანიაზე იყო დამოკიდებული.

პირველი მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის სამრეწველო წარმოების მდგომარეობაზე მიუთითებს ქვემოთ მოყვანილი ცხრილი [3]. მიუხედავად იმისა, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს საფრანგეთის სამრეწველო წარმოების ზრდასთან, საფრანგეთი მაინც ჩამორჩე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3, გვ. 712. ვ. ი. ლენინის ამ ციტატის ბოლო სიტყვები ეკუთვნის კ. მარქსს. იხ: კ. მ ა რ ქ ს ი, „კაპიტალი“, ტ. I, 1935 წ. გვ. XIV.

[2] Мировые экономические кризисы. 1848—1935 гг., Под общей редакцией Е. Варга, М., 1937 г., т. I, стр. 263.

[3] იქვე, გვ. 506.

ბოდა ამ მხრივ სხვა ქვეყნებს. მაგალითად, ქვანახშირის ამოღების მიხედვით საფრანგეთს ეკავა მეოთხე ადგილი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და გერმანიის შემდეგ.

| წლები | თუჯის გამოდნობა (ათას. ტ.) | ფოლადის გამოდნობა (ათას. ტონ.) | ქვანახშირის ამოღება (მილ. ტ.) | ბამბის მოხმარება (ათას კვინტალებში) |
|---|---|---|---|---|
| 1900 | 2714 | 560 | 33405 | 1589 |
| 1905 | 3077 | 2260 | 35928 | 2024 |
| 1913 | 5207 | 4690 | 40844 | 2713 |

საფრანგეთს არ ჰყოფნიდა საკუთარი ქვანახშირი და რკინა. ეს იყო საფრანგეთის მრეწველობის ჩამორჩენის ერთ-ერთი მიზეზი. საფრანგეთს ქვანახშირი შემოჰქონდა ინგლისიდან, ბელგიიდან და გერმანიიდან. აქედან გასაგებია, თუ როგორი სიძნელეები შეექმნებოდა საფრანგეთის მძიმე მრეწველობას ევროპაში ომის შემთხვევაში.

თუჯის წარმოების დარგში 1887 წელს საფრანგეთს ეკავა მეოთხე ადგილი ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და გერმანიის შემდეგ. 1911 წელს იგი ამ მხრივ კვლავ დარჩა მეოთხე ადგილზე, თუმცა ახლა ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიისა და ინგლისის შემდეგ[1]. იგივე მდგომარეობა იყო ფოლადის გამოდნობის დარგშიც.

უნდა აღინიშნოს, რომ 1900 წლის კრიზისი საფრანგეთში არ ატარებდა ღრმა ხასიათს. 1901—1907 წწ. ადგილი ჰქონდა აღმავლობას. განსაკუთრებით გაიზარდა საგარეო ვაჭრობის ბრუნვა. გაიზარდა ექსპორტი 4013 მილ. ფრანკიდან 5596 მილ. ფრანკამდე, ე. ი. 39,4%-ით, ხოლო იმპორტი—4369 მილ. ფრანკიდან 6623 მილ ფრანკამდე, ე. ი. 51,6%-ით[2].

1904—1907 წწ. ქვანახშირის მოპოვება გაიზარდა 2,6 მილ. ტონით, თუჯის გამოდნობა—616 ათასი ტონით, ფოლადის გამოდნობა—680 ათასი ტონით, რკინის მადნეულის ამოღება—3 მილ. ტონით[3].

---

[1] М. Павлович, (М. Вельтман), Французский империализм и экономическое развитие Франции в XX столетии, Птб., 1918 г., стр. 47.

[2] Мировые экономические кризисы. Под общей редакцией акад. Е. Варга, М., 1939 г., т. III, стр. 344.

[3] Мировые экономические кризисы 1848—1935 гг. т. I, стр. 302.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში იზრდება წინააღმდეგობა იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არა მარტო ახლო და შუა აღმოსავლეთში, არამედ აფრიკასა და შორეულ აღმოსავლეთშიაც. ამ პერიოდში იცვლება დიდ სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულება, იქმნება ახალი კავშირები.

ინგლისში განგაშს იწვევდა გერმანიის იმპერიალიზმის მისწრაფება ახალი ტერიტორიების დაპყრობისაკენ. ლონდონის მმართველი წრეების ერთი ნაწილი ნათლად ხედავდა, რომ გერმანია იყო ინგლისის ერთ-ერთი მომავალი ძლიერი მოწინააღმდეგე. 1895 წელს, მას შემდეგ, რაც სოლსბერის ცდები — პირდაპირ მოლაპარაკებოდა გერმანიის მთავრობას თურქეთზე კონტროლის დამყარებისა და მისი სამფლობელოების დაყოფის შესახებ — უშედეგოდ დამთავრდა, ინგლისმა გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა სამთა კავშირთან[1].

1894 წელს ლონდონში ხელი მოაწერეს რუსეთ-ინგლისის შეთანხმებას პამირის რაიონში საზღვრების დადგენის შესახებ. 1894 წლის 9 ნოემბერს როზბერიმ განაცხადა, რომ ინგლის-რუსეთის ურთიერთობა არასოდეს არ იყო „უფრო გულითადიო“ [2].

1897 წლის მაისში რუსეთსა და ავსტრიას შორის ხელმოწერილ იქნა მეგობრული შეთანხმება, რომლის თანახმად, ორივე სახელმწიფო შეთანხმდა დაეცვათ ბალკანეთში სტატუს ქვო. მაგ-

---

[1] ინგლისის ცდა — მიეღწია შეთანხმებისათვის გერმანიასთან 1895, 1898, 1899 და 1900 წწ.—უშედეგოდ დამთავრდა. თუმცა უკვე შეუძლებელი იყო ხანგრძლივი შეთანხმება ინგლისსა და გერმანიას შორის. ასეთ შეთანხმებას შეიძლებოდა მხოლოდ დროებითი ხასიათი ჰქონოდა. სანამ ინგლისის წინააღმდეგობას ადგილი ჰქონდა საფრანგეთთან, რუსეთთან და მიმდინარეობდა ინგლისბურების ომი. რვა წლის განმავლობაში (1898—1906 წწ.) სამხედრო ფლოტის აგებამ გერმანია გადააქცია მეორე საზღვაო სახელმწიფოდ მსოფლიოში. „ჩვენი მომავალი იმყოფება ზღვაზე“ — განაცხადა ერთხელ ვილჰელმ II. 1871 წელს გერმანიაში არსებობდა 7 გემთსაშენი, 1897 წელს—39, ხოლო 1913 წელს — 47. პირველი მსოფლიო ომის წინ გერმანიის სავაჭრო ფლოტის ტონაჟი 5 მილნ. ტონაზე მეტი იყო. მართალია, გერმანიის სავაჭრო ფლოტი (5099120 ტ.) 4-ჯერ ნაკლები იყო ინგლისის სავაჭრო ფლოტზე (20335289 ტ.), მაგრამ გერმანია მეორე ადგილზე იდგა მსოფლიოში ინგლისის შემდეგ. სწორედ ამიტომ იყო, რომ გერმანიამ შესძლო დიდი ზიანი მიეყენებინა პირველი მსოფლიო ომის დროს ინგლისისა და საერთოდ მოკავშირეებისათვის. გერმანელებმა „გადაუჭრეს კომუნიკაციები მოკავშირეებს, აშიმშილეს ინგლისი, წყალქვეშა ნავების საშუალებით ჩაძირეს მოკავშირეთა გემები“ (Edward Raimond Turner, Europe since 1870. New York, 1921, p. 478).

[2] А. Дж. П. Тэйлор, Указ. соч., стр. 369.

რამ, თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა და იქ მოხდებოდა ტერიტორიული ცვლილებები, მაშინ ორივე მხარე უნდა მოლაპარაკებულიყო საკუთარი ინტერესების დაცვაზე ბალკანეთში[1].

რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის ზემოხსენებულ შეთანხმებაში არაფერი იყო ნათქვამი სრუტეებისა და კონსტანტინეპოლის შესახებ. ეს საკითხები აღიარებულ იქნა საერთო ევროპულ საკითხებად.

რუსეთ-ავსტრია-უნგრეთის ეს შეთანხმება გაფორმდა ნოტების გაცვლა-გამოცვლის გზით და ამიტომ ნოტებში ლაპარაკი იყო სხვა საკითხებზეც, რომლებიც თვითეულ მხარეს აინტერესებდა. ამდენად ნოტებში აღძრულ ყველა საკითხზე არ მომხდარა შეთანხმება მხარეებს შორის.

ავსტრია-უნგრეთთან ეს შეთანხმება რუსეთს სჭირდებოდა იმისათვის, რათა ზურგი გაემაგრებინა შორეულ აღმოსავლეთში თავისუფალი მოქმედებისათვის, სადაც, ერთი მხრივ, იზრდებოდა მეფის რუსეთის ექსპანსია, ხოლო, მეორე მხრივ, მწვავდებოდა რუსეთ-იაპონიის იმპერიალისტური წინააღმდეგობანი.

მეფის რუსეთის წინ წაწევა ჩინეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, — სადაც მან იჯარით მიიღო ტერიტორია ლიაოდუნის ნახევარკუნძულზე ციხე-სიმაგრე პორტ-არტურით და რკინიგზის გაყვანის უფლება მანჯურიის ტერიტორიაზე, რასაც მოჰყვა, უფრო გვიან, ჩრდილოეთ მანჯურიის ტერიტორიის ოკუპაცია რუსეთის ჯარების მიერ — არ მოსწონდა იაპონიას, რომლის ზურგს უკან იდგა ინგლისი. ამ ორ ქვეყანას შორის განსაკუთრებით განმტკიცდა ურთიერთობა 1902 წლიდან, როცა მათ შორის ხელმოწერილ იქნა სამოკავშირეო ხელშეკრულება.

შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის პოლიტიკის წინააღმდეგ იაპონია-ინგლისის გამოსვლას თანაგრძნობით შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც „ღია კარების“ პოლიტიკის გატარებას ცდილობდა ჩინეთში.

გერმანიის მთავრობა ხელს უწყობდა რუსეთის მისწრაფებას შორეულ აღმოსავლეთისაკენ. ბერლინის მმართველ წრეებს სურდათ, რუსეთი რაც შეიძლებოდა უფრო ღრმად ჩაფლულიყო აზიის საქმეებში, რათა მას საშუალება არ ჰქონოდა ყურადღება მიექცია ევროპის საქმეებისათვის. ეს კი ხელსაყრელი იყო გერმანიისათვის.

---

[1] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches, Bd. I, S. 791—792; А. С. Ерусалимский, Указ. соч., стр. 308—309.

მას საშუალება მიეცემოდა თავისუფლად ემოქმედა საფრანგეთის მიმართ.

რაც შეეხება საფრანგეთს, იგი წინააღმდეგი იყო რუსეთის სამხედრო ძალების გადაყვანისა შორეულ აღმოსავლეთში. პირიქით, საფრანგეთის მმართველი წრეები რუსეთისაგან, როგორც მოკავშირისაგან, მოითხოვდნენ მთელი თავისი ყურადღება მიექცია ევროპისაკენ—გერმანიისაკენ, ამას გულისხმობდა რუსეთ-საფრანგეთის სამოკავშირეო ხელშეკრულებაც.

1899 წლის 28 ივლისს (9 აგვისტოს) მოხდა წერილების გაცვლა-გამოცვლა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მურავიოვსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დელკასეს შორის რუსეთ-საფრანგეთის 1891—1893 წწ. კავშირის ვადის გაგრძელების შესახებ. როგორც საგარეო საქმეთა მინისტრების წერილებში იყო აღნიშნული, მხარეების მიერ ასეთი ნაბიჯი გადადგმულ იქნა „საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისა“ და „ევროპის ძალებს შორის თანაფარდობის დაცვის მიზნით“.

მურავიოვისა და დელკასეს წერილებში დადასტურებულ იქნა ამ ორ ქვეყანას შორის 1891—1893 წწ. ხელმოწერილი ხელშეკრულებები. მურავიოვის წერილში რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო კონვენციის შესახებ ნათქვამი იყო, რომ იგი დარჩება ძალაში „ისე ხანგრძლივად, როგორც დიპლომატიური შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილ იქნა ორივე ქვეყნის საერთო და მუდმივი ინტერესების დასაცავად“. შემდეგ ხაზგასმით იყო აღნიშნული: „უსასტიკესი საიდუმლოება როგორც შინაარსის მხრივ, ასევე თვით დასახელებული შეთანხმების არსებობის მიმართ“.

დელკასემ, რომელიც ამ დროს პეტერბურგში იმყოფებოდა, საპასუხო წერილში საფრანგეთის მთავრობის სახელით დაადასტურა ყოველივე ის, რაზედაც ლაპარაკი იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილში[1].

საფრანგეთის აქტიურმა კოლონიურმა პოლიტიკამ აფრიკაში გაამწვავა წინააღმდეგობა საფრანგეთ-ინგლისს შორის. 1897—1898 წწ. ფაშოდის კრიზისის დროს ბეწვზე ეკიდა ომის საკითხი

---

[1] Ю. В. Ключников и А. Сабанин, Указ. сб., ч. I, стр. 292; Сборник договоров России с другими государствами. 1856—1917 гг., М., 1952 г., стр. 319—321; „Documents Diplomatiques. L'Alliance franco-russe“, Paris, 1918, p. 129—130.

საფრანგეთსა და ინგლისს შორის[1]. მაგრამ 1899 წლის 21 მარტს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით მოგვარებულ იქნა მათ შორის სადავო საკითხები აფრიკაში. ლონდონსა და პარიზში გაიმარჯვეს იმ ჯგუფებმა, რომლებიც მთავარ მოწინააღმდეგეს გერმანიაში ხედავდნენ და საჭიროდ სთვლიდნენ გერმანიის აგრესიული ძალების საწინააღმდეგოდ ინგლის-საფრანგეთის დაახლოებას[2].

ფაშოდის ინციდენტის მოგვარება—ეს იყო მობრუნების პუნქტი ინგლის-საფრანგეთის ანტაგონიზმში და პირველი ნიშანსვეტი ინგლის-საფრანგეთის ანტანტის შექმნის გზაზე[3].

საერთოდ, საფრანგეთს არ ჰქონდა ინგლისთან ბრძოლის თავი, როცა მის ზურგს უკან იდგა გერმანია. საფრანგეთისათვის მთავარი იყო ელზას-ლორენის პრობლემა, რომელიც მისთვის ყველა კოლონიურ პრობლემაზე მაღლა იდგა. ეს მდგომარეობა განსაზღვრავდა საფრანგეთის დამოკიდებულებას ინგლისისადმი ინგლის-ბურების ომის პერიოდში.

რაც შეეხება რუსეთს, ის იყო ევროპის დიდი სახელმწიფოებიდან ერთ-ერთი, რომელსაც უშუალოდ არ აინტერესებდა აფრიკის ამბები და ისიც სამხრეთ-აფრიკის ამბები. მაგრამ ინგლის-ბურების ომის შედეგი მაინც აინტერესებდა რუსეთს. ინგლის-

---

[1] Barclay Thomas, L'Entente Cordiale par un de ses artisaus. Trente année de Souvenire Anglo-Français. Paris, 1915, pp. 143—156. А. Дж. П. Тэйлор, Борьба за господство в Европе 1848—1918 гг., М., 1958, **стр. 394.**

[2] მას შემდეგ, რაც ინგლისის ტახტზე ავიდა ედუარდ VII (1901 წ. 22 იანვარი), სწრაფი ტემპით ხდება მობრუნება ინგლისის საგარეო პოლიტიკაში. ინგლისს ემუქრებოდა სრული იზოლაციის საშიშროება: გერმანია, ავსტრია-უნგრეთი და იტალია სამთა კავშირში შედიოდნენ; თურქეთში მტკიცდებოდა გერმანიის პოზიციები; რუსეთსა და საფრანგეთს შორის არსებობდა კავშირი. ასეთ ვითარებაში ინგლისში გადაწყვიტეს დაკავშირებოდნენ საფრანგეთს და რუსეთს, შეექმნათ ერთიანი კავშირი ყველაზე დიდი მეტოქის — გერმანიის წინააღმდეგ.

[3] საფრანგეთის საგარეო პოლიტიკა ფაშოდის კრიზისიდან სარაევოს მკვლელობამდე განხილული აქვს გ. ჰ. სტიუარტს თავის წიგნში (Graham H. Stuart, Ph. D, French Foreign Policy From Fashoda to Serajevo (1898—1914), New York. 1921). ამ წიგნში ავტორი ეხება საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკას ფაშოდის კრიზისისა და ინგლის-ბურების ომის დროს, ინგლის-საფრანგეთის „გულითადი შეთანხმების“ მომზადებას და მის დადებას, საფრანგეთის დამოკიდებულებას რუსეთ-იაპონიის ომისადმი. წიგნის დიდი ნაწილი ეხება მაროკოს კრიზისს, ამ კრიზისისადმი ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულებას, დელკასეს გადადგომის საკითხს, ალხესირასის კონფერენციას, საფრანგეთ-გერმანიის მეტოქეობას და სხვ.

ბურების ომმა ხელი შეუწყო სახელმწიფოთა შორის წინააღმდეგობის გამწვავებას ახლო და შუა აღმოსავლეთში. რუსეთს აწყობდა ინგლისის ძალების დაკავება სამხრეთ-აფრიკაში. რუსეთისათვის ხელსაყრელი იყო აგრეთვე ინგლის-გერმანიის ურთიერთობის გამწვავება ამ რაიონში. მეფის რუსეთს უნდოდა ყოველივე ეს გამოეყენებინა თავის სასარგებლოდ.

ამიერიდან საფრანგეთ-ინგლისის დაახლოების საქმე სწრაფი ტემპით წავიდა წინ. ინგლის-გერმანიის ურთიერთობა კი სულ უფრო უარესდებოდა. ასეთ პირობებში ლონდონის მმართველი წრეები დასაყრდენს საფრანგეთსა და რუსეთში ეძებდნენ. ამ ქვეყნებთან ინგლისის დაახლოება კი გერმანიას წაართმევდა შესაძლებლობას ესარგებლა ინგლის-საფრანგეთისა და ინგლის-რუსეთის წინააღმდეგობებით. მეორე მხრივ, ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება ხელს შეუწყობდა რუსეთ-იაპონიის ომში საფრანგეთის ნეიტრალიტეტის დაცვას. ეს კი ინგლისს ძალიან აინტერესებდა, ვინაიდან, თუ რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთს საფრანგეთი ან სხვა რომელიმე სახელმწიფო დაეხმარებოდა, 1902 წლის ინგლის-იაპონიის ხელშეკრულებით, ინგლისი უნდა დახმარებოდა იაპონიას.

ინგლისთან შეთანხმება საფრანგეთსაც აწყობდა. მაშინ, როდესაც რუსეთი იაპონიასთან ომით იყო დაკავებული, ევროპაში ინგლისის მხარდაჭერა მეტად საჭირო იყო საფრანგეთისათვის, რათა გერმანიასთან პირისპირ მარტო არ აღმოჩენილიყო.

ინგლის-საფრანგეთის დაახლოებას ხელი შეუწყო 1903 წლის ზაფხულში ინგლისის მეფის ედუარდ VII და საფრანგეთის პრეზიდენტ ლუბეს ურთიერთ ვიზიტმა. სახელმწიფოების მეთაურთა ამ ვიზიტების დროს ადგილი ჰქონდა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორდ ლენსდაუნსა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ დელკასეს შორის მოლაპარაკებას. ლენსდაუნი და დელკასე მხარს უჭერდნენ ინგლის-საფრანგეთის დაახლოებას[1].

დელკასეს პოზიციას ცხადჰყოფს მისი ერთ-ერთი საუბარი მორის პალეოლოგთან. ამ საუბარში მორის პალეოლოგს დელკასემ უთხრა: „ის, რა შეთანხმებასაც (ინგლისთან — ი. ტ.) ჩვენ ახლა ვაღწევთ, წარმოადგენს ყველა ჩვენი უთანხმოებათა მოსპობას. ამ უთანხმოებათა ლიკვიდაციამ ჩვენ უნდა მიგვიყვანოს და

[1] თეოფილ დელკასე საფრანგეთის საგარეო პოლიტიკას ხელმძღვანელობდა 1898 წლიდან 1905 წლის ივნისამდე. დელკასეს აზრით, საფრანგეთს მხოლოდ ერთი მტერი ჰყავდა, ეს იყო გერმანია. ხოლო რუსეთის შემდეგ მეორე მოკავშირე — ინგლისი. დელკასეს მიხედვით ინგლისთან კავშირისათვის საფრანგეთს შეიძლებოდა მსხვერპლად გაეღო არა მარტო ფაშოდა და ეგვიპტე, არამედ მეტიც.

მე მინდა მან ნამდვილად მიგვიყვანოს ინგლისთან პოლიტიკურ კავშირამდე! და, ჩემო ძვირფასო მეგობარო, რა ფართო ჰორიზონტი გაიშლებოდა მაშინ ჩვენს წინაშე! წარმოიდგინეთ? ჩვენ რომ შევსძლებდეთ ერთდროულად დავეყრდნოთ რუსეთსა და ინგლისს, როგორი ძლიერი ვიქნებოდით ჩვენ გერმანიის წინააღმდეგ?".

შემდგომში საფრანგეთის მხრიდან ლონდონში მოლაპარაკებას აწარმოებდა საფრანგეთის ელჩი პოლ კამბონი. ლენსდაუნსა და პოლ კამბონს შორის მოლაპარაკების შედეგად 1904 წლის 8 აპრილს ლონდონში ხელმოწერილ იქნა ინგლის-საფრანგეთის ე. წ. „გულითადი შეთანხმება" („l'Entente cordiale")[1].

ეს შეთანხმება შედგებოდა ერთი კონვენციისა და ორი დეკლარაციისაგან. შეთანხმების პირველი ნაწილი წარმოადგენდა კონვენციას ნიუ-ფაუნდლენდისა და სენეგამბიის შესახებ. ამ კონვენციის მიხედვით საფრანგეთმა უარი თქვა ინგლისის სასარგებლოდ თევზის ჭერის მონოპოლიაზე ნიუ-ფაუნდლენდის სანაპიროზე. სამაგიეროდ საფრანგეთმა მიიღო თავისუფალი ნაოსნობის უფლება მდ. გამბიაზე; ასევე გასწორებულ იქნა საზღვარი საფრანგეთის სასარგებლოდ აღმოსავლეთ ნიგერიაში, ქალაქ კუკუსა და ტბა ჩადის დასავლეთ ნაპირის რაიონში.

შეთანხმების მეორე ნაწილი ეხებოდა ეგვიპტესა და მაროკოს. მხარეები კისრულობდნენ არ შეეცვალათ არსებული პოლიტიკური მდგომარეობა ეგვიპტესა და მაროკოში, არ ჩარეოდნენ ამ რაიონში ერთმანეთის შინაგან საქმეებში. მაგრამ ამავე დეკლარაციის საიდუმლო ნაწილში ნათქვამი იყო, რომ ინგლისსა და საფრანგეთს შეეძლოთ შეეცვალათ პოლიტიკური მდგომარეობა ეგვიპტესა და მაროკოში, თუ ამას საჭიროდ ჩათვლიდნენ.

შეთანხმების მესამე ნაწილი ეხებოდა სიამს, მადაგასკარს, ახალი ჰებრიდის კუნძულებს და ამ რაიონებში ინგლის-საფრანგეთის გავლენის სფეროების გაყოფას.

---

[1] Ю. В. Ключников и А. Сабанин, Указ. соч., стр. 313—315; Barclay Thomas sir. Op. cit., p. 217—231. ტერმინი „ანტანტა" პირველად გაჩნდა XIX საუკუნის 40-იან წლებში, როდესაც მოხდა ინგლის-საფრანგეთის მოკლევადიანი დაახლოება. მაშინ ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას უწოდეს „გულითადი შეთანხმება" (l'Entente cordiale). 1904 წლის ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებას ასევე უწოდეს l'Entente cordiale, ხოლო შემდეგ მოკლედ „ანტანტა" — შეთანხმება. 1907 წელს, რუსეთ-ინგლისის შეთანხმების შემდეგ, რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისის გაერთიანებას ეწოდა სამთა შეთანხმება — triple Entente ანდა შემოკლებით ანტანტა. იხ. B. E. Schmitt, Triple Alliance and Triple Entente, 1902—1914. „The American Historical Review", New York, 1924, vol. 29, № 3, pp. 449—473.

როგორც ჩანს, ინგლის-საფრანგეთის „გულითად შეთანხმება-ში“ ერთი სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი გერმანიის საწინააღმდეგოდ. მაგრამ, სინამდვილეში, ზემოხსენებული შეთანხმება მიმართული იყო გერმანიის წინააღმდეგ. ვ. ი. ლენინმა გენიალურად შენიშნა: „იყოფენ აფრიკას — ემზადებიან ომისათვის გერმანიის წინააღმდეგ“ [1]

ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმება — ეს იყო რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნის შემდეგ მეორე ნაბიჯი ანტანტის შექმნისა და ომისათვის მზადების გზაზე. იგი წარმოადგენდა გარიგებას ორ იმპერიალისტურ სახელმწიფოს შორის კოლონიურ საკითხებში.

ფრანგმა ბურჟუაზიულმა ისტორიკოსმა ანდრე ტარდიემ შემდეგი შეფასება მისცა ინგლის-საფრანგეთის ამ შეთანხმებას: ამ შეთანხმებით „საფრანგეთმა გადაიხადა ნაღდი ანგარიშით, ხოლო ინგლისმა — ჩეკებით; მაროკო კი, როგორც ამბებმა გვიჩვენა, ჯერ კიდევ არ იყო გამოჩეკილი წიწილი (hatched chicken), რომლითაც ვინმეს შეეძლო თავისუფლად ესარგებლა“ [2]

ცხადია ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზემოხსენებული შეთანხმების მიხედვით საფრანგეთი ინგლისის უმცროსი პარტნიორი გახდა, მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო, რომ საფრანგეთი საერთოდ გარკვეულ დათმობებზე წავიდა ინგლისის მიმართ. გერმანიის შეიარაღებულ ძალებთან შედარებით საფრანგეთის შეიარაღებული ძალების სისუსტე, რუსეთის ძალების დაბანდება შორეულ აღმოსავლეთში და შიში, ასეთ ვითარებაში მარტო არ აღმოჩენილიყო გერმანიის წინაშე, აიძულებდა საფრანგეთს გარკვეულ დათმობაზე წასულიყო ინგლისის მიმართ და ამ უკანასკნელის მიერ შემოთავაზებული პირობები მიეღო.

ამრიგად, ინგლის-გერმანიის ანტაგონიზმმა განაპირობა ინგლის-საფრანგეთის შეთანხმება, თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ამით ბოლო მოეღო ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობას. მან მხოლოდ უკანა პლანზე გადაწია ის და ადგილი დაუთმო ინგლის-გერმანიისა და საფრანგეთ-გერმანიის წინააღმდეგობებს.

1902 წლის 30 იანვარს ინგლისსა და იაპონიას შორის ლონდონში სამოკავშირეო ხელშეკრულების ხელმოწერასთან დაკავშირებით რუსეთმა და საფრანგეთმა იმავე წლის 16 მარტს გამოაქვეყნეს დეკლარაცია. ამ დეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ

---

[1] В. И. Ленин, Тетради по империализму, М., 1939, стр. 621.
[2] A. Tardieu, France and the alliances, Paris, 1908, p. 64—65.

თითქოს ინგლის-იაპონიის კავშირი ხელს შეუწყობდა სტატუს ქვოს დაცვას შორეულ აღმოსავლეთში — ჩინეთსა და კორეაში. მაგრამ, თუ ეს მდგომარეობა დარღვეული იქნებოდა, მაშინ რუსეთი და საფრანგეთი თავიანთი ინტერესების დაცვის მიზნით მიიღებდნენ საჭირო ზომებს. ეს ის პერიოდია, როდესაც სულ უფრო მწვავდება წინააღმდეგობა იაპონიასა და რუსეთს შორის. იაპონია ცდილობდა რუსეთი არ განმტკიცებულიყო კორეასა და მანჯურიაში. ეს ორივე რაიონი იაპონიას თავისი გავლენის სფეროდ მიაჩნდა.

1902 წლის 26 მარტს პეკინში ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ჩინეთის შეთანხმება[1], რომლის თანახმად, მეფის რუსეთმა აიღო ვალდებულება მოეხდინა მანჯურიის ევაკუაცია 18 თვის განმავლობაში სამ ეტაპად, რათა ამ რაიონში, რომელიც წარმოადგენდა ჩინეთის იმპერიის განუყოფელ ნაწილს, ჩინეთის მთავრობას განეხორციელებინა თავისი ხელისუფლება ისევე, როგორც ეს იყო რუსეთის ჯარების მიერ ამ რაიონის დაკავებამდე (მუხლი 1).

ამასთანავე, ჩინეთის მთავრობა ვალდებული იყო მანჯურიიდან რუსეთის ჯარის ნაწილების გაყვანის შემდეგ უზრუნველეყო ჩინეთის აღმოსავლეთის რკინიგზის მომსახურე რუსი მოქალაქეების უშიშროებისა და მათი საკუთრების დაცვა.

მაგრამ რუსეთის ჯარების ევაკუაცია შეიძლებოდა შეჩერებულიყო, თუ მანჯურიაში ადგილი ექნებოდა არეულობას ან უცხოეთის სახელმწიფოების ისეთ მოქმედებას, რომელიც საშუალებას არ მისცემდა რუსეთს გამოეყვანა თავისი ჯარები (მუხლი 2).

სწორედ ამ მუხლით სარგებლობდა პეტერბურგში ის ჯგუფი, რომელსაც არ სურდა ჯარების გამოყვანა მანჯურიიდან. ამ ჯგუფში შედიოდნენ: ა. მ. ბეზობრაზოვი, დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის-ძე, გრაფი ი. ვორონცოვი (მეფის სასახლის ყოფილი მინისტრი), ვ. მ. ვონლიარლიარსკი, ნ. გ. მატიუნინი და სხვ. მათ მეთაურობდა ა. მ. ბეზობრაზოვი. „ბეზობრაზოვის ხროვა“ შეიქმნა 1898 წლის დასაწყისში. მასში შედიოდნენ ურა-პატრიოტები, შოვინისტური და ფეოდალური ელემენტები, რომლებიც

---

[1] Ю. В. Ключников и А. Сабанин, Указ. сб., ч. I, стр. 301—302.

ოცნებობდნენ კორეის ბუნებრივი სიმდიდრეების ხელში ჩაგდებაზე[1].

ეს ჯგუფი არა მარტო წინააღმდეგი იყო მანჯურიიდან რუსეთის ჯარების გამოყვანის, არამედ ურჩევდა ნიკოლოზ II, შეჭრილიყო კორეაში, სადაც იმ პერიოდში მტკიცედ ჰქონდა მოკიდებული ფეხი იაპონიას. ა. მ. ბეზობრაზოვს ხე-ტყის კონცესიები გააჩნდა კორეაში. კონცესიის ტერიტორია მოიცავდა ორი მდინარის—იალუსა და ტუმინის აუზს და გრძელდებოდა 800 კილომეტრის მანძილზე ჩინეთ-კორეისა და რუსეთ-კორეის საზღვრების გასწვრივ.

ასე უბიძგებდნენ მეფის რუსეთს იაპონიასთან ომისაკენ მსხვილი ბურჟუაზია და მემამულეთა ყველაზე რეაქციული წრეები, რომლებიც ახალ ბაზარს, ნედლეულის წყაროს ეძებდნენ და მხოლოდ საკუთარ მოგებაზე ფიქრობდნენ.

მოექცა რა ამ ჯგუფის გავლენის ქვეშ, ცარიზმი აჭიანურებდა მანჯურიიდან თავისი ჯარების გამოყვანას, თუმცა ამ ჯარების გამოყვანის ვადა გასული იყო.

საქმე აშკარად მიდიოდა შორეულ აღმოსავლეთში რუსეთ-იაპონიის შეჯახებისაკენ. მოლაპარაკება, რომელიც პეტერბურგსა და ტოკიოს შორის მიმდინარეობდა, შედეგებს არ იძლეოდა. იაპონია არ იყო გულწრფელი ამ მოლაპარაკების დროს. იგი ემზადებოდა ომისათვის რუსეთის წინააღმდეგ. მას მხარს უჭერდა ინგლისი, რომელსაც ეშინოდა რუსეთის პოზიციების გაძლიერებისა ჩინეთში.

1904 წლის 6 თებერვალს იაპონიამ დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა რუსეთთან, ხოლო 8 თებერვალს იგი ომის გამოცხადების გარეშე თავს დაესხა რუსეთის სამხედრო ფლოტს პორტ-არტურსა და ჩემულპოში და სერიოზული ზარალი მიაყენა რუსეთის საზღვაო ფლოტს შორეულ აღმოსავლეთში. ასე დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი, რომლის მიზანი იყო გავლენის სფეროების ხელახალი გადანაწილება შორეულ აღმოსავლეთში.

რუსეთ-იაპონიის ომში ინგლისი და ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერდნენ იაპონიას. გერმანია ნეიტრალიტეტს იცავდა; ხოლო ავსტრია-უნგრეთთან ურთიერთობას რუსეთი

---

[1] Б. А. Романов, Очерки дипломатической истории русско-японской войны 1895—1907 гг., стр. 75—78; Р. Аварин, Империализм в Маньчжурии, т. I, стр. 61.

უზრუნველყოფილად თვლიდა 1897 წელს მასთან დადებული შეთანხმებით.

რუსეთს თავის მოკავშირემ—საფრანგეთმა არ გაუწია საჭირო დახმარება ომში. იგი უკმაყოფილო იყო რუსეთის ძალების დაბანდებით შორეულ აღმოსავლეთში.

იაპონიასთან ომს რუსეთი მოუმზადებელი შეხვდა. მისი არმია გაუწრთვნელი და ცუდად შეიარაღებული იყო. რუსეთის ჯარებს უმთავრესად უნიჭო, უინიციატივო, მოსყიდული გერმანელ-ბალტიისპირელი გენერლები (გრიპენბერგი, ბილდერლინგი, რენენკამპფი, მაიენდორფი, ტიზენჰაუზენი, შტაკელბერგი და სხვ.) ხელმძღვანელობდნენ უნიჭო კუროპატკინის მეთაურობით. ნიკოლოზ II დროს რუსეთის არმია უფრო ცუდად იყო ორგანიზებული, ვიდრე ალექსანდრე III დროს. რუსეთ-იაპონიის ომის დროს რუსეთის არმიის მდგომარეობა აშკარა მაჩვენებელი იყო ცარიზმის შინაგანი პოლიტიკური გახრწნილობისა.

რუსეთს საკმაოდ დიდი რესურსები გააჩნდა, მაგრამ ეს რესურსები არ იყო ჯეროვნად გამოყენებული. რუსეთისა და იაპონიის რესურსებისა და ძალების შეფარდება ცხადჰყოფს რუსეთის უპირატესობას. 1904 წელს რუსეთის მოსახლეობა (ფინეთის გარეშე) შეადგენდა 141 მილიონს, იაპონიისა—46 მილიონს; რუსეთის შეიარაღებული ძალები მშვიდობიან ვითარებაში შეადგენდა 1100 ათასს, ომის დროს—3750 ათასს; იაპონიისა შესაბამისად—150 ათასს და 360 ათასს (თუმცა იაპონიამ რუსეთ-იაპონიის ომის ბოლოს იარაღქვეშ დააყენა 1,5 მილ. კაცი); რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტი შედგებოდა 23 საესკადრო ჯავშნოსანისაგან, იაპონიის—6 საესკადრო ჯავშნოსანისაგან; ფულადი სახსრების მხრივ რუსეთს ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტში 2 მილიარდი მანეთი, იაპონიას—275 მილიონი; ოქროს ფონდიც გაცილებით მეტი ჰქონდა რუსეთს, ვიდრე იაპონიას[1].

მიუხედავად ყოველივე ამისა, ომის დაწყებისთანავე გამოირკვა, რომ მეფის რუსეთი არ იყო მომზადებული ომისათვის. გარდა ამისა, რუსეთის სახმელეთო ჯარების თითქმის 2/3, რუსეთ-საფრანგეთის კავშირის თანახმად, გერმანია-ავსტრიის მხრიდან მოსალოდნელი საშიშროების გამო განლაგებული იყო რუსეთის დასავლეთის გუბერნიებში. ამას ემატებოდა ისიც, რომ ფრონტი

---

[1] П. И. Лященко, История народного хозяйства в СССР. т. II, стр. 246.

შორს იყო ცენტრალური რაიონებიდან, ფრონტზე ძალების გადაყვანის საქმეს ემსახურებოდა მხოლოდ ერთი რკინიგზა და სხვ.

ქვეყნის შიგნით იზრდებოდა რევოლუციური მოძრაობა, რაც დიდ შიშს იწვევდა მეფის რუსეთის მმართველ წრეებში.

გერმანია ცდილობდა გამოეყენებინა რუსეთის მძიმე მდგომარეობა და ჩამოეშორებინა იგი საფრანგეთისაგან. ამ მხრივ რუსეთ-იაპონიის ომი მეტად ხელსაყრელი მომენტი იყო ბერლინისათვის. 1904 წლის თებერვალში გერმანიის კანცლერმა ბიულოვმა შესთავაზა ვიტეს დაეწყოთ მოლაპარაკება რუსეთსა და გერმანიას შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

იმავე წლის ივლისში ვიტე და ბიულოვი ერთმანეთს შეხვდნენ ნორდერნეიში, სადაც იმ დროს ისვენებდა ბიულოვი. მოლაპარაკება მალე დამთავრდა[1]. იმავე წლის 15 ივლისს გერმანიის წინადადების საფუძველზე ხელმოწერილ იქნა „1894 წლის 10 თებერვლის რუსეთ-გერმანიის ვაჭრობისა და ნაოსნობის ხელშეკრულებისადმი"[2] დამატებითი კონვენცია. ფაქტიურად ეს კონვენცია ზარალს აყენებდა რუსეთის ეკონომიკას: იზრდებოდა საბაჟო გადასახადი რუსეთის პურეულსა და ცხიმეულზე. რუსეთი უარს ამბობდა გერმანიის საქონლის მიმართ რეპრესიული ბაჟის გამოყენებაზე. ამრიგად, გერმანიის საქონელს გზა ეხსნებოდა რუსეთში, რაც საერთოდ ხელს შეუწყობდა გერმანიის გავლენის ზრდას რუსეთის სახალხო მეურნეობაში. ამიტომაც ამ ხელშეკრულებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რუსეთის როგორც სოფლის მეურნეთა, ისე მრეწველთა წრეებში.

გერმანიის მმართველი წრეები არც ამაზე შეჩერდნენ. 1904 წლის ოქტომბერში ვილჰელმ II შესთავაზა ნიკოლოზ II შეთანხმება რუსეთს, საფრანგეთსა და გერმანიას შორის[3]. 25 ოქტომბერს ჰოლშტაინი შეხვდა რუსეთის ელჩს ბერლინში ოსტენ-საკენს და შესთავაზა მას იგივე წინადადება. ბერლინის მმართველი წრეების აზრით, მთავარი იყო რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების

---

[1] „Die Grosse Politik", Bd. 19, Erste Hälfte. S. 196—204.

[2] 1894 წ. 10 თებერვლის რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებით რუსეთმა უარი თქვა ავტონომიურ საბაჟო ტარიფზე და ამცირებდა საბაჟო გადასახადს გერმანიის სამრეწველო საქონელზე 18—65 %-ით.

[3] Переписка Вильгельма II с Николаем II 1894—1914 гг., М.—П., 1923, стр. 74—75; „Die Grosse Politik", Bd. 19, Erste Hälfte, S. 303—305.

ხელმოწერა, ხოლო შემდეგ ისინი ერთად აიძულებდნენ საფრანგეთს, რათა შეერთებოდა ამ კავშირს. თუ საფრანგეთი არ შეუერთდებოდა მას, რუსეთ-გერმანიის პოლიტიკური შეთანხმება ისედაც დიდი გამარჯვება იქნებოდა ბერლინისათვის, ვინაიდან ეს ფაქტიურად გამოიწვევდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის ლიკვიდაციას.

ნიკოლოზ II ქკუაში დაუჯდა გერმანიის წინადადება, მაგრამ პეტერბურგში (ვიტე, ლამზდორფი) წინააღმდეგი იყვნენ[1]. მათ იცოდნენ, რომ საფრანგეთი არ შეუერთდებოდა ამ კომბინაციას და რუსეთი კი დაკარგავდა კავშირს საფრანგეთთან.

ნიკოლოზ II ვილჰელმისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში[2] ურჩევდა ამ უკანასკნელს თავიდანვე ჩაებათ საფრანგეთი მოლაპარაკებაში. მაგრამ ბერლინში კარგად იცოდნენ, რომ საფრანგეთი ჩაშლიდა ამ მოლაპარაკებას, თუ თავიდანვე გაიგებდა მის შესახებ. ოქტომბრის ბოლოსა და ნოემბერში მოხდა ვილჰელმსა და ნიკოლოზს შორის ხელშეკრულების პროექტების გაცვლა-გამოცვლა[3], მაგრამ ეს წელი ისე დამთავრდა, რომ ამ მხრივ მას შედეგი არ მოჰყოლია.

საფრანგეთის ელჩი ბერლინში თავის საგარეო საქმეთა მინისტრს დელკასეს ატყობინებდა, რომ გერმანიის პრესა ცდილობდა „საფრანგეთის კომპრემინტირებას თავისი მოკავშირის— რუსეთის თვალში“[4].

რუსეთმა შეგნებულად არ დადო გერმანიასთან კავშირი. ისეთ ვითარებაში, როცა არსებობდა კავშირი საფრანგეთთან, ეს იქნებოდა კავშირის გაწყვეტა ამ უკანასკნელთან და რუსეთის გადასვლა გერმანია-ავსტრიის ბლოკში. ეს არ იქნებოდა ხელსაყრელი რუსეთისათვის. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის მხარდაჭერა სუსტი იყო რუსეთისადმი რუსეთ-იაპონიის ომის დროს, ბერლინის მმართველმა წრეებმა მაინც ვერ მიაღწიეს რუსეთ-საფრანგეთის კავშირის გაწყვეტას და გერმანიის ბლოკში რუსეთის გადასვლას.

აქ, ცხადია, მნიშვნელობა ჰქონდა ეკონომიურ მხარესაც. რუსეთი ფინანსურად დიდად იყო დამოკიდებული საფრანგეთზე. ამას კარგად ხედავდნენ ბერლინშიც.

---

[1] „Красный архив“, 1924, т. 5, стр. 22.

[2] „Die Grosse Politik“, Bd. 19. Erste Hälfte, № 6124.

[3] Ibid, S. 306—308; 310—312.

[4] „Doc. Dipl. Fr.“, 2 série, t. VI, doc. № 26, p. 35—36.

1905 წლის 11 მარტს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასე აფრთხილებს თავის ელჩს პეტერბურგში ბომპარს მიაქციოს ყურადღება რუსეთის შინაგან მდგომარეობას, რომ „დიდი სიფრთხილეა ახლა საჭირო, როცა საკითხი დგას ახალ სესხზე რუსეთის მიმართ“. რუსეთს შეეძლო 600 მილიონიანი ახალი სესხის იმედი ჰქონოდა, მაგრამ ამისათვის დელკასე საჭიროდ თვლიდა ხელი შეშლოდა რუსეთში „ახალ მისწრაფებას რევოლუციისაკენ“, თორემ „მისი განმეორების შემთხვევაში ყველაფერი დაიკარგებოდა...“ [1]

რუსეთის ფინანსთა მინისტრის კოკოვცოვის მეფისადმი წარდგენილი მოხსენებითი ბარათის თანახმად, 1905 წელს პარიზიდან, ბერლინიდან და ამსტერდამიდან რუსეთს შეეძლო მიეღო 0,5 მილიარდი მანეთი, რაც მას ეყოფოდა იაპონიასთან ომში მხოლოდ 8 თვეს [2]. ვინაიდან რუსეთისათვის ეს თანხა არ იყო საკმარისი, საჭირო იყო ცარიზმს გამოენახა ფულის მიღების სხვა გზები. ყველაზე უფრო საიმედო წყაროს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა ისევ საფრანგეთი. ამიტომ მეფის რუსეთის მთავრობა ცდილობდა კარგი ურთიერთობა ჰქონოდა საფრანგეთთან. იყო შემთხვევა, როცა რუსეთი უფრო მეტს იხდიდა საფრანგეთისაგან შეძენილ იარაღში, ვიდრე გერმანიისაგან, რათა შეენარჩუნებინა პარიზი საჭირო თანხების წყაროდ [3].

ამ მხრივ საფრანგეთთან ცარიზმის დამოკიდებულებაზე მიუთითებს შემდეგი მაგალითიც: 1905 წლის მარტში პეტერბურგში ჩამოვიდნენ ფრანგი ბანკირები. საფრანგეთისა და რუსეთის წარმომადგენელთა მოლაპარაკების შედეგად მომზადებულ იქნა ფინანსური შეთანხმება, რომლის თანახმად, რუსეთს საფრანგეთისაგან სესხის სახით უნდა მიეღო 300 მილ. მანეთი.

11 მარტს საფრანგეთის ელჩი ბომპარი ატყობინებს დელკასეს, რომ „შეთანხმება მიღწეულია ფინანსთა მინისტრსა და ბანკების წარმომადგენელთა შორის შემუშავებულ პირობებში: 600 მილ. ბონებში 8 წლის ვადით და 5%-ს გადახდით...“ [4] 13 მარტისათვის ყველაფერი გამზადებული იყო ხელმოსაწერად, მაგრამ ფრანგმა ბანკირებმა უარი თქვეს ხელი მოეწერათ ზემოხსენებული შეთანხმებისათვის [5].

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“ 2 série, t. VI, doc. № 141, p. 187.

[2] Б. Романов, Россия в Маньчжурии, стр. 508.

[3] История дипломатии, т. II, стр. 167.

[4] „Doc. Dipl. Fr.“, 2 série, t. VI, doc. № 142, p. 187.

[5] Б. Романов, Россия в Маньчжурии, стр. 512.

საფრანგეთის წარმომადგენლების ასეთი ნაბიჯის გადადგმის მიზანი იყო აეძულებინათ მეფის რუსეთი ზავი დაედო იაპონიასთან; განთავისუფლებულიყო შორეული აღმოსავლეთის ამბებისაგან და მთელი თავისი ყურადღება მიეპყრო დასავლეთისაკენ. მაგრამ თანხები, რომლებიც რუსეთს სჭირდებოდა და რომელზედაც რუსეთს უარი უთხრა საფრანგეთმა, ბერლინში აღმოჩნდა. ცარიზმმა 150 მილ.მანეთი სესხი მიიღო გერმანიისაგან და ომი გააგრძელა იაპონიის წინააღმდეგ.

რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის ასეთი განვითარება არ მოსწონდათ პარიზში, ჯერ-ერთი, ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა რუსეთ-გერმანიის ურთიერთობის განმტკიცება, ხოლო მეორე, პარიზში უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ რუსეთის მიერ აღებული სესხების მოგება ხელში უვარდებოდა გერმანელ ბანკირებს. ამიტომ რუსეთ-გერმანიის დაახლოების ყოველ ფაქტს ახალი სესხის შეჩერებით პასუხობდნენ საფრანგეთის მმართველი წრეები.

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, გერმანიამ ვერ შესძლო ჩამოეშორებინა რუსეთი საფრანგეთისაგან. ჩაიშალა გერმანიის კიდევ ერთი ცდაც.

1905 წლის ივლისში ვილჰელმ II ბალტიის ზღვაზე მოგზაურობის დროს ბიორკში (ფინეთის შჰერებში) შეხვდა ნიკოლოზ II. 24 ივლისს ვილჰელმმა მიაღწია ნიკოლოზთან ხელშეკრულების ხელმოწერას. ამ ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, რუსეთი და გერმანია ვალდებულებას კისრულობდნენ აღმოეჩინათ ევროპაში ერთმანეთისათვის დახმარება მთელი თავიანთი სახმელეთო და საზღვაო ძალებით, თუ რომელიმე მათგანს თავს დაესხმოდა მესამე სახელმწიფო. ამასთანავე, მხარეები არ დასდებდნენ სეპარატულ ზავს მოწინააღმდეგესთან ურთიერთთანხმობის გარეშე. ბიორკის ხელშეკრულება ძალაში უნდა შესულიყო რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრების შემდეგ. რუსეთს მისი შინაარსი უნდა გაეცნო საფრანგეთისათვის და უნდა ერჩია მისთვის ამ ხელშეკრულებასთან შეერთება.

ბიორკის ხელშეკრულების ხელმოწერაში რუსეთის დიპლომატიას მონაწილეობა არ მიუღია. ამის შესახებ თავის დროზე არაფერი იცოდა მთავრობამ. ხელშეკრულების შინაარსმა აღშფოთება გამოიწვია პეტერბურგში. ვიტემ, ლამზდორფმა და სხვ. დაარწმუნეს ნიკოლოზ II ეცნობებინა ვილჰელმისათვის, რომ ბიორკის ხელშეკრულება ძალაში ვერ შევიდოდა მანამ, სანამ ამაზე არ დათანხმდებოდა საფრანგეთი. ცხადი იყო, რომ საფრანგეთი არასოდეს არ მისცემ-

და აზაზე თანხმობას. მეფე დათანხმდა წერილის მიწერაზე. ბერლინში, მიიღეს თუ არა ნიკოლოზ II ასეთი შინაარსის წერილი, დარწმუნდნენ, რომ ბიორკის კომბინაცია ჩაიშალა.

რუსეთ-იაპონიის ომი ცარიზმის დამარცხებით დამთავრდა. მეფის რუსეთს ძვირად დაუჯდა იაპონიასთან ომი: 120 ათასზე მეტი კაცი მოკლულ იქნა ომში, სამხედრო ხარჯი შეადგენდა 2617 მილ. მანეთს, ხოლო მთლიანად სახალხო მეურნეობის ხარჯი— 4—5 მილიარდ მანეთს; რუსეთმა დაჰკარგა ფლოტი, ტერიტორიის ნაწილი და სხვ.

1905 წლის 23 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების ზღვისპირა საავარაკო ქ. პორტსმუტში ხელმოწერილ იქნა საზავო ხელშეკრულება რუსეთსა და იაპონიას შორის. მეფის რუსეთმა ცნო იაპონიის ეკონომიური, სამხედრო და პოლიტიკური ინტერესების უპირატესობა კორეაში. რუსეთმა დაუთმო იაპონიას ლიაოდუნის ნახევარკუნძული პორტ-არტურითა და დალნით, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის სამხრეთი ნაწილი, სახალინი 50 პარალელის სამხრეთით, რუსეთსა და იაპონიას ჯარები უნდა გაეყვანათ მანჯურიიდან, იგი გადადიოდა ჩინეთის ხელში.

ვ. ი. ლენინი, ეხებოდა რა რუსეთის დამარცხებას იაპონიასთან ომში, წერდა: „რუსმა ხალხმა კი არა, არამედ თვითმპყრობელობამ განიცადა სამარცხვინო დამარცხება“ [1]. „ჩვენს წინაშეა თვითმპყრობელობის არა მარტო სამხედრო დამარცხება, არამედ სრული სამხედრო კრახი“ [2].

რუსეთ-იაპონიის ომი იყო პირველი იმპერიალისტური ომი რუსეთისათვის. ამ ომმა ცხადჰყო მეფის რუსეთის ეკონომიური, ტექნიკური და პოლიტიკური ჩამორჩენილობა. იაპონიასთან ომის საშუალებით ცარიზმს უნდოდა რევოლუციური მოძრაობის ჩახშობა რუსეთში. მაგრამ რუსეთ-იაპონიის ომში ცარიზმის დამარცხებამ დააჩქარა რევოლუცია რუსეთში, რომელიც დაიწყო 1905 წლის 9 (22) იანვარს.

როგორი იყო რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთდამოკიდებულება ამ პერიოდში? როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, გერმანიამ ვერ შესძლო ესარგებლა რუსეთის საშინაო და საგარეო სიძნელეებით და ჩამოეშორებინა იგი საფრანგეთისაგან. რუსეთმა არ მოისურვა არავითარი გარიგება გერმანიასთან, არ შეუერთდა სამთა კავშირს. რუსეთის ერთგულებაში პარიზში არაერთხელ დარწმუნ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 47.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, იქვე, გვ. 571.

დნენ. ელჩი ბომპარი ატყობინებს დელკასეს იმ საუბრის შინაარსს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბომპარსა და ლამზდორფს შორის. ამ საუბარში ლამზდორფი ეხებოდა იმ ზეგავლენას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბერლინის მმართველი წრეების მხრიდან რუსეთის მიმართ, რათა ეს უკანასკნელი ჩამოშორებოდა საფრანგეთის კავშირს. ამ საუბრის დროს საფრანგეთის ელჩი დარწმუნდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირისადმი რუსეთის ერთგულებაში [1]. ორივე ქვეყნის გენერალური შტაბების უფროსების შეხვედრა რეგულარულად ხდებოდა 1901 წლამდე, შემდგომ წლებში შორეულ აღმოსავლეთში ცარიზმის ექსპანსიონისტური პოლიტიკით საფრანგეთის უკმაყოფილებამ დროებით შეწყვიტა ასეთი შეხვედრები. მაგრამ 1906 წლის 8—11 აპრილს ადგილი ჰქონდა რუსეთისა და საფრანგეთის გენერალური შტაბების უფროსთა შეხვედრას. საფრანგეთის მმართველი წრეები მეფის მთავრობისაგან მოითხოვდნენ, რაც შეიძლებოდა მალე აღედგინა თავისი შეიარაღებული ძალები და „ომის შემთხვევაში რუსეთის ჯარების მაქსიმალური რაოდენობა გადმოსროლილიყო დაუყოვნებლივ გერმანიის წინააღმდეგ“ [2].

რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა განამტკიცა იმ ახალმა სესხმა, რომელიც ახლა მიიღო რუსეთმა საფრანგეთისაგან. 1905—1906 წწ. მოლაპარაკება ახალი სესხის შესახებ დადებითად დამთავრდა რუსეთისათვის. 1906 წლის იანვარში პარიზში გაემგზავრა რუსეთის ფინანსთა მინისტრი კოკოვცოვი [3]. ლამზდორფმა აცნობა საფრანგეთის მთავრობას იმის შესახებ, რომ რუსეთის მთავრობა არ დაუცდის სახელმწიფო დუმის გადაწყვეტილებას და როგორც კი საფრანგეთის მთავრობა თანახმა იქნება, რუსეთი მზადაა ხელი მოაწეროს შეთანხმებას ახალი სესხის შესახებ მასთან [4]. საფრანგეთის ელჩმა პეტერბურგში განუცხადა ლამზდორფს: „საფრანგეთის მთავრობამ იცის, რომ რუსეთის მთავრობა სიძნელეებს განიცდის და ამიტომ გასცა განკარგულება მოლაპარაკების დაწყებაზეო“ [5]. საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა რ. პუანკარემ შესაძლებლად მიიჩნია რუსეთისადმი მიეცათ ახალი სესხი იგივე პირობებში, რა პირობებშიც წინა წლებში აძლევდნენ [6].

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, 2 série, t. VI, doc. № 424, p. 501.

[2] История дипломатии, т. II, стр. 177.

[3] „Doc. Dipl. Fr.“, 2 série, t. IX, doc. № 47, p. 76.

[4] Ibid., doc. № 584, p. 759.

[5] Ibid.

[6] Ibid., doc. № 585, p. 760.

საფრანგეთისადმი რუსეთის კარგმა დამოკიდებულებამ კვლავ თავი იჩინა ალხესირასის კონფერენციის პერიოდში.

ცნობილია, რომ საფრანგეთმა აფრიკაში კოლონიური დაპყრობები დაიწყო ჯერ კიდევ XIX საუკუნეში. 1830 წელს მან დაიპყრო ალჟირი, 1881 წელს—ტუნისი. პირველ პერიოდში აფრიკაში საფრანგეთი შეეჯახა ინგლისის წინააღმდეგობას, მაგრამ 1904 წლის 8 აპრილის შეთანხმებით ამ ორ სახელმწიფოს შორის მოგვარებულ იქნა სადავო საკითხები. მათ გაიყვეს გავლენის სფეროები აფრიკაში (კერძოდ, ეგვიპტესა და მაროკოში). 1900 წლის საფრანგეთ-იტალიის საიდუმლო ხელშეკრულებით საფრანგეთმა ცნო იტალიის „უფლება" ტრიპოლზე, იტალიამ — საფრანგეთის „უფლება" მაროკოზე. 1904 წელს საფრანგეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას ესპანეთთან მაროკოში გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ[1]. ჰქონდა რა ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის მხარდაჭერა, საფრანგეთი შეუდგა მაროკოს დაპყრობას.

მაროკოს მიმართ საფრანგეთის მოქმედება დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ბერლინში. გერმანიის სავაჭრო, სამრეწველო და კოლონიური წრეები აღშფოთებული იყვნენ იმით, რომ ევროპასთან ახლოს მდებარე მაროკოს იმპერია, ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყანა, ხელში უვარდებოდა საფრანგეთს. გერმანიას თავისი სავაჭრო ინტერესები გააჩნდა მაროკოში. ახლა ამ ინტერესებს საშიშროება მოელოდა მაროკოში საფრანგეთის გაბატონების გამო. გერმანიის მმართველი წრეების ერთი ჯგუფი (ჰოლშტაინი, ვილჰელმ II) მოითხოვდა უბრძოლველად არ დაეთმო მაროკო საფრანგეთისათვის. მათ ერთდროულად ორი კურდღლის დაჭერა უნდოდათ: ერთი დარტყმით საფრანგეთი ჩამოეშორებინათ ინგლისისაგან და არ დაეშვათ საფრანგეთის განმტკიცება მაროკოში. ბერლინის მმართველმა წრეებმა ხელსაყრელი მომენტი შეარჩიეს: იაპონიასთან ომში რუსეთის არმიის დამარცხებამ (1905 წ. თებერვალში მუკდენთან) იზოლირების საშიშროების წინაშე დააყენა საფრანგეთი.

ასეთ ვითარებაში გერმანიის იმპერატორი ვილჰელმ II გაემგზავრა მაროკოში და 31 მარტს ტანჟერში სიტყვა წარმოთქვა. თავის სიტყვაში ვილჰელმმა მიუთითა, რომ ის თვლიდა მაროკოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, ხოლო სულთანს მის მმართველად. გერმანიის იმპერატორის ეს სიტყვა პირდაპირ მიმართული იყო მაროკოში საფრანგეთის გაბატონების წინააღმდეგ.

[1] B. E. Schmitt, Op. cit., p. 453.

ვილჰელმ II ამ დემარშმა განგაში გამოიწვია საფრანგეთში. მაროკოსათვის ომი გერმანიასთან მეტად სარისკო საქმე იყო საფრანგეთისათვის: ომს შეიძლებოდა დიდი პოლიტიკური გართულება მოჰყოლოდა ქვეყნის შიგნით; რუსეთი იაპონიასთან ომით იყო დაკავებული; ინგლისის მხრიდან ჯერ კიდევ შეიარაღებული დახმარება საიმედო არ იყო; ომი კი პირისპირ გერმანიასთან საფრანგეთს მარტო არ შეეძლო. პარიზში გადაწყვიტეს უკან დაეხიათ გერმანიის მუქარის წინაშე[1]. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თეოფილ დელკასე, რომელიც მთავრობაში უმცირესობაში აღმოჩნდა, გადადგა[2].

საფრანგეთის მთავრობამ შესთავაზა გერმანიას კონფერენციის გარეშე შეთანხმება. საფრანგეთის მთავრობა მზად იყო დაეთმო მაროკოს ნაწილი გერმანიისათვის. მაგრამ ეს წინადადება ბერლინში არ მიიღეს, რითაც დიდი შეცდომა დაუშვეს. ბოლოს, საფრანგეთის რუვიეს მთავრობა დათანხმდა, განეხილათ მაროკოს საკითხი საერთაშორისო კონფერენციაზე.

გაუგებარია, თუ რისი იმედი ჰქონდა გერმანიის მთავრობას მომავალ კონფერენციაზე. გერმანელი დიპლომატი (გერმანიის საელჩოს პირველი მრჩეველი ლონდონში) ბარონ ეკარდშტაინი აკრიტიკებს გერმანიის მთავრობის პოზიციას მაროკოს კრიზისის პერიოდში და მიუთითებს, რომ გერმანიის მთავრობამ შეცდომა დაუშვა, როცა არ მიიღო რუვიეს მთავრობის წინადადება მაროკოს ნაწილის გადაცემაზე და მოითხოვა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა[3].

---

[1] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches, Bd. 2, S. 527.

[2] ფრანგი ისტორიკოსი პიერ რენუვენი ბრალს სდებს დელკასეს იმაში, რომ თითქოს მისი საგარეო პოლიტიკა არ ეთანხმებოდა საფრანგეთის მატერიალურ რესურსებს, ე. ი. საფრანგეთი არ იყო მზად ომისათვის, ხოლო დელკასე კი უკან დახევის წინააღმდეგი იყო გერმანიის ჰარბი ძალების წინაშე. არა გვგონია სწორი იყოს პროფესორი რენუვენი. გერმანია ვერ გაბედავდა საფრანგეთის წინააღმდეგ ომს ისეთ ვითარებაში, როდესაც რუსეთი (იაპონიასთან ომის მიუხედავად) და ინგლისი საფრანგეთის მხარეზე იყვნენ. იხ. P. Renouvin, La paix armée et la grande guerre (1871—1919), Paris, 1939, p. 485.

პროფესორი ქ. შეფერის აზრით, დელკასეს მოქმედება „უხეირო იყო“ და „კარგია, რომ დელკასე აიძულეს გადამდგარიყო“ (Christian Schefer, D'Une Guerre à l'Autre: Essai sur la Politique Extérioure de la Troisième République, 1871—1914, Paris, 1920, p. 267—271).

[3] H. v. Eckardstein, Lebenserinnerungen und politische Denkwürdigkeiten, Lpz., 1920, Bd. II.

1906 წლის 15 იანვარს ესპანეთის ქ. ალხესირასში გაიხსნა კონფერენცია[1]. ამ კონფერენციაზე ჩაიშალა გერმანიის გეგმები. კონფერენციის გადაწყვეტილებებმა ფაქტიურად ცხადჰყვეს მაროკოში საფრანგეთის გაბატონება[2].

მაროკოს პირველ კრიზისსა და ალხესირასის კონფერენციას მოჰყვა ანტანტის არა შესუსტება, როგორც ეს სურდა გერმანიას, არამედ მისი განმტკიცება. ამ პერიოდში საფრანგეთში დარწმუნდნენ ინგლისთან ურთიერთობის განმტკიცების აუცილებლობაში, მით უფრო, რომ რუსეთი დასუსტდა იაპონიასთან ომის შედეგად. ინგლისშიც სარგებლობდნენ ფრანგების ასეთი განწყობილებით. ლონდონში გამოიყენეს გერმანიაში გავრცელებული აზრი: თუ ინგლისი გერმანიას თავს დაესხმოდა, გერმანია თავის ძირითად ძალებს მიმართავდა საფრანგეთის წინააღმდეგ. ყოველივე ეს ხელს უწყობდა ინგლის-საფრანგეთის კავშირის განმტკიცებას. ალხესირასის კონფერენციაზე საფრანგეთის მიმართ რუსეთის კარგმა პოზიციამ განამტკიცა საფრანგეთის ფინანსური დამოკიდებულება რუსეთთან[3].

გერმანია უკმაყოფილო იყო რუსეთის პოზიციით ალხესირასის კონფერენციაზე. ამიერიდან გერმანიაში იზრდებოდა კამპანია რუსეთის სესხის წინააღმდეგ. ბარონმა ჰერტლინგმა ერთხელ განაცხადა: „ჩვენ გვსურს რუსეთის გამოჯანმრთელება, მაგრამ გერმანიის დანაზოგების გარეშე“[4].

ბერლინში ვერ შესძლეს თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ რუსეთის მძიმე ფინანსური მდგომარეობა რუსეთ-იაპონიის ომის დროს. ამიტომ ბერლინის კაბინეტმა აკრძალა გერმანიის ბანკების მონაწილეობა რუსეთის სესხში[5].

რაც დრო გადიოდა, ინგლისის მმართველ წრეებში სულ უფრო მეტად რწმუნდებოდნენ, რომ ინგლისის მთავარი მოწინააღმდეგე იმპერიალისტური გერმანია იყო[6]. მაგრამ გერმანიის წინააღმდეგ

---

[1] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches, Bd. 2, S. 649.

[2] История дипломатии, т. II, стр. 174—176; Акад. Е. Тарле. Сочинения, т. V, стр. 153—155; А. Дж. П. Тэйлор., Указ. соч , стр. 446—447; B. E. Schmitt, Op. cit. pp. 452—453, 455.

[3] С. Ю. Витте, Воспоминания, т. II, М.—П., 1923, стр. 174—198.

[4] „Doc. Dipl. Fr.", 2 série, t. IX, doc. № 617, p. 803.

[5] Ibid., doc. № 618, p. 805.

[6] გერმანია სწრაფი ტემპით ძლიერდებოდა. ინგლისისაგან კუნძულ ჰელჰოლანდის მიღებამ 1890 წელს, კილის არხის გახსნამ 1895 წელს (იგი გერმანიამ გაიყვანა 1887—1895 წწ. ბალტიის ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვაში სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფარულად და სწრაფად გადაყვანის მიზნით) გაზარ-

მოქმედებისას ინგლისისათვის აუცილებელი იყო არა მარტო საფრანგეთთან კავშირი, არამედ რუსეთის მხარდაჭერაც. ამდენად რუსეთ-ინგლისის დაახლოების საკითხი სულ უფრო აქტიური ხდებოდა ლონდონში.

რუსეთშიც სულ უფრო ფეხს იკიდებდა ინგლისთან დაახლოების აზრი. ამას ხელს უწყობდა საფრანგეთ-ინგლისის ურთიერთობის განმტკიცებაც, რასაც კეთილსასურველად მიიჩნევდნენ პეტერბურგში. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დელკასე თავის საინსტრუქციო წერილში, რომელიც მან 1905 წლის 13 მაისს გაუგზავნა საფრანგეთის დიპლომატიურ წარმომადგენლებს უცხოეთში, მიუთითებდა, რომ „რუსეთი ხელს უწყობს საფრანგეთის დაახლოებას ინგლისთან, ეს კი კარგი იქნება რუსეთისათვის“ [1].

ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის შეთანხმებისა და რუსეთ-იაპონიის ომის დამთავრების შემდეგ ინგლისის დიპლომატიამ ხელი მოჰკიდა რუსეთთან სადავო საკითხების მოგვარებას.

შორეულ აღმოსავლეთში რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობა უკვე სუსტი იყო. მსგავსი მდგომარეობა იქმნებოდა ახლო აღმოსავლეთშიც, სადაც რუსეთსა და ინგლისს საერთო მოწინააღმდეგე აღმოაჩნდათ გერმანიის იმპერიალიზმის სახით. რჩებოდა მხოლოდ შუა აღმოსავლეთი—ირანი და ავღანეთი.

თუ მანამდე ინგლისში ცდილობდნენ გერმანიის ძალები მიემართათ რუსეთის წინააღმდეგ, ახლა პირიქით, სურთ დაუახლოვდნენ რუსეთს და რუსეთის ძალები გამოიყენონ გერმანიის წინააღმდეგ. თუ მანამდე „...რუსეთი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც უნარი ჰქონდა საშიშროება შეექმნა ხმელეთზე ინგლისის მსოფლიო ბატონობისათვის“ [2], ახლა მას მთავარი საშიშროება მოელოდა გერმანიის მხრიდან.

---

და გერმანიის სტრატეგიული პოზიციები. 1897 წ. გერმანიის სამხედრო უწყებას სათავეში ჩაუდგა ადმირალი ფონ ტირპიცი. 1898, 1900 და 1907 წწ. გერმანიის რაიხსტაგმა მიიღო დიდი სამხედრო პროგრამა. გარდა ამისა, მთავრობა რაიხსტაგისაგან ყოველწლიურად მოითხოვდა დამატებით ახალ-ახალი თანხების დამტკიცებას. გერმანიამ შექმნა უდიდესი ფლოტი. 1906 წლიდან ისიც იწყებს დრედნოუტების გამოშვებას, რამაც მნიშვნელოვნად შესცვალა ინგლის-გერმანიის საზღვაო ფლოტის თანაფარდობა. მიუხედავად ამისა, ინგლისი მაინც უფრო ძლიერი იყო, ვიდრე გერმანია. მაგრამ ინგლისი ვერ ახორციელებდა თავის ცნობილ პრინციპს — „ორი ერთეული ერთის წინააღმდეგ“, რომლის თანახმად, ინგლისს უნდა ჰყოლოდა სამხედრო ფლოტი ორი უძლიერესი სახელმწიფოს სამხედრო ფლოტის თანატოლი.

[1] „Doc. Dipl. Fr.“, 2 série, t. VI, doc. № 430, p. 507.

[2] К. Гельферих, Накануне мировой войны, стр. 23.

1905 წლის სექტემბერში, როცა გრაფი ვიტე დაბრუნდა პორტსმუტის საზავო კონფერენციიდან, მან გამოიარა პარიზში. აქ ინგლისის საელჩოს წარმომადგენლებმა მას შესთავაზეს ლონდონში შედგენილი რუსეთ-ინგლისის შეთანხმების პროექტი, მაგრამ ვიტემ მაშინ თავი შეიკავა.

რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის რევოლუციის შედეგად ცარიზმი ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. ის, რასაც მეფის რუსეთი ღებულობდა საფრანგეთისაგან, საკმარისი არ იყო. ამ მომენტით ისარგებლეს ლონდონში და ინგლისელმა ბანკირებმა სესხი მიაწოდეს პეტერბურგს, თუმცა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობა კვლავ მტკიცე იყო [1]: 1906 წლის 21 აპრილს რუსეთის იმპერატორმა მიიღო საფრანგეთის ელჩი ბომპარი. საუბრის დროს ნიკოლოზ II განუცხადა ელჩს: „მე მოხარული ვარ, რომ ჩვენმა კავშირმა ბრწყინვალედ გაამართლა“. და შემდეგ დასძინა: „საფრანგეთ-რუსეთის კავშირი ისეთი სიცოცხლისუნარიანია, როგორც არასოდეს“ [2].

1906 წლის დასაწყისში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გრაფი ლამზდორფი გადადგა. მისი ადგილი დაიკავა იზვოლსკიმ, რომელიც მხარს უჭერდა რუსეთ-გერმანიის დაახლოებას. იზ-

---

[1] მართალია, საფრანგეთში ხშირად იცვლებოდა მთავრობები, მაგრამ ყველა ისინი ხელს უწყობდნენ რუსეთთან ურთიერთობის განმტკიცებას. XX საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში რამდენიმეჯერ შეიცვალა მთავრობა: კომბის მთავრობა (1902 წ. 7 ივნისი—1905 წ. 18 იანვარი) შეცვალა რუვიეს მთავრობამ (1905 წ. 24 იანვარი — 1906 წ. 18 თებერვალი). ეს იყო რუვიეს მეორე მთავრობა. რუვიეს მესამე მთავრობა სულ ცოტა ხანს არსებობდა (1906 წ. 18 თებერვალი—1906 წ. 7 მარტი). პრემიერ-მინისტრის პოსტზე რუვიე შეცვალა სარიენმა (1906 წ. 14 მარტი—1906 წ. 19 ოქტომბერი). სარიენის მთავრობაში შევიდნენ ჟორჟ კლემანსო და არისტიდ ბრიანი, რომლებიც შემდგომში არაერთხელ იყვნენ საფრანგეთის მთავრობის სათავეში. კლემანსომ სარიენის მთავრობაში მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტი. მან ეს პოსტი სრულიად შემთხვევით მიიღო. სარიენის მომავალი მთავრობის წევრებმა თავი მოიყარეს მის ბინაზე. აქ ლაპარაკი იყო მომავალი მთავრობის დეკლარაციის შინაარსზე, მინისტრების პოსტების განაწილებაზე და სხვ. ამავე დროს სუფრაზე შემოჰქონდათ სხვადასხვა სასმისები. სარიენმა მიმართა კლემანსოს: „რას აიღებთ თქვენ?“ სარიენს მხედველობაში ჰქონდა სასმისი, ხოლო თავის მომავალ იდეებში გართულმა კლემანსომ უცბად უპასუხა: „მე ვიღებ შინაგან საქმეთა სამინისტროს“. სარიენს თვითონ უნდოდა შეთავსებით მიეღო ეს პოსტიც, მაგრამ უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა და უხალისოდ უპასუხა: „Soit!“ (დე ასე იყოს!). 1906 წ. 25 ოქტომბერს საფრანგეთის მთავრობას სათავეში ჩაუდგა თვითონ ჟორჟ კლემანსო.

[2] „Doc. Dipl. Fr.“, 2 série, t. X, doc. № 27, p. 38.

ვოლსკის აზრით, რუსეთ-გერმანიის შეთანხმება რუსეთ-საფრანგეთის კავშირის არსებობის შემთხვევაში ხელს შეუწყობდა რუსეთს მოეგვარებინა სრუტეების საკითხი თავის სასარგებლოდ. იზვოლსკის ეგონა, რომ ინგლისთან რუსეთის დაახლოება გაართულებდა რუსეთის ურთიერთობას იაპონიასთან, ხოლო იაპონიასთან ხელახალი გართულების თავი რუსეთს არ ჰქონდა. ამიტომ, იზვოლსკის აზრით, ვიდრე იაპონიასთან რუსეთის ურთიერთობა ნორმალური არ გახდებოდა, ამ უკანასკნელს არ უნდა ეფიქრა ინგლისთან მეგობრობაზე[1].

საერთოდ, იზვოლსკი ხელს უწყობდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის განმტკიცებას. 1906 წლის 26 ოქტომბერს პარიზში ყოფნის დროს პიშონთან საუბარში იზვოლსკიმ განაცხადა: „რუსეთ-საფრანგეთის კავშირი რჩება მისი ხელმომწერთათვის და მისი მთავრობებისათვის საგარეო პოლიტიკის ძირითად ბაზად“ და მას „უნდა მთელი თავისი ძალა გამოიყენოს მის განსამტკიცებლად“. პიშონმა ასეთივე მტკიცე აზრი გამოთქვა საფრანგეთის მხრიდან რუსეთ საფრანგეთის კავშირის მიმართ[2].

მართლაც, ამ პერიოდში რუსეთ-იაპონიის ურთიერთობა არ იყო კარგი. 1907 წლის დასაწყისისათვის ადგილი ჰქონდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის გართულებას. მოლაპარაკება, რომელიც მიმდინარეობდა თევზის ჭერის საკითხების შესახებ, ჭიანურდებოდა.

1907 წლის 28 ივლისს რუსეთ-იაპონიას შორის ხელმოწერილ იქნა კონვენცია თევზის ჭერის შესახებ, ხოლო 30 ივლისს — რუსეთ-იაპონიის პოლიტიკური ხელშეკრულება შორეულ აღმოსავლეთში სტატუს ქვოს დაცვის შესახებ. რუსეთმა აღიარა იაპონიის გავლენის სფეროდ სამხრეთ მანჯურია და კორეა, ხოლო იაპონიამ რუსეთის გავლენის სფეროდ — ჩრდილოეთ მანჯურია.

---

[1] 1906 წლის ოქტომბერში, როდესაც იზვოლსკი პარიზში იყო, ინგლისის მეფე ედუარდ VII იგი პირადად მიიპატიჟა ლონდონში. მაგრამ იზვოლსკიმ არ მიიღო ეს მიპატიჟება. მას შეეშინდა, რომ მისი ასეთი ნაბიჯით ნაწყენი დარჩებოდნენ ბერლინში და პროგერმანული ელემენტები პეტერბურგში. ინგლისის მეფე მიხვდა რაშიც იყო საქმე და გერმანელების მიმართ შენიშნა: „გერმანია დარწმუნებულია ჩვენს ზურგს უკან, ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებაში“ (Gugliemo Ferrero. Problems of peace from the Holy Alliance to the League of Nations: a Message from an European Writer to Americans. New York and London, 1919, p. 245).

[2] „Doc. Dipl. Fr.“, 2 série, t. X, doc. № 244, p. 365.

რუსეთ-იაპონიის ურთიერთობის მოგვარება შორეულ აღმოსავლეთში ხელსაყრელი იყო საფრანგეთისათვის, იგი აწყობდა ინგლისსაც. ახლა რუსეთი მთელი თავისი ძალებით სჭირდებოდა გერმანიის წინააღმდეგ ინგლისსაც.

გერმანიის მმართველი წრეები ცდილობდნენ არ დაეშვათ რუსეთ-ინგლისის დაახლოება. რუსეთისა და ინგლისის მიერ ამ მიმართულებით გადადგმული ყოველი ნაბიჯი დიდ უკმაყოფილებას იწვევდა ბერლინში[1]. გრაფმა ბენკენდორფმა განაცხადა: „...ინგლის-რუსეთის შეთანხმებას ძალიან ცუდად ხვდებიან ბერლინში; იქ ის იწვევს დიდ უკმაყოფილებას, მაგრამ ეს შეთანხმება მაინც გარდუვალია“[2].

1907 წლის 31 აგვისტოს პეტერბურგში ხელმოწერილ იქნა რუსეთ-ინგლისის შეთანხმება დაახლოებით ისეთივე შინაარსისა, როგორიც ადრევე ვიტეს შესთავაზეს პარიზში. ეს შეთანხმება ეხებოდა რუსეთისა და ინგლისის ინტერესების მოგვარებას სპარსეთში, ავღანეთსა და ტიბეტში.

სპარსეთი დაყოფილ იქნა სამ ზონად: ჩრდილოეთის ზონა წარმოადგენდა რუსეთის გავლენის სფეროს, სამხრეთის ზონა — ინგლისის გავლენის სფეროს, ხოლო ცენტრალური ზონა — ნეიტრალურს სადაც ორივე მხარეს შეეძლო კონცესიების შექმნა, მაგრამ ერთმანეთისათვის ხელი არ უნდა შეეშალათ.

რუსეთმა აღიარა ავღანეთი ინგლისის გავლენის სფეროდ და ვალდებულება იკისრა ავღანეთთან პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონოდა ინგლისის საშუალებით. ხოლო სავაჭრო ურთიერთობა შეეძლოთ თავისუფლად ჰქონოდათ ავღანეთთან ორივე სახელმწიფოს.

შეთანხმების მესამე ნაწილის თანახმად, რუსეთმა და ინგლისმა ცნეს ტიბეტზე ჩინეთის სუვერენული უფლებები. ორივე მხარემ ვალდებულება აიღო პატივი ეცათ ტიბეტის დამოუკიდებლობისათვის და თავი შეეკავებინათ მის შინაგან საქმეებში ჩარევისაგან, ჰქონოდათ ურთიერთობა ტიბეტთან მხოლოდ ჩინეთის მთავრობის საშუალებით.

ინტერესთა ერთიანობამ დაუკავშირა ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს. ინგლისს სჭირდებოდა რუსეთი გერმანიის წინააღმდეგ, ხოლო რუსეთს კი ინგლისი—სრუტეების საკითხის გადასაწყვეტად და ირანში ანტიკოლონიური მოძრაობის ჩასახშობად.

---

[1] British Documents, vol. IV, the period of the making of the Convention, 1906—1907, pp. 232—238.

[2] „Doc. Dipl. Fr.“, 2 série, t. X, doc. № 478, p. 774.

ვ. ი. ლენინმა შემდეგი შეფასება მისცა რუსეთ-ინგლისის ზემოხსენებულ შეთანხმებას: „იყოფენ სპარსეთს, ავღანისტანს, ტიბეტს (ემზადებიან ომისათვის გერმანიასთან)“[1].

რუსეთ-ინგლისის 1907 წლის 31 აგვისტოს შეთანხმებით, რომელსაც წინ უსწრებდა რუსეთ-საფრანგეთის კავშირი (1891—1893 წწ), და ინგლის-საფრანგეთის გულითადი შეთანხმებით (1904 წ.) დამთავრდა სამთა შეთანხმების ანუ ანტანტის შექმნა საფრანგეთის, რუსეთისა და ინგლისის მონაწილეობით.

ამრიგად, უკვე არსებობდა ორი სამხედრო-აგრესიული გაერთიანება — ანტანტა და სამთა კავშირი, რომლებიც აშკარად ემზადებოდნენ ახალი ომისათვის[2].

XX საუკუნის პირველ ათეულ წელს კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში ახალ საფეხურზე ადის. იწყება მრეწველობის გაძლიერებული კონცენტრაცია და მონოპოლიების შექმნა. ამ პროცესს ხელს უწყობდა უცხოეთის კაპიტალის დიდი რაოდენობით შემოჭრა რუსეთში.

1895 წელს რუსეთში იყო თუჯის გამომდნობი ერთი ქარხანა, რომელიც უშვებდა 10 მილ. ფუთ თუჯს, 1900 წელს — 2 ქარხანა, რომელიც უშვებდა 30 მილ. ფ. თუჯს, 1908 წელს — 5 ქარხანა, რომელიც უშვებდა 71 მილ. ფ. თუჯს ბოლო 1913 წელს — 9 ქარხანა, რომელიც უშვებდა 150 მილ. ფ. თუჯს.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის წინ 9 მეტალურგიული ქარხნის ხელში იყო მთელი თუჯის წარმოების ნახევარზე მეტი (53%-სა); მსგავს კონცენტრაციას ადგილი ჰქონდა ნავთობისა და ქვანახშირის მრეწველობაში.

მართალია, უცხოეთის კაპიტალის შეჭრა რუსეთში ხელს უწყობდა მრეწველობის კონცენტრაციას, მაგრამ ამავე დროს იგი აძლიერებდა რუსეთის ეკონომიკაში უცხოელი იმპერიალისტების გაბატონებას. დასავლეთის იმპერიალისტები ხელს უშლიდნენ რუსეთში მრეწველობის იმ დარგების განვითარებას, რომლებიც მათთვის არ იყო ხელსაყრელი. მაგალითად, საავტომობილო მრეწველობა, ქიმიური მრეწველობა, ელექტრო მოწყობილობა, რთული დაზგების წარმოება და სხვ. სულ არ იყო ან სუსტად

---

[1] В. И. Ленин, Тетради по империализму, стр. 621.

[2] ამიერიდან გერმანიაში აშკარად ამბობდნენ და წერდნენ ანტანტის სახელმწიფოების მიერ გერმანიის დიპლომატიურ გარემოცვაზე (Einkreisung) და მის საშიშროებაზე გერმანიისათვის.

იყო განვითარებული რუსეთში. რუსეთი იძულებული იყო ყოველივე ეს უცხოეთიდან შემოეტანა. ხოლო ეს გარემოება კი ზრდიდა მის დამოკიდებულებას დასავლეთის ქვეყნებზე.

1909 წელს სააქციო და საპაიო საწარმოებში მოქმედი უცხო კაპიტალის საერთო თანხა შეადგენდა 1.243,0 მილ. მანეთს [1].

რუსეთი ეკონომიურად მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა დასავლეთის სახელმწიფოებს. 1913 წელს სამრეწველო პროდუქციის საერთო მოცულობა რუსეთში 2,5-ჯერ ნაკლები იყო, ვიდრე საფრანგეთში, 4,6-ჯერ ნაკლები, ვიდრე ინგლისში, 5-ჯერ ნაკლები, ვიდრე გერმანიაში, 14,3-ჯერ ნაკლები, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1913 წელს მოსახლეობის თითოეულ სულზე ელექტროენერგიის წარმოება რუსეთში შეადგენდა 14 კილოვატსაათს, ამერიკის შეერთებულ შტატებში—175,6 კს; თუჯის გამოდნობა რუსეთში შეადგენდა—30,3 კგ., ინგლისში—206 კგ., გერმანიაში—250 კგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში—326, 5 კგ.; ქვანახშირის ამოღება რუსეთში შეადგენდა 209 კგ., გერმანიაში—2872 კგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში —5358 კგ., ინგლისში—6396 კგ., ბამბის მოხმარება რუსეთში შეადგენდა—3,1 კგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში—14 კგ., ინგლისში—15 კგ. [2].

რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის 1905 წლის რევოლუციის შემდეგ სწრაფი ტემპით იზრდება უცხოეთის კაპიტალი რუსეთში. 1914 წლისათვის რუსეთის 18 მთავარი სააქციო ბანკის ძირითადი სააქციო კაპიტალის 435,5 მილ. მანეთიდან 185,5 მილ. მანეთი, ე. ი. 42,6%, უცხოეთის კაპიტალზე მოდიოდა. მათ შორის საფრანგეთზე მოდიოდა 95.25 მილ. მან., ანუ 21,9%, გერმანიაზე—77,2 მილ. მან., ანუ 17,7%, ინგლისზე — 13 მილ. მან., ანუ 3%. [3]

იზრდებოდა მეფის რუსეთის შეიარაღებული ძალებიც. საფრანგეთის ელჩ ბომპართან საუბარში 1906 წლის 16 მაისს გრაფი ვიტე მიუთითებდა, რომ რუსეთი თანდათანობით ფეხზე დგე-

---

[1] П. В. Оль, Иностранные капиталы в народном хозяйстве довоенной России, стр. 24.

[2] П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, т. II, стр. 291.

[3] П. И. Лященко, Указ. соч. стр. 363; С. Л. Ронин, Иностранный капитал и русские банки, 1926 г., стр. 84—85.

ბარ. „ახლა არმია 2,5-ჯერ მეტია, — ამბობდა ვიტე, — ვიდრე 7 თვის წინ იყო... პეტერბურგის პოლიცია გაორკეცდა. საერთოდ პოლიცია ითვლის 55 ათას კაცს, ეს პატარა არმიაა" [1].

1906 წლის 26 ოქტომბერს პარიზში იზვოლსკი და პიშონი საუბრის დროს შეეხნენ რუსეთის შეიარაღებული ძალების მდგომარეობას. იზვოლსკიმ აღნიშნა, რომ 1907 წლის გაზაფხულისათვის რუსეთს ექნება გეგმით გათვალისწინებული არმია, მაგრამ მეტი დრო უნდა შეიარაღების რეორგანიზაციას. „რუსეთის მთავრობა ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რათა დააჩქაროს ეს რეორგანიზაცია; ეს საქმე დაკავშირებულია იმპერიის ფინანსურ საკითხებთან" — განაცხადა იზვოლსკიმ. ამის საპასუხოდ იზვოლსკის უთხრეს, რომ „საფრანგეთი დიდ იმედებს ამყარებს რუსეთის არმიის აღდგენაზე" [2]. რაც შეეხება რუსეთის საგარეო პოლიტიკას, იზვოლსკი ამბობდა, რომ იგი „მჭიდროდაა დაკავშირებული საფრანგეთის საგარეო პოლიტიკასთან".

საინტერესოა რუსეთში საფრანგეთის სამხედრო ატაშის გენერალ მულენის მოხსენებითი ბარათი, რომელიც მან გაუგზავნა საფრანგეთის სამხედრო მინისტრს გენერალ პიკარს 1907 წლის 9 ივლისს [3]. ამ ბარათში მოცემულია გენერალ მულენის საუბარი რუსეთის გენერალური შტაბის უფროს გენერალ პალიცინთან. საფრანგეთის სამხედრო ატაშის შეკითხვაზე: დაახლოებით როდის შეუძლია რუსეთს სრულ მზადყოფნაში იყოლიოს თავისი შეიარაღებული ძალები, რაზედაც ლაპარაკი იყო 1901 წელს ორივე ქვეყნის გენერალური შტაბების უფროსების მოლაპარაკების დროს? გენერალმა პალიცინმა გადაჭრით უარყოფითად უპასუხა გერმანიის წინააღმდეგ შეტევაზე. „ამჟამად ამაზე ფიქრიც კი ზედმეტია... ვინაიდან: 1) რუსეთის არმიას ამჟამად არ გააჩნია არც შემადგენლობა, არც ტაქტიკური მომზადება, რაც აუცილებელია კარგი თავდასხმისათვის; 2) აუცილებელი მატერიალური და ტექნიკური საშუალებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაძლებლობა დაშანსი წარმატებისათვის თავდასხმის დროს, მოითხოვს ხარჯებს, რაც რუსეთის ფინანსური მდგომარეობის გამო შეუძლებელია განსაზღვრული დროის განმავლობაში; 3) სერიოზული შეტევა გერმანიის წინააღმდეგ წარმოადგენს პირველ პირობას, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს ავსტრიის ფრონტი, ძალების აუ-

---

[1] „Doc. Dipl. Fr.", 2-ème série, t. X, doc. № 60, p. 87.
[2] „Doc. Dipl. Fr.", 2-ème série, t. X, doc. № 244, p. 360.
[3] Ibid, t. XI, doc. № 68, p. 118—120.

ცილებლად დარჩენა კავკასიაში აჯანყების საშიშროების გამო; ძალები, რომელთა თავმოყრა აუცილებელია რუმინეთის წინააღმდეგ; ძალების შენარჩუნება ფინეთში, რათა თავიდან იქნეს აცილებული აჯანყება — ჩაფიქრებული და მხარდაჭერილი შვედეთის მხრიდან და სხვ“[1].

1908 წლის 21 ივლისს საფრანგეთის სამხედრო მინისტრის წერილში, რომელიც შედგენილი იყო გენერალ ბრუნის მიერ და გადაეცა საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ისევ ლაპარაკი იყო რუსეთის შეიარაღებული ძალების მდგომარეობაზე[2]. ამ წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „რუსეთ-იაპონიის ომის დროს სამხედრო ძალების დიდი ნაწილი გაგზავნილ იქნა მანჯურიაში და დასავლეთის საზღვრები აღმოჩნდა დასუსტებული“ [3].

საფრანგეთის სამხედრო მინისტრი, ეყრდნობოდა რა რუსეთში თავისი სამხედრო ატაშის ცნობებს, წერილში აღნიშნავდა, რომ რუსეთში უკვე მიდიოდა არმიის რეორგანიზაცია და რომ 1907 წლის აპრილიდან ეს რეორგანიზაცია სწრაფი ტემპით ხორციელდებოდა. შემდეგ წერილში ჩამოთვლილია ის დარგები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდა ამ რეორგანიზაციას.

მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა შავი ზღვის სრუტეების საკითხი. მაგრამ რუსეთის ყოველ ნაბიჯს ამ მიმართულებით ეწინააღმდეგებოდნენ ავსტრია-უნგრეთი, გერმანია და ინგლისი, რომ არაფერი ვთქვათ თვით თურქეთზე.

1908 წლის ზაფხულში თურქეთში მოხდა ახალგაზრდა თურქთა რევოლუცია. დამხობილ იქნა აბდულ-ჰამიდის თვითმპყრობელობა. 24 ივლისს სულთანი იძულებული გახდა კონსტიტუცია მიეღო. პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა ქამილ-ფაშამ მთავრობის მეთაურად ქამილ-ფაშას დანიშვნა წარმოადგენდა ინგლისის დიპლომატიის გამარჯვებას. ამდენად თურქეთში ამიერიდან თითქოს გერმანიის გავლენას ცვლიდა ინგლის-საფრანგეთის გავლენა.

ავსტრია-უნგრეთში შეეშინდათ, რომ ინგლისის გავლენის ქვეშ მოქცეულ თურქეთს არ მოეთხოვა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის დაბრუნება, რომლებიც 1878 წლის ბერლინის კონგრესის გადა-

---

[1] „Doc. Dipl. Fr.“, 2-ème série, t. XI, doc № 68, p. 118—119.
[2] Ibid. doc. № 412, p. 708—709. Note du Ministre de la Guerre.
[3] Ibid, p. 708.

წყვეტილებით ავსტრია-უნგრეთის მმართველობის ქვეშ მოექცნენ. ამიტომ ავსტრია-უნგრეთის მთავრობამ გადაწყვიტა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია, მაგრამ მას უნდოდა ამაზე რუსეთის თანხმობა მიეღო. თუ ამას ავსტრია-უნგრეთი მიაღწევდა, ეს სახელს გაუტეხდა რუსეთს ბალკანეთის სლავებს შორის და შეასუსტებდა რუსეთის გავლენას ბალკანეთში.

ავსტრია-უნგრეთის მთავრობა სამაგიეროდ თანახმა იყო მხარი დაეჭირა რუსეთისათვის სრუტეების რეჟიმის შეცვლის საკითხში. მაგრამ ვენაში კარგად იცოდნენ, რომ სრუტეების საკითხში რუსეთის ყოველი ნაბიჯი გამოიწვევდა უკმაყოფილებას თურქეთსა და ინგლისში. ხოლო რუსეთის ურთიერთობის გართულება თურქეთთან და ინგლისთან ხელსაყრელი იქნებოდა ვენისა და ბერლინისათვის.

1908 წლის ივლისში ადგილი ჰქონდა ავსტრია-უნგრეთისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის წერილების გაცვლა-გამოცვლას [1]. იზვოლსკი ერენტალისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითებდა, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინისა და სრუტეების საკითხები წარმოადგენენ საერთო-ევროპული ხასიათის საკითხებს და მათ გადაწყვეტაში ევროპის სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. მაგრამ იზვოლსკის წერილში გამოთქმული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ეს გარემოება არ გამორიცხავდა იმას, რომ ადგილი ჰქონოდა ამ საკითხებზე აზრთა გაცვლა-გამოცვლას პეტერბურგსა და ვენას შორის [2].

1908 წლის 15 სექტემბერს ერენტალის მიწვევით ბუხლაუში ჩავიდა იზვოლსკი. ბუხლაუს თათბირზე ერენტალი და იზვოლსკი სიტყვიერად შეთანხმდნენ: ავსტრია-უნგრეთი თანახმა იყო სრუტეების გახსნაზე რუსეთის სამხედრო გემებისათვის, ხოლო რუსეთი — ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინას ანექსიაზე [3].

იზვოლსკი ბუხლაუდან გაემგზავრა ევროპის სხვა ქვეყნებში, რათა იქ მიეღო თანხმობა რუსეთის სამხედრო გემებისათვის სრუტეების გახსნის შესახებ. იზვოლსკი იყო ბერხტესგადენში, სადაც შეხვდა გერმანიის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანს შონს.

---

[1] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches. Bd. 3, S. 230—236.

[2] „Die Grosse Politik", Bd, XXVI, Teil I, № 9055, S. 191—192.

[3] История дипломатии, т. II, стр. 190—191.

გერმანიის წარმომადგენელმა იზვოლსკის მიერ დასმული საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში მოითხოვა კონპენსაცია გერმანიისათვის [1].

იზვოლსკი დეზიოში (იტალია) შეხვდა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიტონის. აქედან იგი პარიზში გაემგზავრა. 6 ოქტომბერს კი ავსტრია-უნგრეთმა მოახდინა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია [2]. ასე დააყენა ავსტრია-უნგრეთმა მომხდარი ფაქტის წინაშე მსოფლიო. ერენტალმა მიიღო ის, რაც მას აინტერესებდა, ხოლო იზვოლსკის წინადადება სრუტეების რეჟიმის შესახებ ჯერ კიდევ გადაუჭრელი რჩებოდა.

ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსიამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სერბეთში. სერბეთში ანტიავსტრიულ მოძრაობას სამხედრო მზადყოფნით უპასუხეს ავსტრია-უნგრეთში.

პარიზში იზვოლსკის მოგზაურობას შედეგი არ მოჰყოლია. საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიშონმა სრუტეების რეჟიმის შეცვლისათვის აუცილებელ პირობად გამოაცხადა ინგლისის მთავრობის თანხმობა [3].

პარიზიდან იზვოლსკი ლონდონში გაემგზავრა, მაგრამ არც ამ მოგზაურობას მოჰყვა რაიმე შედეგი. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ გრეიმ იზვოლსკისთან საუბარში განაცხადა, რომ სრუტეების რეჟიმი შეიძლება გადაისინჯოს, მაგრამ ჯერჯერობით ამ საკითხის გადაჭრა ნაადრევიაო. ამასთანავე, გრეიმ მიუთითა ინგლისის საზოგადოებრიობის უკმაყოფილებაზე რუსეთის პოლიტიკით ირანში.

ასე ჩაიშალა იზვოლსკის გეგმა, ხოლო ავსტრია-უნგრეთმა, დაარღვია რა ბერლინის ტრაქტატი, მოახდინა ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია. ავსტრია-უნგრეთის ამ ნაბიჯმა განსაკუთრებით გაამწვავა მისი ურთიერთობა სერბეთთან. ასეთ შემთხვევაში

---

[1] „Die Grosse Politik", Bd. XXVI, Teil I, № 8935, S. 40—41.

[2] Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches. Bd. 3, S. 236—237.

[3] ბოსნიის კრიზისის პერიოდში (1908—1909 წწ.) რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ ამასწინათ გამოქვეყნდა ლ. ნეიმანის შესანიშნავი გამოკვლევა. იხ. Л. А. Нейман, франко-русские отношения во время Боснийского кризиса (1908—1909 гг.). В кн.: французский Ежегодник 1958 г. АН СССР. М. 1959, стр. 375—407.

რუსეთი გამოდიოდა სერბეთის, ხოლო გერმანია—ავსტრია-უნგრეთის მხარეზე. გერმანიაში კარგად იცოდნენ, რომ, თუ ავსტრია-უნგრეთთან და გერმანიასთან რუსეთი ომში ჩაებმებოდა, მაშინ საფრანგეთი გამოვიდოდა რუსეთის მხარეზე. ასეთი შემთხვევისათვის გერმანიის გენერალურ შტაბში ადგენდნენ რუსეთ-საფრანგეთ-სერბეთის წინაალმდეგ საომარ გეგმებს.

მაგრამ 1909 წლის 22 მარტს რუსეთმა, ხოლო 31 მარტს სერბეთმა ცნეს ავსტრია-უნგრეთის მიერ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის ანექსია. ვენასა და ბერლინში გამარჯვებას ზეიმობდნენ.

ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის მოქმედებამ ვერ შეამცირა რუსეთის გავლენა ბალკანეთში. სერბეთი მაინც მხარდაჭერას ეძებდა რუსეთში და მის მოკავშირე საფრანგეთში. იზრდებოდა რუსეთ-გერმანიის წინაალმდეგობა.

1909 წლის ოქტომბერში რაკონიჯში (იტალია) ერთმანეთს შეხვდნენ ნიკოლოზ II და იტალიის მეფე ვიქტორ-ემანუილ III. მათ ახლდათ საგარეო საქმეთა მინისტრები — იზვოლსკი და ტიტონი. 11 ოქტომბერს საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის ნოტების გაცვლა გამოცვლის სახით მოხდა შეთანხმება, რომლის მიხედვით: 1. ორივე მხარე თანახმა იყო დაეცვა ბალკანეთში სტატუს ქვო; 2. ბალკანეთში საკითხების გადაჭრის დროს უნდა დაეცვათ ნაციონალური პრინციპი; 3. ბალკანეთის საკითხებში ორივე მხარის დიპლომატიას ერთად უნდა ემოქმედა; 4. იტალია ვალდებულებას კისრულობდა პატივი ეცა რუსეთის ინტერესებისათვის შავი ზღვის სრუტეების საკითხში, ხოლო რუსეთი — კისრულობდა პატივი ეცა იტალიის ინტერესებისათვის ტრიპოლიტანიასა და კირენაიკის საკითხში[1].

რაკონიჯის შეთანხმება საიდუმლო იყო და არ შეიძლებოდა მის შესახებ სცოდნოდა მესამე სახელმწიფოს ორივე მხარის თანხმობის გარეშე. ეს იყო სამთა კავშირისაგან იტალიის ჩამოცილების ერთ-ერთი ნიშანი. რაკონიჯის შეთანხმება იყო რუსეთის დიპლომატიის რევანში ავსტრია-უნგრეთისა და გერმანიის მიმართ.

1911 წლის შუა რიცხვებში კვლავ გართულდა საფრანგეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობა. გართულების მიზეზი ისევ

---

[1] Ю. Ключников и А. Сабанин. Указ. сб., стр. 337; Сб. договоров России с другими государствами 1856 — 1917 гг., стр. 402—404.

მაროკო იყო. საფრანგეთის მთავრობა აგრძელებდა მაროკოს დაპყრობას. 1911 წლის გაზაფხულზე საფრანგეთის ჯარებმა დაიკავეს თითქმის მთელი მაროკო. რჩებოდა მხოლოდ დედაქალაქი ფეცი და ქალაქები მეკნესი და რაბატი. მაროკოს სულთანი მულაი-ჰაფიდი საფრანგეთზე ფინანსურად დამოკიდებული გახდა. ამავე დროს ადგილი ჰქონდა მულაი ჰაფიდსა და მის ძმას აბდულ აზიზს შორის ბრძოლას[1]. 27 აპრილს მულაი ჰაფიდმა სთხოვა საფრანგეთს მიეღო ზომები მაროკოში მოსალოდნელი გამოსვლების წინააღმდეგ. საფრანგეთის მთავრობამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება: 21 მაისს საფრანგეთის ჯარები შევიდნენ ფეცში, 8 ივნისს—მეკნესში და რამდენიმე კვირის შემდეგ—რაბატში.

მაროკოში საფრანგეთის ყოველ ნაბიჯს თვალყურს ადევნებდნენ ბერლინის მმართველი წრეები[2]. ვიდრე საფრანგეთი ზემოხსენებულ ქალაქებს დაიკავებდა, გერმანიამ კიდევ ერთხელ მოითხოვა კომპენსაცია საფრანგეთისაგან. გერმანიას სურდა მიეღო რამდენიმე ნავსადგური ატლანტის სანაპიროზე, მაგალითად, აგადირი. საფრანგეთი აჭიანურებდა პასუხს. მაშინ გერმანია გადავიდა აქტიურ მოქმედებაზე.

1911 წლის 1 ივლისს გერმანიის სამხედრო გემი „პანტერა" მოულოდნელად გამოჩნდა აგადირში და დადგა მის ნავსადგურში. ამ ამბავმა საფრანგეთში გერმანიის ელჩის შონის ცნობით პარიზში[3] განგაში გამოიწვია. გერმანიის ამ ნაბიჯმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა ინგლისშიც. 5 ივლისს ინგლისის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გადაწყდა დაეცადათ გერმანიის ზუსტი გეგმების შესახებ ცნობების მიღებამდე. მაგრამ, ლონდონში გერმანიის ელჩის პ. მეტერნიხის ცნობით, ინგლისმა მტკიცე პოზიცია დაიკავა აგადირის კრიზისის მიმართ[4].

21 ივლისს ინგლისის მთავრობის წევრმა ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: თუ გერმანიას სურს ომი, იგი იპოვის დიდ ბრიტანეთს მოწინააღმდეგე მხარეზე. პრემიერ-მინისტრმა

---

[1] British Documents on the Origins of the War, 1898—1914. Vol. VII. The Agadir Crisis. London, 1932, p. 110; B. E. Schmitt. Op. cit. p. 67.

[2] იხ. გერმანიის კანცლერის ბეთმან ჰოლვეგის ჩანაწერი 1911 წლის 23 მაისს. Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches. Bd. 3, S. 633—635.

[3] Ibid., S. 645—648.

[4] Ibid., S. 669—673.

ასკვიტმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ გრეიმ მოიწონეს ლოიდ ჯორჯის ეს სიტყვები[1]. ლოიდ ჯორჯის ზემოხსენებული სიტყვები ინგლისის თითქმის ყველა გაზეთმა დაბეჭდა[2].

რუსეთის ელჩი პარიზში იზვოლსკი ატყობინებდა პეტერბურგში ნერატოვს, რომ საფრანგეთსა და ინგლისს შორის არსებობს შეთანხმება დახმარების შესახებ საფრანგეთ-გერმანიის ომისშემთხვევაშიო[3].

ბერლინში მალე დარწმუნდნენ ინგლისის მტკიცე პოზიციაში. გერმანიის მთავრობა იძულებული გახდა უკან დაეხია. დაიწყო მოლაპარაკება ბერლინში სახელმწიფო მდივან კიდერლენ-ვეხტერსა და საფრანგეთის ელჩ ჟიულ კამბონს შორის. 1911 წლის 4 ნოემბერს ხელმოწერილ იქნა გერმანია-საფრანგეთის შეთანხმება. გერმანიამ დასტოვა აგადირი; მან ფორმალურად ცნო საფრანგეთის პროტექტორატი მაროკოზე. გერმანიამ კომპენსაციის სახით მიიღო კონგოს ნაწილი, რომელიც ეკვროდა გერმანიის კოლონიას კამერუნს[4].

რუსეთი შეეცადა გამოეყენებინა შექმნილი ვითარება თავის სასარგებლოდ. იგი ცდილობდა იტალია-თურქეთის ურთიერთობის გართულების პერიოდში მოეგვარებინა სრუტეების საკითხი, მაგრამ მისი ცდა მარცხით დამთავრდა[5].

---

[1] Акад. Е. Тарле.. Сочинения, т. V. стр. 194.

[2] British Documents on the Origins of the War, 1898—1914. vol. VII, p. 413; Die Auswärtige Politik des Deutschen Reiches. Bd. 3. S. 673.

[3] Международные отношения в эпоху империализма, серия II, т. XVIII, ч. II, стр. 36—37.

[4] British Documents, vol. VII, p. 499.

[5] 1969 წლის სექტემბერში იტალიამ დაიწყო ომი თურქეთის წინააღმდეგ, რათა წაერთმია თურქეთისათვის ტრიპოლი და კირენაიკა. რუსეთი შეეცადა გამოეყენებინა თურქეთ-იტალიის ომი თავის სასარგებლოდ—აეძულებინა თურქეთი გაეხსნა შავი ზღვის სრუტეები რუსეთის სამხედრო გემებისათვის. (Международные отношения в эпоху империализма, Серия II, т. XVIII, ч· II, стр. 75—76). 1911 წლის ოქტომბერში რუსეთის ელჩმა კონსტანტინეპოლში ჩარიკოვმა თავისი მთავრობის დავალებით დაიწყო მოლაპარაკება თურქეთის მთავრობასთან. მაგრამ ინგლისმა და საფრანგეთმა საჭირო დახმარება არ აღმოუჩინეს რუსეთს, საფრანგეთის მთავრობა მიუთითებდა ინგლისის მთავრობის თანხმობის აუცილებლობაზე, ხოლო ედუარდ გრეი კი მიესალმებოდა რუსეთ-თურქეთის დაახლოებას და წინააღმდეგი არ იყო შავი ზღვის სრუტეების გახსნისა სამხედრო გემებისათვის, მაგრამ არა მარტო რუსეთის სამხედრო გემებისათვის, არამედ სხვა ქვეყნების სამხედრო გემებისათვისაც. ეს კი რუსეთს არ აწყობდა. ასე ჩაიშალა ჩარიკოვის მისია.

1912 წლის 16 ივლისს რუსეთსა და საფრანგეთს შორის ხელმოწერილ იქნა სამხედრო-საზღვაო კონვენცია [1], რომლის საფუძველზე ორივე მხარე შეთანხმდნენ: 1. რუსეთისა და საფრანგეთის საზღვაო ძალები იმოქმედებდნენ ერთად ყველა შემთხვევაში, რომელიც გათვალისწინებული იყო მათი სახმელეთო ჯარების მოქმედებისათვის; 2. საზღვაო ძალების ერთიანი მოქმედების გეგმა უნდა შედგენილიყო ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს. ამ მიზნით ორივე ქვეყნის საზღვაო ფლოტის სარდლები დაუყოვნებლივ უნდა დაკავშირებოდნენ ერთმანეთს. დაეწყოთ აზრთა გაცვლა-გამოცვლა, შეესწავლათ ომის ყველა შესაძლებლობა და შეეთანხმებინათ თავიანთი სტრატეგიული მოსაზრებები; 3. ორივე ქვეყნის საზღვაო ფლოტის შტაბის უფროსები პირადად უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს ერთხელ მაინც წელიწადში, მათი თათბირის დროს ოქმი უნდა შედგენილიყო; 4. ეს შეთანხმება მისი ვადის მოქმედებისა და საიდუმლოების მიხედვით ისეთივეა, როგორიც იყო 1892 წლის 17 აგვისტოს სამხედრო კონვენცია და შემდგომი შეთანხმებები.

სამხედრო საზღვაო კონვენციას ხელს აწერდნენ საფრანგეთის საზღვაო გენერალური შტაბის უფროსი ს. ობერი, საზღვაო მინისტრი დელკასე, რუსეთის საზღვაო გენერალური შტაბის უფროსი თავადი ა. ლივენი და საზღვაო მინისტრი ი. გრიგოროვიჩი.

რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო კონვენციას დაერთო „დამატებითი კონვენცია ორივე ფლოტს შორის ცნობების გაცვლა-გამოცვლის შესახებ" [2]. ამ დამატებითი ნაწილის თანახმად, რუსეთისა და საფრანგეთის საზღვაო შტაბების უფროსებს 1912 წლის 14 სექტემბრიდან უნდა დაეწყოთ იმ ცნობების გაცვლა-გამოცვლა, რომლებიც შეეხებოდა მათი ფლოტების მდგომარეობას, და ამავე დროს რეგულარულად წერილობით უნდა მიეწოდებინათ ერთმანეთისათვის ყველა ის ცნობა, რომელთა მიღებას მხარეები შესძლებდნენ.

იტალია-თურქეთის ომმა დააჩქარა ბალკანეთის სახელმწიფოების ანტითურქული კოალიციის შექმნა. რუსეთის დიპლომატია მხარს უჭერდა ბალკანეთის სახელმწიფოების კოალიციის შექმნას. რუსეთს უნდოდა ამ გაერთიანების გამოყენება ბალკანეთში

[1] Ю. В. Ключников и А. Сабанин, Указ. сб., стр. 356; Сб. договоров России с другими государствами 1856—1917 гг., стр. 405—409; международные отношения в эпоху империализма. Серия II, т. XX, ч. I. стр. 297—298; Материалы по истории Франко-русских отношений за 1910—1914 гг. Сб. документов, М., 1922. стр. 232.

[2] Международные отношения в эпоху империализма, Серия II, том XX, ч. I, стр. 298.

ავსტრიისა და გერმანიის გავლენის წინააღმდეგ. პეტერბურგში იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ ბალკანეთის კავშირში შეეყვანათ თურქეთიც. მაგრამ ეს შეუძლებელი იყო თურქეთში გერმანიის ძლიერი გავლენისა და თურქეთსა და ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის დიდი წინააღმდეგობის არსებობის გამო.

სერბეთი რუსეთთან ერთად მზად იყო ემოქმედა ავსტრიის წინააღმდეგ, მაგრამ ბულგარეთსა და საბერძნეთს არ აწყობდათ მარტო ავსტრიის წინააღმდეგ გამოსვლა. მათთვის მთავარი იყო ბრძოლა თურქეთის წინააღმდეგ. ბალკანეთში დავას იწვევდა სერბეთს, ბულგარეთსა და საბერძნეთს შორის მაკედონიის გაყოფისა და ალბანეთის საკითხები. სერბეთს უნდოდა ალბანეთში გაბატონებულიყო, რათა ამ გზით გასულიყო ზღვაზე. ამას ეწინააღმდეგებოდა ავსტრია-უნგრეთი, რომელსაც მხარს უჭერდა იტალიაც.

1912 წლის 13 მარტს ხელმოწერილ იქნა სერბეთ-ბულგარეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და კავშირის შესახებ. სერბეთის პრემიერ-მინისტრი მილოვანოვიჩი ამ ხელშეკრულებას თვლიდა თურქეთის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის საფუძვლად[1]. პეტერბურგიდან ნერატოვი მიესალმებოდა ამ კავშირის შექმნას. მაგრამ იგი ამავე დროს აფრთხილებდა რუსეთის დესპანს სოფიაში ნეკლუდოვს იმის შესახებ, რომ არახელსაყრელ ვითარებაში ბალკანეთში კონფლიქტის გაჩაღებას შეეძლო გამოეწვია ავსტრია-უნგრეთის ჩარევა და ნაადრევად ევროპის ომის გაჩაღება[2].

ამ ხელშეკრულების თანახმად, სერბეთი და ბულგარეთი ვალდებულებას კისრულობდნენ დაეცვათ ერთმანეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ყველა მათ განკარგულებაში არსებული ძალებით მესამე სახელმწიფოს მხრიდან თავდასხმის შემთხვევაში.

1912 წლის 12 მაისს სერბეთმა და ბულგარეთმა ხელი მოაწერეს სამხედრო კონვენციას. საერთო ომის შემთხვევაში სერბეთს უნდა გამოეყვანა 150 ათასიანი, ხოლო ბულგარეთს—200 ათასიანი არმია.

იმავე წლის 29 მაისს საბერძნეთმა და ბულგარეთმა მოაწერეს ხელი ხელშეკრულებას. 5 ოქტომბერს მათ შორის დაიდო სამხედრო კონვენცია. ასე შეიქმნა ბალკანეთის კავშირი სერბეთის, ბულგარეთისა და საბერძნეთის შემადგენლობით.

---

[1] Международные отношения в эпоху империализма, Серия II, т. XVIII, ч. I, стр. 4.

[2] იქვე, ნაწ. 2, გვ. 71—72.

ბალკანეთის კავშირის შექმნას მხარს უჭერდნენ რუსეთი, საფრანგეთი და ინგლისი. რუსეთს არ სურდა ჯერჯერობით ომის დაწყება ბალკანეთში. მიუხედავად ამისა, 1912 წლის 9 ოქტომბერს თურქეთის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედება დაიწყო ჩერნოგორიამ. მალე თურქეთის წინააღმდეგ გამოვიდნენ სერბეთი, ბულგარეთი და საბერძნეთი. თურქეთის ჯარებმა მარცხი განიცადეს და თურქეთის მთავრობა იძულებული გახდა ზავი ეთხოვა. ავსტრია და რუსეთი სამარი მოქმედების შეწყვეტის მომხრე იყვნენ: ავსტრიას ეშინოდა ადრიატიკის ზღვაზე სერბეთის გასვლისა, რუსეთს—ბულგარეთის მიერ კონსტანტინეპოლის აღებისა.

1912 წლის დეკემბერში ლონდონში მოწვეულ იქნა საზავო კონფერენცია. 27 დეკემბერს აქ მიიღეს გადაწყვეტილება ალბანეთის ცალკე სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ. ალბანეთს უნდა გადაეკეტა ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელი გზა სერბეთისათვის.

ლონდონის კონფერენციაზე თავი იჩინა წინააღმდეგობამ. ამავე დროს თურქეთში მოხდა გადატრიალება; ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგნენ ახალგაზრდა თურქთა წარმომადგენლები. თურქეთის ახალმა მთავრობამ დაიკავა შეურიგებელი პოზიცია ბალკანეთის სახელმწიფოების მოთხოვნების მიმართ. თურქეთს გერმანიის მხარდაჭერის იმედი ჰქონდა. ამის გამო 1913 წლის 3 თებერვალს ბალკანეთის სახელმწიფოებმა განაახლეს საომარი მოქმედება თურქეთის წინააღმდეგ. თურქეთი ისევ ჩქარა დამარცხდა, 30 მაისს ხელმოწერილ იქნა ზავი თურქეთსა და ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის.

ახლა წინააღმდეგობამ თავი იჩინა თვით ბალკანეთის სახელმწიფოებს შორის[1], რასაც 1913 წლის ივნისში მოჰყვა ბალკანეთის მეორე ომი: ბულგარეთმა ომი დაიწყო სერბეთისა და საბერძნეთის წინააღმდეგ, რუმინეთმა და თურქეთმა — ბულგარეთის წინააღმდეგ. ომი დამთავრდა ბუქარესტის ზავით 1913 წლის აგვისტოში.

ამრიგად, ბალკანეთის ორი ომის შემდეგ ბალკანეთის რაიონში ძალთა თანაფარდობა იყო ასეთი: ერთ მხარეზე იყვნენ სერბეთი, საბერძნეთი და რუმინეთი; მათ ზურგს უკან იდგა ან-

---

[1] სერბეთმა ვერ მიიღო გასასვლელი ზღვაზე. ამით უკმაყოფილო სერბეთის მმართველი წრეები ცდილობდნენ სამაგიეროდ მაკედონიის ნაწილის მიღებას. საბერძნეთსაც სურდა თავისი ტერიტორიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ბულგარეთის ხარჯზე, კერძოდ, სამხრეთი მაკედონიისა და თრაკიის ხარჯზე. ბულგარეთს ტერიტორიულ პრეტენზიებს უყენებდნენ რუმინეთი და თურქეთიც.

ტანტა. მეორე მხარეზე — ბულგარეთი და თურქეთი, რომელთაც მხარს უჭერდა სამთა კავშირი.

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისი და რუსეთი ერთ კავშირში შედიოდნენ, ინგლისს არ უნდოდა მაინც რუსეთი განმტკიცებულიყო კონსტანტინეპოლისა და სრუტეების რაიონში. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ გრეი იმ აზრისა იყო, რომ, თუ ოტომანის იმპერია დაიშლებოდა, კონსტანტინეპოლი თავისუფალ ქალაქად უნდა გამოცხადებულიყო. მაგრამ ეს რუსეთს არ აწყობდა.

საფრანგეთის მმართველმა წრეებმა (კერძოდ პუანკარემ) კარგად იცოდნენ, რომ, თუ საფრანგეთი ინგლისს დაუჭერდა მხარს, მაშინ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი დაიშლებოდა, მაგრამ ამავე დროს არც პუანკარეს უნდოდა რუსეთი დაუფლებოდა კონსტანტინეპოლს და სრუტეებს.

გერმანია აშკარად ემზადებოდა ომისათვის. 1913 წლის მარტში გერმანიის რაიხსტაგმა დაამტკიცა კოლოსალური თანხები სამხედრო ხარჯებისათვის.

გერმანიის ამ სამხედრო ღონისძიებას საფრანგეთში მაშინათვე უპასუხეს.

საფრანგეთმა დააყენა საკითხი მისი მოკავშირის — რუსეთის წინაშე ამ უკანასკნელის არმიის გაზრდის, მისი მობილიზაციის ვადისა და საომარი მოქმედების დაწყების დაჩქარების შესახებ. რუსეთის არმიას მთავარი დარტყმა უნდა ეწარმოებინა გერმანიის მიმართულებით. საფრანგეთის სარდლობამ ასევე მოითხოვა რუსეთში სტრატეგიული მნიშვნელობის რკინიგზების გაყვანის დაჩქარება.

1912—1913 წწ. რუსეთისა და საფრანგეთის არმიების შტაბების უფროსების თათბირზე წარმოდგენილ იქნა რუსეთში სტრატეგიული მნიშვნელობის რკინიგზების გაყვანის გეგმა. გათვალისწინებული იყო ახალი რკინიგზების გაყვანა ბრიანსკ-გომელ-ჟდანკას, ორიოლ-ბრესტ-ლიტოვსკის, სედლეც-ვარშავის, ბატრაკიპენზა-რიჟსკის, როვნო-სარნისა და სხვ. მიმართულებით. ამ ღონისძიების გასატარებლად საფრანგეთი კრედიტებს აწვდიდა რუსეთს.

1909—1913 წწ. რუსეთი გაძლიერებით ემზადებოდა ომისათვის. სამხედრო საზღვაო ფლოტის გაძლიერებისათვის რუსეთში ასიგნებულ იქნა 1908 წელს 36 მილ. მანეთი, 1909 წელს — 34,5 მილ. მან., 1910 წელს — 49,1 მილ. მან.; 1912 წელს — 113,7 მილ.

მან., ე. ი. 4 წლის განმავლობაში იგი გაიზარდა 3-ჯერ და უფრო მეტად [1].

გარდა ამისა, ნავსადგურების მშენებლობისათვის 1912 წელს ასიგნებულ იქნა 90 მილ. მანეთი, ხოლო ძველი ნავსადგურების (პეტერბურგი, ლიბავა, ოდესა, ნიკოლაევსკი და სხვ.) შესაკეთებლად — 33 მილ. მან.

1911—1913 წწ. რუსეთში იარაღის ყველა ქარხანა წელიწადში ამზადებდა 625 ათას შაშხანას. გეგმით გათვალისწინებული იყო 1914 წლისათვის შაშხანების რიცხვის აყვანა 4 მილიონამდე, რაც საკმარისად მიაჩნდათ, თუმცა ომის პირველ წელსვე საჭირო გახდა 8 მილ. შაშხანა.

უარესი მდგომარეობა იყო ვაზნების დამზადების დარგში. 1912 წელს მისი დამზადება აყვანილ იქნა 600 მილ. ცალამდე წელიწადში, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი.

1909—1913 წწ. საფრანგეთში სამრეწველო პროდუქცია მნიშვნელოვნად გაიზარდა. ასე, მაგალითად: თუჯის წარმოება გაიზარდა 3574 ათას ტონიდან 5207 ათას ტონამდე, ფოლადის პროდუქცია—3040 ათასი ტონიდან 4690 ათას ტონამდე, ე. ი. 54%-ით. მაგრამ საფრანგეთი მაინც ჩამორჩებოდა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს. მაგალითად, 1913 წელს გერმანიაში ფოლადისა და თუჯის წარმოება თითქმის 4-ჯერ მეტი იყო, ვიდრე საფრანგეთში [2].

საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეები შეშინებული იყვნენ რევოლუციური მოძრაობის ზრდით. ისინი ეძებდნენ „მტკიცე ხელს" ხელისუფლების სათავეში დასაყენებლად, რათა ბოლო მოეღოთ რევოლუციური მოძრაობისათვის. ამას მოითხოვდა ომისათვის მზადების საჭიროებაც. ხოლო ომის საკითხი კი ბალკანეთის ომებისა და მაროკოს მეორე კრიზისის შემდეგ გახდა უახლოესი მომავლის საკითხი საფრანგეთში.

ასეთ ვითარებაში 1912 წლის 14 იანვარს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის პოსტი დაიკავა ზომიერი რესპუბლიკელების უკიდურესმა მემარჯვენე წარმომადგენელმა რაიმონდ პუანკარემ. საფრანგეთის ბურჟუაზიული წრეები პუანკარეს იცნობდნენ ისეთ ადამიანად, რომლის მიზანი იყო ბურჟუაზიის ყველა ძალის — კლერიკალებიდან რადიკალებამდე—გაერთიანება ქვეყნის მზარდი

---

[1] П. И. Лященко, История народного хозяйства СССР, т. II, стр. 583.

[2] Мировые экономические кризисы 1848—1935 гг., т. I, стр. 333.

რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. პუანკარე სასურველი პიროვნება იყო საფრანგეთის ბურჟუაზიისათვის, ვინაიდან იგი მზად იყო ქვეყნის მთელი ძალები მიემართა ომისათვის მზადებისაკენ.

პრეზიდენტმა ფალიერმა როცა პუანკარე მთავრობის მეთაურად მიიწვია, პუანკარე 52 წლის იყო. იგი მოქნილი ჭკუის პატრონი და ფრთხილი იყო, მაგრამ გაბედული კრიტიკულ მომენტში, გულგრილი და კარგი მოლაპარაკე. პუანკარე მოხერხებულად იყენებდა პარტიებს შორის ურთიერთობას.

პუანკარემ თავის პროგრამაში როდი დააყენა მთავარ საკითხად ომისათვის მზადების საკითხი. იგი ფარულად მოქმედებდა. პუანკარე თავის გამოსვლებში ლაპარაკობდა მშვიდობაზე, მაგრამ რა უნდა ექნა საფრანგეთს, თუ ომი გარდუვალი გახდებოდა? — ამბობდა პუანკარე. მისი აზრით, საფრანგეთისათვის საჭირო იყო შეიარაღებული ძალები გაეზარდა და მოკავშირეები ჰყოლოდა.

პუანკარეს ბიძაშვილმა, ცნობილმა მათემატიკოსმა ანრი პუანკარემ, როცა გაიგო, რომ რაიმონდ პუანკარე საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი გახდა, წამოიძახა: „როგორ? ჩემი ბიძაშვილი— ეს ხომ ომია?“ [1] აქედან წარმოიშვა მისი ზედმეტი სახელი—„პუანკარე—ომი“ [2].

პუანკარე რუსეთ-საფრანგეთის კავშირის მომხრე იყო და მხარს უჭერდა მის განმტკიცებას. ასეთივე აზრი გამოთქვა მან, როცა თავისი მთავრობის შექმნის მეორე დღესვე, 15 იანვარს, ინახულა რუსეთის ელჩი პარიზში იზვოლსკი.

1912 წლის აგვისტოში პუანკარემ იმოგზაურა პეტერბურგში, სადაც მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. საზონოვის სიტყვით, „პუანკარეს სახით რუსეთს ჰყავდა ერთგული და საიმედო მეგობარი“.

1913 წლის იანვარში რაიმონდ პუანკარე საფრანგეთის პრეზიდენტად აირჩიეს. ეს გარემოება მას საშუალებას აძლევდა უფრო მეტი ზეგავლენა მოეხდინა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე.

რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური წრეები აღფრთოვანებით შეხვდნენ საფრანგეთში პუანკარეს პრეზიდენტად არჩევას. ეს ერთხელ კიდევ ცხადჰყოფდა რუსეთისა და საფრანგეთის მმართველი წრეების აზრების ერთიანობას.

---

[1] „Comment, mon cousin—c'est donc la guerre?“.

[2] „Poincaré—la Guerre“.

ვ. ი. ლენინმა 1913 წლის იანვარს სპეციალური სტატია მიუძღვნა პუანკარეს პრეზიდენტად არჩევას[1]. პუანკარეს არეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინი სამ გარემოებას უსვამდა ხაზს. „ჯერ-ერთი,—წერდა ვ. ი. ლენინი,—პუანკარეს არჩევა ნიშნავს კიდევ ერთ ნაბიჯს წინ იმ კლასობრივი ომის გამწვავებაში, რომელიც საფრანგეთს მოელის". პუანკარე პრემიერ-მინისტრი გახდა მაშინ, როდესაც პარლამენტში უმრავლესობა რადიკალები იყვნენ. მაგრამ პრეზიდენტად იგი აირჩიეს რადიკალების კანდიდატის პამსის წინააღმდეგ. პუანკარე არჩეულ იქნა კლერიკალურ-ფეოდალური რეაქციონერების დახმარებით, მაშასადამე, არჩეულ იქნა მემარჯვენე ბლოკის მიერ. ეს იმას ნიშნავდა, რომ საფრანგეთში ხელისუფლების სათავეში იდგა ბურჟუაზიული რადიკალების პარტია. ამ დროისათვის საზღვარი რეაქციონერებსა და რადიკალებს შორის სულ უფრო იშლებოდა. მთელ ბურჟუაზიასთან ერთად რადიკალებიც იბრძოდნენ მუშათა კლასის წინააღმდეგ. რეაქციული ძალების ასეთი დარაზმვა, როგორსაც ადგილი ჰქონდა პუანკარეს არჩევის დროს, აშკარად მიუთითებდა ომის წინანდელ საფრანგეთში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებაზე.

„მეორე,—წერდა ვ. ი. ლენინი,—საგულისხმოა პუანკარეს კარიერა—ტიპიური კარიერა ბურჟუაზიული მოსაქმისა, რომელიც რიგრიგობით მიეყიდება ხოლმე ყველა პარტიას პოლიტიკაში და ყველა მდიდარს პოლიტიკის «გარეშე»[2].

პროფესიით რაიმონდ პუანკარე 20 წლის ასაკიდან ადვოკატი იყო, 26 წლისა—უკვე კაბინეტის უფროსი, 33 წლის—მინისტრი. ასეთი პოლიტიკური კარიერისტების მიმართ ვ. ი. ლენინი წერდა: «ბრწყინვალე» ადვოკატი-დეპუტატი — პოლიტიკური გაიძვერა...

მესამე,—აგრძელებდა ვ. ი. ლენინი,—საგულისხმოა საფრანგეთის სოციალისტების დემონსტრაცია პუანკარეს არჩევის დროს. ვალიანისათვის ხმის მიცემა დემონსტრაცია იყო კომუნის პატივსაცემად. ვალიანი კომუნის ცოცხალი ხსოვნაა. საკმარისია თუნდაც ერთხელ ნახო, როგორ ხვდებიან პარიზის მუშები სპეტაკი ჭაღარით მოსილი ვალიანის გამოჩენას ტრიბუნაზე, რომ მიხვდე ამას... მუშათა კლასის დეპუტატებმა ხმა მისცეს ძველ კომუნარს"[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ.. ტ. 18, გვ. 591—593.
[2] იქვე, გვ. 592.
[3] იქვე, გვ. 592—593.

პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში ყველა იმპერიალისტური ქვეყანა ემზადებოდა ომისათვის, მათ შორის რუსეთი და საფრანგეთიც. საფრანგეთში ომისათვის მზადების საქმეში დიდი როლი შეასრულა რაიმონდ პუანკარემ. მან ენერგიულად მოკიდა ხელი ამ საქმეს. 1913 წელს მიღებულ იქნა კანონი არმიაში ორი წლის ნაცვლად სამწლიანი სამსახურის შესახებ. ეს იყო პასუხი იმ სამხედრო ღონისძიებებისა, რომლებიც გერმანიაში და ავსტრია-უნგრეთში გაატარეს. რუსეთ-საფრანგეთის კავშირი სულ უფრო მტკიცდებოდა. 1914 წლის 25 ივნისს დეპუტატთა პალატაში საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ვივიანმა რუსეთ-საფრანგეთის კავშირს „შეურყეველი" კავშირი უწოდა [1].

პუანკარე ცდილობდა ისეთ მჭიდრო კავშირში ყოფილიყო რუსეთთან, რომ ამ უკანასკნელს საფრანგეთის გარეშე არ გადაედგა არც ერთი ნაბიჯი საგარეო პოლიტიკაში. პუანკარე წინააღმდეგი იყო რუსეთის ინიციატივით ბალკანეთის კავშირის შექმნისა და ნიკოლოზ II და ვილჰელმ II შეხვედრებისა. ერთხელ პუანკარემ განაცხადა: „ჩვენ იძულებული ვართ წინდაწინ მოვითხოვოთ ოფიციალური დაპირება, რომ არავითარი პოლიტიკური საკითხი — იქნება ის აღმოსავლეთის შესახებ, თუ სხვა რომელიმე საკითხი — არ იქნება დასმული ჩვენს გარეშე" [2].

პუანკარე მოითხოვდა, რომ ბოლო მოღებოდა სეპარატულ წოლაპარაკებებს გერმანიასთან როგორც რუსეთის, ისე ინგლისის მხრიდანაც.

პუანკარემ ზოგიერთი ცვლილებაც შეიტანა რუსეთ-საფრანგეთის სამოკავშირეო შეთანხმებაში. როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, რუსეთ-საფრანგეთის კავშირი ითვალისწინებდა საფრანგეთის დახმარებას რუსეთისადმი იმ შემთხვევაში, თუ რუსეთს თავს დაესხმოდა გერმანია ან ავსტრია. მაგრამ თუ ამ ქვეყნებთან ომი დაიწყებოდა რუსეთის მოქმედებით? ამის შესახებ საფრანგეთის მმართველი წრეები არაფერს ამბობდნენ. პუანკარემ კი, როცა ის ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგა, განაცხადა, რომ ის ამ შემთხვევაშიაც კი მზად იყო დახმარებოდა რუსეთს.

საფრანგეთის მმართველი წრეები პუანკარეს მეთაურობით, თავის მხრივ, სწრაფად ემზადებოდნენ ომისათვის. ამასვე მოით-

---

[1] Международные отношения в эпоху империализма, Серия III, т. IV, стр. 174.

[2] „Doc. Dipl. Fr." 3-ème série, t. III, doc. № 72, p.

ხოვდნენ ისინი რუსეთისაგან და ამ მიზნით აძლევდნენ ამ უკანასკნელს დიდძალ სესხს.

საფრანგეთის მოწინავე საზოგადოება გმობდა ამ იმპერიალისტური წრეების პოლიტიკას, ომისათვის მზადების პოლიტიკას და მიუთითებდა, რომ ომი დამღუპველია კაცობრიობისათვის, იგი აფერხებს საზოგადოების განვითარებას. ჟან ჟორესი წერდა: „მშვიდობა ევროპაში აუცილებელია კაცობრიობის პროგრესის ინტერესებისათვის"[1].

საფრანგეთის მთავრობა სასტიკ ზომებს ღებულობდა ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც მას ხელს უშლიდა ომისათვის მზადების საქმეში. ომის წინააღმდეგ ერთ-ერთი თავგამოდებული მებრძოლი ჟან ჟორესი, რომელიც ხშირად სიტყვებითა და სტატიებით გამოდიოდა ომისათვის მზადებისა და მისი გაჩაღების წინააღმდეგ, იმპერიალიზმის აგენტებმა მოკლეს 1914 წლის 31 ივლისს. იმავე წლის 3 აგვისტოს კი საფრანგეთი პირველ მსოფლიო იმპერიალისტურ ომში ჩაება.

ამრიგად, ვაჯამებთ რა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედსა და XX საუკუნის დასაწყისში, ჩვენ მივდივართ შემდეგ დასკვნამდე:

საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა. ამ ომში საფრანგეთი დამარცხდა. შეიქმნა გერმანიის იმპერია. დამთავრდა იტალიის გაერთიანება.

ფრანკფურტის ზავმა ვერ მოაგვარა სადავო საკითხები გერმანიასა და საფრანგეთს შორის. პირიქით, მან კიდევ უფრო გაამწვავა წინააღმდეგობა ამ ორ ქვეყანას შორის. გერმანია სწრაფი ტემპით ძლიერდებოდა. იგი საშიშროებას უქმნიდა როგორც საფრანგეთს, ისე რუსეთსაც. გერმანიის იმპერიის შექმნის შემდეგ ევროპაში დამყარდა „შეიარაღებული" მშვიდობა. საფრანგეთს ახალი თავდასხმა მოელოდა მილიტარისტული გერმანიისაგან. გერმანიის ახალი აგრესიისაგან თავდაცვისათვის აუცილებელი იყო საფრანგეთის გაძლიერება და მძლავრი მოკავშირეც. იმ თავითვე საფრანგეთის მოკავშირე შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ რუსეთი.

საარქივო და დოკუმენტური მასალა ცხადჰყოფს, რომ საკითხი რუსეთ-საფრანგეთის დაახლოვების შესახებ დაისვა ჯერ

---

[1] J. Jaures. Textes Choisis t. I. Contre la guerre et la politique coloniale. Paris, 1959, p. 131.

კიდევ ფრანკფურტის საზავო ხელშეკრულების დადების მომენტიდან. მაგრამ უშუალოდ კავშირის დადებისათვის ნიადაგის მომზადება ორი ათეული წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. რუსეთ-საფრანგეთის კავშირისათვის უშუალო მზადება დაიწყო 1887 წლიდან. რუსეთ-საფრანგეთის კავშირის საფუძველი უნდა ვეძიოთ იმ ახალ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ევროპაში საფრანგეთ-პრუსიის ომის შედეგად (ფრანკფურტის ზავი, ბისმარკის ანტიფრანგული ინტრიგები, გერმანიის მილიტარიზმის ზრდა და ომის განუწყვეტელი საშიშროება გერმანიის მხრიდან, გერმანია-ავსტრიის აგრესიული კავშირის შექმნა, რუსეთ-გერმანიის ანტაგონიზმის გაშლა, რუსეთ-საფრანგეთის ფინანსური ურთიერთობის განმტკიცება, გერმანიის მიერ რუსეთთან „გადაზღვევის" ხელშეკრულების განახლებაზე უარის თქმა 1890 წელს და სხვ.).

რუსეთ-საფრანგეთის კავშირის დადებით უფრო დაინტერესებული იყო საფრანგეთი, ვიდრე მეფის რუსეთი. მას უფრო სჭირდებოდა მოკავშირე, ვიდრე რუსეთს. ამიტომაც სათანადო ინიციატივა საფრანგეთის მხრიდან გამომდინარეობდა. მაგრამ გერმანიის იმპერიის შექმნა, მისი აგრესიული გეგმები ასევე საფრთხეს უქმნიდა მეფის რუსეთსაც. რუსეთ-გერმანიის ურთიერთობა სწრაფად უარესდებოდა კაპრივის მთავრობის მიერ „გადაზღვევის" ხელშეკრულების განახლებაზე უარის თქმის შემდეგ. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში გერმანიის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შესაქმნელად თვით რუსეთის სამეფო კარიც დაინტერესებული იყო საფრანგეთთან კავშირის დადებით.

გერმანია-ავსტრიის კავშირს, რომელიც 1879 წლიდან არსებობდა, არ შეიძლებოდა არ გამოეწვია კავშირის შექმნა იმ ქვეყნებს შორის, რომელთა წინააღმდეგაც გერმანია-ავსტრიის კავშირი იყო მიმართული. სამთა კავშირის, განსაკუთრებით კი გერმანიის აგრესიული გეგმების ჩაშლის საჭიროებამ, გერმანიის მიერ საფრანგეთისა და რუსეთის იზოლირებული მდგომარეობის გამოყენების შესაძლებლობის გამორიცხვამ წამოაყენა რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნის საჭიროება.

რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნა განაპირობა: გერმანიის მეთაურობით გერმანია-ავსტრია-იტალიის აგრესიული ბლოკის შექმნამ და რუსეთ-საფრანგეთის მისწრაფებამ ევროპაში ამ ბლოკის შექმნით დარღვეული თანაფარდობის აღდგენისაკენ; აგრესიის საშიშროებამ გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მხრიდან; საფრანგეთ-ინგლისისა და რუსეთ-ინგლისის წინააღმდეგობების არსებობის შემთხვევაში ინგლისზე ზეგავლენის მოხდენის საჭირო-

ბამ, რათა იგი არ დაახლოებოდა სამთა კავშირს; რუსეთსა და საფრანგეთს შორის უმნიშვნელო წინააღმდეგობამ და რუსეთ-საფრანგეთის მმართველი წრეების მისწრაფებამ, მათი კავშირი საკუთარი იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად გამოეყენებინათ. რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო პოლიტიკური კავშირის შექმნაში სერიოზული როლი შეასრულა ამ ორი ქვეყნის ეკონომიურმა დაახლოვებამ, რომელიც 80-იანი წლებიდან დაიწყო.

ბურჟუაზიულ საფრანგეთსა და მეფის რუსეთს შორის დადებული სამხედრო-პოლიტიკური კავშირი ამ ქვეყნების მმართველი წრეების მიერ გამოყენებულ იქნა იმპერიალისტური მიზნებისათვის. ამიტომ რუსეთ-საფრანგეთის კავშირი წარმოადგენდა ომის კავშირს, ახალ ეტაპს 1914—1918 წწ. იმპერიალისტური ომის მომზადების საქმეში., იგი იყო პირველი ნიშანსვეტი ანტანტის შექმნის გზაზე.

რუსეთ-საფრანგეთის კავშირის შექმნა — ეს იყო გერმანიის იმპერიალიზმის პოლიტიკის, კერძოდ, ბისმარკის საგარეო პოლიტიკის დიდი მარცხი. მან ვერ მიაღწია საფრანგეთის იზოლაციას. აშიერიდან გერმანიის ომი საფრანგეთთან ნიშნავდა ორ ფრონტზე ბრძოლას.

რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის დადება წარმოადგენდა მობრუნებას რუსეთის საგარეო პოლიტიკაში. იგი მოასწავებდა ამ ქვეყნის მიერ ახალ საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის აღებას.

რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნამ ძირეულად შეცვალა საფრანგეთის მდგომარეობა ევროპისა და მსოფლიოს სახელმწიფოთა სისტემაში, განამტკიცა მისი საერთაშორისო პოზიციები. მან შეასუსტა მის მიმართ იმპერიალისტური გერმანიის აგრესიის საფრთხე. მაგრამ, ამავე დროს, რუსეთ-საფრანგეთის კავშირმა გააღვივა საფრანგეთის მმართველი წრეების რევანშისტული მისწრაფებები, რითაც ხელი შეუწყო საფრანგეთ-გერმანიის ანტაგონიზმის გაძლიერებას.

რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკურმა კავშირმა მეფის რუსეთის საგარეო პოლიტიკა უფრო აქტიური გახადა და გააძლიერა იმპერიალისტური გეგმების განხორციელებისაკენ მისი მისწრაფება. ეს კავშირი განსაზღვრავდა რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობას პირველი მსოფლიო ომის წინ და მის დროს.

XIX საუკუნის ბოლოს ინგლის-გერმანიის წინააღმდეგობათა გამწვავებამ უკანა პლანზე გადასწია ინგლის-საფრანგეთის წინააღმდეგობა და მოამზადა ნიადაგი ინგლის-საფრანგეთის 1904 წლის კავშირის აღმოცენებისათვის. ამ კავშირმა კი თავის მხრივ განაპირობა ინგლის-რუსეთის კავშირის შექმნა 1907 წელს და ამგვარად ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის სამთა შეთანხმების ანუ ანტანტის ჩამოყალიბება. ანტანტის წევრ სახელმწიფოების მმართველ წრეებს, გარდა სამთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისა, აერთიანებდა საკუთარი იმპერიალისტური გეგმების განხორციელებისაკენ მისწრაფება.

რუსეთ-იაპონიის ომში რუსეთის დამარცხებისა და 1905—1907 წწ. რევოლუციის შედეგად მეფის რუსეთი მნიშვნელოვნად დასუსტდა. თავისი ეკონომიური და სამხედრო ძლიერების აღსადგენად, რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად ცარიზმს სჭირდებოდა დიდძალი სახსრები. ამით სარგებლობდა საფრანგეთის იმპერიალიზმი და უხვად აწვდიდა ცარიზმს სესხს ფრანგ ფინანსისტთათვის ხელსაყრელ პირობებში. ამიერიდან რუსეთ-საფრანგეთის ურთიერთობაში ფინანსური თვალსაზრისით რუსეთი კარგავს დამოუკიდებელ მდგომარეობას და იგი ხდება საფრანგეთზე ფინანსურად დამოკიდებულ სახელმწიფოდ.

რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნისა და ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის „გულითადი შეთანხმების“ შემდეგ ევროპაში გაფორმდა იმპერიალისტური სახელმწიფოების ორი აგრესიული ბლოკი: ერთი მხრივ, სამთა კავშირი (გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, იტალია), ხოლო მეორე მხრივ, სამთა შეთანხმება ანუ ანტანტა (საფრანგეთი, რუსეთი, ინგლისი). ამ ორ სამხედრო-აგრესიულ დაჯგუფებათა შორის იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა უკიდურესმა გამწვავებამ გარდუვალი გახადა პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი, რომელიც დაიწყო 1914 წლის აგვისტოში.

———

ТАБАГУА И. М.

# РУССКО-ФРАНЦУЗСКИЕ ОТНОШЕНИЯ ПЕРЕД ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНОЙ

## Резюме

В данной работе автор задался целью, на основе изучения документальных материалов, изложить причины русско-французского сближения после Франкфуртского мира, краткую историю создания русско-французского союза, его цель и сущность, отношение правящих кругов России и Франции к этому союзу и, наконец, взаимоотношения между Россией и Францией в условиях существования военно-политического союза и подготовки обоих государств к мировой войне.

Во вступительной части («Уроки истории») автор указывает, что история русско-французских отношений богата старыми традициями XVI, XVII, XVIII вв. Впервые дипломатические отношения между Россией и Францией были установлены еще в XVI веке. Первое французское посольство прибыло в Москву в 1595 году, а первый «Договор о союзе и торговле» был заключен между этими государствами в 1629 году.

Касаясь значения русско-французского союза, автор отмечает, что традиционная русско-французская дружба имела и сохраняет в настоящее время жизненно важное значение для сохранения мира в Европе и безопасности Франции перед угрозой возрождающегося германского империализма.

После Франкфуртского мира милитаристская Германия неоднократно пыталась вновь разгромить Францию. Бисмарк не раз преднамеренно вызывал военные осложнения между Францией и Германией. Только дипломатическое вмешательство России заставляло Германию отступать. После заключения русско-французского союза германская угроза была уже не так опасна для Франции.

Существование русско-французского союза, выступление русской армии против Германии и Австро-Венгрии во время первой мировой войны имели решающее значение для Франции.

В результате победы Великой Октябрьской социалистической революции в России открылась новая эра в международных от-

ношениях. Советское государство в своей внешней политике исходило из ленинского принципа мирного сосуществования государств с различными социальными системами. Создались новые условия для развития связей между Францией и Советским Союзом. Этого требовали интересы народов обеих стран, интересы укрепления безопасности в Европе. При этом автор подчеркивает, что ни в коем случае нельзя провести какую-либо аналогию или допустить преемственность между политикой царской России и политикой Советского государства, осуществляющего в международных отношениях совершенно новые принципы внешней политики, коренным образом отличающиеся от принципов внешней политики капиталистических государств.

Несмотря на стремление Советского правительства установить нормальные отношения с западными государствами и, в частности, с Францией, правящие круги последней заняли враждебную позицию по отношению к Стране Советов, что противоречило национальным интересам французского народа.

Опыт истории свидетельствует о том, что одной из реальных гарантий безопасности Франции являлся прежде всего союз с Россией, а в настоящее время такой гарантией может быть сотрудничество в интересах мира с Советским Союзом.

Германская проблема всегда имела и имеет особое значение как для Франции, так и для СССР. История дала нам немало примеров того, в какой степени отрыв Франции от СССР являлся пагубным для этой страны, для ее национальных интересов, для интересов мира в Европе. Опыт истории уже подтвердил, что, когда Россия и Франция действовали совместно, германский империализм терпел поражения. Именно так было во время первой мировой войны, когда союз между Россией и Францией привел Германию к войне на два фронта и к неизбежному поражению. И во время второй мировой войны советско-французское сотрудничество было важным фактором победы над агрессором.

В беседе с И. В. Сталиным генерал де Голль в декабре 1944 года заявил: «...Франция пережила немецкое вторжение в 1870 — 1871 годах, в 1914—1918 годах и в 1940 году. Отсюда проистекают почти все внешнеполитические и даже внутриполитические трудности во Франции... Французы знают, что сделала для них Советская Россия, и знают, что именно Советская Россия сыграла главную роль в их освобождении». Далее де Голль говорил, что «в сущности, причиной несчастий, постигших Францию, было то, что Франция не была с Россией, не имела с ней соглашения, не имела эффективного договора, ...только Россия и Франция имеют в Европе географическую континентальную позицию. Обе эти страны являются соседями Германии и, следовательно, находятся под ее угрозой. Так было в прошлом, так будет и в будущем» [1].

[1] «Международная жизнь», 1959, № 4. Документация, стр. 17—18.

Теоретический орган Коммунистической партии Франции журнал „Cahiers du Communisme“ отмечает, что уроки истории «действительно свидетельствуют о том, что франко-русский союз всегда являлся условием величия Франции»[1].

Особенно в нынешних условиях, когда активизируются западно-германские реваншисты, когда Западная Германия лихорадочно вооружается, национальные интересы Франции требуют укрепления дружбы и сотрудничества с Советским Союзом. Этого требуют интересы мира и обеспечения безопасности в Европе.

В конце вступительной части книги рассматриваются источники и использованная автором литература. Автор особенно выделяет работы известных советских историков А. З. Манфреда, В. М. Хвостова, Ю. В. Борисова, в частности, капитальный труд А. З. Манфреда «Внешняя политика Франции в 1871 — 1891 гг.». Попутно автор дает критический обзор использованной иностранной литературы.

В первой главе («От Франкфуртского мира до Берлинского конгресса — 1871—1878 гг.») рассматриваются последствия франко-прусской войны для Франции и для всей Европы. Как известно, в результате франко-прусской войны в Европе создалось новое империалистическое государство — Германская империя, развивавшееся гораздо быстрее, чем передовая в то время капиталистическая держава — Англия, и ставшее с самого начала на путь агрессивной политики.

В результате франко-прусской войны и Франкфуртского мира соотношение сил между Францией и Германией изменилось в пользу последней. Объединенной Германской империи противостояла потерпевшая поражение в войне и значительно ослабленная Франция. Ей угрожала новая агрессия со стороны бисмарковской Германии. Бисмарк считал, что Франция не примирится с результатами Франкфуртского мира и при первой же возможности попытается взять реванш, поэтому, по мнению Бисмарка, было необходимо вновь разгромить Францию с тем, чтобы она в течение длительного времени не могла встать на ноги.

В такой обстановке Франция должна была серьезно думать о самозащите на случай нового нападения со стороны милитаристской Германии. Это ставило перед Францией две задачи: во-первых, экономическое и политическое усиление страны, укрепление ее вооруженных сил; во-вторых, приобретение надежного, сильного союзника. Франция одна, без союзников, не смогла бы справиться с милитаристской Германией.

Кто мог стать союзницей Франции? Она не могла рассчитывать на союз с Австро-Венгрией, так как эта последняя все более подпадала под влияние Германии; существовавшие противоречия

[1] Cahiers du Communisme, 1948, № 2, p. 226.

мешали сближению Франции с Италией, равным образом рано ещё было думать о сближении с Англией.

Союзницей Франции в то время могла быть только Россия. Это было обусловлено прежде всего тем, что Петербург не хотел дальнейшего ослабления Франции, а наоборот, желал видеть ее сильной державой. Там учитывали, что дальнейший рост могущества Германской империи мог создать угрозу и для России. Отсюда — рост взаимотяготения между Россией и Францией.

В вопросе установления начального хронологического рубежа предыстории франко-русского союза автор основывается на известном мнении профессора А. З. Манфреда, который относит этот рубеж к 1872 — 1873 гг. [1].

В условиях, когда Бисмарк систематически устраивал антифранцузские провокации, позиция России имела для Франции решающее значение. Как известно, дипломатическое вмешательство России во время военной тревоги 1875 г. имело решающее значение для срыва агрессивных планов Бисмарка в отношении Франции. Что касается Англии, то она выступила лишь после того, как в Лондоне убедились, что опасность новой франко-германской войны миновала; как метко замечает Ю. В. Борисов, «английское правительство попыталось пожать, не посеяв» [2].

Даже тогда, когда в 1877 — 1878 гг. Россия была занята войной с Турцией, Германия не посмела выступить против Франции без гарантии нейтралитета со стороны России. Такой гарантии Петербург не давал. Совершенно справедливо отмечает профессор В. М. Хвостов, что Россия не пошла на сговор с Германией против Франции, несмотря на то, что «соглашение с Германией и предательство Франции открывали перед Россией некоторые перспективы экспансии на Востоке, в то время как сближение с Францией делало такую экспансию более затруднительной» [3].

Таким образом, после поражения Франции во франко-прусской войне и создания Германской империи, все более наблюдается взаимотяготение между Россией и Францией. Россия решила не допустить нового ослабления Франции (что было бы невыгодно для России). Германия же добивалась нейтралитета России для нового нападения на Францию. Правда, русско-французские отношения не всегда шли по восходящей линии, Россия сохраняла контакт с Германией и иногда шла даже на расширение этого контакта (союз трех императоров), но одно было ясно, — поч-

---

[1] А. З. Манфред, Внешняя политика Франции в 1871—1891 гг., стр. 550.

[2] Ю. В. Борисов, Уроки истории Франции и современность, стр. 20.

[3] В. М. Хвостов, Франко-русский союз и его историческое значение. В кн. «Десятый международный конгресс историков в Риме», стр. 632.

на для русско-французского союза подготовлялась, хотя непосредственно говорить о союзе пока еще было рано.

Во второй главе («Русско-французские взаимоотношения, 1878—1887 гг.») рассматриваются русско-французские взаимоотношения в течение этого периода. Здесь автор коротко останавливается на истории Берлинского конгресса и его решениях.

В конце 70-х и в начале 80-х годов произошли изменения во внешней политике Франции — наблюдается некоторое сближение с Германией, Франция становится на путь колониализма. Эта политика была вызвана экономическими и политическими интересами французской крупной буржуазии, которая стремилась лишь к собственному обогащению и вместе с тем хотела при помощи колониальных авантюр отвлечь внимание общественности от внутренних затруднений. Бисмарк со своей стороны всячески поощрял эти тенденции. Он расчитывал, что таким образом военные силы Франции будут прикованы за пределами Европы, что это помешает подготовке Франции к реваншу; отвлечет ее внимание от Эльзас-Лотарингии и усилит антагонизм между Францией, с одной стороны, Италией и Англией — с другой. Действительно, франко-итальянский антагонизм обусловил присоединение Италии в 1882 г. к германо-австрийскому союзу, созданному еще к 1879 г.

Франция овладела рядом заморских территорий, но Бисмарк не достиг своей цели: французы не забывали об Эльзас-Лотарингии. В этом вопросе каждый француз придерживался того мнения, что нация, которая потерпела территориальную ампутацию, «не должна никогда ничего простить и никогда ничего не забывать» [1]. Все же французы старались до поры не подымать большого шума по вопросу об Эльзас-Лотарингии, чтобы не вызвать реакции со стороны Бисмарка.

С середины 80-х годов прошлого века обострились экономические и политические противоречия между Россией, с одной стороны, и Германией и Австро-Венгрией — с другой, а также между Россией и Англией. В то же время растет проникновение французского капитала в Россию. Все это способствовало русско-французскому сближению.

Очередная попытка Бисмарка использовать благоприятный момент для нападения на Францию в 1887 г. потерпела крах. Германия не добилась нейтралитета России и была вынуждена отступить.

Таким образом, Берлинский конгресс показал, что следовало ожидать дальнейшего обострения русско-германских отношений. Сторонники колониальной экспансии во французском правительстве вскоре уступили место лицам, поддерживавшим политику

---

[1] „Ne doit jamais rien pardonner, jamais rien oublier". E. Bourgeois et G. Pagès, Op. cit. p. 387-388.

сближения с Россией. Между тем, комбинация Бисмарка — союз трех императоров — терпел крах. Русско-германские экономические противоречия также способствовали русско-французскому сближению. С 1887 г. начинается непосредственная подготовка с обеих сторон к заключению русско-французского союза.

Третья глава («Создание русско-французского союза») касается создания этого союза. Отставка Бисмарка и отказ германского правительства возобновить русско-германский договор о «перестраховке» ускорили заключение русско-французского союза. Заключению союза способствовали также взаимные визиты морских эскадр (французской эскадры в Кронштадт в июле 1891 г. и русской — в Тулон в октябре 1893 г.). Визиту русской эскадры в Тулон французская общественность дала высокую оценку. Один из старейших членов палаты депутатов Блан заявил: «Да успокоится и ликует Франция, ее одиночество отошло в прошлое! Раз рядом с нею стоит великий и могущественный народ, она не должна бояться за свое будущее, и она может сохранить все свои надежды» [1].

После заключения русско-французского соглашения (22 августа 1891 г.) французы вскоре поставили вопрос о заключении военной конвенции. Русско-французская военная конвенция была заключена 17 августа 1892 г., но она вступила в силу только 23 декабря 1893 г. (4 января 1894 г.). Так был оформлен русско-французский военно-политический союз 1891 — 1893 гг., который носил империалистический характер.

Правящие круги Франции, ее политические деятели и историки дали высокую оценку заключению союза с Россией. Эти оценки приводятся в книге.

Передовые люди французского и русского народов осуждали политику империалистических союзов. Они выступали за тесное сотрудничество русского и французского народов, за их совместную борьбу против реакции в обеих странах, за мир в Европе.

В четвертой главе («Россия и Франция перед первой мировой войной») автор рассматривает развитие капитализма в России и во Франции, сравнивая экономическое положение этих стран с положением в других странах.

